# თბილისელები®

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

№17 (643) ... 28 აპრილ... ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



გვ. 22

## როგორ შექმნეს პროგრესული „ბაბულიკების კამანდა“ კოტე თოლორდავამ, გიორგი ყიფშიძემ, კახა აბუაშვილმა და სანდრო კაკულიამ



რა კითხვას აღარ დასვამს ინგა გრიგოლია თავის გადაცემაში და რატომ მოხსნა მან საკუთარი კანდიდატურა არჩევნების წინ

გვ. 14



ვისთან ჩხუბის გამო დარჩა სახეზე ნაიარევი პატარა ირაკლი ინწკირველს და როგორ მოხიბლა მან „იურმალის“ ჟიური

გვ. 74



გვ. 19

რის გამო უხდის მუცელში მყოფ შვილს ბოდიშებს ანნა იმედაშვილი

ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი

8.50 + 1.50 = 10 ლარი

ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 15 ლარი

საყმაწვილო ლიტერატურის ანთოლოგია




III ტომი

# გილოცავთ ბზობას!

# „ბარილას“ უფროსი შეფ-მზარეულის – ფაბიო ფოლტრანის მასტერკლასები თბილისში




ნომერ პირველი პასტისა და მსოფლიო ბრენდის, **„ბარილას“** ისტორია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს და ამჟამად მსოფლიოს მასშტაბით 100 ქვეყანაში ვრცელდება. ქართულ ბაზარზე კი ის 2008 წლიდან შემოვიდა და საქართველოში 15 სახეობის პასტითა და 8 სახეობის პასტის სოუსით არის წარმოდგენილი. **„ბარილა“** უმაღლესი ხარისხის, კულინარიულად სრულყოფილი პროდუქტისა და დღევანდელი ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა იტალიურ საკვებ კომპანიებს შორის, საუკუნოვანი ტრადიციების შერწყმითა და თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით. **„ბარილა“** აწარმოებს „პასტა ალ დენტესა“ და „პასტა-სოუსებს“, რომლებიც მიეწოდება მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში. **„ბარილა“** არის, აგრეთვე, საერთაშორისო ცენტრის დამაარსებელი; ესაა „ბარილას საკვები პროდუქტების ცენტრი“ – საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი. ყოველ წელს დაახლოებით 2 500 000 ტონა საკვებ პროდუქტს, რომელიც ნაწარმოებია „ბარილას“ ბრენდის სახელით (Mulino Bianco, Voiello Pavesi, Academia Barila, Wasa, Marrys, Golden Toast, Misco, Filz, Yemina, Vesta) – მთავარი ადგილი უკავია სასადილო მაგიდებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

2013 წლის 18 აპრილს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, საქართველოს კულინარიის აკადემიის მხარდაჭერით, თბილისში ჩამოვიდა **„ბარილას“** ცნობილი შეფ-მზარეული **ფაბიო ფოლტრანი**, რომელმაც ჩაატარა მასტერკლასები კულინარიაში. მასტერკლასზე მოწვეული ვიყავით 14 ჟურნალისტი, რომლებმაც მოვამზადეთ ორი კერძი „პენნე ალლა ნორმა“ და „ტალიატელლე ცუკინი ე სპინაჩი“. მერე ჩვენივე მომზადებული კერძები დავაგემოვნეთ და მივხვდით, რომ ეს კომპანია ნამდვილად ნომერ პირველია მსოფლიოში. უნდა აღინიშნოს, რომ ფაბიო ფოლტრანი იყო იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონისა და ოპერის ვარსკვლავის – ლუჩიანო პავაროტის შეფ-მზარეული ოთხი წლის განმავლობაში. ჩვენთან ინტერვიუში ბატონმა ფაბიომ აღნიშნა, რომ მასტერკლასებს ჩაატარებს საქართველოში არსებული იტალიური რესტორნების (მათ შორის, რესტორან „პომოდორინოს“, სასტუმროების – „მარიოტისა“ და „ჰოლიდეი ინის“) და სხვა პრესტიჟული რესტორნებისა და სასტუმროების შეფ-მზარეულებისთვის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კულინარიულ აკადემიაში. რაც შეეხება რესტორან „პომოდორინოს“, მთელი წლის განმავლობაში, თვეში ერთხელ მოეწყობა **„ბარილას“** კვირეული და ნებისმიერ მსურველს მიეცემა საშუალება, დააგემოვნოს **„ბარილას“** შეფ-მზარეულის – ფაბიოს რეცეპტებით მომზადებული პასტა.




**„ბარილა“** აღიარებულია მთელ მსოფლიოში როგორც იტალიური გამოცდილების სიმბოლო და პატივს სცემენ ძველ, ტრადიციულ პრინციპებისა და ფასეულობების გამო, ითვალისწინებენ რა მისი მომსახურე პერსონალის უმაღლეს დონესა და მუდმივ სწრაფვას მოწინავე პოზიციისკენ წარმოების სისტემაში.

**სოფო ლორია**


# მსოფლიო საყმაწვილო ლიტერატურის ანთოლოგია




## სკოლის ასაკში წასაკითხი წიგნები

## მესამე ტომი 22 აპრილიდან

ოსკარ უაილდი, ალვარო იუნკე,
ჯეიმს მეთიუ ბარი,
ვაჟა-ფშაველა, ივან ბუნინი,
ჰარი ჰარისონი,
ჯანი როდარი, ჟიულ ვერნი

## წიგნი გამოვა თვეში ერთხელ

# მხოლოდ ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად

# ს ა რ ჩ ე ვ ი


როგორ აუსრულა აფხაზებს ცუდი მოლოდინი ზვიად გამსახურდიას ნაცვლად ედუარდ შევარდნაძემ და რატომ უჭირთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეფასება ............................ 6



რატომ აფინანსებს სახელმწიფო თვით ჰარვარდის უნივერსიტეტსაც კი და რატომ არის სტუდენტის სიღარიბე გადამწყვეტი ფაქტორი ჰარვარდში მოსახვედრად ............. 8



როგორ დაირღვა 2008 წლის აგვისტოში საერთაშორისო ტრადიცია, რატომ გამოიქცნენ მეთაურები და რატომ არ გამოიქცა ჯარი ბრძოლის ველიდან.............10

რომელი დიეტის დაცვით დაიკლო მარგარეტ ტეტჩერმა 10 კილოგრამი და რომელი არაპოპულარული ნაბიჯის გამო აითვალწუნეს ის სამშობლოში .............. 12

ადვოკატი გირჩევთ ................................... 16

რა სურვილებს უსრულებდა ბადრი პატარკაციშვილი ლიზა მაღრაძეს და საიდან გამოიქცა ის ................................... 18

რის გამო უხდის მუცელში მყოფ შვილს ბოდიშებს ანნა იმედაშვილი .................. 19

როდის ხდება ქალის ცხოვრებაში სხვა კაცი უმნიშვნელოვანესი და რატომ არ აშინებს მას საყვარლის სტატუსი ........ 20

რატომ ეძებს ათენში მცხოვრები ქალბატონი მეუღლეს და როგორ მიატოვა ოჯახი 17 წლის წინ იაროსლავლში ქართველმა მამაკაცმა ...... 21

რას დაუკავშირა ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დავით სარაჯიშვილმა და როდის გადაეცა ეს შენობა მწერალთა კავშირს .................... 23

როგორ უნდა მოვემზადოთ ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის და როდის იწყებს მორწმუნე მაცხოვართან ერთად გოლგოთაზე ასვლას............................24



„მანჩესტერ იუნაიტედის" რამდენი ფეხბურთელი მოხვდა პრემიერლიგის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელების რეიტინგში ...... 26

ექიმის რჩევები ........................................... 29

რა უთხრეს ქურდებმა გიული ჭოხონელიძეს ფილმ „დღე პირველი დღე უკანასკნელის" ნახვის შემდეგ და რატომ გარდაიცვალა ცამეტი მსახიობი „ანთიმოზ ივერიელის" გადაღებების პერიოდში ............................ 30

რატომ უნდა დააწყოთ კართან დაგებული ფეხსაწმენდის ქვეშ ხურდა ფული და როგორ გავაძლიეროთ ფინანსური კოდი ჩვენს ბინაში ............ 32



რის გამო განაცხადა უარი „სეზარის" პრემიაზე ჟან-პოლ ბელმონდომ და რა აკავშირებს მას ჯეკი ჩანთან ........ 34

რატომ დადიოდა თოვლის პაპის სამოსში გამოწყობილი და ხურჯინგადაკიდებული სტალინი საბჭოთა მოქალაქეების ოჯახში ................ 35

შეკითხვა ასტროლოგს ............................ 36

რატომ უნდა აირჩიოთ პროფესია რეინკარნაციული კუთხით და როგორ გვაკავშირებს ასტრალური სხეული ცხოველებთან, ეთერული სხეული კი – მცენარეებთან ................................ 36

თეატრები ............................................ 37

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ....... 49

კოსმეტოლოგის რჩევები ........................ 51

ვინ იყო მოუხელთებელი ქართველი ბანდიტი, რომლის მოკვლისთვისაც მინისტრმა არაოფიციალური ჯილდო დააწესა .............................................. 52

რაზე არ მიდის დიმა ტატიშვილი არასდროს მაყურებლის გასაცინებლად და რისთვის ღირს მისთვის ცხოვრება .......... 54

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .... 55

ვეტერინარის რჩევები ............................ 60

ფლორის სამყაროში ............................... 60

როგორ გახდა კერძო კოლექციონერი ყაჩაღური თავდასხმის ობიექტი და ვინ მოითხოვა წილი ციხეში დაგეგმილი ძარცვიდან ............................................ 61

მე – დაქირავებული მკვლელი .............. 62

მკვდარი ვერსია ..................................... 70

რომელი ცნობილი დიზაინერები და კოსმეტიკის მწარმოებელი კომპანიების მფლობელები მოხვდებიან „ფორბსის" 2013 წლის მილიარდერების რეიტინგში ........... 76



## ყურადღება!

„აკადემია ლიბერთი-პროფი"

სასწავლებელი, რომელიც გჭირდებათ თქვენ!

ჩვენი დევიზია: თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!

ჩვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ, როგორც საშუალო განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. ვიღებთ 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულებსაც (კოლეჯის პროგრამებზე). გარდა ამისა, შესაძლებელია სწავლა ექსტერნად და შესაბამისი ატესტატის მიღება. მიიღებიან რუსულენოვანი მოქალაქეებიც.

მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 (საკ. ცენტრ. „ქარვასლასთან") მე-4 სართული. ტელეფონის ნომრები: 295-20-16; 599 55-02-95; 790 50-60-98; 574 05-06-12.



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის" სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ქლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ანწეწილ-დაწეწილი

## რა სარგებლობა მოაქვს „ვალოსედს“

მართალია, **უმცირესოელი ხალხის რჩეული ბ-ნი რატიანი „ნაცმოძრაობის“ ინტელექტუალურ ფრთას განეკუთვნება,** მაგრამ, **საზოგადოებას თავი არა მხოლოდ მეტყველებით, არამედ, გაწევ-გამოწევითაც დაამახსოვრა** („მაესტროს“ ეთერში **ჯერ ჭიქა შემოსტყორცნა მაგიდას,** შემდეგ კი **უმრავლესოელ კოლეგა** ბ-ნ **დავითაშვილსაც დაეჭიდა**, **თუმცა,** საბოლოოდ, განსხვავებული წონითი კატეგორიების მიზეზით, **მოცურდა**).

სულ ახლახან კი ბ-ნი **რატიანის სხვა მიდრეკილების შესახებაც გახდა ცნობილი.** მოვლენები კი შემდეგნაირად განვითარდა: TSpress.ge-ს ხელში ჩაუვარდა **ჩანაწ-**



**ერი, რომელზეც ოპოზიციონერი დეპუტატი, 11 აპრილს, ქუთაისის მოსახლეობასთან შეხვედრისას, გარკვეულ თანხაზე საუბრობდა**. ბუნებრივია, TSpress.ge-ს ჟურნალისტი **ინფორმაციის გადამოწმებას** ბ-ნ **რატიანთანაც შეეცადა.**

**რამდენიმე უშედეგო სატელეფონო საუბრის შემდეგ**, **იმას გარდა**, რომ **ხალხის რჩეულისთვის ნერვებს უმტყუნებია** (რატიანმა კითხვის ბოლომდე მოსმენა არ ისურვა და პირდაპირ ყვირილსა და შეურაცხყოფაზე გადავიდა: „არანაირი ჩანაწერი არ გაქვს, მატყუარა ხარ!“), ის, **ზედაც, დამუქრებია**: „შენი სახელი და გვარი მითხარი, იცოდე, **შენ ამისთვის პასუხს აგებ... მე მეცოდინება თქვენი ნომერი.“**

ჩვენ **არ ვიცით, რა ფორმით აპირებს დასავლეთის მოტრფიალე უმცირესოელი დეპუტატი, პასუხი აგებინოს შეკითხვის დამსმელს**, თუმცა, **მის მიერ** ბოლო პერიოდში **გამოვლენილი,** რბილად რომ ვთქვათ, **თანამდებობისთვის შეუფერებელი ემოციურობის გათვალისწინებით**, **ურიგო არ იქნებოდა,** თუკი **სოციუმთან კონტაქტის დამყარებამდე** ბ-ნი რატიანი **„ვალოსედს“ მიიღებდა აწეწილ-დაწეწილი ნერვების დასამშვიდებლად.**

# „პადვალში“ წუნდებული

## ხილვიანი მუჭუჭი

მას შემდეგ, რაც **არათუ საქართველოს ხელისუფლების სრულიად შემადგენლობა,** არამედ **თვით ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი შეიცვალა**, უკვე **რამდენიმე საწყობია აღმოჩენილი,** რომლებიც, მეტ-ნაკლებობით, **დევნილთათვის გადასაცემი ნივთებითაა გადაჭედილი**.



სულ **ბოლო ქუთაისის ავტოქარხნის ტერიტორიაზე გამოავლინეს** (აღმოჩენები **ისეთი ტემპით მიდის, ვშიშობ, მიზიდულობის ახალი კანონიც არ გამოვაცხოთ ამ პროცესში**!). მინისტრ **დარახველიძის განმარტებით, საოჯახო ნივთები და სხვა ტექნიკა 2008 წელს აგვისტოს ომის დროს დაზარალებული მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი.**

თავის მხრივ, აწ უკვე **საპარლამენტო უმცირესობის წევრი, თუმცაღა, ნამინისტრალი** ბ-ნი **სუბელიანი გვარწმუნებს, რომ სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ საწყობებში დევნილთა სამინისტროს ჩვეულებრივი მარაგები გააჩნდა** და, ამიტომაც, ბუნებრივია, ხელისუფლების პრეტენზიებს უსაფუძლოდ მიიჩნევს. მეტი დამაჯერებლობისთვის კი შემდეგ არგუმენტს იშველიებს: „მათი პრეტენზიები გაუგებარია – **ეს ნივთები ჩემი სახლის პადვალში ხომ არ უპოვიათ?!“**

თუ გავიხსენებთ, რომ **ჩვენს სამშობლოში დევნილების ცვენაა** და მათგან **სრული უმრავლესობა სოციალურად შეჭირვებულია**, რთული ასახსნელია, **ვის უქმნიდა მარაგებს ყოფილი მინისტრი სუბელიანი**. თუმცა, თუ 19 აპრილის აქციაზე ბ-ნი **ვაშაძის კონგენიალურ ფრაზას გავიხსენებთ: „ხედვა – ეს არის ნიჭი, დაინახო უხილავი მომავალი“,** ვითომ, ბ-ნ **სუბელიანს** კიდევ ერთი **ომის ხილვა ჰქონდა** და **ახალი დევნილებისთვის, როგორც სახელმწიფოს მუჭუჭი, მარაგებს იბევებდა?!**



# „ფიქრით – დაღლილია, გულით – აფთარია“

## „მიყვარს ღამე სიარული, სულ მთლად გადარეული ვარ“!

*„მიშა მაგარია, საქმით მართალია,*
*ფიქრით – დაღლილია, გულით – აფთარია,*
*საქართველოს დროშა მხრებზე აფარია,*
*ქედს არ მოიხრის და სულით მაღალია,*
*მიშა მაგარია, ერი აბარია!“*

**ი. ხაჩირაშვილი**

„–**გუშინ ლექსი დავწერე!** – ვთქვი მე უცებ. ილარიონს მოულოდნელობისგან შაშხის ნაჭერი გაუვარდა ხელიდან, ილიკოს კი ღვინო გადასცდა სასულეში და მამლის კუჭივით გალურჯდა.“ **ეს რეაქცია თანამოსაუბრეებში ზურიკელას შემოქმედებითმა აღტკინებამ გამოიწვია**, ქ-ნი **ინგა ხაჩირაშვილის უსათაურო ლექსი კი სოციალურ ქსელში გავრცელდა.** პოეტმა ის იმ მოწოდებას წაუმძღვანია, რომელიც გვამცნობს, რომ **„ნაციონალური მოძრაობა სრული შემადგენლობით კიდევ ერთ გზას დააგებს, რომელიც ევროპისკენ მიმავალ საქართველოს გზას შეუმოკლებს.“** ხოლო, რაკი სოციალური ქსელით გავრცელდა, არაფერი ვუწყით იმის შესახებ, თუ რა რეაქცია გამოიწვია მკითხველში.

მეორე მხრივ, **არც ის ვიცით, რა ადგილს დაიმკვიდრებს ქ-ნი ხაჩირაშვილის პოეზია ქართული პოეზიის ცის კაბადონზე.** თუმცა, თუ კომენტარებით ვიმსჯელებთ: **„ეს ლექსი თქვენ დაწერეთ? გალაკტიონის მერე ასეთი ამაღელვებელი არაფერი წამიკითხავს**“; **„ისეთი აღელვებული ვარ, ცრემლებს ძლივს ვიკავებ“,** ჩნდება ეჭვი, რომ **დასტურდება ეპოქალურად გამოცდილი ჭეშმარიტება ალხანასა და ჩალხანას შესახებ**, როგორც ის, რომ **გემოვნებაზე არ დავობენ.** ოღონდ, უნდა შევნიშნოთ, რომ **პოსტრევოლუციური საქართველოს ნომერ პირველ პოეტად კვლავ პრეზიდენტის ფავორიტი სერგი კაკალაშვილი რჩება** („ღმერთი რომ ვიყო, ვიტირებდი ღმერთობის გამო...“).

ბუნებრივია, **პოეტის ფასს დრო და მხოლოდ დრო გამოაჩენს**, თუმცა, რაკი პირადად **მე ლექსის წერის ნიჭი არ გამაჩნია** (და მერე რა, რომ, ზემომოხმობილთა მსგავსად, კალამს ვაწვალებ?!), **მაგრამ, არ მსურს, ჩამოვრჩე თანამემამულეებს და** მოყვარულ პოეტს მაინც დავესესხები: **„მიყვარს ღამე სიარული, მთელი ღამის უძილო ვარ, სულ მთლად გადარეული ვარ“!**

# ცვლილებებნარგები

# მთავარსარდლისგან დამუნათებულები

შესაძლოა, **სულ ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებებმა არგო**, ან, სულაც, იმან, რომ მის **მეორე საპრეზიდენტო ვადასაც ყავლი გასდის**, მაგრამ, ფაქტია, რომ **პრეზიდენტმა სატელევიზიო ეთერებში ინტერვიუებს მოუხშირა.** აღნიშვნის ღირსი კი იმიტომაცაა ეს ფაქტი, რომ **აქამომდე, როგორც წესი, პირველი პირი მონოლოგის რეჟიმში მოქმედებდა.**



მართალია, **„რუსთავი 2-ის" „პოზიციაში" მიბრძანებას დიალოგის რეჟიმად ვერ ჩავუთვლით** (აღარ შევჩერდები ვერჩათვლის მიზეზების დასახელებაზე), **მაგრამ, სულ არაფერს მაინც ჯობია** (წყალწაღებულისა და ხავსის მსგავსად).

თუ გავიხსენებთ, რომ **ამ ინტერვიუს წინ ხელისუფლების განცხადება უძღოდა აგვისტოს ომის გამოძიების შესახებ**, საქმეს კოჭებშივე შეეტყო, რომ **პრეზიდენტის დიალოგი საზოგადოებისთვის მომხდარის მისებური ხედვის, საუკეთესო შემთხვევაში – გაცნობის, უარესში – თავს მოხვევის ფუნქციას ასრულებდა.**

ასეა თუ ისე, გასულ კვირას პირველმა პირმა **ბოლო 9 წლის შესახებ არაერთი ინფორმაცია გაგვიმხილა**, თუმცა, მე მხოლოდ ერთზე შევჩერდები: **მთავარსარდალმა დაგვამუნათა** – აბა, **რუსის ჯარისგან კოდორის ხეობას ან სხვა ტერიტორიებს როგორ დავიცავდითო** და იქვე **განგვიმარტა, რომ მხოლოდ მაშინ ვიცავდით, როდესაც 50-იოდე აფხაზი გვეგულებოდა მოწინააღმდეგედ.**

ეს განმარტება კი ავტომატურად ნიშნავს, რომ **საქართველოს დღევანდელი რუკა მთავარსარდლის პათოსის სავსებით ადეკვატურია**, მე თუ მკითხავთ, **იმაზე მასშტაბურიც კი, რასაც ვიმსახურებთ.**

# „იდეებ რა ვუყო"

# ანუ, მუზანასაზრდოები

რაკი ცნობილია, **ისეც ვერ წვიმს, როგორც ქუხსო,** ან, სულ სხვა, გაცილებით პროზაული მიზეზით, **19 აპრილის აქცია მთლად ისეთიც ვერ გამოდგა, როგორიც დააქუხეს.** თუმცა, უმცირესოელი ხალხის რჩეული ბ-ნი **კანდელაკი დარწმუნებულია, რომ „დღევანდელი აქციით „ნაციონალური მოძრაობა" დაამკვიდრებს ახალ სტანდარტს, თუ რას ნიშნავს იდეებზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტია".**

მეტიც, დეპუტატს **არანაკლებ ღრმად სწამს** (კვლავ ციტატას მოვიხმობ): **„დღევანდელი აქციით „ნაციონალური მოძრაობა" ახალ იმპულსს შესძენს საქართველოში პოლიტიკურ ცხოვრებას."**

ეს ყოველივე კი **იმ დიადი მიზნის მისაღწევადაა აუცილებელი** (რაკი აპრილია, ბ-ნ კანდელაკის კომენტარის ტექსტს ისე ვციტირებ, **როგორც ლენინს – „აპრილის თეზისებიდან"):** „ვართ ცივილიზებული ხალხი. **გვინდა, რომ საქართველო ცივილიზებული სახელმწიფო იყოს."**

რთული სათქმელია, **რამდენად გულწრფელია ხსენებული დეპუტატის ცივილიზებულობის მოთხოვნილება** (რთული, რადგან, ცივილიზაცია და ჩინოვნიკთა მიერ საკუთარ კეთილდღეობაზე დახარჯული საბიუჯეტო სახსრები ერთმანეთთან სასტიკ წინააღმდეგობაში მოდის), მაგრამ, **თუ სპეციალური სახელმწიფო დაცვის სამსახურის საიდუმლო ხარჯების ამსახველ დოკუმენტებს გავიხსენებთ** (აი, მათ, რომლებიც ხან პრეზიდენტის მიერ შვილებისთვის სწავლის საფასურის ბიუჯეტიდან გადახდასა თუ თანაგუნდელებისთვის წვეულებებისა და მოგზაურობების ხარჯების გაღებას ასახავს) **და** ამ ყოველივეს ბ-ნი **კანდელაკის რწმენას შევუზავებთ** („იდეებზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიაო"), **სავარაუდოა, რომ აქამომდე „ნაციონალური მოძრაობის" მუზა საბიუჯეტო და არა მხოლოდ საბიუჯეტო ფულით საზრდოობდა.**



# თავმჯდომარის პოლიტიკური ვნებანი

## „კო მნე ზადომ, ა კ ლესუ პერედომ"

სავარაუდოდ, **კოჰაბიტაციის ეშხით** თუ რამე **სხვა, შესაძლოა, უფრო ამაღლებული მიზეზით**, პარლამენტის თავმჯდომარემ, ბ-ნმა **უსუფაშვილმა, ოპონენტების მიმართ თავისი პირადი პოლიტიკური ვნებანი შორეული პრაღიდან გაგვიმხილა**.

კერძოდ, ნომერ პირველმა კანონმდებელმა აღნიშნა, რომ, **ევროპასა და აშშ-ში ვიზიტებისას ხშირად უწევს**, თურმე, **იმის გამეორება, რომ, „ნაციონალური მოძრაობის, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა."**

მართალია, ბ-ნ უსუფაშვილს რეალობის შეგრძნებებიც უმუშავებს (**„რაც უნდა გამიბრაზდნენ ახლა ქართველი მსმენელები, რომლებიც თვლიან, რომ ნაციონალური მოძრაობა გადასარჩენი კი არა, გასასამართლებელი და ასაკრძალიაო**), მაგრამ, **გაბრაზებულ თანამემამულეებს ცივი წყლით ურჩევს გაგრილებას**: „თუ ჩვენ ასე შორს წავედით, მაშინ, ჯობია, დავიწყოთ ჯერ კომუნისტური პარტიით, მერე მივაყოლოთ მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება, ნაციონალური მოძრაობა და ყველა ერთად ავკრძალოთ, გავაუქმოთ."

მე არ შევუდგები იმის გარჩევას, **თუ რატომ მოიკოჭლებს** ბ-ნი **უსუფაშვილის კოჰაბიტაციით დაბინდული ლოგიკა**, მაგრამ, რაკი **არც ისაა გამორიცხული, კოჰაბიტაცია რომ გვეგონა, კოპულაცია გამოდგეს**, ვფიქრობ, საერთოდაც, **საქართველოს ყველა მოქალაქის ვალდებულებაა** („ნაციონალური მოძრაობის" მხოლოდ გადარჩენა რას მიქვიან), **მტლად დაედოს, რაზეც ბ-ნი უსუფაშვილი მიუთითებს, იმას.**

# ტანკენრობით თვალდამტკბარნი

## ანუ, „არაფერია ფუფუნებაზე უფრო მონური"

თუკი გასულ კვირამდე **მხოლოდ მოარული ხმებით ვიცოდით, თუ როგორ მოიხმარდა სახელისუფლო „ნაცმოძრაობა" საბიუჯეტო სახსრებს** (იმ მარტივი მიზეზით, რომ ლამის ყველა ოფიციალურ დოკუმენტს გრიფი „საიდუმლოდ" ედო), რაკი ნათქვამია, არ არსებობს დაფარული, რომელიც არ გაცხადდესო, ხალხის რჩეულმა ქ-ნმა **იმერლიშვილმა ფართო საზოგადოებას სსდს-ის საიდუმლო ხარჯების ამსახველი დოკუმენტაცია აუფრიალა**, რის თანახმადაც, **ისეთი ხარჯები დაუფინანსებია ამ ჩვენს გაღატაკებულ მოსახლეობას, ოცნებას ვინ ჩივის, სიზმარშიც რომ ვერ წარმოიდგენდა**.

ასე, მაგალითად, **მთავარსარდალს მომღერალ იოანა მელაისთვის ბიუჯეტით ძვირად ღირებული ყელსაბამი და კულონი უჩუქებია**; ხელი **არც მარიამ საჯაიასთვის დაუკლია** (3 000 „ს ჩემ ტო" ლარის **კულონი უბოძებია**), აი, **ხალხის რჩეული ბოკუჩავა კი მხოლოდ ძვირად ღირებულ ტელეფონს დასჯერებია**. არც რუსი **ჟურნალისტი სოკოლოვა დაუტოვებია გულდაწყვეტილი** და **არც ჩინელი მსახიობი ლი სო იონი**. დამატებით, **ამ უკანასკნელის მხოლოდ თვითმფრინავის ბილეთები 45 000 ლარი დაგვჯდომია.**

აღარაფერს ვიტყვი ბიუჯეტით **ეგზოტიკურ კუნძულებზე დასვენებაზე**, უცხოელი **პირადი მზარეულის შენახვასა** (აი, ასეთი გურმანი პრეზიდენტი გვყოლია!) **თუ სხვა უამრავ ხარჯზე.** თუმცა **პრეზიდენტი მაინც გაკვირვებულია** (მოქალაქეების სიბნედით) და გვარწმუნებს, რომ, ჯერ ერთი, **ყველა ქვეყანაში ნორმალური ფაქტია სტუმრების გამასპინძლება** და, რაც მთავარია, **მისი მსუყედ დაფინანსებული უცხოური ვიზიტების შედეგი, თურმე, მოზიდული მილიარდებია** (ანუ, **ფუფუნებაში თქვენი ბედნიერი სიღატაკისთვის ვცხოვრობდიო).**

მეორე მხრივ, თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, **მაკედონელის აზრით, არაფერია ფუფუნებაზე უფრო მონური,** ერთის თქმა ნამდვილად შეგვიძლია: **ჩვენი მთავარსარდალი მაკედონელს არ ჰგავს** (თუმცა, რომ არ ჰგავს, ეს მათი სამხედრო მიღწევების შედარებითაც ნათელია).

ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, მაგალითად, **თბილისის მერმა და პრეზიდენტმა ავსტრიულ გასახდომ ცენტრში 100 000-ზე მეტი საბიუჯეტო ლარი გახარჯეს** და, ზედაც დავამატებთ, რომ **მათი ეს ტანკენრობა ჩვენს თვალს ატკბობდა**, ვფიქრობ, ბოდიშიც **გვაქვს მოსახდელი, რატომ მეტი არ დაუხარჯავთ?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ჯერჯერობით არც ქართული პროდუქცია შესულა რფ-ის ბაზარზე და რუსეთსა და საქართველოს შორის არც ამაზე გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებზე დაწყებულა მოლაპარაკებები. აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია“ კვლავაც რფ-ის მიერ მხოლოდაღიარებულნი არიან და რფ-ს ჯარიც კვლავაც სავსებით სამართლიანად ატარებს ოკუპანტის სტატუსს. ამის მიუხედავადაც, მეტად საინტერესოა, როგორ აფასებენ ენგურს გაღმა მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობის დარეგულირების პერსპექტივას. ამ თემაზე აზრს ბესლან კობახია გაგვიზიარებს.**

# როგორ აუსრულა აფხაზებს ცუდი მოლოდინი ზვიად გამსახურდიას ნაცვლად ედუარდ შევარდნაძემ და რატომ უჭირთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეფასება

**– როგორ აფასებთ საქართველო-რუსეთის შორის ამ ეტაპზე არსებულ ურთიერთობებს?**

– რადგან ურთიერთობები ძალიან ცუდი იყო საქართველოს წინა ხელისუფლების დროს, სავსებით ბუნებრივია, რომ ახალი ხელისუფლება ცდილობს, დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. მეორე საკითხია, რამდენადაა ეს შესაძლებელი დღეს, რადგან არის რაღაც წითელი ხაზები, რომელთა გადაკვეთა არ შეუძლია არც რუსეთს და არც საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოფიციალური რიტორიკა რუსეთის მიმართ ნაკლებად აგრესიულია, პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა. საქართველოს ხელისუფლების აზრით, რუსეთის არმია ისევ საოკუპაციოდ რჩება. ამას გარდა, ლაპარაკია რუსეთის მიერ აღიარების გაწვევაზე, რაზეც რუსეთის ხელისუფლება სისტემატიურად აცხადებს, რომ ეს საკითხი საბოლოოდაა გადაწყვეტილი და მის გადახედვას არ აპირებს.

**– ოფიციალური განცხადება, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება რუსეთისგან ითხოვდეს აღიარების უკან წაღებას, მე არ მახსენდება, თუმცა არ ნიშნავს, რომ არ ვეთანხმები. კონკრეტულად შეგიძლიათ მითხრათ, სად ითქვა?**



დღეს ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის საინტერესოა ჩვენი ხალხისთვის, მაგრამ ეს არ არის მთავარი თემა

– საქმე ისაა, რომ ამაზე ლაპარაკობენ თქვენი პოლიტოლოგები. მათ კვლავ აქვთ ილუზიები ამის შესახებ. სინამდვილეში კი, მე არ მახსენდება საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარების გაწვევის პრეცედენტი.

**– რადგან თავად ჩამოაგდეთ სიტყვა, მეც ვიტყვი, რამდენჯერმე ვესაუბრე რუს პოლიტოლოგებსა და ჟურნალისტებს და ისინი უშვებენ ასეთ ალბათობას, თუ აფხაზი და ოსი ხალხი მოინდომებენ საქართველოსთან ერთიან სახელმწიფოში ცხოვრებას, ჩვენ მათ ხელს არ შევუშლითო. ტექნიკის საქმეა, ერთი სიტყვით.**

– მინდა, გითხრათ, რომ ეს ილუზიაა. კარგად ვიცნობ აფხაზეთში არსებულ ვითარებას. თქვენ უნდა გესმოდეთ, ჩვენ დაგვეხოცა უამრავი ადამიანი საომარი მოქმედებების დროს.

**– მე ვიმეორებ რუსი რესპონდენტების ვერსიას, ჩემსას კი არა.**

– რასაც თქვენ ამბობთ, ისევ ის ილუზიებია, რაც ერთმანეთს გვაშორებს და მიახლოებას გვირთულებს. მე, როგორც ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს, მინდა, საქართველოსა და აფხაზეთს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეთ, მაგრამ რა პირობებით?! ურთიერთობა ურთიერთობისთვის უბრალოდ ვერ იქნება ასეთი სისხლისმღვრელი ომი შემდეგ და აფხაზეთს დღეს არაფრით არ შეუძლია საქართველოსთან ერთად ყოფნა. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება, რომლის რიტორიკაც თითქოსდა შეიცვალა, ძველებურად იქცევა. ასეთ ფაქტს მოგიყვანთ: ჩვენს ბავშვებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ფესტივალში თურქეთში, მაგრამ საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ ისე დააყენა საკითხი, რომ ჩვენმა ბავშვებმა ეს ვერ შეძლეს.

**– თქვენ რომ საქართველოს ხელისუფლების ადგილას იყოთ და მე თქვენ ადგილას, თქვენ მისცემდით ჩვენს ბავშვებს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენლებს, მონაწილეობის მიღების უფლებას? საქართველოს დიპლომატიური მისია სხვანაირად ვერ მოიქცევა.**

– ჩვენ ასე არ ვიქცევით. ამ მომენტებს იმიტომ ვიხსენებ, რომ, აი, ასეთ სირთულეებს ეჯახება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.

**– ამბობთ, რომ ომში უამრავი ადამიანი დაგელუპათ და ამის დავიწყება არ შეგიძლიათ. სისხლისმღვრელი ომი იყო რუსეთ-საქართველოს შორისაც, მაგრამ თქვენ გიკვირთ, რატომ უწოდებენ ქართველები ოკუპანტს რუსეთს. წინააღმდეგობაში არ მოდიხართ საკუთარ თავთან?**

– ჩვენ არ გვაქვს განსხვავებული მიდგომები ამ თვალსაზრისით. თქვენ მიგაჩნიათ, რომ შენაერთები, რომლებიც დგას აფხაზეთში, არის საოკუპაციო.

**– არა მხოლოდ აფხაზეთში მყოფი.**

– მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება რუსული შეიარაღებული ძალებისადმი განსხვავებულია. რუსეთის არმია აქ დგას ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის შეთანხმების შედეგად. არანაირი საოკუპაციო ხელისუფლება არ არის აფხაზეთში. ყველა პროცესს აფხაზეთში მართავს აფხაზეთის ხელისუფლება, რომელიც აირჩევა დემოკრატიული არჩევნებით. ამ თვალსაზრისით, განსხვავებული შეფასებები გვაქვს.

**– ამ ინტერვიუში არ მინდოდა ამაზე კამათი, მაგრამ კოდორის ხეობა, ახალგორი, დიდი ლიახვის ხეობა?! შეიცავს აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის საფრთხეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზება?**

– ვფიქრობ, არა, პირიქით, მე იმის მომხრე ვარ, რომ საქართველოს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს დანარჩენ სამყაროსთან, რადგან ეს ნიშნავს ნორმალური ეკონომიკის განვითარებას და როგორც კი ნორმალური ეკონომიკა იქნება, ომისთვის ადგილი აღარ დარჩება. თუ საქართველოს ეკონომიკას პრობლემები შეექმნება, ადრე თუ გვიან, დამნაშავეებად გამოგვიყვანენ ჩვენ, ან „ოსეტიას“, ან ვინმე ახალს მოძებნიან. ეს არაერთხელ მომხდარა. ამას ყოველთვის წინ უძღოდა ძალიან ცუდი შიდა ეკონომიკური სიტუაცია.

**– უნდა გითხრათ, რომ 2008 წელს პირიქით იყო საქმე: საქართველოს ეკონომიკა დინამიკურად ვითარდებოდა და რომ არა 2008 წლის ომი, საკმაოდ კარგი შედეგი გვექნებოდა დღეს.**

– ამ ომზეც კი სააკაშვილმა დიდი ფული მიიღო.

**– ოფიციალურადაა ცნობილია, რომ საქართველომ დახმარების სახით მიიღო 4,5 მილიარდი, ნახევარი ვალია, დანარჩენი – გრანტი.**

– ამას გარდა, რამდენი ფული წამოვიდა აშშ-დან სამხედრო სფეროსთვის, შეიარაღებული ძალების განახლებისთვის?! აღდგა ქართული სამხედრო წარმოება და დაიწყეს ჯავშანტექნიკის გამოშვება. ეს ფულიც დასავლეთიდან მოვიდა.

**– აფხაზი საზოგადოებაც თქვენ მსგავსად მიესალმება რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზებას?**

– დღეს ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის საინტერესოა ჩვენი ხალხისთვის, მაგრამ ეს არ არის მთავარი თემა.

**– ეს არც მიგულისხმია.**

– ჩვენ უამრავი შიდა პრობლემა გვაქვს. 20 წელია, საქართველოსა და აფხაზეთს არ აქვთ ურთიერთობა და დღეს უკვე სულ სხვა პრობლემები დგას აფხაზეთის წინაშე. დღეს აფხაზეთი დინამიკურად ვითარდება, უფრო სწრაფად გვინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზეთს არ აქვს ისეთი საყოველთაო მხარდაჭერა, როგორიც ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს, თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ მხარს გვიჭერს რუსეთის ფედერაცია, რომელიც ფინანსურად გვეხმარება. დანაკარგები, რაც ჩვენმა ეკონომიკამ განიცადა, 100 მილიარდ დოლარს აჭარბებს. ეს ძალიან დიდი ფულია და აფხაზეთს მისი მოძიება უფრო უჭირს, ვიდრე საქართველოს. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ, რამენაირად გამოვიდეთ ამ რთული სიტუაციიდან და ადამიანები ჩვენთან იუმჯობესებენ ცხოვრებას.

**– რკინიგზის გახსნას როგორ უყურებთ?**

– არა მხოლოდ სარკინიგზო ხაზი გვაქვს დაბლოკილი, არამედ საჰაერო, საზღვაო და საავტომობილო გზებიც.

**– მაგრამ თავისუფლად მოძრაობთ ყველა ამ გზით რუსეთისკენ, რომელმაც გაღიარათ.**

– რკინიგზა ჩვენთან ცუდ ასოციაციებს იწვევს, რადგან ის ერთხელ უკვე იქცა ომის დაწყების საბაბად, ამიტომ ეს შიში არსებობს. პრეზიდენტმა ანქვაბმა გამოთქვა თავისი აზრი, რომ მზად არის იმსჯელოს ამ საკითხზე, მაგრამ, მეორე მხრივ, მან თქვა, რომ არ აპირებს, მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება და ის აუცილებლად მოეთათბირება აფხაზეთის საზოგადოებას.

**– თქვენ, ალბათ გესმით, რომ ეს საკითხი რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მიიღებს პირდაპირ გასასვლელს ირანისკენ.**

– რკინიგზის გახსნა ყველა მონაწილის ინტერესია.

**– მეტ-ნაკლებად, მაგრამ ყველაზე მეტ სტრატეგიულ ხეირს, მგონია, რუსეთი ნახავს.**

– მე მაინც მგონია, რომ სომხეთია ყველაზე მეტად დაინტერესებული ამ რკინიგზის ამოქმედებით, იმიტომ რომ ეს მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რკინიგზის უცბად გახსნა არ იქნებოდა სწორი, სერიოზული მსჯელობა უნდა გაიმართოს და გარანტიები დაიდოს.

**– რა გარანტიები უნდა მიიღოს, თქვენი აზრით, აფხაზურმა მხარემ, რომ დასთანხმდეს რკინიგზის გახსნას?**

– ეს არის მოლაპარაკების საგანი. ომის განუახლებლობის ყველაზე დიდი გარანტია არის რუსეთის ჯარის ყოფნა აფხაზეთში, რომელიც შეთანხმებისამებრ გვიცავს.

**(გაგრძელება მე-9 გვერდზე)**

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**დარეჯან ქურციკიძე**, *61 წლის (მარტვილი).*

– რამდენიმე წლის წინ დამისვეს რევმატოიდული ართრიტის დიაგნოზი. მისივდებოდა ხელის მტევნები, მუხლები; მტკიოდა კისერი, მხრები; დავიწყე წამლების მიღება, რომლებმაც არანაირი შედეგი არ მომცა. თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვაკვლიე „ალექსიშვილის კლინიკას“. მანანა ექიმმა ნატურალური მალამოებით დამიწყო მკურნალობა. საუცხოო შედეგი მივიღე: 2-3 დღეში ტკივილები სრულიად მომეხსნა, თავისუფლად გადავდგი ნაბიჯები, ხალისი დამიბრუნდა. ასევე, მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავისა და წნევის პრობლემაც. დიდი მადლობა მანანა ექიმს, მის თანამშრომლებს! აწი მე ცოცხალი რეკლამა ვიქნები.

**შალვა გოგატიშვილი** *(საჩხერე).*

***დიაგნოზი***: ოსტეოპოროზი, გონართროზი.

– 81 წლის კაცი ვარ. აქამდე წამალი არ დამჭირვებია, ავადმყოფობა რა იყო, არ ვიცოდი. ბოლო წლებში სახსრების ტკივილები დამჩემდა, უძილობა დამეწყო, ძვლებს სულ ღრჭიალი გაუდიოდა. შვილებმა აქ მომიყვანეს. მანანა ექიმმა სიცოცხლე გამიხანგრძლივა – ტკივილები მომიხსნა, ჯოხი გადავაგდე, ჩემით დავდივარ და ღამითაც კარგად მძინავს. დიდი მადლობა, დღეგრძელობას ვუსურვებ და ჯანმრთელობას!

**რეზო ნანობაშვილი**, *52 წლის (თბილისი).*

***დიაგნოზი***: წელის მალების ოსტეოქონდროზი. L4-5, L5-S1 6 მმ და 8 მმ. პროლაფსი.

– ქალბატონ მანანასთან შვიდი წლის წინ ვმკურნალობდი. მაშინ მუხლის სახსარი მაწუხებდა და მისივდებოდა. პოდაგრული ართრიტი დამიდგინდა, მაშინაც ძალიან სწრაფი შედეგი მივიღე და ახლაც. მას მერე არ შევუწუხებივარ. წლების შემდეგ სიმძიმეების აწევა მომიწია (მშენებლობაზე ვმუშაობ). ერთ-ერთი დახრის დროს ვიგრძენი, თითქოს წელში რაღაც გაწყდა და ველარ გავსწორდი. სახლამდე ძლივს მიმიყვანეს. კომპიუტერით გადამიღეს და 2 დისკის თიაქარი დამიდგინდა. გადაწყდა ოპერაცია, რომლისაც შემეშინდა და სხვა გზების ძიება დავიწყე. გამახსენდა „ალექსიშვილის კლინიკა“ და მაშინვე წამომიყვანეს. პირველივე პროცედურამ ჩემი მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა, მერე კი, 1 კვირაში, ყველანაირი ტკივილი გაქრა. ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მკურნალობას ბოლომდე ვიტარებ. აქვე აღვნიშნავ, რომ მომიწესრიგდა წნევისა და ნევროზის პრობლემაც. უღრმესი მადლობა ჩემს ექიმს, ჩემი ოჯახის იმედს!



# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**მაია დოლიძე**, *34 წლის (დიასახლისი. თბილისი).*

***დიაგნოზი***: ანალური ნაპრალი. კოლიტი.

– მაწუხებდა ძლიერი ტკივილები, შეკრულობა, შებერილობა, კუჭის ტკივილები, გასტრიტი. ამ მდგომარეობით 2 წელი ვიტანჯებოდი და ექიმთან მისვლა მერიდებოდა. ბოლოს ისე გამიმწვავდა ტკივილები, იძულებული გავხდი, მანანა ექიმთან მივსულიყავი. დამიდგინდა ნახეთქი, ნაპრალი, რომელიც ამ შეკრულობამ გამოიწვია. წავიღე მალამოები, ყველაფერი ნატურალური. პირველ წასმაზე ტკივილი განახევრდა, სრულად კი მეორე დღეს მომეხსნა. საათივით ამეწყო კუჭ-ნაწლავის მუშაობა. ასეთი რამ 10-15 წელია, არ მახსენდება. ასევე, მაწუხებდა ქოლეცისტიტი, ადვილად მწყენდა საკვები. ახლა კი ეს პრობლემაც აღარ მაქვს. უსაზღვროდ მადლობელი ვარ. ვიცი, რომ ოპერაციას გადავურჩი. ღმერთს ებარებოდეთ, ქალბატონო მანანა!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**


აფთიაქი TITANI

# დოქტორ მომი

## ტაბლეტი, სიროფი და მალამო

## გაციების ხველების ყელის ტკივილის

## უებარი სამკურნალო საშუალება მთელი ოჯახისთვის



* გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ფარმაცევტული კომპანია ტიტანი თბილისი, ალ. ყაზბეგის №14; ტელ.: 231-11-32; 238-28-40; 238-88-71.

**უკვე ცნობილია, რომ 2013/2014 სასწავლო წლებში სახელმწიფოს მიერ სტუდენტთა გრანტებისთვის გამოყოფილი თანხაც გაიზრდება და უფრო მეტიც, 14 სპეციალობაზე სწავლებას სახელმწიფო, საერთოდაც, თავიდან ბოლომდე დააფინანსებს. ამ ინიციატივამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია და იდეის მოწინააღმდეგეებმა ის სოციალისტური აზროვნების გადმონაშთად მონათლეს. ამის პარალელურად, ცნობილია, რომ ქართველი სტუდენტები მრავლად სწავლობენ სხვადასხვა ევროპული ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში არა მხოლოდ სრულიად უფასოდ, არამედ ცხოვრების ხარჯითაც არიან უზრუნველყოფილნი. რა თქმა უნდა, იქაური სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, რაც, სულ მცირე, იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს გაძლევს, რომ ევროპულ ქვეყნებს „სოციალიზმი“ უკვე დაუმყარებიათ.**

**სულ ახლახან კი გაირკვა, რომ სახელმწიფო საქართველოს საჯარო სკოლების 650 000 მოსწავლეს საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს სახელმძღვანელოებით, რაც, იმას გარდა, რომ საგამომცემლო ბიზნესის მზის ჩასვენებად შეფასდა, საზოგადოების ნაწილის მიერ კვლავ სოციალისტურ მიდგომად მოინათლა. რადგან ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის დეკლარირებული კურსი ურყევად პროდასავლურია, გამოცდების ცენტრის კვლევის კოორდინატორი ნათია ანდღულაძე დაგვეხმარება იმის გარკვევაში, განათლების როგორი მოდელები არსებობს განვითარებულ ქვეყნებში და მიიჩნევენ თუ არა საკუთარ ვალდებულებად დასავლური სახელმწიფოები ყველასთვის განათლების ხელმისაწვდომობას. რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს განათლების მიღების უფლება.**

# რატომ აფინანსებს სახელმწიფო თვით ჰარვარდის უნივერსიტეტსაც კი და რატომ არის სტუდენტის სიღარიბე გადამწყვეტი ფაქტორი ჰარვარდში მოსახვედრად

**– როგორი მიდგომაა საშუალო განათლებისადმი ევროპაში: ფასიანია, უფასოა, ნაწილობრივ უფასოა თუ რა ხდება?**

– ზოგადი განათლება ყველგან უფასოა ყველაზე უკიდურესად კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი, რადგან ამ ქვეყნებს გააზრებული აქვთ ზოგადი განათლების მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისთვის არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისითაც. ეკონომიკური განვითარებისთვის განათლების აუცილებლობა მარტივი ასახსნელია, გვჭირდება ადამიანური რესურსი, რომელსაც, მინიმუმ, სხვისი ზედამხედველობის ქვეშ მაინც შეუძლია სამუშაოს შესრულება, მაგრამ ეკონომიკის განვითარებისთვის ჩნდება უფრო მაღალი კომპეტენციების მქონე ადამიანები. ზოგადი განათლება მაღალტექნოლოგიური და, მით უმეტეს, ცოდნის ეკონომიკის განვითარებისთვის საკმარისი არ არის და ამიტომ ბევრ ქვეყანაში, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ უმაღლეს და პროფესიულ განათლებასაც. გამომდინარე იქიდან, რომ არა მხოლოდ მოქალაქის პირადი ინტერესია განათლების მიღება, ბევრ ქვეყანაში ითვლიან განათლებაში ინვესტირებიდან კერძო, ანუ, განათლების მიმღების და საზოგადოების მიერ მიღებულ ფინანსურ სარგებელს. კვლევებით ჩანს, რომ სოციალური ამონაგები, მაგალითად, ზოგად განათლებაში უტოლდება კერძო ამონაგებს.

**– საზოგადოება უფრო მეტ ხეირს ნახულობს განათლებული ადამიანების სიმრავლით, ვიდრე თავად ეს განათლებული ადამიანები თავიანთი განათლებულობით.**

– დიახ, და აქვე ემატება სოციალური სტაბილურობის არგუმენტი. კაპიტალისტურ ქვეყნებში განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი, რადგან ადამიანებს უნდა ჰქონდეთ სოციალური დაწინაურების, ანუ სოციალური მობილობის პერსპექტივა და ეს უნდა ხდებოდეს არა რევოლუციებით, არამედ მშვიდობიანი საშუალებებით. განათლებას აქვს დატვირთვა, რომ ადამიანს მისცეს ერთი სოციალური კლასიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობა.



სინგაპურში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან სკოლებში მოქმედებდა პროგრამა, რომელიც ბავშვების კვებას უზრუნველყოფდა, ანუ ბავშვების გამოკვება შედიოდა სკოლის მომსახურებაში

**– როდესაც ზოგადი განათლების უფასოობაზე ვლაპარაკობთ, რა კომპონენტს გულისხმობს ეს უფასო განათლება დასავლურ ქვეყნებში? ჩვენთანაც აფინანსებს სახელმწიფო ვაუჩერებით საშუალო განათლებას, ახლა დაუმატა უფასო სახელმძღვანელოებიც.**

– უფასო სახელმძღვანელოების აუცილებლობა, დასავლური ქვეყნების განვითარების დონიდან გამომდინარე, მაინცდამაინც, არ არსებობს, მაგრამ იქ მოქმედებს პროგრამები, რომლებიც ხელმოკლე ოჯახის ბავშვებს უზრუნველყოფს უფასო სახელმძღვანელოებით. ეს პრაქტიკა ლათინურ ამერიკაში და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ხშირად გვხვდება.

**– ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ვიცი, 40 მილიონ ადამიანზე მეტი იღებს სასურსათო ტალონებს.**

– დიახ, ამერიკაში მოსწავლეების ნაწილი იღებს უფასო და იაფი ლანჩის ტალონებს. ამ პრაქტიკას ძალიან დიდი ისტორია აქვს. მაგალითად, სინგაპურში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან სკოლებში მოქმედებდა პროგრამა, რომელიც ბავშვების კვებას უზრუნველყოფდა, ანუ ბავშვების გამოკვება შედიოდა სკოლის მომსახურებაში.

**– მარგარეტ ტეტჩერზე ვუყურე ფილმს ამას წინათ, რომელშიც ითქვა, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში დიდი ბრიტანეთის სკოლებში უფასოდ ურიგებდნენ რძეს მოსწავლეებს.**

– სინგაპური იმ პერიოდში ბრიტანეთის კოლონია იყო, ამიტომ იქაც იმავეს აკეთებდნენ.

**– ეს მაგალითი იმისთვის მოვიტანე, რომ დღეს ჩვენ თითქმის იმ დონეზე ვართ, რა დონეზეც ბრიტანეთი იყო 50 წლის წინათ.**

– ალბათ... სინგაპურში სახელმწიფო ხარჯების ძალიან დიდი წილი იხარჯებოდა იმისთვის, რომ სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი გამხდარიყო მოსწავლეებისთვის და ხდებოდა სახელმწიფოს მიერ სახელმძღვანელოების სუბსიდირება.

**– არის მოსაზრება, რომ უნდა მომხდარიყო მოსწავლეების დიფერენცირება, რომლებსაც ეკუთვნით ან არ ეკუთვნით უფასო სახელმძღვანელოები. ჩემი აზრით, ძალიან უხერხულია, როდესაც უმწეო ოჯახების ბავშვებს საჯაროდ გადასცემდნენ სახელმძღვანელოებს, მგონია, რომ ბავშვს ატრავმირებს ეს. როგორ უნდა მოხდეს დიფერენცირება და რის მიხედვით?**

– ბუნებრივია, ბავშვის ტრავმირება და სტიგმატიზება არ არის კარგი, მაგრამ შესაძლებელია, მომავალში დავხვეწოთ ეს პროგრამა და კარგად გავთვალოთ, რა თანხის ეკონომიას გავაკეთებთ, თუ იმ კატეგორიას, რომელსაც ისედაც შეუძლია სახელმძღვანელოების ყიდვა, გამოვაკლებთ საერთო რაოდენობას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რა ტიპის ინფორმაციაა შესაგროვებელი და რა ხარჯებია გასაწევი ამ ინფორმაციის შესაგროვებლად. მაგალითად, ქვეყნებში, სადაც პროფესიული და უმაღლესი განათლება უფასო არ არის, დაფინანსებას სახელმწიფო იმ სტუდენტებს აძლევს, ვინც სწავლის დაფინანსებას სახელმწიფოს გარეშე ვერ შეძლებდა ან გაუჭირდებოდა. ჩვენთან გრანტების ძალიან მცირე ნაწილი გაიცემა მოწყვლად ჯგუფებზე და დანარჩენ გრანტს მიღებული ქულების მიხედვით ვანაწილებთ. აშშ-ს თუ ავიღებთ, იქ ქულების მიხედვით დაფინანსებას გასცემენ საშუალო დონის უნივერსიტეტები, რომ საუკეთესო სტუდენტები მიიზიდონ. მაღალი რეიტინგის უნივერსიტეტები ისედაც ახერხებენ საუკეთესო სტუდენტების მიზიდვას. სახელმწიფოს როლი კი რჩება: ხელმოკლე ოჯახებიდან ახალგაზრდების დაფინანსება გრანტის ან იაფი სესხების პროგრამების საშუალებით.

ისიც ვთქვათ, ბევრი ამბობს, რომ წარმატებული ქვეყნები დიდ ფულს არ ხარჯავს განათლებაზე და მაინც აღწევენ წარმატებებს ამ სფეროშიო.

**– ჩვენი სტატისტიკოსები ამბობენ, რომ ეს ასე არ არის და საქართველოს მიერ განათლებისთვის გაწეული ხარჯის პროცენტი საკმაოდ მცირეა.**

– საქართველოს მიერ 2005-2009 წლებში განათლებისთვის დახარჯული მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, საშუალოდ, იყო 3 პროცენტი, განათლების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში კი – 8,2 პროცენტი. შევადაროთ ფინეთს, სადაც განათლებაზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 6,3 პროცენტი, ბიუჯეტის წილში კი 12 პროცენტია განათლების ხარჯი. სინგაპურსა და ჰონ-კონგში ძალიან დიდია განათლების ხარჯის წილი სახელმწიფო ბიუჯეტში. იყო წლები, როდესაც სინგაპურში სახელმწიფო ბიუჯეტის მესამედი განათლებაზე იხარჯებოდა. ისრაელი ავიღოთ. აქ 6 პროცენტია განათლების სახელმწიფო ხარჯი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში.

**– უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა როგორია დასავლურ ქვეყნებში?**

– საქართველოში დადის მითები, რომ დასავლეთში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ხალხი ძალიან ბევრს იხდის უმაღლეს განათლებაში. შევადაროთ: საშუალო ამერიკელ სტუდენტს ჰარვარდში სწავლა იგივე უჯდება, რაც ქართველ სტუდენტს დაუჯდებოდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა. ჰარვარდი ძალიან ძვირი უნივერსიტეტია, მაგრამ იქ არსებობს როგორც ეგრეთ წოდებული „სთიქერ ფრაისი“, ანუ ოფიციალური ფასი, ასევე, რეალური ფასი და ისინი, ვინც რეალურ ფასს იხდიან ჰარვარდში სწავლისთვის, არ არიან ერთეულები. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს სახელმწიფო საგანმანათლებლო კვლევითი ორგანიზაცია და, თუ შეხვალთ მათ საიტზე, ნახავთ განსხვავებებს „სთიქერ ფრაისსა“ და რეალურ ფასს შორის.

**– ვინ იხდის სწავლის საფასურს ამ ეგრეთ წოდებული „სთიქერ ფრაისით“?**

– ამით სწავლის საფასურს თითქმის არავინ იხდის, მაგალითად, წარჩინებულ კერძო უნივერსიტეტებში მოხვედრის შემთხვევაში, რაც უფრო ლა-

რიბია სტუდენტი, მით უფრო ნაკლებს იხდის, ფაქტობრივად, თუ ღარიბი ხარ, არაფერს იხდი, აქეთ გიხდიან ფულს.

**– სახელმწიფო უნივერსიტეტებზეა საუბარი თუ კერძოზე?**

– თუ იმ სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობ, სადაც ცხოვრობ, ძალიან იაფი გიჯდება სწავლა. მაგალითად, თუ უცხოელი 20 000 დოლარს იხდის იმისთვის, რომ კალიფორნიის რომელიმე უნივერსიტეტში ისწავლოს, იმ შტატის მცხოვრები სტუდენტი იხდის წელიწადში, ვთქვათ, 900 დოლარს. აი, ასეთი განსხვავებაა. საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასური, კერძოს რომ თავი დავანებოთ, ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 42 პროცენტია. აშშ-ში ეს მაჩვენებელი 13 პროცენტია.

**– კერძო უმაღლესი სასწავლებლის შემთხვევაში, სახელმწიფო უფინანსებს ხელმოკლე სტუდენტს სწავლის საფასურს თუ კერძო უნივერსიტეტი?**

– კერძო უნივერსიტეტები ძალიან დიდ სახელმწიფო დაფინანსებებს იღებენ. მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტიც კი იღებს ძალიან დიდ სახელმწიფო დაფინანსებას. საქართველოში მეორე პრობლემაა ის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება მთლიანადაა მიბმული სტუდენტის გადასახადს და ამას მოჰყვება მთელი რიგი პრობლემები. არ შეიძლება, სტუდენტს გადავახდევინოთ უნივერსიტეტში კვლევის ფულიც, არადა, ასე გამოდის. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ კვლევებსაც სტუდენტის ხარჯზე ჩავატარებთ.

**– ისევ ამერიკულ უნივერსიტეტებს დავუბრუნდები: სახელმძღვანელოებითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა თუ შედის სწავლის საფასურში?**

– რა თქმა უნდა, ყველაფრის ხარჯი შედის, თუ ჰარვარდმა დაგაფინანსა, გაფინანსებს იმიტომ, რომ ხარ მოწყვლადი ჯგუფიდან.

**– და იგულისხმება, რომ მჭირდება ყველაფერი, რაც სწავლებასთანაა დაკავშირებული?**

– დიახ, ამიტომაც აფინანსებს არა მხოლოდ თქვენი სწავლის ხარჯს, არამედ იქ ცხოვრების ხარჯს და გაძლევთ ყოველთვიურ სტიპენდიას, რომ იცხოვროთ. ვთქვათ, ამ უნივერსიტეტში აბარებს ფერადკანიანი სტუდენტი

## საშუალო ამერიკელ სტუდენტს ჰარვარდში სწავლა იგივე უჯდება, რაც ქართველ სტუდენტს დაუჯდებოდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა

ღარიბი ოჯახიდან და თეთრკანიანი სტუდენტი შეძლებული ოჯახიდან, ანუ საშუალო კლასიდან. ამ ორი სტუდენტიდან მოხვედრის შანსი უფრო მაღალი აქვს სტუდენტს მოწყვლადი ჯგუფიდან, იმიტომ რომ ამ უნივერსიტეტს არ აქვს საუკეთესო სტუდენტების მიზიდვის პრობლემა. საუკეთესო სტუდენტებისთვის უკვე სტიპენდიებით იბრძვიან საშუალო უნივერსიტეტები და ისინი სტუდენტებს საშუალო კლასის ოჯახებიდან აძლევენ სტიპენდიას სწავლის გასაგრძელებლად იმიტომ, რომ მათთან იყვნენ ყველაზე ნიჭიერი სტუდენტები. მათ სჭირდებათ რეიტინგებში დაწევა იმ უნივერსიტეტებთან, რომლებიც ზემოთ არიან. რეიტინგების სათავეში მოქცეულ უნივერსიტეტებს ისედაც არანაირი პრობლემა არ აქვთ საუკეთესო სტუდენტების მიზიდვის. ამიტომ ამ ბოლო დროს ასეთ ტრადიციულად მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში ცუდ ტონად ითვლება სტუდენტის დაფინანსება იმის გამო, რომ მას მაღალი ქულები აქვს მისაღებ გამოცდებში. ეს განსაკუთრებით ბაკალავრიატს ეხება. მაგრამ ზოგიერთ პროგრამაში მაგისტრატურაზეც ვრცელდება.

**– ანუ პრიორიტეტულია განათლების მიცემა? ურჩევნიათ, განათლება მიაღებინონ თავიანთი ხარჯით მას, ვისაც ეს სჭირდება და არ მას, ვისაც თავისი ჯიბითაც შეუძლია საკუთარი განათლების უზრუნველყოფა?**

– დიახ. ანუ კერძო უნივერსიტეტებსაც კი გათავისებული აქვთ საკუთარი როლი საზოგადოებაში და იციან, რომ მათი მისიაა, დაეხმარონ საზოგადოებას. ისინი მოწყვლადი ჯგუფებიდან სტუდენტების დაფინანსებით თავიანთ საზოგადოებრივ ვალს იხდიან ქვეყნის განვითარებაში. მათი, როგორც უნივერსიტეტის, მისიის ნაწილია ქვეყნის განვითარების ხელშეწყობა და ეს ხდება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებიდან სტუდენტების აკადემიური დაწინაურებით.

**– ევროპაში როგორაა საქმე?**

– ევროპის ბევრ ქვეყანაში საერთოდ უფასოა სწავლა და ეს, მაინცდამაინც, კარგი არ არის. ბევრი ქვეყანა მიდის იქითკენ, რომ გარკვეული სოციალური ჯგუფებისთვის სწავლა გახდეს ფასიანი.

**– შეძლებული ფენისთვის?**

– დიახ და სტიპენდიები გაიცეს იმ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც სხვანაირად სწავლის გაგრძელებას ვერ მოახერხებენ. ევროპაში ბავშვმა, რომელიც სწავლობს სკოლაში და უნდა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება, იცის, რომ, თავისი ოჯახის ფინანსური შესაძლებლობის მიუხედავად, შეძლებს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას. შესაბამისად, ეს აისახება მის მოსწრებაზეც, რადგან იცის, რომ მის ძალისხმევას შედეგი მოჰყვება.

**ნინო ხაჩიძე**

(მე-6 გვერდიდან)

**– წავიკითხე თქვენი წერილი ინტერნეტში, თუ სწორად მივხვდი, აპირებთ, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს გადასცეთ ყოფილი სამხედრო სანატორიუმები?**

– ჩვენი პოზიცია იგივეა, რაც 20 წლის წინათ იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ქონება გადაეცა აფხაზეთს. მაშინაც და ახლაც ვცდილობთ, არ დავკარგოთ ის ადამიანები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ამ ობიექტებთან, მათ შორის, ის სამხედროები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ისვენებდნენ ამ სანატორიუმებში. ეს მიდგომა ეკონომიკურადაც მართებულია და ადამიანურადაც. მით უმეტეს, რომ აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებული სამხედრო შეთანხმება გულისხმობს მსგავსი საკითხების მოგვარებას.

**– ეს იმას ნიშნავს, რომ რუსი სამხედროები ისარგებლებენ აფხაზეთის სანატორიუმებით?**

– მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია გაფორმდეს დიდხნიანი შეთანხმება.

**– იჯარით უნდა გადასცეთ თუ უნდა მიჰყიდოთ?**

– ან იჯარით გადავცემ დიდი ხნით ან სააქციო საზოგადოება ჩამოყალიბდება, უამრავი ვარიანტია.

**– არის ასეთი ვარიანტი, რომ გადასცეთ მუდმივ მფლობელობაში?**

– შესაძლებელია, რომ მივყიდოთ კიდეც, მაგრამ ისე უნდა გაკეთდეს, რომ იმ ორგანიზაციამ, რომელიც ხანგრძლივი პერიოდით იქნება ამ ობიექტების მფლობელი, უშიშრად ჩადოს ფული. ყველა ამ ობიექტს სჭირდება რეკონსტრუქცია.

## როგორ აუსრულა აფხაზებს ცუდი მოლოდინი ზვიად გამსახურდიას ნაცვლად ედუარდ შევარდნაძემ და რატომ უჭირთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეფასება

**– ბიძინა ივანიშვილს როგორ შეაფასებდით? 5 თვეზე მეტია, რაც პრემიერ-მინისტრია, მოგწონთ თუ არ მოგწონთ, როგორც პოლიტიკური ფიგურა?**

– ჩვენ აფხაზეთში ერთხელ უკვე შევცდით: როდესაც გამსახურდია იყო პრეზიდენტი, ყოველდღე ველოდით, რომ ის ომს დაიწყებდა.

**– როგორც მახსოვს, მას აფხაზებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა?**

– მას შემდეგ, რაც აღარ იყო პრეზიდენტი.

**– მაშინაც, როდესაც პრეზიდენტი იყო: გაგახსენებთ კანონს 28-26-11, აფხაზი საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.**

– დასვით შეკითხვა: რატომ წავიდა ამაზე გამსახურდია?

**– ამას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ კონსენსუსი შედგა.**

– ეს ნორმალური კონსენსუსი იყო, რომელმაც მოგვცა საშუალება, სიტუაცია კონტროლის ქვეშ მოგვექცია აფხაზეთში. გიპასუხებთ თქვენს შეკითხვაზე: ველოდით, რომ გამსახურდია დაიწყებდა საომარ მოქმედებებს აფხაზეთის წინააღმდეგ, მაგრამ მან „ოსეტიაში“ დაიწყო ომი. როდესაც მოვიდა შევარდნაძე, გააჩერა ომი „ოსეტიაში“ და ჩვენ გვეგონა, თავი დავაღწიეთ საომარ სცენარს, რადგან ვისგან, ვისგან და შევარდნაძისგან არ ველოდით, რომ ომს დაგვიწყებდა. მაგრამ იცით, რაც მოხდა. ამიტომ მეშინია, აზრი გამოვთქვა ივანიშვილის შესახებ.

**– აფხაზეთი დინამიკურად და დემოკრატიულად ვითარდებაო, ამბობთ. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ, უსაფრთხოდ ჩამოხვიდეთ ჩვენთან. მე როდის შევძლებ თქვენთან უსაფრთხოდ და თავისუფლად ჩამოსვლას?**

– გარწმუნებთ, აქ ბევრი ადამიანი ჩამოდის, მათ შორის, ქართველებიც.

**– მესმის, მე ჩემზე გეკითხებით.**

– ტყუილად სვამთ ასე საკითხს, აფხაზეთში სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს.

**– მე არ ვცხოვრობდი აფხაზეთში და არც ნათესავები მყოლია და მყავს იქ.**

– თუ ჩემი პასუხი გაინტერესებთ, დამასრულებინეთ: აფხაზეთში დაახლოებით თანაბარი რაოდენობით ცხოვრობენ სომხები, ქართველები და რუსები. არავინ დევნის ადამიანებს ნაციონალური ნიშნით. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას: ეს არ არის ჩრდილოეთ კორეა, სადაც არავის უშვებენ. ჩვენთან ჩამოდიან ჟურნალისტები, ამისთვის სპეციალური პროცედურის გავლაა საჭირო. იმისთვის, რომ დავამთავროთ ეს კონფლიქტი, უნდა აღვადგინოთ ნორმალური ადამიანური ურთიერთობები.

**– დამპატიჟეთ და დავიწყოთ ნორმალური ადამიანური ურთიერთობების დამყარება.**

– მე ახლა მოსკოვში ვარ.

**– როდესაც სოხუმში იქნებით, დამპატიჟეთ.**

– კარგი.

**ნინო ხაჩიძე**

**შეიძლება, ითქვას, რომ 2008 წლის აგვისტოს ომს ტაბუ აეხსნა, თუმცა ჯერჯერობით მაინც არავინ ჩქარობს დამარცხების მიზეზების შესწავლას (აქვე გაგახსენებთ, რომ არც 1992-1993 წლების დამარცხების სამხედრო მიზეზები გამოკვლეულა). ბუნებრივია, ერთ მასალაში ვერ მოვახერხებთ ომის წაგების მოტივების დადგენას, თუმცა, პირადად მე, მიუხედავად არცთუ ჭარმაგი ასაკისა, ორჯერ ვუყურე ბრძოლის ველიდან საკუთარი ჯარის გამოქცევას. მესამედაც რომ არ გავხდე მსგავსის მოწმე, ვფიქრობ, უპრიანია, გავარკვიოთ, რატომ ვმარცხდებით. ამას ამჯერად სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძესთან ერთად შევეცდებით.**

# როგორ დაირღვა 2008 წლის აგვისტოში საერთაშორისო ტრადიცია, რატომ გამოიქცნენ მეთაურები და რატომ არ გამოიქცა ჯარი ბრძოლის ველიდან



**როდესაც უკან იხევ, შენ უკან უნდა დაიხიო ფეხით, შენი სატრანსპორტო საშუალებები კი გამოიყენო მოსახლეობის ორგანიზებულად გამოსაყვანად. ეს არ მომხდარა, რაც უკვე ნიშნავს, რომ ქართულმა სამხედრო მანქანამ არ იმუშავა**

**– აგვისტოს ომში იყო ერთი უჩვეულო დეტალი: როგორც წესი, ბრძოლის ველიდან გარბის ჯარი და რჩებიან მეთაურები, ჩვენთან პირიქით მოხდა: როგორც წესი, გაიქცნენ მეთაურები და ჯარი დარჩა, უბრალოდ დაიქსაქსა. ყველაფერში ორიგინალურები ვართ თუ რა მოგვივიდა?**

– გამოძიება საკმარისი არ არის, გამოძიებამ შესაძლოა, გამოავლინოს დამნაშავეები, მაგრამ მიზეზებს კვლევა სჭირდება. თავდაცვის მინისტრთან რამდენჯერმე დავსვი ეს საკითხი, მაგრამ ის ამისადმი ჯეროვან ყურადღებას არ იჩენს. არადა, უნდა გამოინახოს ფინანსური სახსრები, რომლითაც კერძო კვლევები დაფინანსდება. რა თქმა უნდა, ზოგი კვლევა მაღალხარისხიანი იქნება, ზოგი – ნაკლებად, მაგრამ, თუ არ დავძარით ეს საქმე, შედეგს ვერ მივიღებთ. თქვენ დასვით საკითხი, რომ მეთაურები გამოიქცნენ, მაგრამ თქვენ ეს არ იცით დანამდვილებით, ამბები მოგივიდათ. მე მქონია შეხვედრები მეთაურებთან, ჯარისკაცებთან.

**– უარესად იყო საქმე, ყველა გამოიქცა?!**

– გიდასტურებთ, რომ პრობლემები იყო, მაგრამ იმისთვის, რომ ხელი მოვაწერო ექსპერტულ დასკვნას, მჭირდება ოფიციალური ინფორმაცია და შემდეგ უკვე შევძლებ, ზუსტად ვუპასუხო ყველა შეკითხვას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მსჯელობა არ უნდა დავიწყოთ იმ ფაქტებით, რაც გვაქვს. ამიტომ ვფიქრობ, ჟურნალისტების როლი ძალიან დიდია, მათ უნდა დასვან ეს შეკითხვები, რომ შესაბამისი პირები იძულებულნი გახდნენ, პასუხი გასცენ და, თუ მათი პასუხი არ დაემთხვევა სინამდვილეს, იძულებულნი გახდებიან, რომ უფრო ზუსტი პასუხები მოძებნონ.

**– რა ფაქტები გვაქვს კვლევებამდე, რითაც შეგვიძლია მსჯელობის დაწყება?**

– ჩვენ გვქონდა მთავარი პრობლემა – არ იმუშავა სამხედრო მანქანამ, არადა, იყო უამრავი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებსაც სურდათ სისხლის ბოლო წვეთამდე ომი და ბევრმა იომა კიდეც, მაგრამ სამხედრო მანქანამ არ იმუშავა. ყველაზე ნათლად ჩანს ევაკუაციის პრობლემა. შეიძლება, სახელმწიფოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ მიიღო ეს გადაწყვეტილება ან არ მიიღო და ეს სხვა თემაა, მაგრამ ქვედანაყოფებისა და შენაერთების მეთაურებს არ ჰქონდათ ბრძანება, დაეყარათ იარაღი და გამოქცეულიყვნენ. მათ თავიანთი წესიერებიდან და იმ თეორიული ცოდნიდან გამომდინარე, რაც სამხედრო სასწავლებლებში მიიღეს, უნდა სცოდნოდათ, რომ, როდესაც უკან დახევა დაიწყეს და ზემდგომის ბრძანება არ ჰქონდათ, თვითონ უნდა შეექმნათ ეს ბრძანება, რომ ლეგიტიმური ყოფილიყო მათი უკან დახევა. უკვე დანაშაულია, თუ უკან დახევას იწყებ ბრძანების გარეშე. ამის შემდეგ, ამ უკან დახევის ბრძანების ერთ-ერთი პუნქტი უნდა ყოფილიყო ვითარების შეფასება. ნათლად ჩანდა, რომ შენ მიერ დატოვებულ ტერიტორიას დაიკავებდა მოწინააღმდეგე. თან, იცოდი, ვინ იყო მოწინააღმდეგე: ერთი მხრივ, რუსეთის რეგულარული ქვედანაყოფები და, მეორე მხრივ, მათ უკან მოქმედი სეპარატისტული ბანდფორმირებები, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი ვალდებულებები, დაიცვან ომის კანონმდებლობა.

**– ესე იგი, თუ რეგულალურ ჯარს, ადრე თუ გვიან, მოსთხოვ პასუხს, თუ სამხედრო დანაშაულებს ჩაიდენს, ბანდფორმირებას არ აკავებს საერთაშორისო სამართლის ნორმები.**

– დიახ. როდესაც ვითარებას შეაფასებ მეთაური და პატიოსანი ადამიანი ხარ, შენს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს უკან დახევისას უზრუნველყო მშვიდობიანი მოსახლეობის ინფორმირება და მათი გამოყვანა შენი მოქმედების არეალიდან.

**– მარტივად რომ ვთქვა, უკან თუ იხევ, მშვიდობიანი მოსახლეობაც უნდა წამოიყოლო.**

– რა თქმა უნდა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად, ხოლო, თუ მათთან არ გაქვს კავშირი, სამოქალაქო პირებს უნდა მიაწოდო ინფორმაცია, გაუკეთო მათ ორგანიზება და შენ უკან დახიო ფეხით, შენი სატრანსპორტო საშუალებები კი გამოიყენო მოსახლეობის ორგანიზებულად გამოსაყვანად. ეს არ გარკვეული მომხდარა, რაც უკვე ნიშნავს, რომ ქართულმა სამხედრო მანქანამ არ იმუშავა. მეტიც, არ არის გარკვეული, რა არის მისი დანიშნულება. ჩვენი სამხედრო ძალების ამოცანა არ არის მოსკოვის თავზე დროშის აღმართვა, უნდა იცოდე, რომ შენი მთავარი ამოცანაა, შენს სამოქმედო არეალში, ერთი მხრივ, ყველა შენს ხელთ არსებული რესურსით მოწინააღმდეგეს გაუწიო

**ჩვენ არ გვაქვს ის პრობლემა, რაც აქვთ სხვა არმიებს: ქართველი ჯარისკაცი ადვილად იწვრთნება, მას სიმამაცისთვის 100 გრამი არაყი არ სჭირდება, მას უბრალოდ სჭირდება ორგანიზება**

წინააღმდეგობა და, მეორე მხრივ, უზრუნველყო მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოება. თუ ეს არ სრულდება, ესე იგი, შენი ამოცანები არ იცი. მეორე პრობლემური საკითხი იყო დაჭრილებისა და დაღუპულების გამოყვანა.

**– როგორც სამხედრო ექსპერტებმა მითხრეს, ასეთ მცირე, თან, საკუთარ ტერიტორიაზე ამდენი უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომარი, რომელთა ამოსაცნობადაც გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარება გახდა აუცილებელი, ნიშნავს, რომ ყოველი მესამე ცოცხალი, ანუ დაჭრილი მიატოვეს ბრძოლის ველზე. არ ასწავლიან ამას ჩვენს სამხედროებს თუ რა მოხდა?**

– ერთი მხრივ, აქ იმუშავა ფსიქოლოგიურმა მოუმზადებლობამ. დამარცხება არ ნიშნავს, რომ უნდა გამოიქცე. თუ ფსიქოლოგიურად მდგრადი ქვედანაყოფია, დამარცხება შეიძლება, მიიღოს, როგორც ახალი რეალობისთვის ახალი გეგმის შექმნის საფუძველი. დამარცხებული ბრძოლა არის ერთი ეტაპი, რომლის შემდეგაც ახალ ეტაპზე გადადიხარ. აქ, გარდა ქვედანაყოფების ფსიქოლოგიური მდგრადობის პრობლემისა, გვქონდა სხვა პრობლემაც: დაჭრილები და დაღუპულები და ეს არ არის მხოლოდ მეთაურების პრობლემა. თუ მეთაურები დაგეხოცა, რჩება სერჟანტთა რგოლი და, საერთოდ, სამხედრო საბრძოლო ორკაციან ქვედანაყოფშიც კი ერთი მეთაურია, მიუხედავად წოდებისა. ამ მეთაურების ერთ-ერთი ფუნქციაა პირადი შემადგენლობის კონტროლიც: რომ ვინმე არ დაიჭრას, არ მიატოვონ. ბრძოლისას არის სიტუაცია, რომ შესაძლოა, ყურადღება მოგიდუნდეს, მაგრამ იმიტომ არსებობს მცირე საბრძოლო რგოლები, 5 ან 10-კაციანი, რომ ყველა ვიღაცის მხედველობის არეალში იყოს. აი, ეს იყო მოშლილი. იმ ადამიანებმა, ვისაც ეს ევალებოდა, თავიანთი მოვალეობა არ შეასრულეს და მათ, მინიმუმ, მორალური პასუხისმგებლობაც კი არ დაკისრებიათ. გახსოვთ, რომ კოტე ყიფიანისა და ეკლესიის იმედად იყო სახელმწიფო, რომ დაჭრილები და დაღუპულები გამოეყვანა. კერძო პირმა უზრუნველყო მოლაპარაკება და შემდეგ სასულიერო პირები შევიდნენ და ფიზიკურად მუშაობდნენ, რომ დაღუპულები გაეპატიოსნებინათ.

**– სხვათა შორის, დღემდე არ ვიცით დაზუსტებით, ამოიცნეს თუ არა ყველა დაღუპული. თავდაცვის სამინისტრო ამ ინფორმაციას ასაიდუმლოებდა.**

– გულწრფელობა აუცილებელია. ეს ოპერაცია რუსეთის ტერიტორიაზე რომ ჩატარებულიყო, შესაძლებელია, პოლიტიკოსს რამე დაემალა, მაგრამ, როდესაც შენს ტერიტორიაზეა ბრძოლა, მოწინააღმდეგე გყავს რუსეთი, შენი ბრძოლა აპრიორში სამართლიანია და არ ხარ გულწრფელი, ეს ძალიან ბევრ კითხვას ბადებს. ცხადი იყო, რომ რუსეთთან ბრძოლისას ბევრი დაღუპული გვეყოლებოდა, ამიტომ ამის გამო პოლიტიკოსს თავის გამართლება არ გაუჭირდებოდა. იტყოდა, ვეომე და არ გამომივიდა. ამ დროს კი რას ვხედავთ? არ გამოიყენეს ყველა საშუალება. არავინ ამბობს, რომ სააკაშვილი უნდა შესულიყო ცხინვალში და ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა. როდესაც ხარ ხელმძღვანელი, შენი უსაფრთხოება უზრუნველყოფილია, გაქვს ერთადერთი მოვალეობა: იაზროვნო და გონივრული ნაბიჯები გადადგა. ეს პრეტენზია მქონდა შევარდნაძის ხელისუფლებასთანაც: მე პატიოსნად ვწირავ ჩემს სიცოცხლეს, ვიბრძვი, თუ მეტყვი, მარჯვნივ ისროლე, ვისვრი, თუ მეტყვი, წინ წადი, წავალ, მაგრამ ის მაინც მითხარი, საით წავიდე?! მე ვრისკავ სიცოცხლეს და ის მაინც გააკეთე, რომ გამოგვიყენე, ვინც სიცოცხლეს ვწირავთ?! არ უნდა მიმატოვო ბრძოლის ველზე. ხანდახან გია თავის თავზე იღებს გენერალიტეტის კრიტიკას, მაგრამ გია ყარყარაშვილს არ განვიხილავ გენერალიტეტში. გია იყო საველე მეთაური და ჩვენთან ერთად იბრძოდა, მაგრამ საქართველოში იყო გენერალიტეტი, რომლებმაც, ასევე, არაფერი გააკეთეს, ისე, როგორც პოლიტიკოსებმა და მათთანაც მაქვს პრეტენზია. მათ ჯარს აქციეს ზურგი: უთხრეს, თქვენ ხართ უდისციპლინოები და თქვენი ბრძოლა არ მაინტერესებსო. თუ ბრძოლა არ ვიცი, მასწავლე, როგორ ვიყო დისციპლინებული. ჩვენ 90-იან წლებშიც ვიბრძოდით და ეს ბრძოლა არავინ გამოიყენა. 90-იან წლებშიც უსინდისოდ მოგვექცნენ.

**– უამრავი ბრძოლა გადავიტანეთ ისტორიის განმავლობაში, ბოლოს და ბოლოს, თემურ ლენგმა გაგვასწორა მიწასთან 8-ჯერ, მაგრამ არასდროს მომხდარა ის, რაც ახლა, ბოლო 16 წელიწადში, საქართველოს ორი ისტორიული**

**რეგიონი სრულად დაიცალა ქართველებისგან. რაღაცაშია საქმე და ჩვენ არ ვეძიებთ ამის მიზეზს.**

– მთელი პრობლემა ის არის, რომ ზედაპირულად ვმსჯელობთ და არ ჩავდივართ სიღრმეებში. ზვიადის ფრთის კრიტიკა ნაცვლად იმისა, რომ უფრო ორგანიზებული ყოფილიყო, დავიდა იქამდე, რომ შევარდნაძე არის მასონი და კაციჭამია, ანუ მსჯელობა იმართებოდა ზედაპირულად და შევარდნაძეს არ უჭირდა თავის მართლება. ის ამბობდა, მე მოვიტანე სტაბილურობა და ეს სიმართლეა, მაგრამ აღარავინ სვამდა კითხვას, რად დაგვიჯდა ეს სტაბილურობა?!

**– ისევე, როგორც სააკაშვილის შემთხვევაში: როდესაც არჩევანი მაქვს ჩემს სიცოცხლესა და ჩემი მანქანის სარკეებს შორის, რომ მათ არავინ მოიპარავს, სარკეების უსაფრთხოებას საკუთარი უსაფრთხოება მირჩევნია.**

– ჩვენი პრობლემაა ის, რომ საზოგადოება კამათობს ზერელედ. გაგვალიზიანა ცოცხებმა და აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ადამიანის ცემა ყოველგვარი ცოცხის გარეშეც ძალიან ცუდია. ბაჩო ახალაია გამოვიდა გამარჯვებული, იმიტომ რომ მთავარში, რასაც ედავებიან, ბრალი არ აქვს წაყენებული. სამი წელიც რომ მიუსაჯონ, გამოვა და ამით დამთავრდება ყველაფერი.

**– მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგები არ უწევდნენ წინააღმდეგობას ფაშისტებს და დე გოლმა ომის შემდეგ შექმნა მითი, თითქოსდა ფრანგებს ფართო ანტიფაშისტური მოძრაობა ჰქონდათ გაჩაღებული. ერმა ეს აიტაცა და დაიჯერა. ჩვენც მსგავსი მითის გამოგონება ხომ არ მოგვიწევს, რომ საკუთარი ბრძოლისუნარიანობა დავიჯეროთ?**

– აი, ასეთი ნიუანსობრივი შეფასებები საზოგადოებაში არ არის. დღეს, მაგალითად, პოპულარულია აზრი, რომ გაუქმდეს გაწვევა და არავინ უფიქრდება, რა არის ამის უკან. არადა, დაქირავებულ ჯარს ეროვნება არ აქვს და ეს არის პრობლემა. ნუ შეჯედრებთი ბრიტანეთს, იქ სულ სხვა მოტივაციაა. ჩვენ გვინდა, გადავიდეთ დაქირავებულ არმიაზე და ქართველი მოსახლეობა გამოვრიცხოთ სამშობლოს დაცვისგან?! ეს ხომ ნონსენსია?! პლუს ჩვენ გვყავს ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა და არ ვაძლევთ საშუალებას, ფიცი დადონ საკუთარი სამშობლოს წინაშე. ანუ მათი ინტეგრირება არ ხდება და კვლავ გარიყულს ვტოვებთ. მათ არ აქვთ ვალდებულება, ისწავლონ ქართული ენა; არ აქვთ ვალდებულება, დაიცვან საკუთარი ქვეყანა. რატომ?! ამას დაფიქრება სჭირდება და ბევრი მუშაობა. ირაკლი ალასანია ამბობს, მე ასე მინდა და ასე იქნება, არადა, ასე ამბობდა მისი ყველა წინამორბედი მინისტრიც. ქართულ ჯარში დღეს არის ცუდი ტენდენცია, შეიქმნა რიტუალები, მაგალითად, „გრეხია“ საპირფარეშოდან 30 მეტრში დაგდებული ნივთის აღება.

**– არ შეიძლება, „გრეხი“ გახდეს ბრძოლის ველიდან გამოქცევა?**

– ეგ სხვა მომენტია... „გრეხია“ ტუალეტის დალაგება და ასე შემდეგ. „დედოვშინა“ აი, ასეთი რიტუალებით იწყება. თუ ეს რიტუალები დამკვიდრდა და მეთაურებმა ვერ დაანგრიეს, კვლავ დაავადებულ ჯარს მივიღებთ. როდესაც ბაჩო ახალაია დარბოდა, ვილაცეებს ურტყამდა, ეს „დედოვშინა“ ბუნებრივად იყო ჩახშობილი, მაგრამ, როგორც კი, დასუსტდა კონტროლი, ამან იფეთქა და აუცილებლად სჭირდება მკურნალობა. ქართული არმია მექანიკურადაა შექმნილი: იქ არიან თოფიანი ადამიანები, სტრუქტურებს ჰქვია სახელები, მაგრამ არავინ მუშაობს თეორიულ ნაწილზე. ვადიან სამსახურს აუქმებენ და არანაირი მსჯელობა არ მიდის. არავინ არ აანალიზებს არგუმენტებს. ბუნებაში არ არსებობს ექსპერტული დასკვნა, იმიტომ რომ არ არსებობს ინსტიტუტი, რომელიც ამას გააკეთებს და ეს გადაწყვეტილება რომ ცუდ შედეგს მოიტანს, ვერავის დასჯი.

**– პათეტიკურად ვიკითხავ: ეშველება რამე ჩვენს შეიარაღებულ ძალებს? იმედი ვიქონიოთ, რომ მხოლოდ სძინავს?**

– ავღანეთსა და ერაყში აჩვენეს, რომ ქართველი მებრძოლი არის ერთ-ერთი საუკეთესო და თუ მათ ორგანიზებას გავუკეთებთ, მებრძოლის პრობლემა არ გვექნება. ჩვენ გვაქვს ორგანიზების პრობლემა! ამას გარდა, ჩვენი ჯარისკაცი, რაც უნდა უსწავლელი იყოს, მოკლე ხანში ახერხებს თანამედროვე ტექნიკის, შეიარაღებისა და ბრძოლის მეთოდების ათვისებას. სოციალურად ძალიან გაჭირვებული ფენიდან მოდის კონტინგენტი ჯარში, მათ არ ჰქონიათ განათლების მიღების საშუალება, მაგრამ, საბოლოოდ, აღმოჩნდება, რომ როგორც კი გარემო იცვლება, ისინიც იცვლებიან და იმდენად ძლიერი ადამიანები არიან, რომ სამოქალაქო ცხოვრებაშიც რომ ჰქონოდათ პირობები, იქაც შეძლებდნენ საკუთარი თავის რეალიზებას. ამდენად, ჩვენ არ გვაქვს ის პრობლემა, რაც აქვთ სხვა არმიებს: ქართველი ჯარისკაცი ადვილად იწვრთნება, მას სიმამაცისთვის 100 გრამი არაყი არ სჭირდება, მას უბრალოდ სჭირდება ორგანიზება.

**ნინო ხაჩიძე**






# რომელი დიეტის დაცვით დაიკლო მარგარეტ ტეტჩერმა 10 კილოგრამი და რომელი არაპოპულარული ნაბიჯის გამო აითვალწუნეს ის სამშობლოში

*87 წლის ასაკში გარდაიცვალა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალი პოლიტიკოსი მარგარეტ ტეტჩერი – ადამიანი, რომელმაც მეოცე საუკუნის დიდი ბრიტანეთისა და მსოფლიო პოლიტიკის ლექსიკონში დაამკვიდრა მეტსახელი „რკინის ლედი” და საბოლოოდ დააკანონა ძლიერი ქალის არსებობა პოლიტიკურ „თამაშებში.” მარგარეტ ტეტჩერის სახელს არაერთი ცნობილი ისტორია უკავშირდება.*

* პროვინციული გრანტჰემის მკვიდრი, დახლიდარის ქალიშვილი, მარგარეტ ჰილდა რობერტსი, მოგვიანებით მთავრობის მეთაური და ბარონესა „სელფ-მეიდ-ვუმენი” გახდა, ანუ, მან თავად შექმნა საკუთარი თავი. მარგარეტის აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანა მამამ, ყოფილმა დახლიდარმა, შემდგომში ლინკოლნშირის მუნიციპალური საბჭოს წევრმა და გრანტჰემის ყოფილმა მერმა. სწორედ მან ჩაუნერგა ქალიშვილს მიდრეკილება პოლიტიკისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურობისკენ. პირველად ლონდონში მარგარეტი 12 წლის ასაკში, სკოლის ექსკურსიის წყალობით მოხვდა. დედაქალაქის ნახვის შემდეგ მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ პოლიტიკოსი გახდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად არაპოლიტიკური განათლება მიიღო – მან ქიმიის ფაკულტეტი დაამთავრა.

* 1951 წლის თებერვალში მარგარეტ ჰილდა რობერტსმა ერთ-ერთ სადილზე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ცოლს გაშორებული ბიზნესმენი, დენის ტეტჩერი გაიცნო. დენისმა რკინიგზის სადგურამდე მიაცილა მარგარეტი და იმ დღეს დაიწყო მათი სასიყვარულო ისტორია. მარგარეტ ტეტჩერი წერდა: „იყო პრემიერ-მინისტრი, იგივეა, მარტოობაში გაატარო მთელი ცხოვრება. ეს მართალიც არის – ბრბოს ნაწილი ვერასდროს მართავს სახელმწიფოს, თუმცა, დენისთან ერთად არასდროს მიგრძნია მარტოობა, დენისი იდეალური მეუღლე და მეგობარია”. დენის ტეტჩერი 2003 წელს 88 წლის ასაკში, ონკოლოგიური დაავადებით გარდაიცვალა.

* 1953 წელს მარგარეტ ტეტჩერს, დადგენილ ვადამდე 6 თვით ადრე ტყუპები – კეროლი და მარკი გაუჩნდა. კეროლ ტეტჩერი ცნობილია როგორც ჟურნალისტი და მშობლების ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნების ავტორი. მარკ ტეტჩერს გაცილებით სკანდალური ცხოვრება აქვს. 2004 წელს, ეკვატორიულ გვინეაში გადატრიალების მოწყობის გამო, ის სამხრეთ აფრიკაში დააპატიმრეს. 2005 წელს სასამართლო სხდომაზე მარკმა აღიარა, რომ ფული ჰქონდა გადახდილი დაქირავებული მებრძოლებისთვის, რათა მათ პუტჩი მოეწყოთ. კეიპტაუნის სასამართლომ მარკ ტეტჩერს ნახევარმილიონიანი ჯარიმა დააკისრა და ოთხწლიანი პატიმრობა მიუსაჯა გადავადების უფლებით.

* მარგარეტ ტეტჩერის არქივში აღმოაჩინეს საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი დიეტის ტექსტი, რომელზეც ტეტჩერის ხელით იყო მიწერილი, რომ ამ დიეტის დაცვა 2 კვირაზე მეტხანს არ შეიძლებოდა. 1979 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე 14 დღით ადრე, მარგარეტმა დიეტის დაცვა გადაწყვიტა და არჩევნების დღეს დაახლოებით ათი კილოგრამით დაკლებული შეხვდა. კონსერვატიული პარტიის ლიდერის „საარჩევნო დიეტა” მოხარშული კვერცხისა და გრეიფრუტისგან შედგებოდა, პლუს ყავის ან ჩაის მიღებაც იყო დაშვებული. დიეტის დროს ტეტჩერი მაინც ეტანებოდა აკრძალულ კერძებს და ვახშამზე სტეიკს ან ხაჭოს მიირთმევდა.



* არჩევნების პერიოდში ბრიტანული ტელევიზიით ტრიალებდა საარჩევნო რგოლი, სადაც ტეტჩერი აცხობდა ღვეზელებს და რეცხავდა ჭურჭელს. სინამდვილეში, სახლის საქმეებისთვის ტეტჩერს თითქმის არ ჰქონდა დრო; ერთადერთი, რასაც ის ასწრებდა, დილით საუზმის გაკეთება იყო. დაუნინგ-სტრიტზე გადასვლის შემდეგ, ტეტჩერი და მისი მეუღლე ძალიან უბრალოდ ცხოვრობდნენ და, ყოფილა შემთხვევა, რომ თავისუფალ დროს პრემიერ-მინისტრს სადილი მოუმზადებია.

* „რკინის ლედის” გემოვნებით უყვარდა ჩაცმა. გასულ წელს ერთ-ერთ აუქციონზე ტეტჩერის პირადი ნივთები გაიყიდა, საერთო ჯამში, 115 ათას დოლარად, მათ შორის 40 ათას დოლარად გაიყიდა საქმიანი კოსტიუმი, რომლითაც ტეტჩერი 1979 წელს კონსერვატიული პარტიის ლიდერად აირჩიეს. საინტერესო ფაქტია, რომ 2007 წელს, მაშინდელ პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნთან შეხვედრაზე, მარგარეტ ტეტჩერს კონსერვატიული პარტიის წევრისთვის უცხო ფერის სამოსი ეცვა: ღია ცისფერი კოსტუმის ნაცვლად – ვარდისფერი, რითაც ტეტჩერმა პატივისცემა გამოხატა ლეიბორისტული პარტიის მიმართ.

* 1982 წლის გაზაფხულზე მარგარეტ ტეტჩერმა მყისიერი რეაქცია მოახდინა არგენტინული შენაერთების გადმოსხმაზე ფოლკლენდის კუნძულებზე და საკამათო არქიპელაგისკენ სამხედრო-საზღვაო ესკადრა გაუშვა. 14 ივნისს არგენტინამ კაპიტულაცია გამოაცხადა, ხოლო მარგარეტ ტეტჩერის ავტორიტეტმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია. საერთო ჯამში, უნდა ითქვას, რომ მარგარეტ ტეტჩერი დიდ ბრიტანეთში უფრო ნაკლებად პოპულარული იყო, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში – მას ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე სამშობლოში ჰყავდა და, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე არასასურველი პრემიერი იყო ბრიტანელებისთვის.

* „რკინის ლედი” მარგარეტ ტეტჩერს რამდენიმე არაპოპულარული ნაბიჯის გამო უწოდეს: მან გაატარა ხისტი პოლიტიკა ეკონომიკაში, დახურა ნაციონალური მაღაროები, შეამცირა სოციალური ხარჯები, არ აღიარა ჩრდილოირლანდიელები პოლიტპატიმრებად. სწორედ ყოფილმა მაღაროელებმა გამოხატეს ყველაზე დიდი სიხარული, როდესაც ტეტჩერის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს.

* ცნობილია, რომ მარგარეტ ტეტჩერს დღეღამეში მხოლოდ 4 საათი ეძინა, იგი „უძინარი პოლიტიკური ელიტის” წევრი გახლდათ, რომელშიც შედიან: ნაპოლეონ ბონაპარტი, უინსტონ ჩერჩილი და იოსებ სტალინი.

* პოლიტიკაში ჩართვამდე მარგარეტ ტეტჩერი ქიმიკოს-მკვლევრად მუშაობდა ბრიტანულ კომპანია „ლაიონს ენდ კომპანიში”, სადაც ნაყინის შენახვის მეთოდებზე მუშაობდა.

* „რკინის ლედის” გარდა, მარგარეტ ტეტჩერს რამდენიმე მეტსახელი ჰქონდა: „რძის ქურდი” (სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვის ფარგლებში ტეტჩერმა გასცა განკარგულება, რომ სკოლის ასაკის ბავშვებისთვის აღარ გაეცათ მათთვის განკუთვნილი ერთი ჭიქა რძე სკოლის სასადილოში), „ატილას ქათამი”, „სპილო”, „ქალი კალიგულას თვალებითა და მერლინ მონროს ტუჩებით” (ასე მოიხსენიებდა მარგარეტ ტეტჩერს საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი).

* მეფე გეორგ მეოთხე არ გახლავთ ერთადერთი ბრიტანელი პოლიტიკოსი, რომელიც ლოგოპედთან მეცადინეობდა. მარგარეტ ტეტჩერიც დიდ დროს უთმობდა ლოგოპედთან მუშაობას. ნაციონალური თეატრის მასწავლებელთან გავლილი კურსის შემდეგ ტეტჩერის ხმის ტემბრი 46 ჰერცამდე დაეცა.

მეტსახელი „რკინის ლედი” – პირველად საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გაზეთმა – „კრასნაია ზვეზდამ” გამოიყენა, როდესაც ბრიტანელი პრემიერის კრიტიკას „რკინის დამას” ბოდვა უწოდა. ეს სახელი ბრიტანულმა „სანდი თაიმსმა” აიტაცა და ინგლისურად თარგმნა – „რკინის ლედი”.

* 2007 წლის თებერვალში მარგარეტ ტეტჩერს ლონდონში ქანდაკება დაუდგეს უინსტონ ჩერჩილის ძეგლის მოპირდაპირე მხარეს. ტეტჩერი პირველი ბრიტანელი პრემიერ-მინისტრი იყო, რომელსაც სიცოცხლეში დაუდგეს ძეგლი. ძეგლის გახსნის ცერემონიალზე „რკინის ლედიმ” აღნიშნა: „ვისურვებდი, რომ ქანდაკება რკინისგან ყოფილიყო დამზადებული, თუმცა, ბრინჯაოსაც არა უშავს, რადგან ის არ იჟანგება”.

* სკოლაში სწავლის პერიოდში მარგარეტ ტეტჩერი სპორტით იყო გატაცებული და ბალახის ჰოკეის, ცურვისა და სპორტული სიარულის სექციებზე დადიოდა.

* მარგარეტ ტეტჩერი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქალია, რომელსაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა და, ასევე, პირველი ქალი, რომელიც ევროპულ სახელმწიფოში უმაღლეს თანამდებობაზე დაინიშნა.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# გაუფილტრავი ლუდი – ლუდის მოყვარულთა ფავორიტი

***გაუფილტრავი ლუდი – ლუდის მოყვარულთათვის ეს იმდენად ნაცნობი და ჩვეულებრივი სიტყვათა შეთანხმებაა, რომ ძნელად თუ უფიქრდება ვინმე, რას ნიშნავს ეს ტერმინი ისტორიულ, მეცნიერულ და, თუნდაც, ტექნოლოგიურ კონტექსტში. იმ შემთხვევაში, როცა საქმე გაუფილტრავ ლუდს ეხება, ხშირია არასწორი აღქმა და წარმოდგენა ქართველებში, რისი მიზეზიც ხშირად, უბრალოდ, ინფორმაციის არარსებობაა...***

„ლუდი წყურვილს მშვენიერებად აქცევს,“ – გვეუბნება უძველესი გერმანული ანდაზა და ეს მართალიცაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გერმანული ტექნოლოგიებითა და გერმანული სიწმინდის ტრადიციით მოხარშულ ლუდს ეხება. მართალია, მეცნიერულად დამტკიცებულია და არაერთი ცნობილი ისტორიკოსისა და მკვლევრის ნაშრომიც ადასტურებს, რომ ლუდის ხარშვა ჯერ კიდევ შუამდინარეთის ქალაქებსა და ძველ ეგვიპტეში იცოდნენ, მაგრამ, ეს სასმელი მსოფლიო მასშტაბით პოპულარული სწორედ ევროპელი (გერმანელი, ბელგიელი, ჩეხი) მელუდეების მეცადინეობით გახდა.

დღეს მსოფლიოში, შუა საუკუნეების დროს შემუშავებული გერმანული სიწმინდის კანონის თანახმად, ლუდის ხარშვისთვის მხოლოდ ოთხი ინგრედიენტი – ალაო, სვია, საფუარი და წყალი – გამოიყენება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი დამზადების სპეციფიკისა და ხარშვის დროს გამოყენებული სხვადასხვა ტექნოლოგიიდან გამომდინარე, ლუდი ერთადერთი სასმელია, რომელიც ყველა სახის აღწერილობას ესადაგება, დაწყებული რბილიდან – მაგრამდე, ღიადან – მუქამდე, ფაქიზიდან – უხეშამდე, მტკიცედან – ჰაეროვნამდე, არაჩვეულებრივიდან – ორდინარულამდე, ელეგანტურიდან – მიწიერამდე, მსუბუქიდან – ძლიერამდე...



გაუფილტრავი ლუდი, რომელსაც გერმანულ ენაში აღნიშნავენ სპეციალური ტერმინით – „კელლერბიერს“ – რაც პირდაპირ თარგმანში „სარდაფის ლუდს“ ნიშნავს, ჩვეულებრივი, ლაგერის ტიპის ლუდია, რომელსაც არომატი სპეციალური სვიისგან აქვს მინიჭებული. ასეთი ლუდი სხვადასხვა სიძლიერისაა და, როგორც წესი, მას ალკოჰოლის საშუალო გრადუსი აქვს – 5.5-დან 6.5-მდე. უფრო ხშირად, გაუფილტრავი ლუდები მუქი ქარვისფერია, ამ ფერს მათ შედარებით მუქი ფერის ალაო (ეგრეთ წოდებული მიუნჰენური ალაო) ანიჭებს, რომელსაც მოწითალო შეფერილობა გააჩნია.

ძველად, ორიგინალურ, ანუ ნამდვილ, გაუფილტრავ ლუდს გაზიანობა დიდხანს არ მიჰყვებოდა, რადგან ის სუფრაზე, როგორც წესი, თავლია მდგომარეობაში მიჰქონდათ, ძირითადად ხის კათხებით, როდესაც გაფუების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ტრადიციული გაუფილტრავი ლუდი მუქი და მღვრიე შეფერილობით გამოირჩევა, რადგან დაუდუღებელი ექსტრაქტი ვერ იჭერს გაზს, ლუდში შემავალი ნივთიერებები ადვილად შედის რეაქციაში ჟანგბადთან და იჟანგება.

გაუფილტრავი ლუდი საუკეთესოა აპეტაიზერ (მადის გამაძლიერებელ) სასმელებს შორის და სადილის წინ მისი მიღება ყველაზე მეტად არის რეკომენდებული. დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, სადაც ლუდის ხარშვის კულტურა მაღალ დონეზეა განვითარებული, გაუფილტრავ ლუდს, როგორც წესი, მცირე ზომის ლუდხანებში ხარშავენ, სადაც, ძირითადად, თიხის ან ხის კათხებს იყენებენ შუშისა და თუნუქის ნაცვლად.

***სერტიფიცირებულია***

**ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღება ვნებს ჯანმრთელობას**

# გახდომისა და სხეულის კორექციის საუკეთესო მეთოდი

**– ქალბატონო მარი, რა ვუყოთ აკრეფილ კილოგრამებს, როცა გვინდა, რომ კარგად გამოვიყურებოდეთ?**

– ადამიანი ცხოვრების რაღაც მონაკვეთში წონაში იმატებს და თუკი ადრე ამ მომატებას მალევე და ადვილად იკლებდა, ახლა უკვე დიდი ძალისხმევითაც ვერ ახერხებს ამას. ზოგიერთი ეგუება ამ ფაქტს, ხელს ჩაიქნევს და განაგრძობს მატებას. ზოგიერთი კი ტანჯვა-წამებით დაკლებულ 2-3 კილოგრამს მალევე ორმაგად იბრუნებს. ისინი, ვინც თვეში ნახევარი კილოგრამის მომატებას არაფრად არ აგდებენ, ერთი წლის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ თურმე ექვსი კილოთი მეტს იწონიან. ვაკუუმ-თერაპია ყველაზე ეფექტური მეთოდია ჭარბ წონასთან და ცელულიტთან ბრძოლაში. სხეულზე პროცედურები კეთდება დიდი და საშუალო ზომის ქილებით. ისინი ქმნიან ძლიერ ვაკუუმს, რის შედეგადაც ცელულიტი ჯერ რბილდება და შემდეგ მცირდება. წარმოიდგინეთ, ერთდროულად დასმული ათი ნახევარლიტრიანი ქილების დიამეტრის ვაკუუმი. ეს ძალიან დიდი ძალაა, გარდა ამისა, თერმულ-მექანიკური ზემოქმედებაც ხდება და კანი, რაც არ უნდა მოიკლოთ, არ დაკარგავს ელასტიკურობას და არ „ჩამოეკიდება“.

**– რამდენი კილოგრამის დაკლებაა შესაძლებელი საშუალოდ და რა ღირს ერთი პროცედურა?**

– 8-10 კილოგრამის დასაკლებად 15-20 პროცედურაა რეკომენდებული, სეანსი ერთი საათი გრძელდება და 35 ლარი ღირს. ერთდროულად პაციენტს ენიშნება სწორი კვება (სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის მიხედვით), თუ არ არის წონის პრობლემა, მაგრამ საჭიროა სხეულის ცალკეული ნაწილების (გალიფე, თეძოები, დუნდულები, წვივები, მხრები) კორექცია, ამ შემთხვევაში იგივე პროცედურები უტარდებათ, ოღონდ დიეტის გარეშე. ზოგიერთი მეკითხება: „თუ დიეტა დავიცავი, ხომ ისედაც დავიკლებ, რაღა საჭიროა მასაჟი?“ გარწმუნებთ, მარტო დიეტის დაცვით ამ ადგილობრივ პრობლემებს ვერ მოიგვარებთ, მოიკლებთ ყველგან, გარდა იმ ადგილებისა. თანაც მიიღებთ ნატანჯნაწამებ სახის გამომეტყველებას. უფრო მეტად გაღიზიანებულები, კონფლიქტურები და დეპრესიულები გახდებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, რა თქმა უნდა, წონის დაკლებისას დანიშნული სწორი კვების რეჟიმის მკაცრი დაცვა აუცილებელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, „დიეტიდან“ გამოსვლა, ანუ, მიღებული შედეგის შენარჩუნება. იმიტომ რომ, ამ დროს ორგანიზმი არასწორად იღებს საკვებს ცხიმების სახით, აი, საიდან მოდის დიეტის შემდეგ კვლავ წონის მომატება. აუცილებელია, მიეცეს პაციენტს სწორი რჩევა-დარიგებები, თუ როგორ მოიქცეს შემდგომში იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს „რიკოშეტის“ რეაქცია. პროცედურების დროს ჩვენ პარალელურად ვიყენებთ თაფლს, შავ შოკოლადსა და ყავას. მათ გააჩნიათ ანტიცელულიტური მოქმედება. ქილებით დამუშავებულ და გახსნილ ფორებში, კანქვეშა ცხიმიდან ქსოვილებში აღწევენ და შლიან მათ. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ პაციენტები, რომ რამდენიმე კილოგრამის დაკლებითაც კი უფრო გამხდრად გამოიყურებიან, ვიდრე სინამდვილეში არიან დაკლებულები, რადგან ვიზუალური კლება სანტიმეტრების ხარჯზე ხდება.

**– ამავე მეთოდით ხდება სახეზე ნაოჭების გასწორება. გამიგია, რომ ამ მასაჟის შემდგომ შეიძლება, ლაქები გაჩნდეს, ტანზე კიდევ არა უშავს, მაგრამ სახეზე?**

– მეთოდი იგივეა – ვაკუუმთერაპია, მაგრამ სახეზე, სხეულისგან განსხვავებით, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიყენებთ მცირე და საშუალო ზომის პარამეტრებს და შესაბამისად არანაირი ლაქები არ რჩება.

ამ პროცედურების გაკეთება ექიმისგან დიდ სიფრთხილეს, ყურადღების კონცენტრირებას, პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას მოითხოვს. ეს მეთოდი აძლიერებს სისხლის მიკროცირკულაციას კანქვეშ და ნაოჭები ქვევიდან, სიღრმიდან სწორდება. კრემები (რაც უნდა ხარისხიანი და ძვირად ღირებულიც არ უნდა იყოს), კი ზედაპირზე მოქმედებს და მათი ეფექტი მოკლევადიანია. დოზირებული ვაკუუმით სახის კანზე ჩვენ ვახდენთ ღრმა ზემოქმედებას ნაწიბურებზე, ნაოჭებზე. ამ დროს 4-5-ჯერ ძლიერდება მიკროცირკულაცია. „ცოცხლდებიან“ დისტროფიული უჯრედები და „გაზარმაცებულ“ კაპილარებში სისხლის დიდი ნაკადი მიედინება. აი, რაშია ამ მეთოდის უნიკალურობა და შეუდარებელი გამაახალგაზრდავებელი ეფექტი!

**– ამ შემთხვევაში რამდენი პროცედურაა ჩასატარებელი და რა ღირს ერთი მასაჟი?**

– სახის მასაჟი 40-50 წუთი გრძელდება და 25 ლარი ღირს, თავიდან დღეგამოშვებით კეთდება, სანამ სისხლის და ლიმფის მიმოქცევა აღდგება, შემდეგ კი, მიყოლებითაც შეიძლება. პროცედურები არ ტარდება ჩირქოვანი გამონაყარის, ჰერპესისა და სოკოვანი დაავადებების დროს.

აღსანიშნავია, რომ პაციენტთა უმეტესობა პირველივე სეანსების შემდეგ აღნიშნავს, რომ კანს უბრუნდება ჯანმრთელი ელფერი (ამას განსაკუთრებით მნეველები ამბობენ), წვრილი, მიმიკური ნაოჭების რაოდენობა მცირდება, ხოლო ღრმა, ფუნქციური ნაკეცები ნაკლებად გამომხატველი და თვალში საცემი ხდება (დერმატოლიფტინგის ეფექტი). მომდევნო სეანსების შემდეგ კანის სტრუქტურა მკვეთრად უმჯობესდება. მცირდება შეშუპებები და ლაქები თვალების გარშემო, მყარდება სახის კუნთოვანი კარკასი და პაციენტი 5-8 წლით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. ვაკუუმთერაპია ებრძვის ძველ, უკვე არსებულ და ახალ მიმიკურ ნაოჭებს. გარდა ამისა, კურსის დამთავრების შემდეგ აბსოლუტურად ყველა პაციენტი აღნიშნავს, რომ არსებული პრობლემების მოგვარების გარდა, მკვეთრად გაუმჯობესდა მათი ზოგადი მდგომარეობა. აღნიშნავენ ენერგიის მოზღვავებას, ძალის მოწესრიგებას, უმიზეზო თავის ტკივილებისა და დეპრესიული მოვლენების ალაგებას, უმჯობესდება ადამიანის გუნება-განწყობა და პაციენტი აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება.

**ექიმი მარინა ლომიძე 593-30-00-08.**

**რვაწლიანი პაუზის შემდეგ ინგა გრიგოლია ჟურნალისტიკას დაუბრუნდა, რის გამოც თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს. დიდი ინტერესით ელოდება მის ახალ გადაცემას მაყურებელი, რომელიც დარწმუნებულია, რომ „პოლიტიკური კვირა" ისეთივე საინტერესო იქნება, როგორიც ინგას ძველი გადაცემები. ჩვენი რესპონდენტი ახალი ენერგიითა და შემართებით ემზადება სიახლისთვის, რომელსაც მაყურებელი მალე იხილავს.**

# რა კითხვას აღარ დასვამს ინგა გრიგოლია თავის გადაცემაში და რატომ მოხსნა მან საკუთარი კანდიდატურა არჩევნების წინ

**– ინგა გრიგოლია, ახალი შემართებით და ახალი გადაცემით, მალე წარდგება მაყურებლის წინაშე.**

– სტუდია მზადდება, ტენდერი გამოცხადებულია და, სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში გავალთ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში. გადაცემას „პოლიტიკური კვირა" ერქმევა. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან, იმ საქმეს უნდა დავუბრუნდე, რაც ყველაზე მეტად მიყვარს ამქვეყნად.

**– მაყურებელს ძალიან უხარია თქვენი დაბრუნება ჟურნალისტიკაში, მაგრამ, არა მგონია, იგივე განცდა ჰქონდეთ პოლიტიკოსებსაც, რადგან, ახლა უკეთ ხართ პოლიტიკაში ჩახედული.**

– ვისაც ვუთხარი, რომ გადაცემას ვიწყებ, ყველა კეთილგანწყობას გამოხატავს. ამბობენ, რომ დიდი ინტერესით ელოდებიან ჩემს დაბრუნებას. რაც მთავარია, უკვე მაქვს მოლაპარაკებები (როგორც ყოველთვის მქონდა), ყველაზე საინტერესო განცხადებებს ექსკლუზიურად მე მომცენ ხოლმე. ვნახოთ... ძალიან ენერგიული და შემართული ვარ.



არ მეგულება არანაირი თანამდებობა, რომელიც, შეიძლება, იმად მიღირდეს, რომ ვიღაცამ მაგინოს და მლანძღოს

**– ის პერიოდი, როცა პოლიტიკაში იყავით, ძალიან აკლდით ქართულ ტელევიზიას.**

– არ ვიცი, რამდენად ვაკლდი, მაგრამ, მე ნამდვილად მაკლდა ტელევიზია. ადამიანი ცხოვრებაში რაღაც გადაწყვეტილებებს იღებ, მაგრამ, შეიძლება, ისეთი პერიოდი დაუდგეს, რომ უცბად აღმოაჩინო: შენი გასაკეთებელი საქმე არის ის, რაც ბედნიერებას განიჭებს და ძალიან გიყვარს. ბედნიერებას ნამდვილად ვერ ვგრძნობდი, როცა საკრებულოში ვმუშაობდი და ვაკეთებდი იმ საქმეს, რასაც ვაკეთებდი. შეიძლება, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ არ ვიყავი გადაწყვეტილების მიმღები პირი და იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, რომელსაც, რაღაც გადაწყვეტილების კუთხით, ბიუჯეტზე ხელი მიუწვდებოდა. ჯანდაცვის კომისიის წევრი ვიყავი და ჩემთვის ყველაზე დიდი ტანჯვა იყო იმდენი გაჭირვებული ადამიანის დანახვა, რომლებიც სახლ-კარს კარგავდნენ თავიანთი ოჯახის წევრების ოპერაციებისთვის და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. თბილისის საკრებულოში ყოფნამ საშინელი დეპრესია დამმართა, რადგან, 10 კაციდან, შეიძლება ერთზე გამოგვსვლოდა დახმარება. იმის მიუხედავად, რომ მამუკა ქაცარავა (მერიის სამსახურის უფროსი) ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელია, არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ მასთან ძალიან კარგი თანამშრომლობა მქონდა და უაღრესად დიდ პატივს ვცემ. თუკი იქ ყოფნის დროს ვინმეს დავხმარებივარ, სწორედ ამ ადამიანის მეშვეობით ხდებოდა, თუმცა, ეს ყოველთვის არ გამოდიოდა. ამიტომ, ამდენი ტკივილი, რომელიც ამ ორი წლის განმავლობაში ამ ხალხთან ერთად ჩემს ზურგზეც გადადიოდა, სრულიად დამანგრეველი იყო. საბოლოო ჯამში, ძალიან კმაყოფილი ვარ, პოლიტიკიდან წამოსვლის გადაწყვეტილება რომ მივიღე. ზუსტად ვიცოდი და არასდროს დამიმალავს, რომ ტელევიზიაში დავბრუნდებოდი. საკრებულოში რომ ვიყავი, ეს მაშინაც კი არ დამიმალავს. უკვე 8 თვეა, რაც პოლიტიკიდან წამოვედი და არსად გამოვჩენილვარ. მართალია, სხვადასხვა მედიასაშუალებიდან შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ, არსად არ წავედი, რადგან, ეს პაუზა შეგნებულად ავიღე. ჩემი აზრით, არასწორი იქნებოდა – გუშინ არჩევნებში ვმონაწილეობდი, მეორე დღეს კი უცებ ტელევიზორში გამოვჩენილიყავი. ჩემი აზრით, რვა თვე სრულიად საკმარისია, ახალი ცხოვრება რომ დავიწყო. პრაქტიკულად, ნულიდან ვიწყებ.

**– როგორ ფიქრობთ, ის პერიოდი რომელიც პოლიტიკას დაუთმეთ, თქვენთვის დაკარგული დროა?**

– არა, პირიქით. საკრებულომ იმხელა გამოცდილება მომცა, რასაც, ალბათ, ვერსად შევიძენდი. იმდენად ღრმად შევისწავლე საკითხები, ბიუჯეტით დაწყებული, ჯანდაცვით დამთავრებული, რომ ნამდვილად წაადგება ჩემს გადაცემებს. აღმოვაჩინე, რომ, თუ აქამდე ჩემთვის გადაცემაში მთავარი ტიპები პოლიტიკოსები იყვნენ, ამჯერად მთავარი დომინანტი ხალხი იქნება. ამიერიდან კიდევ უფრო გავუფრთხილდები ბევრ რამეს, მაგალითად, რესპონდენტს და, აღარასოდეს ვკითხავ: „შენზე ამბობენ, რომ"...

**– მარიამზეც (შვილი) მინდა გკითხოთ: მას რა რეაქცია ჰქონდა დედის ჟურნალისტიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით?**

– ამ პერიოდის განმავლობაში, თუკი ვინმე რამეს მირჩევდა, ერთ-ერთი ჩემი შვილი იყო. სულ იმას მეუბნებოდა, ჟურნალისტიკაში დაბრუნდი და შენი საქმე გააკეთეო. ჩემმა შვილმა ყველაზე კარგად იცის, ჟურნალისტიკა მართლა როგორ მაბედნიერებს. ერთი სული აქვს, როდის გავა ჩემი გადაცემა ეთერში.

**– რას საქმიანობს ამჟამად?**

– მარიამმა ბაკალავრიატი დაამთავრა, სისხლის სამართლის სპეციალისტია. ვერაფრით ვერ შევაცვლევინე აზრი – მინდა, რომ სისხლის სამართალს და კრიმინალს ჩამოეხსნას. მაგისტრატურაში ჯერჯერობით არ ჩააბარა, რადგან, მიაჩნია, რომ 23 წლის ასაკში არ არის აუცილებელი, როცა ბაკალავრიატს ამთავრებ, მაშინვე მაგისტრატურაში ჩააბარო. მუშაობის დაწყება უნდა, გასაუბრებებზე გადის და, ვნახოთ – თუ გაქაჩავს, ალბათ, დაიწყებს. ოჯახში გამომძიებელი არასდროს გვყოლია, პირველი მარიამი იქნება.

**– ისევ პოლიტიკის სფეროს დავუბრუნდები: ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა პარტიას პირადად ინგა გრიგოლიას წყალობით. იმის გამო, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე პარტია დატოვეთ, ბევრი ხმა მოაკლდა თქვენს თანაგუნდელებს. ამომრჩეველი ინგა გრიგოლიას ენდობოდა და რადგან ასეთი გადაწყვეტილება მიიღეთ, მათ დაასკვნეს, რომ პარტიაში რაღაც ისე ვერ იყო.**

– ეს ვერსიები მეც არაერთხელ მომისმენია, მაგრამ, არ ვიღებ. არ ვფიქრობ, რომ ჩემი წამოსვლით ქრისტიან-დემოკრატებს ძალიან ბევრი ხმა მოაკლდათ. არ მიმაჩნია, რომ განსაკუთრებით მაღალრეიტინგული პოლიტიკოსი ვიყავი და ჩემი წამოსვლით პარტიას იმდენი ხმა დააკლდებოდა, რომ ბარიერს ვერ გადალახავდა. რატომმაც მივიღე წამოსვლის გადაწყვეტილება, განცხადება მალევე გავაკეთე: პირველი – საჭიროდ ჩავთვალე, კანდიდატურა მომეხსნა, რადგან, საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან იმხელა აგრესია იყო, რაც სულაც არ მომწონდა. „ფეისბუქიც" კი გავაუქმე, იმდენი მაგინეს – რატომ ვიყავი ქრისტიან-დემოკრატების მხარეს და არ ვიდექი სხვა პოზიციაზე და ასე შემდეგ. ადამიანურად და ემოციურად ვერ გადავლახე ეს ყველაფერი. არ მეგულება არანაირი თანამდებობა, რომელიც, შეიძლება, იმად მიღირდეს, რომ ვიღაცამ მაგინოს და მლანძღოს. ამიტომ, ძალიან მარტივად ვთქვი, რომ ემოციურად ვერ გავუძელი ამ ყველაფერს-მეთქი. ჩემთვის მართლა არ არის სულერთი, რას ფიქრობენ ჩემზე. ასე რომ არ იყოს, მაშინ, რა თქმა უნდა, სხვანაირად ვიცხოვრებდი, სხვა გზით წავიდოდი და უკან აღარ დავბრუნდებოდი ყველაფრის ნულიდან დასაწყებად. საქმე ისაა, რომ ჩემთვის მართლა არ არის სულერთი, რას ფიქრობენ

**არ მყავს არც ერთი ისეთი ყოფილი რესპონდენტი, რომელიც ჩემზეა განაწყენებული**

ჩემზე. ამიტომ, მიმაჩნია, სწორად მოვიქეცი, კანდიდატურა რომ მოვხსენი. შეიძლება პარტიისთვის ეს ძალიან საწყენი იყო, მათი მესმის, მაგრამ, არ ვფიქრობ, რომ მათ მიერ ბარიერის ვერგადალახვა პირდაპირ ჩემთან იყო დაკავშირებული. ცუდს არასდროს ვიტყვი და ვერც ვერასდროს ვერავინ მათქმევინებს იმ ადამიანებზე, ვის პარტიაშიც ვიყავი. ხაზგასმით ვამბობ, რომ ისინი მე ძალიან მიყვარს და დღემდე პატივს ვცემ.

**– რატომ ეშინიათ რესპონდენტებს ინგა გრიგოლიასი?**

– არა მგონია, რომ ეშინიათ, უბრალოდ, მაინცდამაინც კომფორტული არ არის, როცა შენთვის კრიტიკულ შეკითხვებს გისვამენ – ესაა და ეს. სხვათა შორის, არც ერთი ისეთი ყოფილი რესპონდენტი არ მყავს, რომელიც ჩემზეა განაწყენებული. ვაპირებ, ვიყო ზუსტად ისეთი, როგორიც ვიყავი ადრე. ძალიან მინდა, რომ კარგი გადაცემა გამოვიდეს, რისთვისაც ყველაფერს გავაკეთებ.

**მარიკა ხიდურელი**

# „არაი“, „ოქეი“ და „მეტრომარტი“ – „უნიქარდის“ ახალი პარტნიორები

*„უნიქარდის“ მორიგ სიახლეს მიეძღვნა კონფერენცია, რომელიც სასტუმრო „რედისონში“ 18 აპრილს გაიმართა. „არაი“, „ოქეი“ და „მეტრომარტი“ – ეს ის ბრენდებია, რომლებსაც საზოგადოება კარგად იცნობს. მათი მაღაზიები ტექნიკის ყველაზე მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობენ მომხმარებელს. კონფერენცია სწორედ ამ კომპანიების მომავალ პარტნიორობას შეეხო. „უნიქარდის“ დირექტორმა* **ბესო აბულაძემ**, *„არაის“ მარკეტინგის მენეჯერმა თიკო დიდავამ, „ოქეის“ მარკეტინგის მენეჯერმა სალომე გოზალიშვილმა და „მეტრომარტის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პაპუნა კაციტაძემ ისაუბრეს კომპანიების პარტნიორობასა და მომავალ გეგმებზე.*




**ბესო აბულაძე** *(„უნიქარდის“ დირექტორი):* მოგეხსენებათ, „უნიქარდი“ მუდმივად ზრუნავს თავის მომხმარებელზე და ხშირად სთავაზობს მათ სხვადასხვა აქციასა თუ სიახლეს. კმაყოფილი მომხმარებელი ჩვენი მუდმივი კლიენტი ხდება. რაც შეეხება ზემოხსენებულ კომპანიებთან პარტნიორობას, ჩვენთვის ამ კუთხით მუშაობა ძალიან საინტერესოა და მოხარული ვარ, რომ ეს პარტნიორობა შედგა. ყველასთვის ცნობილია, რომ „არაისა“ და „ოქეის“ საკმაოდ დიდი ქსელი აქვს, „მეტრომარტი“ კი ტექნიკის ჰიპერმარკეტია. მათი ბრენდები და ტექნიკა პოპულარული და მოთხოვნადია მოსახლეობაში და ყველანაირ სეგმენტს მოიცავს. რაც შეეხება სააღდგომო აქციას, 18 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით, ამ მაღაზიების მომხმარებლები ყველა შენაძენზე დააგროვებენ გაორმაგებულ ქულებს „უნიქარდზე“, მიიღებენ ფასდაკლებებსა და საჩუქრებს. ასევე, საინტერესოა ისიც, რომ „უნიქარდის“ ყოველი მეათე მომხმარებელი დამატებით მიიღებს სააღდგომო საჩუქარს „უნიქარდისგან“. „უნიქარდის“ მომხმარებლებს, რომლებიც აქტიურად ატარებენ ბარათს მის პარტნიორ კომპანიებში, საშუალება აქვთ, მიიღონ უამრავი საჩუქარი კატალოგიდან WWW. Unicard.ge. საჩუქრები ყველასთვის ხელმისაწვდომია და მათი ღირებულება იწყება 1 011 ქულიდან. არჩევანი მრავალფეროვანია. ბარათის მფლობელებს საშუალება აქვთ, ქულებით შეიძინონ როგორც სასაუზრო დრო, ასევე, წვრილი და მსხვილი ტექნიკა, სათამაშოები, წიგნები, ჭურჭელი, მაღაზიების ვაუჩერი და სხვადასხვა ნივთი, თავიანთი გემოვნებისამებრ. გარდა ამისა, გადაიხადონ კომუნალური გადასახადები და იმოგზაურონ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „უნიტური“ – ეს არის განსაკუთრებული ფასითა და სრული პაკეტით გამორჩეული სპეციალური შეთავაზება ჩვენი მომხმარებლისთვის, რომელსაც „უნიქარდი“ ზაფხულიდან გთავაზობთ. 2012 წლის ზაფხულიდან ბარათის მფლობელებმა დაისვენეს ეგვიპტეში, ყვარლის ტბაზე, თელავში (სასტუმრო „შატო მერე“), ახალციხეში (რაბათი), სიღნაღში, ყაზბეგში (სასტუმრო „რუმსი)“, სტამბულში. თებერვალში 20-კაციანი ჯგუფი დუბაიში გაემგზავრა 5 დღით. მომავალში „უნიტურები“ უფრო მრავალფეროვანი გახდება და მომხმარებლებს საშუალება ექნებათ, არჩევანი გააკეთონ ევროპის ტურებზე (მილანი, რომი, ვენეცია, პარიზი, ვენა).

სპეციალურად გამართულ კონფერენციაზე „უნიქარდის“ ახალი პარტნიორების – „არაის“, „ოქეისა“ და „მეტრომარტის“ წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს ამ პარტნიორობის სამომავლო მნიშვნელობა და როლი მათ ბიზნესსაქმიანობაში. ისინი „უნიქარდთან“ ერთად კვლავ ბევრ აქციას, საინტერესო სიახლესა და სიურპრიზს ჰპირდებიან თავის მომხმარებელს.

**სოფი ლორია**

# სრულიად ახალი ინტერნეტბანკი

## Express Online – „საქართველოს ბანკისგან“

„საქართველოს ბანკმა“ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე მასმედიის წარმომადგენლებისა და დამსწრე საზოგადოების წინაშე სრულიად ახალი ინტერნეტბანკი – Express Online წარადგინა.

„საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა ინტერნეტბანკის პრეზენტაციაზე აღნიშნა: Express Online-ს აქვს უნიკალური ფუნქციები, ის ორჯერ უფრო სწრაფად მოემსახურება მომხმარებელს და, რაც მთავარია, ყველაზე მეტად მოერგება თითოეული მომხმარებლის მოთხოვნებს.

Express Online გამოირჩევა დიზაინით, რომელსაც მომხმარებელი ირგებს საკუთარი საჭიროების მიხედვით; ასევე, გამოყენების სიმარტივითა და უახლესი, უნიკალური ფუნქციებით; გარდა ამისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სისწრაფითა და საერთაშორისო სტანდარტის საუკეთესო დაცულობით. Express Online მომხმარებელს სთავაზობს ყველაფერს, რაც კი შეიძლება ჰქონდეს თანამედროვე ინტერნეტბანკს. კომფორტს ქმნის ისიც, რომ Express Online-ის ყველა ფუნქცია მთლიანად ერთ გვერდზეა მოთავსებული და, შესაბამისად, მომხმარებელს არ მოუწევს სხვადასხვა გვერდზე გადასვლა რომელიმე ფუნქციის მოსაძებნად; ასევე, ოპერაციების ჩატარების დროს სხვადასხვა ფანჯარაში მუშაობა. Express Online-ის მომხმარებელს საშუალება აქვს, საკუთარი სურვილისამებრ განალაგოს ინტერნეტბანკის ფუნქციები და შედეგად მიიღოს სწორედ ის ინტერნეტბანკი, რომელიც მის მოთხოვნებს ერგება.







Express Online უფრო სწრაფად იტვირთება და ამ სისწრაფეს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ერთდროულად რამდენიმე გადასახადის თუ გადარიცხვის შესრულება შესაძლებელია გადახდის მხოლოდ ერთ ღილაკზე მხოლოდ ერთხელ დაჭერით. ასევე, პროვაიდერის მითითების გარეშე შეძლებთ მობილურის ბალანსის შევსებას.

Express Online გამოირჩევა დაცვის ყველაზე უსაფრთხო სისტემით, მათ შორის 128-ბიტიანი დაცვის სერტიფიკატით. ინტერნეტბანკში შესვლა მარტივია. ამისთვის შესაძლებელია იმავე მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენება, რომლითაც Ibank.ge-ზე და მობილბანკში შესვლისას სარგებლობთ. თუ არ იყენებთ „საქართველოს ბანკის“ ინტერნეტბანკს, საკმარისია, ეწვიოთ ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრს, სადაც გადმოგცემენ მომხმარებლის სახელსა და პაროლს. Express Online-ში შესვლა ნებისმიერი ინტერნეტბრაუზერიდან არის შესაძლებელი.

Express Online-ით, ასევე, შეძლებთ მობილურის, დენის, გაზის, წყლის, დასუფთავების, ინტერნეტის, საკაბელოსა და სახლის ტელეფონის ბალანსის შევსებას Express-ქულებით, რომლებსაც დააგროვებთ ყველგან და ყველა ოპერაციაზე, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, სადაც გამოიყენებთ Express Card-ს. Express Online-ით შესაძლებელია როგორც დაგროვილი Express ქულების რაოდენობის გადამოწმება, ისე მათი მობილურის ბალანსში ან კომუნალური მომსახურების საფასურში გადაცვლა. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ბანკის“ Express Pay-ის“ სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით მომხმარებელი მობილური ტელეფონის ბალანსს ყოველგვარი საკომისიოს გარეშე შეავსებს, ანუ, ჩვენ ვამბობთ, რომ 1 ლარი უდრის 1 ლარს და არა 96 თეთრს. გვინდა, რომ სწრაფი გადახდების სფეროში რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოვიზიდოთ და მოვემსახუროთ კომფორტულად, სწრაფად და ზედმეტი დანახარჯების გარეშე. ამის დასტურია Express Card, Express Pay ახლა უკვე სრულიად ახალი ინტერნეტბანკი

სრულიად ახალი ინტერნეტბანკის მისამართია: www.eonline.ge

**სოფი ლორია**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: მაინტერესებს, ჩაითვლება თუ არა, რომ გასაჩივრების ვადა გავიდა, თუ ჩემთვის არასასურველი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადა ემთხვევა დასვენების დღეს და მე გასაჩივრება მომიხდა მეორე დღეს, ანუ ერთი დღით გადავაცილე გასაჩივრების ვადას?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო, ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო, თუ სხვა გამოსასვლელ დღეს, მაშინ მის ნაცვლად, გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე. შესაბამისად, თქვენ გასაჩივრების ვადა არ დაგირღვევიათ.



**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს ზოგადად სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის ვადა და რაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადების მოქმედება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სხვა პირისგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება: პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ხანდაზმულობის რა ვადებია კანონით დადგენილი და როგორია სახელშეკრულებო მოთხოვნებსა და ვალდებულებებზე ხანდაზმულობის ვადა?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ზოგადად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. რაც შეეხება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადას, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების – ექვსი წელი. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ცალკეულ შემთხვევებში, კანონით შეიძლება, გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ და რა კრიტერიუმებით განისაზღვრება ხანდაზმულობის ვადის დაწყების ათვლა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო, უფლების დარღვევის შესახებ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადების შეჩერება და თუ შესაძლებელია, რა გარემოებების არსებობისას ჩერდება ხანდაზმულობის ვადა?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება, თუ:

ა) ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი); ბ) სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი, დაუძლეველი ძალა; გ) კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც საომარ მდგომარეობაშია და დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მაგალითად, ქორწინებისას, სანამ ქორწინება არსებობს, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა ჩერდება. იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე, აგრეთვე მეურვეებსა და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა მკვლელობის საქმეზე გვამის გარეგნული დათვალიერება აწარმოოს დაცვის მხარემაც, თუ მარტო გამომძიებელია უფლებამოსილი, მოახდინოს გვამის გარეგნული დათვალიერება და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, გვამის გარეგნულ დათვალიერებას ატარებს მხარე ექსპერტის მონაწილეობით. შესაბამისად, დაცვის მხარეს უფლება აქვს, აღნიშნული წესის დაცვით, მოახდინოს გვამის გარეგნული დათვალიერება. ამოუცნობი გვამის შემთხვევაში, მისი დაქტილოსკოპირება და საექსპერტო კვლევისთვის ნიმუშის აღება, სავალდებულოა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამოუცნობი გვამის დამარხვა ან კრემაცია, პროკურორის ნებართვის გარეშე დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ხდება თუ არა სისხლის სამართლის საქმეების წარმოებისას ქონებაზე ყადაღის დადება და თუ ხდება, რა მიზნითა და საფუძვლებით?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისთვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის, ანდა მასთან დაკავშირებული პირის ქონებას – მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ, დახარჯავენ, ანდა ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას. ამ ნაწილში მითითებული პირობების არსებობისას, თუ ბრალდებული თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია, სასამართლოს წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თანამდებობის პირის ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების ან სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი**
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ტარდება სისხლის სამართლის საქმეებზე ექსპერტიზა და რა გარემოებებია საქმეზე ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით, ხოლო ექსპერტიზას მხარე ნიშნავს იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან, ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისთვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა. ასევე, თუ სხეულზე ან ინფორმაციის შემცველ ობიექტზე არის საქმისთვის მნიშვნელოვანი კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია.

# ინტიმური საუბრები

## ჩემმა ქმარმა ჩემში პიროვნება ჩაკლა

ყოველთვის ვკითხულობ თქვენს რუბრიკას და ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ქმრებისგან დაჩაგრული ქალები წერენ თავიანთი სატკივრის შესახებ. სწორედ ამ წერილებმა გადამაწყვეტინა, მეც მომეწერა თქვენთვის, რადგან მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ – უგულო, უხეში, ორსახოვანი ქმრის მსხვერპლი. მსხვერპლი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩემმა ქმარმა ჩაკლა ჩემში ყველაფერი ლამაზი და ამაღლებული; ჩაახშო ყველა ჩემი ოცნება; საშუალება არ მომცა, გამომეყენებინა ჩემი ნიჭი და უნარი, ერთი სიტყვით, მომეხდინა ჩემი შესაძლებლობების რეალიზება, ანუ, მეპოვა ჩემი ადგილი ცხოვრებაში. ალბათ, იტყვით, ქალის მთავარი ფუნქცია და ადგილი შვილების აღზრდა და ოჯახის მოვლააო. კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ქალიც ადამიანია და ოჯახური რუტინის გარდა, მასაც შეიძლება ჰქონდეს ოცნებები, საზოგადოებასთან ურთიერთობის მოთხოვნილება. მკითხველი, ცხადია, იმასაც იფიქრებს, თუ ასეთი საშინელი ქმარი გყავს, რატომ არ გაშორდიო. სამწუხაროდ, არც ისეთი ადვილი ყოფილა ამ ნაბიჯის გადადგმა, მით უფრო, თუ „რას იტყვის ხალხის“ პრინციპით ხარ აღზრდილი. გარდა ამისა, სხვა მიზეზებიც მქონდა (და მაქვს), რომ ქმარს არ გავშორდებოდი. რომელთაგან ზოგიერთი მის სასარგებლოდ მეტყველებს. პირველი და მთავარი მიზეზი ის არის, რომ კარგი მამაა და ჩემი ტყუპი გოგონები ვერ გავწირე იმისთვის, უმამოდ გაზრდილიყვნენ. მეორე მიზეზი ისაა, რომ ცხოვრებაში არსად მიმუშავია (ქმარმა არ მომცა უფლება), ის კი არა, ცოლად რომ შემირთო, უნივერსიტეტში მესამე კურსზე ვიყავი და სწავლაზე თავი დამანებებინა – განა რა სამსახური უნდა იშოვო, რომ შენს ხელფასს ოჯახისთვის რამე მნიშვნელობა ჰქონდეს; ოჯახის რჩენა კაცის საქმეა, მე ჩემს ცოლ-შვილს არაფერს მოვაკლებ, ჩემს შვილებს კი დედა უნდა ზრდიდეს და არა ვილაც გამოტვინებული ძიძაო. მაშინ ძალიან მომწონდა მისი ასეთი პოზიცია და წინააღმდეგობაც არ გამიწევია, ისე ვასრულებდი მის ყველა სურვილს; მესამე მიზეზი ისაა, რომ გავშორდე, წასასვლელი არსად მაქვს. ჩემი მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათი ბინა ჩემმა ძმამ გაყიდა და თვითონ უცხოეთში გადაბარგდა. კიდევ არის სხვა მიზეზები, მაგრამ, რაც ჩამოვთვალე, ალბათ, ისიც საკმარისია.

ყველაზე მეტად ჩემი ქმრის საქციელში ის მაგიჟებს, რომ საერთოდ არ მთვლის პიროვნებად. მისთვის ვარ ცოცხალი რობოტი, რომელსაც მხოლოდ მოვალეობები და ვალდებულებები აკისრია, ინტერესები და სურვილები კი არ გააჩნია. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ შვილებთან მამცირებს ხშირად, თან ისე, რომ ვერც კი მოედავები, ანუ, ბრალსაც ვერ წაუყენებ, ისე „დახვეწილად“ აკეთებს ამას; მაგალითად, ვითომ ხუმრობით აქილიკებს ჩემს ყოველ სიტყვას, აზრს, საქციელს და, საერთოდაც ცინიკურია ჩემ მიმართ. შეუძლია, გამაშაყიროს ჩაცმაზე, ლიტერატურულ ან მუსიკალურ გემოვნებაზე, მერე კი გოგოებს გახედავს, თვალს ჩაუკრავს და ვითომ ხუმრობით იტყვის: დედათქვენის დონე ვერაფრით ვერ ავწიე, ვერ იფერებს კარგ ცხოვრებასო. ამ ყველაფრის შედეგს კი უკვე ვხედავ: ჩემს შვილებს არაფერი სჯერათ ჩემი; ყველაფერზე მეუბნებიან, შენ აზრზე არა ხარო; ანგარიშს არ უწევენ ჩემს აზრს, რაც ძალიან მწყინს და მაღელვებს, რადგან, ვგრძნობ, რომ ასეთი დამოკიდებულება კარგს არაფერს მოუტანს ისევ და ისევ ჩემს შვილებს.

იმ ყველაფრის გარდა, რაც ჩამოგითვალეთ, ჩემს ქმარს აქვს კიდევ ერთი საშინელი თვისება – ორსახოვნება, რაც შემდეგში გამოიხატება: სახლში, როგორც უკვე გითხარით, არაფრად მაგდებს, მაგრამ, თუ სადმე ერთად წავედით, მაგალითად, სტუმრად მის მეგობართან ან თანამშრომელთან (ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა აუცილებელია, საზოგადოებაში ცოლთან ერთად გამოჩნდეს), წინა დღეს მომიტანს ახალ და ძალიან მოდურ ტანსაცმელს, მაიძულებს, გამოვეწყო საგამოფენო თოჯინასავით და მერე ხალხში ისე მექცევა, როგორც დედოფალს, რომლის სიტყვა და სურვილი მისთვის კანონია. ამიტომ, ყველას ჰგონია, იდეალური ქმარი მყავს, ჩემზე ყურებამდე შეყვარებული, რომელიც უსაზღვროდ მანებივრებს. მეც, სხვა რა გზა მაქვს, ვთამაშობ ხოლმე გათამამებული ცოლის როლს. მაგრამ, დავბრუნდებით თუ არა სახლში, მე ისევ შინამოსამსახური ვროგოტად ვიქცევი, ის კი – ცინიკოსად.



მოკლედ, ასეთი „ბედნიერი“ ცხოვრება მაქვს და, რაც მთავარია, ვიცი, რომ არასდროს არაფერი შეიცვლება. ხშირად ვფიქრობ, რატომ შემირთო ცოლად, რაში ვჭირდებოდი-მეთქი, მაგრამ, პასუხი დღემდე არ მაქვს. ყველაზე მეტად კი შვილებზე ვნერვიულობ – არ მინდა, მამასავით ცინიკოსები გაიზარდონ.

**მაგდა, 39 წლის.**

## საკუთარ თავზე ვბრაზდები

ძვირფასო „თბილისელებო!“

მოკლედ გიამბობთ ჩემი სატკივრის შესახებ:

ვსწავლობ თბილისის ერთ-ერთი ცნობილი სკოლის მეცხრე კლასში. ვუყვარვარ თანაკლასელ ბიჭს – გიოს, რომელიც დიდად პოპულარული არც გოგოებშია და არც ბიჭებში, რადგან, ძალიან ზრდილობიანი და წესიერია. თანაც, ყველაზე კარგად სწავლობს. „ავარდნილი“ ბიჭები ზურგსუკან ხან „დედიკოს ბიჭს“ ეძახიან, ხან „შკოლნიკს“, ხან – ფრიადოსანს (დაცინვით), მაგრამ, ამ ყველაფრის პირში თქმას ვერ უბედავენ, რადგან, ისეთი ღონიერია, ყველას ერთად მოერევა. ზუსტად ვიცი, თითოეულ მათგანს მაგრად შურს მისი, დაცინვით ცდილობენ, დაამცირონ, რადგან ის მათნაირი არ არის და ასე იმკვიდრებენ გოგოებში „მაგარი ტიპების“ სახელს. ანუ, ამით ფარავენ თავიანთ შურს და რაღაც დონეზე გამოსდით კიდეც, რადგან, თითქმის მთელმა კლასმა გაინაპირა გიო, მხოლოდ მაშინ კადრულობენ მასთან ურთიერთობას, როცა რამეში სჭირდებათ (მაგალითად, საკონტროლო წერის დროს გადაწერა რომ უნდათ ხოლმე). გიო ყველაფერს ხვდება, მაგრამ, დახმარებაზე უარს მაინც არავის ეუბნება.

მე ძალიან მომწონს გიო, თითქმის მიყვარს კიდეც, მაგრამ, მეშინია, კლასმა მეც არ გამრიყოს და ამიტომ ახლოს არ ვიკარებ. მერე კი სინდისი მქენჯნის. ძალიან ვბრაზდები საკუთარ თავზე, რომ მეც მათნაირი გავხდი და, თანაც, ისეთი მხდალი აღმოვჩნდი, სხვის დასანახავად გიოსთან ჩვეულებრივ დალაპარაკებასაც კი თავს ვარიდებ. გიო ამასაც ხვდება, მაგრამ, არაფერს მეუბნება და მაინც მაგრძნობინებს, რომ ვუყვარვარ. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, ვარ კი ასეთი ბიჭის სიყვარულის ღირსი?!

**მაკა, 15 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**საბავშვო „ახალ ხმასთან“ ერთად, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ კულტურის ბლოკს, კვირაში სამჯერ დაემატა რუბრიკა, რომლის წამყვანი, თოთხმეტი წლის ენერგიული და მხიარული ლიზა მაღრაძე კონკურსის მონაწილეებს, მწვრთნელებს გვაცნობს და პროექტის კულისებში გვახედებს. ლიზა ბადრი პატარკაციშვილის შვილიშვილია. ცნობილ ბაბუას ის განსაკუთრებით თბილად იხსენებს და ამბობს, ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებია, რომ ნამდვილი თოვლის ბაბუ და მისი ყველაზე დიდი გამანებივრებელი ცოცხალი აღარ არის.**

# რა სურვილებს უსრულებდა ბადრი პატარკაციშვილი ლიზა მაღრაძეს და საიდან გამოიქცა ის

**ლიზა მაღრაძე**: ბავშვობიდან მინდა ჟურნალისტობა, ყოველთვის მომწონდა ეს პროფესია. სულ პატარა ვიყავი, როდესაც „იმედის დილის“ გადაცემა, დილის ფოსტა მიმყავდა თათია გიორგობიანთან ერთად. მაშინაც ძალიან მომწონდა და ეს სიყვარული დღემდე გაგრძელდა. კამერასთან კონფლიქტი არასდროს მქონია, თუმცა, რომ გითხრათ, იმ პერიოდში დიდად აღვიქვამდი, რა ხდებოდა ჩემს თავს და ვხვდებოდი, იმ კამერის უკან მილიონობით ადამიანი რომ იყო, მოგატყუებთ. ეს ჩემთვის თამაში იყო და ვერთობოდი. ხანდახან ეთერში ისეთ რაღაცეებს ვამბობდი, რომ ცოტა უხერხულიც იყო.

**– ყველა ბავშვის ოცნება: „ტელევიზორში ვჩანდე,“ შენთვის ბუნებრივი მდგომარეობა იყო?**

– კი, თითქოს სახლში ვიყავი. ამ გადმოსახედიდან ვხვდები, რომ მხოლოდ იმიტომ მიხაროდა ეს ყველაფერი, რომ თათიაც იქ იყო და ვფიქრობდი, რა მაგარია თათიასთან ერთად ტელევიზორში ვარ-მეთქი. ახლა მივხვდი, რა ჯადოსნურ სამყაროსთან მქონია საქმე. ამ ერთი კამერის დახმარებით რამდენ ხალხთან გაქვს ურთიერთობა – მათ აზრი უყალიბდებათ შენზე. მთელი ამ დროის განმავლობაში ყოველთვის მინდოდა ტელევიზია, მინდოდა რაღაც გამეკეთებინა. ამ დროს დაიწყო საბავშვო „ვოისი“, ძალიან საინტერესო პროექტი და მითხრეს, რომ „ქრონიკის“ კულტურის ბლოკში „ვოისთან“ დაკავშირებული რუბრიკა უნდა წამეყვანა. ძალიან გამიხარდა.



ნატვრის თვალს უფრო მეტ ნატვრის თვალს ვთხოვდი. კიდევ ერთი ხუთი ნატვრის თვალი მინდოდა

**– შენ მღეროდი კიდეც არა?**

– კი და ახლაც ვმღერი. თათია გიორგობიანთან ერთად სიმღერა რომ ჩავწერე, ოთხი წლის ვიყავი და იმ სიმღერაზე გადაღებული კლიპი ძალიან პოპულარული იყო. მახსოვს, სიმღერის ჩაწერა და კლიპის გადაღება საერთოდ არ მინდოდა, ვერც ვხვდებოდი, ეს რა იყო. მარტო იმას ვგრძნობდი, რომ ვიღლებოდი და მაწვალებდნენ ***(იცინის).*** მერე ვიწყებდი წუწუნს, ტირილს და ვიყავი ერთ ამბავში. ფრაგმენტებად მახსოვს ეს ჩაწერები, არ მინდოდა. მახსოვს, რაღაცეებს მჩუქნიდნენ, რომ არ მეტირა და ჩაწერა გამეგრძელებინა. სხვათა შორის, ნატვრისთვალი მაჩუქეს, რომელსაც, ძირითადად, უფრო მეტ ნატვრის თვალს ვთხოვდი. კიდევ ერთი ხუთი ნატვრისთვალი მინდოდა ***(იცინის).*** ამის შემდეგ, ერთი პერიოდი, საერთოდ აღარ ვმღეროდი, მაგრამ რამდენიმე წელია, ისევ დავიწყე. მაგრამ ვმღერი მოყვარულის დონეზე, არ ვსწავლობ.

**– რას უსმენ, ზოგადად?**

– კონკრეტულად საყვარელი ჟანრი არ მაქვს, ყველაფერს, რაც მომწონს და რისი განწყობაც მაქვს. ვმღერი იმას, რაც მომწონს. ბოლო ერთი წელია, უკვე სერიოზულად ვფიქრობ, რომ ვიმღერო. სხვათა შორის, „ბასტი-ბუბუს“ კონცერტზე გამოვედით მე და ჩემი მეგობრები – მე, ლიზა ყენია და მარიამ ბოკერია. ცოტა ხნის წინ, მე და სალომე ქათამაძემ რუსა მორჩილაძის სიმღერა ჩავწერეთ, რომელიც „იმედის“ ათი წლის იუბილეზე ვიმღერეთ. ჯერჯერობით „ვოისზე“ ვარ გადართული, მაგრამ მინდა, სიმღერაზეც ვიფიქრო.

**– არ გაქვს სურვილი, „ვოისში“ ან რაიმე მსგავს პროექტში მიიღო მონაწილეობა?**

– კონკურსებში მონაწილეობას ვერასდროს მივიღებ, შეიძლება ნერვიულობისგან მოვკვდე. ის კი არა, ეთერში რომ ვარ, მაგაზეც საშინლად ვნერვიულობ. ვერც წარმომიდგენია ასეთ კონკურსზე როგორ უნდა მივიღო მონაწილეობა. ეგ კი არა, „ახალი ხმის“ ბავშვებზეც ისე ვნერვიულობ, თითქოს მე უნდა გავიდე სცენაზე, ვიტანჯები.

**– გულშემატკივრობ ვინმეს?**

– ნინი ნუცუბიძეს, ჩემი მეგობარია.

**– რა პროფესიას აირჩევ, ამაზე გიფიქრია?**

– სამსახიობოზე მინდა ჩაბარება. ვისწავლი თეატრალურში და პარალელურად, ჟურნალისტიკაზეც.

**– პრინციპში, წამყვანების დიდი უმრავლესობა მსახიობია. არ იქნება ეს პრობლემა.**

– მეც ასე მგონია.

**– შენი ოჯახი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. როგორ გაიხსენებ ბაბუას?**

– სულ ასეც არ იყო. ყოველთვის ყურადღების ცენტრში არ ვიყავი იმის გამო, რომ ბადრი პატარკაციშვილის შვილიშვილი ვარ. თავადაც ვირიდებდი ამ ყველაფერს და არ მომწონდა ზედმეტი ყურადღება. ჩვეულებრივ სკოლაში დავდიოდი და არ მომწონდა, ჩემი ოჯახის გამო, ვინმე რაიმეს თუ გამიკეთებდა. ყველანაირად ვირიდებ პრივილეგიებს, არ მომწონს ეს.

**– ბაბუას როგორ გაიხსენებ?**

– ჩემთვის ის არასდროს ყოფილა ბიზნესმენი, პოლიტიკოსი. ის იყო ძალიან საყვარელი, ულვაშებიანი ბაბუა. არც ვიცოდი, რომ ბიზნესმენი იყო. ოჯახში ბადრი განსაკუთრებულად მიყვარდა, თოვლის ბაბუა იყო და იმიტომ. ყველა სურვილს მისრულებდა.

**– ბევრი ისტორია გექნება მის თოვლის ბაბუობასთან დაკავშირებით.**

– კი, უამრავი. აღდგომა იყო, მთელი ოჯახი შეკრებილი ვიყავით, ლოცვებს ვკითხულობდით ებრაულად. მოკლედ, სააღდგომო ტრადიციებს ვასრულებდით. ნანა – ბადრის და მეორე სართულზე ცხოვრობს, დიდი ბებია კი – მესამე სართულზე. პიანინოზე მომინდა დამეკრა. ავიტეხე, რომ ძალიან მინდა პიანინო, აუ, პიანინო! ბადრიმ მთხოვა, ცოტა ხანს გაჩუმდი, გეხვეწებიო. აიღო ტელეფონი, დაცვას დაურეკა და უცებ შემოაქვთ რაღაც დიდი ყუთი. ყუთი გახსნეს და გამიშალეს პიანინიო. დავჯექი და დავუკარი. სულ ასეთ რაღაცეებს მიკეთებდა.

**– ალბათ, ძალიან მძიმე იყო შენთვის მისი გარდაცვალება.**

– საშინელება. ვერც მივხვდი მაშინ, რა მოხდა, მერე და მერე უფრო გავაცნობიერე. სიმართლე გითხრათ, ახლაც მიჭირს იმის აღქმა, რომ ის აღარ არის.

**– მომიყევი თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

– ვმღერი ან ფოტოებს ვიღებ. მომწონს ფოტოგრაფია. ან მეგობრებთან ერთად ვარ. ვგიჟდები მეგობრებთან ერთად ყოფნაზე. რუსთაველის „ანტრე“ გვაქვს ამორჩემებული და სულ იქ დავდივართ ამ ბოლო დროს. სკოლაში და ერთმანეთთან სახლებში დავდივართ და ასე ვერთობით.

**– ამერიკული აკადემიიდან რატომ გამოიქეცი?**

**ოჯახში ბადრი განსაკუთრებულად მიყვარდა, თოვლის ბაბუა იყო და იმიტომ. ყველა სურვილს მისრულებდა**

– სიმკაცრის ან იმის გამო, რომ რთული იყო და ვერ ვსწავლობდი, არა. ჩვეულებრივად ვსწავლობდი. უბრალოდ, ვერ შევეგუე იქაურ სიტუაციას, მენატრებოდა ჩემი მეგობრები. სულ სხვა სისტემა იყო. პირველი, მეორე გაკვეთილის მაგივრად „ეი ბლოკი,“ „ბი ბლოკია.“ ერთსაათიანი ლანჩები. მოკლედ, სულ სხვა სისტემაა, სხვა ბავშვები და ვერ გავძელი. ამიტომაც დავუბრუნდი ჩემს მშობლიურ პირველ სკოლას, სადაც პირველი დღიდან დავდივარ.

**სალომე გველესიანი**

**სიმართლე გითხრათ, არც გამკვირვებია, როდესაც თითქმის შვიდი თვის ორსულ ანნა იმედაშვილს ინტერვიუს შესათანხმებლად დავურეკე და მითხრა: „ლოტუსში“ ვვარჯიშობ და იქ შევხვდეთო. ის ისეთი ლამაზი, აქტიური, ენერგიულია, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა. იდეა მომეწონა, რადგან ამით კიდევ ერთხელ შევახსენებთ ყველა ორსულს, რომ ბავშვის მოლოდინი ავადმყოფობა არ არის, რომლის გამოც სახლში უნდა იჯდე, არ იმოძრაო და ცხოვრების წესი შეცვალო. ეს ის ცხრა თვეა, როცა ყოველი დღით სიამოვნება უნდა მიიღო, შენ ხომ რჩეული ხარ, შენ დედა ხდები...**

# რის გამო უხდის მუცელში მყოფ შვილს ბოდიშებს ანნა იმედაშვილი

**ანნა იმედაშვილი**: ზაფხულში უკვე ექვსი წელი ხდება, რაც მე და დათო ერთად ვართ. ზოგადად, ყოველთვის გვინდოდა ბავშვი, ამაზე ვლაპარაკობდით კიდეც, მაგრამ ასე, კონკრეტულად, გადაწყვეტილების მიღება მიჭირდა. თან, საკმაოდ პატარა ვიყავი, დათოს რომ გავყევი... არც ისეთი პატარა, ზოგი შვილს ბევრად ადრეც აჩენს – ოცი წლის ვიყავი, მაგრამ სულ ვგრძნობდი, ამისთვის ჯერ მზად არ ვიყავი. მგონია, სწორად და კანონზომიერად მოხდა ყველაფერი, დროულად და მართებულად. ამ წლების განმავლობაში კიდევ უფრო კარგად გავიცანით ერთმანეთი, კიდევ უფრო დავახლოვდით. ბევრი დრო გვქონდა ერთმანეთისთვის. გავერთეთ, ყველა წუთს ვირგებდით, ვიცხოვრეთ ამერიკაში. ეს დრო აუცილებელია წყვილის ურთიერთობაში. გავიზარდე, ვიგრძენი, რომ მზად ვიყავი დედობისთვის. ვგიჟდებოდი და ვგიჟდები ბავშვებზე, მაგრამ ის, რომ დედა გახდე, ამას სხვა განწყობა სჭირდება. მეგობრები მეუბნებოდნენ, ასე მზად შესაძლოა, თავი არც არასდროს იგრძნოო, მაგრამ ასეც არ ყოფილა. გართობები მოვიყირჭე, ბოლო დროს ისედაც არ მიჩნდებოდა დიდად სადმე წასვლისა და გართობის სურვილი.

**– ანუ, დაგეგმილად მოხდა ყველაფერი?**

– იდეაში ვგეგმავდით, მაგრამ ამბავი მაინც ძალიან მოულოდნელი იყო. მაშინ „ახალი ხმის“ პირველი სეზონისთვის ვემზადებოდით, ჩაწერები დაწყებული იყო და აღმოვაჩინე, რომ თვენახევრის ორსული ვარ. მუშაობა ჩვეულებრივად გავაგრძელე. არ ვფიქრობ, რომ უნდა შევზღუდულიყავი, გადასარევად ვგრძნობდი თავს. თან, ასე აქტიურად რომ ვიყავი, ეს თვეებიც სწრაფად გავიდა. ახლა, რომ ვფიქრობ, უკვე მეშვიდე თვეში ვარ, არც მჯერა. მაგალითად, მეგობარი მყავს, რომელიც სამი თვის ორსულია, მაგრამ მისთვის საუკუნე გავიდა. ძალიან მშიშარაა, სულ სახლში ზის, აკვირდება თავის შეგრძნებებს. ასე რთულია.

**– პირველი ემოციები როგორი იყო?**

– შოკში ვიყავი. უზომოდ გამიხარდა, ვიტირე კიდეც ბედნიერებისგან. არ ვიცოდი რა მექნა, არაადეკვატური ვიყავი. ეს ამბავი ძალიან ცოტა ადამიანმა გაიგო, არ ვამბობდით. ის კი არა, დუტასთან ერთად თითქმის ყოველდღე ვმუშაობდი, გადაღებები, რეპეტიციები გვქონდა და მანაც კი არ იცოდა, სანამ ლაივებზე ერთ-ერთ, ძალიან მოტკეცილ კაბაში მუცელი არ დამეტყო. დუტაც შოკში ჩავარდა, ამას გვიმალავდიო?! საჯაროდ ამის დემონსტრირება არ მინდოდა.

**ისეთ პანიკაში ვიყავი, ყოველღამე მესიზმრებოდა, რომ ბავშვი ჩნდება და მე მზად არ ვარ, არაფერი მაქვს**

**– სქესი იცით?**

– თავიდავნე რაღაც ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ბიჭი იყო, მაგრამ ახალი დაფეხმძიმებული ვიყავი, როდესაც ექოსკოპია გავიკეთე და მითხრეს, გოგოაო. უცებ რომ წარმოვიდგინე, პატარა, საყვარელი გოგო ბანტებითა და კაბებით, ძალიან ადვილად მივიღე ეს ინფორმაცია, დავჯერდი და შევეგუე იმ ფაქტს, რომ გოგოა. დათო ბოლომდე არ ეპუებოდა ამ ამბავს, დარწმუნებით ამბობდა – ბიჭიაო. მეგობრები უკვე ხუმრობდნენ, როგორ უნდა ბიჭი, რომ არაფრით არ იღებს ამ ინფორმაციასო. ექოსკოპიამდე ზუსტად წინა დღით მითხრა: აი, ნახე, მიხვალ და გეტყვიან, ბიჭიაო. მივედი მართლა და არ მითხრეს, ბიჭიაო. დათოს რომ დავურეკე, მაგრად დამცინა, ხომ ვამბობდიო. გავგიჟდი კინაღამ. დავიბენი, მაგრამ აშკარად „ძაან ბიჭია“. თოთხმეტ თებერვალს, ვალენტინობას მიწევდა ექოსკოპია და დათომ მითხრა, უფრო მაგარ საჩუქარს ვერ გამიკეთებდიო. ბავშვს ძალიან ბევრი ბოდიში მოვუხადე იმის გამო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში სულ გოგოს ვეძახდი *(იცინის)*. როგორც გოგოს, ისე მოვიხსენიებდით. ახლა განვეწყვე, რომ უკვე ბიჭის დედა ვხდები.



**არ ვიცოდი, რა მექნა, არაადეკვატური ვიყავი. ეს ამბავი ძალიან ცოტა ადამიანმა გაიგო, არ ვამბობდით**

**– ძალიან აქტიური ორსული ხარ. გრამი არ გაქვს მომატებული.**

– მომატებული მაქვს, მაგრამ იმედია, მალე დავიკლებ. აქტიურად ვვარჯიშობ. ისე მოწმონს, შაბათ-კვირას რომ არ მოვდივარ, გიჟივით ვარ, ენერგიას ვერ ვხარჯავ და მინდა, მოვიდე. თან, აქ ბევრი ჩემნაირია *(იცინის)*. ნანკა კალატოზიშვილი დადის, კიდევ ერთი გოგო, რომელიც ბავშვს დღე-დღეზე ელოდება, მაგრამ ისე ენერგიულადაა, ვერც მიხვდები, ცხრა თვის ორსული თუა. ვლაპარაკობთ სულ ამ ჩვენს მდგომარეობაზე, უამრავი შეკითხვა გვაქვს, ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას, შეგრძნებებს და ძალიან კარგია.

**– ახლა სხვა სალაპარაკო თემა არც გაქვს ალბათ?**

– არ მეგონა, ასეთი პარანოიკი თუ ვიქნებოდი. *(იცინის)*. მეტზე ვერაფერზე ვფიქრობ და ვლაპარაკობ, დავძვრები ინტერნეტში, უამრავ ინფორმაციას ვიღებ. უკვე ვიყიდე საწოლი, „ქარსითი“. ყველა მეუბნება, რად გინდოდა ასე ადრეო, მაგრამ ისეთ პანიკაში ვიყავი, ყოველღამე მესიზმრებოდა, რომ ბავშვი ჩნდება და მე მზად არ ვარ, არაფერი მაქვს. მშვიდად მაინც დავიძინებ-მეთქი, ვიყიდე და ვარ ბედნიერი *(იცინის)*. აქტიურად ვფიქრობ სახელზე, ვარჩევ სახელებს, ვეცნობი ინფორმაციას მშობიარობაზე და ასე შემდეგ.

**– ესე იგი მზად ხარ მშობიარობისთვის.**

– მორალურადაც და ფიზიკურადაც, პრინციპში. უამრავ ისეთ ვარჯიშს ვაკეთებ, რომელიც მშობიარობის დროს გამომადგება, მათ შორის სუნთქვით ვარჯიშებს. ამისთვის სრულად მზად, ალბათ, არც ვიქნები, მაგრამ განწყობა კარგი მაქვს. სხვათა შორის, საერთოდ არ მეჩქარება ამ პერიოდის გასვლა და მგონია, რომ არც ვიტყვი, ერთი სული მაქვს როდის გაჩნდება-მეთქი. ორსულობას თავისი ხიბლი აქვს, ეს საოცარი შეგრძნებები ყოველდღე ხომ არ არის. ბავშვი რომ გაჩნდება ამით რაღაც ეტაპი მთავრდება – ეტაპი, როდესაც ის შენს სხეულშია, ორნი ხართ, სულ ერთად. ამაზე საოცარი რა უნდა იყოს?! ამას წინათ, ჩემს ექიმთან ვიყავი, ორსული გოგო იყო, რომელიც დღე-დღეზე საკეისროს იკეთებდა და უცებ მეუბნება, ძალიან მენანება, საშინლად მენანებაო. ფიზიოლოგიური რომ იყოს, კიდევ ხომ, მაგრამ ასე დაძინებულს ჩემგან გამოშვება მენანებაო. უცებ შევედი მის მდგომარეობაში, მივხვდი, რა იგულისხმა და რა აწუხებდა. ერთი შეხედვით, თითქოს სასაცილოა, მაგრამ... თან, ახლა აქტიურობის პერიოდი აქვს, ორი წამი თუ გადაერთე და სხვა რამეზე დაიწყე ფიქრი, მოგარტყამს და გატყობინებს, აქ ვარო.

**– ამის გამო არ მიგყავს ახლა საბავშვო „ვოისი“?**

– კი, ამის გამო. თან რუსკა ბავშვებს ძალიან უყვართ, სამორიც არაჩვეულებრივია და მოუხდნენ პროექტს ერთად. დიდების „ვოისში“ ისევ დავბრუნდები. შემოდგომიდან უკვე დიდების მეორე სეზონი იქნება.

**– ვიცი, რომ ფიქრობდი, ბავშვის ამერიკაში გაჩენას.**

– კი, ვფიქრობდი, ეს ძალიან კარგი იქნებოდა ბავშვისთვის სამომავლოდ, მაგრამ რაღაც ამ ბოლო დროს ცოტა მეშინია. ჯერ ვერ გადავწყვიტე, მაგრამ მგონია, რომ უფრო აქ გავაჩენ.

**– გინდა, რომ დათო მშობიარობას დაესწროს?**

– არა, არ მინდა. ალბათ, თვითონაც არ უნდა. სარეჟისოროზე სწავლის დროს, საკურსოებს აკეთებდნენ. ერთ-ერთმა მისმა ჯგუფელმა საკურსო მშობიარობის თემაზე გადაიღო და დათოს დახმარება სთხოვა. მოკლედ, ისე მოხდა, რომ ვიღაც ქალის მშობიარობას დაესწრო. ჯერ შენ ცოლზე რა რთულია და მერე ვიღაც ქალზე, რა შოკში იქნებოდა, წარმომიდგენია. ზოგადად, მგონია, კაცისთვის კი არა ქალისთვისაც ძალიან მძიმე საყურებელია ეს ამბავი. მე, მაგალითად, ვერავის მშობიარობას ვერ დავესწრებოდი. კაცისთვის, ალბათ, კიდევ უფრო რთულია. ზედმეტი მგონია მისთვის ამის ყურება და ტანჯვა. ისეც გადასარევად შედის ჩემს მდგომარეობაში და გვერდში მიდგას.

**– როგორი მამა იქნება?**

– დათო არაჩვეულებრივი მამაა თავისი ორივე შვილისთვის, იდეალური. მართლა სამაგალითო მამაა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები მასთან არ ცხოვრობენ. მგონია, რომ ახლა კიდევ უფრო მობილიზებული და მომზადებულია. უფრო დიდიცაა. ასეთი პირი უჩანს და იმედია, არ ვცდები *(იცინის)*.

**სალომე გველესიანი**



# როდის ხდება ქალის ცხოვრებაში სხვა კაცი უმნიშვნელოვანესი და რატომ არ აშინებს მას საყვარლის სტატუსი

**ქალს სჭირდება სითბო, ყურადღება და სიყვარული. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მამაკაცსაც სჭირდება, მაგრამ, ქალს ორმაგად აქვს ამის მოთხოვნილება. სამწუხაროდ, გათხოვების შემდეგ ქალები მწვავედ განიცდიან სიყვარულის, სითბოსა და ყურადღების დეფიციტს, რადგან, ქმრები მათ საყვარლის როლში აღარ განიხილავენ. ძალიან ბევრი მამაკაცისთვის ეს აბსოლუტურად ჩვეულებრივი ამბავია. რაც შეეხება ქალებს, უმრავლესობა ეგუება ასეთ მძიმე ყოფას. იკლავენ სიყვარულის მოთხოვნილებას, უჩნდებათ კომპლექსები, აქვთ დეპრესია და უარესობისკენ ეცვლებათ ხასიათი. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც „თამაშგარე" მდგომარეობას ვერ ეგუებიან და აცხადებენ, რომ აქვთ ბედნიერების უფლება!**

**თეიკო** *(37 წლის):* ვიცი, ბევრი გამკიცხავს ამ ჩემი გულახდილობისთვის – ჩვენთან ხომ არ არის მიღებული, ქალმა საკუთარ გრძნობებზე ილაპარაკოს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. მალავენ, თორემ, ძალიან ბევრ ქალს ჰყავს საყვარელი, ან – „მეგობარი" ოჯახის პარალელურად. მე მათ მსაჯულად არ გამოვდგები, მით უმეტეს, რომ ახლა თავად ვარ საყვარლის როლში. ზოგჯერ მიკვირს, ნეტავი აქამდე როგორ მივედი-მეთქი. სასურველი მდგომარეობა ნამდვილად არ არის. ვის უნდა აწეწილი ცხოვრება ჰქონდეს და ყოველ წუთს სკანდალს, აყალ-მაყალს ელოდებოდეს?! ვიყავი გათხოვილი, ვზრდიდი შვილს და საერთოდ არ ვაპირებდი არანაირი რომანის გაბმას, მით უმეტეს – სამსახურში.

**– სამსახურებრივი რომანი გაქვთ?**

– სამწუხაროდ, ასე გამოვიდა. ამას ნამდვილად არ ვისურვებდი. ქალისთვის გაცილებით მომგებიანი ვარიანტია სტაბილური ოჯახი – ამაში ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ, ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ვგეგმავთ და გვინდა. ყველაფერი რაღაცნაირად, თავისთავად მოხდა. ერთ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთის გარეშე არსებობა აღარ შეგვეძლო.

მამაკაცებიც იმავეს ამბობენ ხოლმე, როცა ცოლებს ღალატობენ – არ ვიცით, ეს როგორ მოხდაო. ახლა უკვე მესმის მათი. რთული გასაგებია, მაგრამ, მსგავსს რომ გამოცდი საკუთარ თავზე, ბევრ რამეს სხვანაირად დაინახავ და აღიქვამ. თუმცა, იმასაც ვხვდები, რომ ჩემს საქციელს გამართლება არ აქვს. ვაღიარებ – სუსტი აღმოვჩნდი. დღეს ვფიქრობ, რომ მთელი ცხოვრება სწორედ ასეთ ყოვლისმომცველ, ყველაფრის შთანმთქმელ, არანორმალურ სიყვარულს ველოდი; გიჟურს, ისეთს, უკანმოუხედავად რომ ჩაგითრევს თავის მორევში.

**– მაგრამ, არსებობს პასუხისმგებლობაც.**

– გეთანხმებით, მაგრამ, როცა გრძნობა იმარჯვებს, პასუხისმგებლობას ადგილს აღარ უტოვებს. მეც აღარ დამიტოვა. ისე გადავეშვი ამ სიყვარულის მორევში, ერთი წუთითაც არ ვიფიქრე, რომ საყვარელი მამაკაცი სხვას ეკუთვნოდა და არც მე ვიყავი თავისუფალი.

**– გათხოვილმა ქალმა დაქორწინებული მამაკაცი გაიჩინეთ საყვარლად?**

– საშინლად ჟღერს, ხომ? თხუთმეტი წელი ვიყავი გათხოვილი და პატიოსანი ქალი. ამ დროის განმავლობაში ვინმეს რომ ეთქვა, შენ ორმაგი ცხოვრება გექნება, ქმარს უღალატებ და სხვის ოჯახს დაანგრევო, გადავირეოდი. ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ რაღაც ეტაპზე, სხვა მამაკაცი, ფაქტობრივად, სრულიად უცხო, უმნიშვნელოვანესი გახდებოდა ჩემს ცხოვრებაში.

**– ანუ, ახლაც ვერ აცნობიერებთ, ეს როგორ მოხდა?**

– იცით, რაშია საქმე? როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს სიყვარული, ადრე თუ გვიან, გონება მაინც განათდება და საღად აზროვნებას იწყებ. ინანიებ შენს ნაბიჯს თუ არა, რთული სათქმელია, მაგრამ, აუცილებლად გიჩნდება სურვილი, საკუთარ თავთან მაინც იყო მართალი. რაღაცას გეტყვით და, შეიძლება, გაგიკვირდეთ: დღეს რომ არჩევნის წინაშე დავდგე, ისევ არ ვიტყოდი უარს იმ შესანიშნავ გრძნობაზე, რომელიც მქონდა და მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ რეალობის განცდა სულ მქონდა, თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩვენს სიყვარულს მომავალი არ ექნებოდა. ყველაფრისთვის მზად ვიყავი. ჩვენს ასაკში სიყვარული ძალიან საშიში ყოფილა. იცი, რომ არ შეიძლება, ყველაფერს ხვდები, მაგრამ, შეგნებულად დგამ სახიფათო ნაბიჯს. ხელის ერთი მოსმით ანგრევ სტაბილურობასა და სიმშვიდეს. შლი ყველაფერს, რაც მანამდე გქონდა და ბედნიერებას განიჭებდა. მომხდარში მარტო მე არ ვარ დამნაშავე. ბრალდებას არ ვუყენებ, მაგრამ, ჩემს ქმარსაც მიუძღვის წვლილი იმაში, რომ მე გული სიყვარულისთვის გამეხსნა. მე უკვე „სტაჟიან" საყვარლად ვითვლები. ჩვენი ურთიერთობა მაშინ არ დაწყებულა. საკმაოდ დიდი მსხვერპლი გავიღე სიყვარულისთვის. სამი წელია, ცოლიანი მამაკაცი მიყვარს.

**– იმასაც უყვარხართ?**

– კარგი შეკითხვაა. ანუ, ღირს თუ არა მსხვერპლად ის, ვისთვისაც ჩემი ცხოვრება სასწორზე დავდე... მინდა გითხრათ, რომ ჩვეულებრივი მამაკაცია.

**– ეს რას ნიშნავს?**

– იმას, რომ სიყვარულის სიძლიერე საერთოდ არ არის დამოკიდებული კონკრეტულად იმ ადამიანზე, რომელიც გიყვარს. უკეთ გეტყვით – განსაკუთრებულობისთვის არ შემიყვარებია,

**თხუთმეტი წელი ვიყავი გათხოვილი და, ვინმეს რომ ეთქვა, შენ ორმაგი ცხოვრება გექნება, ქმარს უღალატებ და სხვის ოჯახს დაანგრევო, გადავირეოდი**

საამისო არაფერი ჰქონდა. ვაიმე, ეს ვინ ვნახე და რა ვნახეო – ასეთი პიროვნება ნამდვილად არ არის. სიყვარული ბრმა არისო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი. ორი წლის წინ ჩემს საყვარელზე ერთი სიტყვის თქმასაც ვერ შევძლებდი. ისეთი ძლიერი გრძნობა მქონდა, რომ არაადეკვატური ვიყავი. ბუნებრივია, ვერანაირად ვერ შევაფასებდი პარტნიორის სიყვარულის ხარისხს – გრძნობა არ მომცემდა ამის საშუალებას და არც მომცა. რომ ამბობენ, დრო მკურნალიაო, იქვე ისიც უნდა თქვან, რომ დრო მკვლელიც არის. ყველაფერს კლავს, რაც გუშინ მშვენიერი იყო. ასე დაემართა ჩემს სიყვარულსაც.

**– ანუ, გაქრა სიყვარული?**

– არა, არ გაქრა, სხვა ეტაპზე გადავიდა. ეს ასე მარტივად ასახსნელი არ არის. მახსოვს, როგორ გავიცანი – ის შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში როგორც ახალი თანამშრომელი. საკმაოდ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. უბრალოდ, გავიცანი და მერე შესვენებაზე, სასადილოში თუ გადაიკვეთებოდა ჩვენი გზები. იმ პერიოდში ჯერაც ქმრის ერთგული, წესიერი და მეოჯახე ქალი ვიყავი. ქმართანაც ნორმალურად მქონდა ყველაფერი. ჩვეულებრივი წყვილი ვიყავით – სიხარულებით და პრობლემებით. მოკლედ, სამსახურში გამოჩნდა ჩვეულებრივი, ნორმალური მამაკაცი. ზომიერად სიმპათიური და თავაზიანი. რამდენიმე ქალბატონი თანამშრომელი ძალიან აქტიურად ეფლირტავებოდა და მე ვბრაზობდი, რას აკეთებთ, ხომ იცით, რომ ცოლი ჰყავს-მეთქი. იცინოდნენ, – კარგი რა, ვერთობით, სერიოზულად რაში გვჭირდებაო.

**– იმის თქმა გინდათ, რომ ფლირტისგან შორს იყავით?**

– ძალიან. ყოველთვის ვარიდებდი თავს სახიფათო თამაშებს და ფლირტი არის კიდეც სახიფათო თამაში. ნურავის ეგონება, რომ ფლირტი უწყინარი გასართობია. ისე შეტოპავ, ვერც კი მიხვდები, როგორ აღმოჩნდები სიყვარულის კლანჭებში. სახლში შვილი მყავდა, ქმარი და უამრავი საზრუნავი მქონდა. მინდოდა ზედმეტი პრობლემები?! მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად ჯანსაღად და რეალურად ვაზროვნებდი, მაინც გავები მახეში. სხვათა შორის, ჩემი ერთ-ერთი თანამშრომლის „დამსახურებით". განა იმას ვაბრალებ, უბრალოდ, მინდა ზუსტად მოვყვე, რა მოხდა და როგორ. ეს ჩემი თანამშრომელი მოვიდა და მითხრა, მაგ ტიპს აშკარად შენ მოსწონხარ, ჩვენ არანაირ ყურადღებას არ გვაქცევს, მიდი რა, ცოტა გავათამაშოთ. შენ ხომ არ მოგწონს, ცოლიანი კაცი რომ ამჩატდება ხოლმე, ჰოდა, გავერთოთო. ჯერ უარი ვთქვი, მერე ვიფიქრე: რატომაც არა? მის მიმართ არანაირი სიმპათია არ მაქვს, ცოტას მეც გავერთობი-მეთქი. მოკლედ, სკოლის მოსწავლე გოგონასავით ავმჩატდი. მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ ყველა მამაკაცის „აგდება" შეიძლება. დავწერეთ ბარათი და მაგიდაზე დავუდეთ.

**– ეს სასიყვარულო წერილი იყო?**

– დიახ. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი სისულელე გავაკეთე. დავწერე, თქვენ მე მომხიბლეთ-მეთქი. მრცხვენია, ჩემს გრძნობას რომ გიმჟღავნებთ, მაგრამ, თავს ველარ ვაკონტროლებ-მეთქი.

**– რას ელოდით ამ წერილის საპასუხოდ, საერთოდ არ გიფიქრიათ მოსალოდნელ შედეგებზე?**

– ჩემი ჭკუით, ვითომ ვიფიქრე, მაგრამ, საბოლოოდ, სხვანაირად გამოვიდა. ვიცი, ძალიან უპასუხისმგებლოდ მოვიქეცი, მაგრამ, ვერაფრით წარმოვიდგენდი იმას, რაც მოხდა, მით უმეტეს, რომ ქვემოთ სახელი არ მიმიწერია. ანუ, იმან არ იცოდა, ვისგან იყო ეს ბარათი. წაიკითხა და დაიწყო, რაც დაიწყო... სამწუხაროდ, უკანდასახევი გზაც ჩაიკეტა. არ ვიცი, რანაირად მოხდა, რომ მეორე დღეს, შესვენებაზე პირდაპირ მე მომადგა და მითხრა: ჭკუიდან გადამიყვანე, პირველივე დღიდან შენით ვარ მოხიბლული და ღამითაც კი შენზე ვფიქრობ. არ

# რატომ ეძებს ათენში მცხოვრები ქალბატონი მეუღლეს და როგორ მიატოვა ოჯახი 17 წლის წინ იაროსლავლში ქართველმა მამაკაცმა

***49 წლის თამარ იოსების ასული მაჭარაშვილი ეძებს 59 წლის თეიმურაზ მიხეილის ძე ტორაძეს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ქმარს – 59 წლის თეიმურაზ მიხეილის ძე ტორაძეს. 1996 წლის შემდეგ ის არც მე და არც ჩემს შვილებს არ გვინახავს. უკვე ჩვიდმეტი წელია გასული მას შემდეგ, რაც ჩემი ქმარი საქართველოში არ ჩამოსულა და არც ერთხელ არ დაურეკავს ჩვენთვის. რუსეთში მას ჰყავს კიდევ ერთი შვილი (ვაჟი) სხვა ქალისგან. ჩემი აზრით, თეიმურაზი იაროსლავლში, თავის მეორე ოჯახთან ერთად უნდა იყოს. ჩემს შვილებს ძალიან უნდათ მამის პოვნა. ჩვენი უფროსი შვილი უკვე 28 წლისაა, უმცროსი კი – 21-ის.

**– როგორ დაკარგეთ მეუღლე, რა იყო თქვენი დაშორების მიზეზი?**

– ჩემი მეუღლე დაიბადა 1954 წლის 5 იანვარს და გაიზარდა ყვარელში. მე და მას გვყავს სამი ქალიშვილი. ჩვენი უფროსი გოგონა უკვე 28 წლისაა. მოგეხსენებათ, რა არეულობა იყო საქართველოში 1992 წელს. სწორედ ამის გამო, ჩვენ ოჯახით გადავედით საცხოვრებლად იაროსლავლში, სადაც თეიმურაზი მუშაობდა დისტრიბუტორად. იაროსლავლში ყოფნისას თეიმურაზმა გაიცნო ვიღაც ქალი, რომლისგანაც შვილიც კი გაუჩნდა. ის ბიჭი ამჟამად დაახლოებით 17-18 წლის უნდა იყოს. მას სახელად მიხეილი ჰქვია. ჩვენ ჩამოვდიოდით ხოლმე ყვარელში და ერთ-ერთი ასეთი ჩამოსვლის დროს თეიმურაზმა გადაწყვიტა, თბილისში ჩასულიყო (სადაც ჩემი და ცხოვრობს). მას იმედი ჰქონდა, რომ რამე სამსახურს მოძებნიდა. 1997 წლის მარტში ის ჩემი დის ოჯახიდან დილით ადრე გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

**– ანუ, ის საქართველოში, კონკრეტულად თბილისში დაიკარგა. რატომ ფიქრობთ, რომ იაროსლავლშია?**

– თეიმურაზის სახლიდან წასვლის მეორე დღესვე, ჩემს დას მოუვიდა ტელეფონის გადასახადი, რაღაც ენით აუწერელი თანხა. როდესაც ვნახეთ, აღმოჩნდა, რომ ჩემი ქმარი სულ იაროსლავლში რეკავდა იმ ქალთან. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის სწორედ იაროსლავლში უნდა იყოს და არა საქართველოში. სანამ რუსეთში ვცხოვრობდი, მას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ აქ დამკვიდრებისთვის საჭიროა გვარი შევიცვალოო. სავარაუდოდ, ის ამჟამად თავის გვარზე არ არის.

**– აქამდე თუ ეძებდით ქმარს და, თუ საიდუმლო არაა, რა მიზნით ეძებთ მას ამდენი წლის შემდეგ?**

– მას მერე, რაც თეიმურაზი წავიდა, ჯერ მამამისი გარდაიცვალა, შემდეგ კი – დედამისი და მან ეს არც კი იცის. მისი მშობლები მე დავასაფლავე. ბავშვებიც მე გავზარდე მარტომ – რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე ჩემი შვილებისთვის. მე თეიმურაზისგან არაფერი მინდა, უბრალოდ, მაინტერესებს, როგორაა და, საერთოდ, ცოცხალია თუ არა. ამჟამად მე ათენში ვცხოვრობ, აქ ვმუშაობ და თქვენ მიერ დაბეჭდილ ისტორიებს ყოველთვის ვკითხულობ. სულ მინდოდა თქვენთან დაკავშირება და როგორც იქნა, მოვახერხე. ჩემს შვილებს, განსაკუთრებით უფროსსა და შუათანას (რადგან პატარას ის არ ახსოვს), ძალიან უნდათ მამის პოვნა.

**– იმ ქალის შესახებაც თუ არის თქვენთვის რამე ცნობილი, ვისგანაც თქვენს მეუღლეს შვილი ჰყავს? მის გვარზე ხომ არ გადავიდა თქვენი მეუღლე?**

– ვიცი, რომ იმ ქალს ჰქვია ელენა ბარანოვა და, სავარაუდოდ, 45 წლის უნდა იყოს. თუ არ ვცდები, მისი მამის სახელი ნიკოლოზია. მეტი მის შესახებ არაფერი ვიცი. ჩვენ ათასჯერ დავრეკეთ იმ ტელეფონის ნომერზე, რომლიდანაც ჩემს დას უზარმაზარი ანგარიში მოუვიდა, მაგრამ, ჩვენ სულ ერთსა და იმავეს გვეუბნებიან – თქვენ ცდებით, ეს ბინა კი არა, მაღაზიაა და ნომერი გეშლებათო. ჩვენ არ შეგვიცვლია არც ტელეფონის ნომერი და არც მისამართი, მაგრამ, 17 წლის განმავლობაში ჩემი ქმარი არც ერთხელ არ დაგვკავშირებია, თავისი შვილებიც კი არ მოუკითხავს.

**– პოლიციისთვის თუ მიგიმართავთ?**

– დიახ, როგორ არა, მაგრამ, როგორც ყვარლის პოლიციის განყოფილებაში გვითხრეს, მათ გაგზავნეს წერილი იაროსლავლის პოლიციის სამმართველოში, საიდანაც მოსვლიათ პასუხი, რომ ასეთი გვარითა და სახელით აქ არავინ ცხოვრობსო, თუმცა, პირადად მე ეს უარი არ მინახავს.

**– რა განათლება აქვს თქვენს მეუღლეს და ჰყავს თუ არა მას დედმამიშვილები?**

– თეიმურაზი დედისერთაა და მას დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. თავის დროზე ის მუშაობდა ყვარელში, რაიკავშირში მთავარ ეკონომისტად, მაგრამ, ამჟამად სად ან რაზე შეიძლება ის მუშაობდეს, ნამდვილად არ ვიცი. რომ შეგვეძლოს იმ ქალის – ელენა ბარანოვას პოვნა, მას ეცოდინებოდა თეიმურაზის ასავალ-დასავალი.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

ვიცი, რა მოხდა ჩემში, რა „ჩაირთო“, შეიძლება, ქალური პატივმოყვარეობა, ან, შეიძლება, ყველა ქალი მართლაც უჭკუო და ქარაფშუტაა... მოკლედ, იმის „აგდება“ მინდოდა და სინამდვილეში მე „ავვარდი“. სადმე წავიდეთო. არ გავყევი – ქმარი მყავს-მეთქი. ის ბარათი ერთი სიტყვითაც არ უხსენებია არც მაშინ და არც მერე. რამდენიმე კვირა აღარც გამომლაპარაკებია. მდუმარედ მივლიდა გარშემო. მერე ჩვენი თანამშრომლის დაბადების დღე იყო და ოფისში აღნიშნა. ცოტა დავლიეთ, ბევრი ვიცეკვეთ. ერთი-ორჯერ იმასთანაც ვიცეკვე და მივხვდი, რომ მის მიმართ რაღაც გრძნობა გამიჩნდა. ეტყობა, ეს გარეშე თვალისთვისაც შესამჩნევი იყო, რადგან, მეგობარმა გამაფრთხილა – აღარ გინდა, თორემ, ეს უკვე საშიში ხდება, თამაში ცუდად არ დამთავრდესო. დავეთანხმე, თუმცა, უკვე გვიან იყო. საკუთარ თავსაც ვუთხარი, მგონი, დავიღუპე-მეთქი.

**ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ცხოვრების რაღაც ეტაპზე, სხვა მამაკაცი, ფაქტობრივად, სრულიად უცხო, ჩემთვის უმნიშვნელოვანესი გახდებოდა**

**– ესე იგი, ხვდებოდით, რასაც აშავებდით?**

– როგორ არ ვხვდებოდი... ვინმე ვერ ხვდება ამას?! რა სისულელეა, ყველა ყველაფერს ხვდება. მაგრამ, არის მომენტები, როცა საკუთარ თავს აღარ ებრძვი – ველარ ებრძვი და ნებდები. შეიძლება, უფრო ძლიერი უნდა აღმოვჩენილიყავი. გაბრძოლება-გაფართხალება იყო ჩემი უსუსური არგუმენტი, რომ ქმარი მყავს და ეს არ უნდა გავაკეთო-მეთქი. მაინც გავაკეთე. თვეები დასჭირდა ჩვენი ურთიერთობის გაღრმავებას, მაგრამ, მაინც გაღრმავდა და მოსახდენიც მოხდა... მანამდე იყო გაცილებები სახლამდე, შეყვარებულებივით ხელიხელჩაკიდებული სეირნობა წვიმაში, ყვავილები და სასიყვარულო მიმოწერა – ეს უკვე ღალატი იყო ქმრისაც და ოჯახისაც. როცა თვალებში ვუყურებდით ერთმანეთს, ვხვდებოდი, რომ თავს ვკარგავდი. ისიც ამ დღეში იყო. არც მას ეადვილებოდა დანებება...

**– თქვენ თქვით, რომ მისი ცოლიც მოგივარდათ და სკანდალი მოგიწყოთ.**

– დიახ და ამის გამო სამსახური დავტოვე. საშინელი დღე მქონდა. გამლანძღა, თან ტიროდა. შინაგანად მე მას თანავუგრძნობდი. იმ წუთებში მძულდა საკუთარი თავი, მაგრამ ჯიუტად არ დავიხიე უკან. არ დავთმე და ვუთხარი, ჩემი სიყვარული ამ ყვალაფერზე მაღლა დგას-მეთქი. წარმოუდგენელი სითავხედე იყო ჩემი მხრიდან ეს სიტყვები...

**– თქვენმა მეუღლემ როგორ მიიღო ეს ამბავი?**

– ჩემმა მეუღლემ დღესაც არ იცის, რომ მოღალატე ცოლი ჰყავს. ყველა საინფორმაციო საშუალება „გადავკეტე“ და ისეთი რაღაცეები ჩავიდინე, რომ ინფორმაციამ არ გაჟონა. არ მკითხოთ, ეს როგორ მოვახერხე. მოკლედ გეტყვით – ჩემი ქმრის გულუბრყვილობითა და ნდობით ვისარგებლე და ეს კიდევ უფრო ამძიმებს ჩემს დანაშაულს, მაგრამ, უკვე ველარაფერს შევცვლი.

**– კიდევ გაქვთ ურთიერთობა?**

– პერიოდულად მაინც ვხვდებით ერთმანეთს, როცა მონატრებას ვერ ვჯობნით. იმან ცოლი დაარწმუნა, რომ ჩემთან ყველაფერი დაამთავრა და ასე ვთამაშობთ პატიოსანი მეუღლეების როლს, მაგრამ, სადამდე გაგრძელდება ეს, არ ვიცი...

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**შეყვარებული მყავს და ერთად თავს კარგად ვგრძნობთ. თითქოს ყველაფერი კარგად არის, მაგრამ, ერთი გარემოება ძალიან მაშფოთებს – სულ მეუბნება, შენ არ დარეკო, მე თვითონ დაგირეკავო... არ მინდა, ვეჩხუბო ან ვეკამათო. ამიტომ, ვუჯერებ. მაგრამ, ზოგჯერ მთელი კვირით იკარგება, მე კი ვნერვიულობ. ამ ბოლოს რამდენჯერმე ვცადე, დამერეკა და ავტომოპასუხე ჩაირთო. იქნებ, პარალელურად სხვასაც ხვდება? უკვე ვნერვიულობ. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** თქვენი შფოთვა სრულიად გასაგებია. ეჭვი, რომელიც გაგიჩნდათ, საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის. ნდობა კარგია, მაგრამ, მას დამსახურება სჭირდება. აუცილებლად დაელაპარაკეთ თქვენს შეყვარებულს და აუხსენით, რატომ ხართ შეწუხებული. უთხარით, მოეწონებოდა თუ არა ასეთივე საქციელი თქვენგან. ასეთი ნიუანსები ურთიერთობის დასაწყისშივე უნდა გაარკვიოთ, რათა მომავალში სერიოზულ პრობლემებში არ გადაიზარდოს. მერე სიტუაციის გამოსწორება გაცილებით გართულდება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**უკვე მესამე სეზონია, რაც ქართულ ტელეეკრანებზე წარმატებით გადის სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“. ჩვენ გადამღებ ჯგუფს გადასაღებ მოედანზე ვეწვიეთ. შემდეგ მთავარ პერსონაჟებთან ერთად „ბაბულიკური“ ფოტო გადავიღეთ და „ბაბულიკური“ ინტერვიუს ჩაწერასაც შევუდექით. თუმცა, როგორ გამოგვივიდა, თქვენ განსაჯეთ...**

# როგორ შექმნეს პროგრესული „ბაბულიკების კამანდა“ კოტე თოლორდავამ, გიორგი ყიფშიძემ, კახა აბუაშვილმა და სანდრო კაკულიამ

**– ვინ ხართ „ბაბულიკები“, როგორები ხართ?**

**კოტე თოლორდავა**: კაი ტიპები ვართ.

**გიორგი ყიფშიძე**: „ბაბულიკები“ – ასეთი ჟარგონი თუ სლენგია. 90-იანი წლების მეორე ნახევრის თბილისურ პოპულარულ უბნებში ასე ახასიათებდნენ მოძველბიჭო, კაიტიპურ, „ქულ“ ტიპების კასტას.

**კოტე**: ახლაც ასე ეძახიან ვიღაც-ვიღაცეები.

**სანდრო კაკულია**: რაღაც კატეგორიაში ისევ ასე ეძახიან, კიდევ რაღაც კატეგორიაში ცოტა „ღადაობაც“ არის.

**კოტე**: „ბაბუს“, რომ ამბობ, ადრე თუ სტატუსი იყო, ახლა ხუმრობის ფორმად იქცა.

**სანდრო**: მაგალითად, ჩემთვის, ჩემხელებისთვის.

**– სანდრო, მგონი, შენ ყველაზე უმცროსი ხარ ამ სამეგობროში.**

**კაბუ**: ლაწირაკია.

**სანდრო**: მე „ვღადაობ“ „ბაბუზე“ და ესენი მართლა ასე ეძახიან.

**გიორგი**: „ერთხელ ამერიკაში“ ყველას გვინახავს და ჩვენს თაობაში მისი გმირები რომანტიკულ გრძნობებს იწვევდნენ. კოტე უფრო მაქსობს...

**კოტე**: იმას კი არ იტყვის, ეგ არისო!... „მაქსობსო“ ***(იცინის).***

**– თქვენ როდიდან მოდიხართ?**

– ჩვენ ერთი თაობა ვართ.

**გიორგი**: ერთ უბანში გავიზარდეთ, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ერთად ვჩხუბობდით, ერთად დავიწყეთ სიგარეტის მოწევა, ერთად დავიწყეთ მაიმუნობა, ერთად დავანებეთ თავი მაიმუნობას, ერთად დავიწყეთ ბიზნესი და ერთად ვართ დღემდე.

**კოტე**: ეს „კამანდა“ არის „პროგრესული ბაბულიკების კამანდა“. მათ გაიარეს ისიც, რაც ვიღაცეებმა ვერ გაიარეს და ვიღაცეები შეეწირნენ. იქაც თავიანთი ნიშა ჰქონდათ, ყველაფერს მიაღწიეს; შემდეგ მიხვდნენ, რომ ასე ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა და გადავიდნენ სხვა „ლეველზე“, სხვა ეტაპზე თავიანთი ცხოვრების. „პრადვინუტი“ ტიპები არიან – სიმპათიურებიც და დახვეწილებიც...

**– ისეთი ტემპით მიდიხართ, მომავალში, მგონი, პოლიტიკაშიც მოხვალთ...**

**კოტე**: ვგეგმავთ, რომ სანდრექსა თბილისის მერი გახდეს (იცინის).

***– ამ სერიალში როგორ გაერთიანდით?***

**გიორგი**: დაგვიძახეს, დავეთანხმეთ, გაგვიხარდა ერთმანეთი და მოვდივართ ჯიგრულად.

**კოტე**: მაგარი კარგი კვარტეტი გამოვიდა. მშვენიერი, დიდებული...

**– ერთად გიმუშავიათ მანამდე?**

**კახა აბუაშვილი**: მე და კაკულიას ვაფშე ყველა ძველი ბიჭი გვაქვს ნათამაშები, ვინც კი არსებობს დედამიწაზე.

**სანდრო**: მე ყველგან სამეგობროს წევრი ვარ, თან, ყველგან ახალგაზრდა, პატარა მეგობრის თამაში მიწევს. ერთი სიტყვით, თუკი რამე ვიცი, ყველაფერი ამათგან ვიცი, ამათ მასწავლეს, გამომზარდეს და ახლა უკვე მერობაზე გავყავარ ***(იცინის).***

**გიორგი**: ტრამპლინი ავუშენეთ, ახლა „ჰოპა“ უნდა.

**კოტე**: შეიძლება, ყველას ერთად მანამდე არ გვიმუშავია, მაგრამ, იმდენად კარგად, ნახევარი სიტყვით ვუგებთ ერთმანეთს და იმდენად არაჩვეულებრივი პარტნიორები არიან, რომ, რეალურ ცხოვრებაშიც, თუ რაღაცა არ გვქონდა აწყობილი, თუკი რამე შესავსები იყო, მომენტალურად შეივსო ყოველგვარი კითხვების გარეშე.

**– მარტო დიტო დააოჯახეთ...**

**კაბუ**: მოიცა, ცხოვრება წინ არის...

**გიორგი**: მე მიზანი მაქვს – სათვალიანი მკაცრი ნაშა მევასება.

**სანდრო**: მე მკაცრი ნაშები არ მევასება. ვეძებ ძალიან ჩვეულებრივს, ჯიგარს... არ ვიცი, ვნახავ ალბათ, იმედი მაქვს.

**კაბუ**: იგივე.

**კაკულია**: ჩვენ ერთად ვეძებთ.

**გიორგი**: სანდრექსა ხომ დაპატარავებული ვაკოა.



**კოტე: „მე უფრო ისეთი, მიზანმიმართული, გამოცდილი და საქმიანი ტიპი ვარ. ესენი ყველანი „ისპალნიტელები“ არიან“**

**კაბუ**: „მე ვაკოს აზრს ვეთანხმები“ – არის სანდრექსა.

**– როგორც გადაღებისას შევესწარი, ახალი ბიზნესის წამოწყებას აპირებთ...**

– კი, ვგეგმავთ ახალ ბიზნესს.

**კოტე**: იგეგმება და, მოგვიტანს თუ არა შემოსავალს, ვნახოთ.

**– წელან კოტემ, უკაცრავად – დიტომ, გაიხუმრა – ბოლო სიტყვა ყოველთვის მე მეთქმის ამ საძმაკაცოშიო.**

**კაბუ: „დავიწყე ისევ ჩემი საყვარელი საქმის კეთება, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ვაკეთებდი“**

**გიორგი**: მაქსობს-მეთქი, ტყუილად კი არ გითხარი.

**კოტე**: მე უფრო ისეთი, მიზანმიმართული, გამოცდილი და საქმიანი ტიპი ვარ. ესენი ყველანი „ისპალნიტელები“ არიან.

**გიორგი**: მე ხალი უნდა გავიკეთო ლოყაზე.

**კოტე**: ჰო, გიორგი, ანუ ვერსკი – „ლაფშაა“, ლაფშობს ***(იცინის).***

**კაბუ**: კაი, რა, ეგ რა ლაფშაა, ეგ არის პიჟონი.

**გიორგი**: ჰოდა, პიჟონი ლაფშაა.

**კაბუ**: ლაფშა პიჟონი არ იყო, ლაფშა იყო აბსოლუტურად ქუჩის ბიჭი.

**– კაბუ, შენ ვინ ხარ?**

– მე ვარ ლაფშა.

**– სანდრექს, შენ?**

**კოტე**: ეგ ის არის, მეხუთე რომ უკვდებათ, ოღონდ, ახლა გადარჩენილია.

**კაბუ**: „ონ ნე პოდსკალზნულსია“.

**– პოპულარობა მანამდეც არ გაკლდათ. ამ სერიალით რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებასა და ურთიერთობებში?**

**გიორგი**: როცა ყოველდღიურად გხედავს მაყურებელი ეკრანზე, უთო რომ შეაერთო, იქაც ჩვენ გამოვჩნდებით და, ამიტომ, ბუნერივია, პოპულარობამაც მოიმატა, თუმცა, ასეთივე ტემპით, თვალის დახამხამებაში შეუძლია, დაგანგრიოს – გამოგცვალონ და ორ წამში აღარავის აღარ ახსოვდე. მიღწევა რაღაც საფეხურამდე ძალიან ძნელია, მაგრამ, იქიდან ჩამოვარდნა არის ძალიან ადვილი.

**– ფანკლუბი გაიზარდა?**

– ალბათ, გაიზარდა. საიტები გაიხსნა, „ვერსკი“ ჰქვია საიტს „ფეისბუქზე“. რადგან „ლაიკები“ აქვს, ალბათ, გაიზარდა. მერიდება, უხერხულია საკუთარ თავზე საუბარი... წარმატებულია სერიალი და, აქედან გამომდინარე, ჩვენც გვერგო წილად წარმატების ჩვენ-ჩვენი პროცენტი.

**კოტე**: უფრო მეტი სითბო იგრძნობა ყველა ადამიანისგან. ამას რომ გრძნობ, რაღაცნაირად, პასუხისმგებლობა გემატება საკუთარი თავის მიმართ, რომ სულ იყო ფორმაში.

**– ჰგავხარ შენს გმირს?**

– არ ვიცი, რაღაც საერთო თვისებები ბუნებრივია, გვექნება. უამრავი თვისება აქვს დიტოს ისეთი, რომელიც მომწონს და ვუფასებ. დიტო ჩვეულებრივი თბილისელი „ვაიაკა“ ტიპია, რომელმაც ყველაფერი იცის.

**კაბუ**: ჩემი გმირი ჩვეულებრივი ბიჭია, რომელიც იყო ძველი ბიჭი და ახლა არის ბიზნესმენი.

**– რა შეიცვალა ამ სერიალით შენს ცხოვრებაში?**

– დავიწყე ისევ ჩემი საყვარელი საქმის კეთება, რომელსაც ვაკეთებდი დიდი ხნის განმავლობაში.

**– აქამდე სად იყავი?**

– სახლში ვიყავი და ვიყავი ძალიან ცუდად. მერე ვნახე მიშა მშვილდაძე. რას შვრებიო? – მკითხა. არაფერს-მეთქი. რატომო? – იმიტომ-მეთქი. ძალიან მინდა, ვქნა და რამე მიშველე-მეთქი. კარგი, ვნახოთო, – ასე დამემშვიდობა. ჰოდა, იმ საღამოსვე დამირეკა და გადამიღო ფილმში „ჩემი ცოლის დაქალების ქორწილი“, მერე სერიალშიც მომახვედრეს. ამათ შემოვევლე. ძალიან მადლობელი ვარ ამათი, ამ ბიჭების.

**– სანდრო, შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა სანდრექსას გამოჩენის შემდეგ?**

– უფრო ნაკლები დრო მრჩება სხვა რაღაცეებისთვის. ძალიან გამიმართლა. ის ვიგრძენი, რასაც მსახიობები გრძნობენ მაყურებლებისგან. მე ხომ მსახიობი არ ვარ და უცბად გამამსახიობეს. ახლა უკვე ქუჩაში მცნობენ.

**– პროფესიით ვინ ხარ?**

– პროფესიით ვარ იურისტი, მარკეტინგის მენეჯერი და თან ვწერ, ანუ, დრამატურგი ვარ.

**ეკა სალაღაია**

# რას დაუკავშირა ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დავით სარაჯიშვილმა და როდის გადაეცა ეს შენობა მწერალთა კავშირს

*მრეწველი, ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი და სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ადამიანის... დავით სარაჯიშვილის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისთან და ქალაქის ისტორიასთან. ძველი ფოტოების დახმარებით, რომელთა შორის ერთ-ერთზე დიდი ადამიანის უკანასკნელი გზა არის აღბეჭდილი, გავაცნობთ საინტერესო ისტორიებს მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისზე.*

## დავით სარაჯიშვილის სახლი – მწერალთა კავშირის შენობა

სოლოლაკში, ამჟამინდელ მაჩაბლის ქუჩაზე, გერმანელი არქიტექტორის კარლ ცაარის პროექტით, 1903-1905 წლებში დავით სარაჯიშვილმა საცხოვრებელი სახლი აიშენა. მის ადგილას, მაშინდელი სერგის ქუჩა №13-ში, მანამდე სარაჯიშვილების მამაპაპისეული ძველი სახლი იდგა. მშენებლობის პერიოდში დავით სარაჯიშვილი ოჯახთან ერთად ფრეილინის ქუჩაზე ცხოვრობდა (ამჟამინდელი სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა). სარაჯიშვილის ძველ სახლს უამრავი სარდაფი ჰქონია და მისი დანგრევისას, ერთ-ერთ სარდაფში მუშებს კარგად შენახული ღვინის გაუხსნელი ბოთლებისთვის მიუგნიათ, ახალი სახლის აშენების დროს კი დავით სარაჯიშვილს ერთი მუჭა ოქრო ჩაუყრია საძირკველში. სახლის აგება მეცენატმა თავის ვერცხლის ქორწინებას – 25 წლის იუბილეს დაუკავშირა. 1905 წლის მაისში ახლად აშენებულ სასახლეში მოეწყო იუბილეს აღსანიშნავი წვეულება, რომელზეც აკაკი წერეთელი, გიგო გაბაშვილი, არტურ ლაისტი და სხვა უამრავი ცნობილი სტუმარი ყოფილა მიწვეული. სახლი მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩეოდა იმ დროის თბილისში. ფასადის მოპირკეთების დროს უხვად იქნა გამოყენებული ტალღოვანი ფრონტონები, ნაძერწი ნიჟარები, მცენარეული ორნამენტები და ქალის სახის გამოსახულებიანი კონსოლები. სახლს ამშვენებდა გერმანული სტილის სახურავი, რომელზეც ოთხი მანსარდა გადიოდა. მრავალფეროვანი დეკორი შენობას მიმზიდველობას ჰმატებდა. ძველი თბილისის არქიტექტურის მკვლევართა აზრით, სარაჯიშვილის სახლში ბრწყინვალედ იყო შერწყმული თბილისური და ევროპული არქიტექტურის ნიშნები.



დავით სარაჯიშვილი



დავით სარაჯიშვილის სახლი სერგის ქუჩაზე (1907 წელი)



საქართველოს მწერალთა კავშირის შენობა რეკონსტრუქციამდე

ახალ სახლში გადასვლიდან რამდენიმე ხანში სერგის ქუჩა №13 თბილისის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. ეს ახალი სახლი, ისევე, როგორც სარაჯიშვილის სახლი სასახლის ქუჩაზე, ხშირად მასპინძლობდა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას, ლიტერატურულ და სამხატვრო საღამოებს. 1911 წელს დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებამ სახლის მომავალ ისტორიაზეც იქონია გავლენა. თავდაპირველი ანდერძის თანახმად, მან სახლი მეუღლეს, ეკატერინე ფორაქიშვილს დაუტოვა, თუმცა, ანდერძთან ერთად, არსებობდა კიდევ ერთი ცნობა, რომელიც დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების წელსვე გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიის" ერთ-ერთ ნომერში. გაზეთში ეწერა: „განსვენებულს განუცხადებია სურვილი, რომ მისი სახლი სერგიევის ქუჩაზე, სადაც ის მუდამ ცხოვრობდა, გადაეცეს ქალაქის თვითმმართველობას თავისი მშვენიერი მოწყობილობით იმ პირობით, რომ ამ სახლში ქალაქმა მოაწყოს ან სამხატვრო გალერეა, ან შინამრეწველობისა და ხელოვნების მუზეუმი, ანდა ორივე დაწესებულება ერთად. ეს შეწირულობა უდრის ნახევარ მილიონამდე, ადგილი და სახლი ღირს 300 ათასი მანეთად, მოწყობილობა კი 100 ათას მანეთამდე მეტად".



დავით სარაჯიშვილის სახლის ინტერიერი (1905 წელი)

1918 წელს სახლი ცნობილ კომერსანტს, აკაკი ხოშტარიას შეუძენია საჯარო აუქციონზე, 1921 წლიდან კი სახლი მწერალთა კავშირს გადაეცა. 1921 წლის 25 თებერვალს პაოლო იაშვილმა შეკრიბა ცნობილი მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები და დელეგაციამ საქართველოს ახალ ხელისუფლებას – რევკომს წარუდგინა თხოვნა: დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ანდერძით, მათი სახლი მათ შემდეგ ქალაქს გადასცემოდა რაიმე კულტურული დაწესებულების განსათავსებლად. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რევკომის 1921 წლის 28 თებერვლის დადგენილებით,



დავით სარაჯიშვილის სამუშაო კაბინეტი (1905 წელი)

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**სულ მალე მართლმადიდებლური ეკლესია ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს, მანამდე ერთი დღით ადრე კი – ლაზარეს შაბათს – დღეს, როდესაც ოთხი დღის გარდაცვლილი ლაზარე მკვდრეთით აღადგინა მაცხოვარმა. ბზობის დღესასწაულზე იერუსალიმში ზეიმით შესული იესო ქრისტე, ერთი კვირის შემდეგ, იმ ხალხმა, ვინც ბზებს უფენდა, ჯვარს აცვა. ბზობის დღესასწაული დიდ სიხარულთან არის დაკავშირებული, რადგან ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვზეიმობთ მაცხოვრის ბრწყინვალე შესვლას იერუსალიმში. როგორც ვიცით, ამ დროს მას ხალხი ეგებება როგორც მათ გამათავისუფლებელს, მხსნელს, მეუფეს. გზაზე უფენდნენ პალმის რტოებს, ბზებს, ბევრი საკუთარ სამოსსაც უფენდა, ოვაციებითა და შეძახილებით ეგებებოდნენ. ეს იყო იმის გამოხატულება, რომ ხალხი მზად იყო, დახვედროდა თავის მეუფეს, მბრძანებელს, როგორც მას აღიარებდნენ. მათი მიდგომა არასწორი იყო, რადგან ისინი მაცხოვარს ელოდებოდნენ, ხვდებოდნენ არა როგორც ზეციურ მბრძანებელს, არამედ, როგორც ამქვეყნიურ, მიწიერ მბრძანებელს და იმედი ჰქონდათ, მაცხოვარი გამეფდებოდა დღეს ან ხვალ და მათ გაათავისუფლებდა ამქვეყნიური მბრძანებლებისგან, დამპყრობლებისგან, გააბატონებდა ებრაელ ერს სხვა ერზე. რა თქმა უნდა, ეს თემა სცილდება ამ დღესასწაულის მნიშვნელობას. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი):**

# როგორ უნდა მოვემზადოთ ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის და როდის იწყებს მორწმუნე მაცხოვართან ერთად გოლგოთაზე ასვლას



ღმერთსაც არასდროს გამოუხატავს ადამიანებისადმი ისეთი სიყვარული, როგორც აღდგომის დროს. ადამიანებს უნდოდათ, ღმერთი მოკვდავად ექციათ, მაგრამ, ღმერთმა, თავისი აღდგომით, ადამიანები აქცია უკვდავებად

– მაცხოვარმა ბზობის დღესასწაულამდე მკვდრეთით აღადგინა მართას და მარიამის ძმა – ლაზარე, რომელიც ოთხი დღის მიცვალებული იყო. ამით ძალიან დიდი საიდუმლო აღასრულა და ამიტომაც ეს არის ყველაზე დიდი სასწაული, რაც კი მანამდე მოუხდენია იესო ქრისტეს. ამით მაცხოვარმა გამოამჟღავნა საკუთარი ბუნება, გამომხსნელობა. ცოტა ხნის შემდეგ კი მან იერუსალიმში შებრძანება ინება ხილულად – კვიცზე ამხედრებულმა, რითაც ახდა 400 წლით ადრე ზაქარია წინასწარმეტყველის წინასწარმეტყველება.

**– ბზობა – ეს ის დღეა, როდესაც მორწმუნე კიდევ ერთხელ ეზიარება უფლის სიხარულს და, ამავდროულად, გარკვეულწილად, სინანულსაც გამოხატავს. ბზობას უფალი შედის დიდებით იერუსალიმში, ხალხი ხვდება დიდებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ კვირაში ის ადამიანები მაცხოვარს ჯვარს აცვამენ.**

– როდესაც მაცხოვარი შედის იერუსალიმში, მას ხალხი ეგებება ბავშვებთან ერთად და უგალობენ: „დიდება ოსანა, მაღალთა შინა“. ეს არის ებრაულ-არამეული სიტყვები, რაც ნიშნავს: „დიდება ღმერთს, გადაგვარჩინე“. ანუ, მას, როგორც მხსნელს, მესიას, ისე ეგებება ხალხი და უფენს პალმის რტოებს. პალმის რტო, როგორც ბზა, არის მარადმწვანე მცენარე და იმას ნიშნავს, რომ ეს სიხარული არის მარადიული, უფალიც არის მხოლოდ და მხოლოდ მარადიული და ადამიანი უფალთან შეხვედრამ მარადისობაში უნდა შეიყვანოს. უფალმა ადამიანს უნდა მისცეს მარადიული ცხოვრების საწყისი და ცხონების ერთადერთი საშუალება. მაცხოვარი, რომელიც ყოველთვის თავმდაბლობით, უბრალოებით მოღვაწეობს, არ უშლის ხალხს ამ დიდების აღვლენას. მეხსიერებაში მკაფიოდ იხატება ის სულიერი გრძნობა, განცდა, რომ, ის ხალხი, რომელიც მაცხოვარს ეგებებოდა დიდებით, მას მომავალში ულალატებს. ბზობის დღესასწაული არის ძალიან დიდი სიხარული, დაკავშირებული მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლასთან და, ამავე დროს, ეს არის ჩვენი დაფიქრების დღე, იმის გახსენება, რომ უფალი ერთ კვირაში უნდა ეცვას ჯვარს და მესამე დღეს დიდებით აღდგეს. ანუ, ბზობიდან ვიწყებთ ამ ყველაფრის გახსენებას, გაცნობიერებას და მზადებას ამ სიხარულიდან უფალთან ერთად წამებისთვის, ჯვარცმისთვის. დავდივართ ეკლესიაში, ვლოცულობთ, მუხლს ვიყრით, მაგრამ, გავა დრო, დამთავრდება მარხვა და ჩვენ ისევ ჩვენს ცოდვილ ცხოვრებას დავუბრუნდებით. შეიძლება, ჩვენ ბაგეებით არ წარმოვთქვამთ – „ჯვარს აცვით ეგე“, მაგრამ, როცა ადამიანი ივიწყებს იმას, რა მადლია მარხვა, როგორი დიდი წყალობა, სასწაული და საიდუმლოებაა მაცხოვრის აღდგომა, ისევ ძველ, ბინძურ ცხოვრებას უბრუნდება. ბზობა კარგია, მაგრამ, მაცხოვართან ერთად გოლგოთაზე ასვლა არის აუცილებელი და მაცხოვნებელი. გოლგოთის მსხვერპლი თუ არ გაიზიარა ადამიანმა, თუ სვიმონ კვირინელივით არ იტვირთა მაცხოვრის ჯვარი, მაშინ ჩვენ დავრჩებით იმ ხალხთან, რომელიც ჯერ ადიდებდა უფალს და შემდეგ ჯვარს აცვა. ჩვენ ამ დღეს გვმართებს იმ სიხარულის განცდა, რაც ამ დღესასწაულს ახლავს თან. თუ ჩვენში რამე სევდა, სულიერი დაბნეულობაა, პრობლემები გვაქვს, გვირჩევნია, ეს ყველაფერი უკან მოვიტოვოთ და ყველამ ერთად ეს დიდი დღე ვიდღესასწაულოთ. უპირველეს ყოვლისა, დავესწროთ წირვას, მადლი მივიღოთ, წყალობა და შემდეგ შეგვიძლია, ეს გავუზიაროთ ჩვენს მეგობრებს, ახლობლებს.

**– ჩვენ დღეს, ამდენი საუკუნის შემდეგ, როგორ უნდა მივიღოთ სახედარზე ამხედრებული მაცხოვარი?**

– თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ, სახედრის შვილზე ამხედრებული მესია უნდა მივიღოთ მარხვით, ლოცვითა და ეკლესიური ცხოვრებით. სანამ მაცხოვარი იერუსალიმში შებრძანდება, მანამდე გოდებს, ტირის და წარმოთქვამს შთამბეჭდავ სიტყვებს, რომლებიც ნებისმიერმა ერმა საკუთარ თავზე შეიძლება მიიღოს. ეს გოდება 48 წლის შემდეგ გაახსენდებათ ებრაელებს, როდესაც მათ მოადგებიან რომაელი ლეგიონერები ტიტეს ხელმძღვანელობით და ქვა ქვაზე აღარ დარჩება ამ ქალაქში. ეს მაცხოვარმა იწინასწარმეტყველა 48 წლით ადრე და ამიტომ გოდებდა მათი უგუნურების გამო. მას შეეძლო, იერუსალიმში ცხენზე ამხედრებული შესულიყო, მაგრამ, ცხენი არის სიმბოლო ბრძოლის, გამარჯვებისა, შესაბამისად, მასზე ამხედრება და ისე შესვლა, ნიშნავს გამარჯვებას, აღზევებას. გაუხედნავი კვიცი კი არის მორჩილების, თავმდაბლობის სიმბოლო და, როდესაც მაცხოვარი მასზე ამხედრებული შედის, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მაცხოვარი შედის არა ამქვეყნიური დიდებისთვის, არამედ, ზეციური დიდებისთვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავმდაბლობითა და სიმშვიდით მოიპოვება. როდესაც ადამიანები ბზის ტოტებს, რტოებს აკურთხებინებენ მოძღვარს, ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი საკუთარი სახლის ზღურბლს, კარიბჭეს ულებენ მაცხოვარს და მაცხოვარი მათთან შედის. როდესაც ჩვენ მიგვაქვს ბზა, სიმბოლოს მადიდებელნი კი არ უნდა ვიყოთ, არამედ, სიმბოლოს საწყისისა. მრავალი ქრისტიანი, რომლებსაც ბუჩქების სახით ძალიან ბევრი ბზა მიაქვთ სახლში, სასოებენ ბზის ტოტებით, მათ ჰგონიათ, რომ, რაც შეიძლება ბევრი ბზა უნდა წაიღონ სახლში და ამით დიდ რწმენას გამოხატავენ. ბზობის დღესასწაულზე გამოჩნდა აჩრდილი ჯვრისა და ეს აჩრდილი ნათელი გახდება ჩვენ წინაშე, როდესაც შევუდგებით დიდ ორშაბათს. ეს არის სამზადისი იმისა, რომ, თუ არ ვეცვით ჯვარს, არ ვიტვირთეთ და არ ვიარეთ გოლგოთაზე, მაშინ ჩვენი აღდგომა, სიხარული იქნება წარმოუდგენელი. ბზობის შემდეგ, როდესაც მაცხოვარი დიდებით მიიღეს, ის გამოდის იერუსალიმიდან და გზაზე ხვდება უნაყოფო ლეღვის ხე, რომელზეც მაცხოვარი ვერ იპოვის ნაყოფს და შერისხავს, დაწყევლის, გაახმობს. აქ საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებსაც ცხოვრებაში კეთილი ნაყოფი არ გამოუღიათ. ღვთისგანდგომილების საუკუნეში გვიწევს ქრისტიანებს ცხოვრება. ბოლო წლებში ცხოვრების რიტმი განსაკუთრებულად დაიძაბა. ადამიანთა ყოფა ხშირად მიწიერი, ხორციელი ინტერესებით შემოიზღუდება. მათი უმრავლესობა დაუზოგავად ხარჯავს ღვთისგან მომადლებულ ენერგიას დროებითი, წარმავალი სიამოვნების მოპოვებისთვის. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, ცოდვით დაცემულმა უგუნურმა და ულმერთო ადამიანებმა, განკაცებულ ღმერთს, იესო ქრისტეს, სიკვდილი მიუსაჯეს, რომელმაც, ტანჯვისა და გვემის სანაცვლოდ, მათ მიტევებით უპასუხა, შეურაცხყოფის სანაცვლოდ – ლოცვა-კურთხევით, სიკვდილის ნაცვლად – უკვდავებით. ულმერთო ადამიანებს არასდროს გამოუხატავთ შემოქმედისადმი ისეთი სიძულვილი, როგორც მაშინ, როდესაც ის ჯვარს აცვეს და ღმერთსაც არასდროს გამოუხატავს ადამიანებისადმი ისეთი სიყვარული, როგორც აღდგომის დროს. ადამიანებს უნდოდათ, ღმერთი მოკვდავად ექციათ, მაგრამ, ღმერთმა თავისი აღდგომით ადამიანები აქცია უკვდავებად. მთელი ქრისტიანობა სხვა არაფერია, თუ არა ერთადერთი სასწაულის ისტორია, კერძოდ, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის სასწაულებრივი ისტორია, რომელიც განუწყვეტლივ აღესრულება.

**ნათია უტიაშვილი**

# რა არის სიკვდილი

სიკვდილი არის განშორება სულისა სხეულისაგან. ოდეს სული განეყოფის სხეულისაგან, სულს ავიწყდება სააქაო და ისწრაფის მიგებებად მკვიდრთამი უხილავის სამყაროისა. სული და ხორცი ორი საყვარელი მეგობარია, მიმავალი უკანასკნელ წერტილამდე, რომელზეც ერთი მათგანი უნდა დარჩეს, ხოლო მეორე – შეუდგეს დიდსა და ხანგრძლივ მოგზაურობას; ერთ მათგანს ენანება წარსული და მეორე კი ხედავს ბრწყინვალე მომავალს. სიკვდილის დროს ზოგი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ხილვის ღირსი ხდება.

წმინდა გრიგორი, რომელიც 604 წელს რომის პაპი იყო, მოგვითხრობს თავისი დედის, ტარსაიდას სიკვდილზე: „სიკვდილის სარეცელზე მწოლ ტარსაიდას გარს ეხვივნენ ნათესავები და უცბად წამოიძახა მომაკვდავმა: გამეცალეთ! იესო ქრისტე მოვალსო! – ამ სიტყვების შემდეგ მსწრაფლ განუტევა სული".

სულ-ხორცის გაყრის ჟამს ზოგი სული წმიდას ხედავს. მაგალითად, წმიდა ამბროსი მედიოლანელზე, სულის განტევების ჟამს, ცეცხლი ჩამოვიდა და დაფარა სახე მისი და შთავიდა პირსა მისსა. ხილვა ესე იხილა მისი ცხოვრების აღმწერელმა ამბროსი პავლინმა (397 წელი); ხოლო წმინდა ვასილზეც იხილეს სული წმინდა, რომელიც ტრედის სახით დადიოდა მომაკვდავის სხეულზე, ოდეს წმიდა ვასილის სული სხეულს განეშორებოდა.

სულს წმიდანები და ანგელოზები ეგებებიან, რომელთაც სული ან პირისპირ, ან მარჯვენით ხედავს. წმიდა საბა გოტფი (372 წელი) თავის მწვალებლებს, რომლებიც წყალში დახრჩობას უპირებდნენ, ეუბნებოდა: „მე ვხედავ მათ, ვისი ხილვაც თქვენ ვერ ძალგიძთ. აი, პირისპირ დგანან დიდებულნი ღვთისანი, რომელნიც მოსულან ჩემს წასაყვანად."

სიკვდილის ჟამს, ხედავს რა სული ადამიანისა ღმერთს, ანგელოზთა და წმიდანთა, ზოგჯერ მას ესმის აგრეთვე ხმა ზეციური გალობისა. წმიდა გიორგი, პატრიარქი რომისა, მოგვითხრობს ერთ მის თანამედროვე კეთილმსახურის გარდაცვალებაზე: „ოდეს ჟამი სიკვდილისა უახლოვდებოდა ამა კეთილმსახურს ქრისტიანეს, იწყო გალობა ფსალმუნთა და სთხოვა თვისთა მეგობართაც, რათა მათაც ელოცათ. უცბად სულთმობრძავმა წამოიძახა: „დაჩუმდით, დაჩუმდით, არ გესმით ანგელოზთა გალობა ცათა შინა?!"

ამგვარია აღსასრული მართალთა: რასაც ისინი ამქვეყნად მიელტვიან, რისკენაც ისინი მთელი მათი სიცოცხლე, მთელის აზრითა და გრძნობით მიისწრაფიან – მასვე ხედავენ აღსასრულის დღესაც.

სულ სხვაა ხილვა ცოდვილთა – აი, რას მოგვითხრობს ზემოხსენებული წმიდა გრიგორი ერთი ბერ-მონაზვნის გარდაცვალებაზე: „ოდეს ბერთა შეიტყვეს მოახლოება აღსასრულისა ერთის ძმათაგანისა, შეიკრიბნენ მის გარშემო და იწყეს მისთვის ლოცვა. უეცრად მომაკვდავმა მორთო ყვირილი: „გამშორდით, გამეცალეთ! ამა გველისა შესაჭმელად ვარ მე გამზადებული, გარნა შიშისა გამო თქვენისა ვერ ძალუძს მაგას შეჭმად ჩემდა. უტევეთ მოსვლად და მიყოს, რაიცა უნებს მას!" ცხადია, რომ ამ ბერმა აღსასრულის ჟამს იხილა ეშმაკი გველის სახით. ესმათ რა ბერებს ასეთი ღაღადება მოძმისა, გულმოდგინედ იწყეს ვედრება ღვთისადმი, რათა განეგდოთ წყეული იგი ეშმაკი და არ მოეკლა ძმა იგი უნანველი. ღმერთმა შეიწყნარა მომაკვდავი ბერ-მონაზვნის ძმათა ვედრება: ეშმაკი განეშორა მომაკვდავს და ამ უკანასკნელმა იმდენ ხანს იცოცხლა, რამდენიც მონანიებისთვის იყო საჭირო.

ამგვარად, აღსასრულის ჟამს ჩვენ ვიხილავთ უხილავი სამყაროს მკვიდრთ, ღვთის წმიდანებსა და ანგელოზებს ან საშინელ ეშმაკებს; გავიგონებთ ხმას ანგელოზთა გალობისას ან საზარელ ყვირილს ეშმაკებისას. სული, მხილველი ღვთისა, სიხარულით მიისწრაფის მისდამი, ხოლო ეშმაკის მხილველი სული დიდ შიშსა და ძრწოლაშია. რით ან რანაირად შეგვიძლია, შევეწიოთ და შევუმსუბუქოთ ტანჯვა აღსასრულის ჟამს მომაკვდავს? რა გვარად შეგვიძლია მისგან ეშმაკის განდევნა? – ამ დროს ჩვენ სულთმობრძავს უნდა შევეწიოთ ჩვენის ლოცვით და მომაკვდავის გულშიც ლოცვის სურვილს უნდა ვაღვიძებდეთ. მომაკვდავს თუმცაღა აქვს სურვილი ლოცვისა, მაგრამ, ენა და ბაგე არ ემორჩილება მას; მეხსიერება უჩლუნგდება და სიტყვა ლოცვისა ავიწყდება; სულთმობრძავს პირჯვრის გამოსახვა სურს, მაგრამ, ხელის მოძრაობა არ ძალუძს მას. უკიდურესად გავახარებთ და შვებას მოვგვრით მომაკვდავს, უკეთუ მის გასაგონად წარმოვთქვამთ ლოცვას და დავაწერინებთ პირჯვარს. მოყვასის სიკვდილისას ხატებთან უნდა ვანთებდეთ სანთელს, გავიღებდეთ მოწყალებას და ღვთისაგან მისთვის ვითხოვდეთ შეწყალებას. ჭირისუფლების ლოცვა დიდ შეღავათს აძლევს მომაკვდავს, სდევნის ეშმაკს და ვერ აბრკოლებს მას მოწყალე ღვთის წინაშე წარდგომაში და, ვილოცავთ რა მათთვის, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენც გვეწევა ჟამი სიკვდილისა. ამისთვის, ხშირად უნდა ვილოცვიდეთ უფლისა მიმართ და მივმართავდეთ ყოვლადწმიდა დედას მაცხოვრისა ჩვენისასა, სასოსა და შესავედრებელსა ყოველთა ქრისტიანეთასა.

**„სწავლანი მამათა ცხოვრებიდან ქადაგებისათვის"**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რაში გამოიხატება ღვთის გმობა?**

**პასუხი:** ღვთის გმობა არის ქმედება, როდესაც სიტყვით ან გამოთქმით შეურაცხყოფთ ღმერთს. ის გამოიხატება არა მხოლოდ სიტყვით, არამედ, სხვა ნიშნებითაც. მაგალითად: წერილობით, ნახატებით, სხეულის უხამსი მოძრაობით, რომლებშიც გამოვლენილია სიძულვილი უფლის, წმიდანებისა და წმიდა საგნებისადმი. ღვთის გმობა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირია ღვთის გმობა, როდესაც წინასწარი განზრახვით და უშუალოდ არის შეურაცხყოფილი უფლის სახელი და ეს უმძიმესი ცოდვაა.

**კითხვა: თუკი ავადმყოფობა ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელია ჩვენი ცოდვებისთვის, მაშინ მისგან განკურნების მცდელობა ცოდვაში ხომ არ ჩაგვეთვლება?**

**პასუხი:** ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად მოვუსმინოთ წმინდა თეოფანე დაყუდებულს: „მკურნალი ღმერთის შექმნილია, წამლებიც უფლის ხელიდან არის ქმნილი. მკურნალი თვით კი არ ჰკურნავს, არამედ, ღმერთი ჰკურნავს მისი მეოხებით. ღმერთი შთააგონებს მკურნალს და ის გამოწერს საჭირო წამალს. ხოლო, როცა ღმერთი არ ეხმარება მკურნალს, არ ვუწყი, აგნებს თუ არა ვიეთნიმე ნამდვილ წამალს. მიმართეთ მკურნალს, მაგრამ, ამავე დროს, უფრორე მეტად ღმერთსა და წმიდანებზე ილოცვიდნენ, რათა მიჰმადლონ მას ნამდვილი წამლის ამოცნობის უნარი".



**კითხვა: როგორ უნდა მოახერხოს ქრისტიანმა, რომ საკუთარი თავი რეალურად შეაფასოს და თან არ დაკარგოს ქრისტიანული სიმდაბლე?**

**პასუხი:** სიმდაბლე გამოიხატება ადამიანის მიერ საკუთარი ნაკლის დანახვასა და სხვათა მიღწევების აღიარების უნარში. საკუთარი ნაკლის დანახვა ნებისმიერ საქმეში წარმატების მისაღწევად აუცილებელია. ცნობილია, რომ, რაც უფრო დიდი და გენიოსია ადამიანი, მით მეტად თავმდაბალია და კარგად ხედავს საკუთარ ნაკლოვანებებს.

**კითხვა: თუკი ავად ვართ, ჩვენი სნეულების განსაკურნებლად შესაძლებელია თუ არა, ორჯერ ვიცხოთ ზეთი შვიდგზის ზეთისცხების დროს, სხვადასხვა ეკლესიაში?**

**პასუხი:** ჯანმრთელი ადამიანი ერთგზის უნდა დაესწროს შვიდგზის ზეთისცხებას, ხოლო ავადმყოფს შეუძლია, ორგზისაც და მეტჯერაც იცხოს ზეთი.

# მამათა შეგონებანი

**არქიმანდრიტი რაფაელი:** უპირველესი ჩვენი ვნება შურია. რაღაც განსხვავებული მიდრეკილება გვაქვს ამ საშინელი ვნებისადმი. მოვა ოდესმე ის ჟამი, როცა ბოლოს და ბოლოს შევიტყობთ, რა გვტანჯავს და რა გვაკლებს სულიერსა და ხორციელ კეთილდღეობასა და წარმატებას; მოვა ოდესმე ის დრო, როცა მადლი ღმრთისა ჩვენს გულებს განანათლებს და ბოლოს და ბოლოს ვიტყვით: აი, ჩვენი მომაკვდინებელი მტერი, აი ვინ გვტანჯავდა და ვინ გვაშორებდა ქრისტეს მადლსა და ყოველ სიკეთეს! ჭეშმარიტად შურია ერთა დიდი და უმოწყალო მფლობელი და სასტიკი ბატონი ჩვენი გულებისა. ჩვენ ყოველნი ვართ საბრალონი და უბედურნი მონანი შავის ამის გველისა.

**ბერი იოილი:** ცოდვა აბნელებს გონებას. ამ სიბნელეშია ავხორცი, შურიანი, ანგარებიანი, ეგოისტი ადამიანი. ის დარწმუნებულია, რომ შეუძლია, შეიმეცნოს ყველა სიბრძნე და ისწავლოს მსოფლიოს ყველა ენა და მიაღწიოს ღრმა სიბერეს, მაგრამ თავისი ავხორცობის, ანგარებისა და სხვა მანკიერებათა გამო ვერ ხედავს ნათესავს, ვერც მეგობარს, ვერც ადამიანს და ვერც ღმერთს, ვერც სხეულს და ვერც სულს. ცოდვა ანადგურებს უმშვენიერეს სიკეთეს, რომელიც გაგვაჩნია – ჩვენს ნებისყოფას ისე ანადგურებს, რომ ცოდვილს ზოგჯერ გონება გაუნათდება და იგრძნობს, რომ იღუპება, მაინც ვერ იკავებს თავს.

**წმიდა სილუანი:** ზოგი ამბობს, რომ ლოცვისგან მოდის ხიბლი. ეს შეცდომაა. ხიბლი მოდის თვითნებობისაგან და არა ლოცვისგან. წმიდანები ბევრს ლოცულობდნენ, სხვებსაც მოუწოდებდნენ ლოცვისკენ. ლოცვა ყველაზე კარგი საქმეა სულისთვის. ლოცვით ადამიანი მიდის ღმერთთან, ლოცვით გამოითხოვება მორჩილება, მოთმინება და ყველაფერი კეთილი. ვინც ლოცვის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, მან არ იცის, რა კეთილია და მოწყალე უფალი. ღმერთისგან სიავე არ არის. ყველა წმინდანი განუწყვეტლივ ლოცულობდა; ერთ წუთსაც არ აცდენდნენ ისინი ლოცვის გარეშე. სული, რომელმაც დაკარგა მორჩილება, კარგავს მასთან ერთად მადლს და წყალობას, ღმერთისგან და მაშინ ქრება მგზნებარე ლოცვა; მაგრამ, როცა სული დამშვიდდება ვნებებისგან და მოითხოვს მორჩილებას, მაშინ უფალი აძლევს მას თავის წყალობას და ლოცულობს იგი მტრებისთვის როგორც თავისთვის და მთელი მსოფლიოსთვის – მხურვალე ცრემლებით.

**მარკოზ მოსაგრე:** სუფთა, წმიდა ლოცვა გულის შიგნით იზიდავს გონებას და ადამიანს მთლიანად კრებს, თვით მის სხეულსაც ერთიანად აქცევს. გონება ჩაძირული გულში, განუდგება ხოლმე სამყაროს და სული, მთელი ძალით ღმერთისკენ მსწრაფველი, შინაგან ლოცვაში სინათლეზე, რომელიც გამოდის ღმერთისაგან, ხედავს თავის თავს სრულიად გასაკუთრებული სახით. ხედავს იგი ამასთანავე არა გარეგნულ მოვლენებს და ცხოვრების პირობებს, არამედ საკუთარ თავს, გაშიშვლებულს თავის ბუნებაში და გახსნილს საკუთარ სიღრმეში. მიუხედავად ამ ჭვრეტის მთელი „უხილავობისა" და უბრალოებისა, რომელიც მიმართულია ცხოვრების წყაროსკენ – ღმერთისკენ, მასში იხსნება საზღვრები, რომელთა შორის მოძრაობს ყოფიერება ყველა ქმნილებრივი, სულიერი სამყაროსი და მასში შეიცნობს თავის ერთიანობას მისთვის მლოცველი.

# „მანჩესტერ იუნაიტედის" რამდენი ფეხბურთელი მოხვდა პრემიერლიგის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელების რეიტინგში

*მრავალი საფეხბურთო ექსპერტისა თუ უბრალო გულშემატკივრის აზრით, მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო ჩემპიონატად ინგლისის პრემიერლიგა ითვლება. ინგლისურ მოედნებზე რომ საუკეთესო საფეხბურთო სპექტაკლები იდგმება, არაერთი ავტორიტეტული სპორტული გამოცემა აღნიშნავს, რადგან, ყველაზე დაძაბულ, სანახაობრივ და სისხლში ადრენალინის ამწევ მატჩებს ქომაგები ლეგენდარულ „უემბლიზე", „სტემფორდ ბრიჯზე" ან „ემირეითს არენაზე" ადევნებენ თვალს, სადაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები საკუთარ ოსტატობას ავლენენ. გავლენიანი გერმანული ვებ-საიტის მონაცემებზე დაყრდნობით, გთავაზობთ ინგლისური პრემიერლიგის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელების ტოპ-ათეულს.*




### უეინ რუნი, „მანჩესტერ იუნაიტედი" – 65 მილიონი ევრო

„მანჩესტერისა" და ინგლისის ნაკრების ლიდერი უეინ რუნი „პრემიერლიგის" ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი და ტოპ-ათეულის პირველი ნომერია. 27 წლის უეინ რუნი ალექს ფერგიუსონის გუნდის უალტერნატივო ლიდერი და მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც „წითელ ეშმაკებს" მეოცე საჩემპიონო ტიტულისკენ მიაქანებს. უეინი კლუბის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ ითვლება და მის გარეშე თანამედროვე „მანჩესტერი" წარმოუდგენელია. ამასთან ერთად, იგი სტაბილურად ასპარეზობს ინგლისის ნაკრებში, სადაც ასევე ლიდერის ფუნქციას ასრულებს.

### რობინ ვან პერსი, „მანჩესტერ იუნაიტედი" – 45 მილიონი ევრო

„არსენალიდან" 2012 წლის ზაფხულში „მანჩესტერში" გადასული ჰოლანდიელი თავდამსხმელი მალევე იქცა „წითელი ეშმაკების" საბრძოლო მანქანის მთავარ იარაღად და, უეინ რუნისთან ერთად, ყველაზე სახიფათო დუეტის ნაწილად. ვან პერსი ამ სეზონში „მანიუს" საუკეთესო ბომბარდირია. ბოლო რამდენიმე მატჩია იგი ჩვეულ შედეგს აღარ აჩვენებს, თუმცა, სავსებით რეალურია, რომ სეზონის დასრულებამდე პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულისთვის გაიბრძოლოს, მით უმეტეს, რომ პირველ ადგილზე მყოფ ფეხბურთელს ის მხოლოდ რამდენიმე გოლით ჩამორჩება.

### სერხიო აგუერო, „მანჩესტერ სიტი" – 45 მილიონი ევრო

მიმდინარე სეზონი სერხიო „კუნ" აგუეროსთვის ნაკლებად წარმატებულია, ისევე, როგორც მისი გუნდისთვის. „სიტი" ჩემპიონობისთვის აღარ იბრძვის, ხოლო აგუერო ბომბარდირთა დავას გვერდიდან ადევნებს თვალს. ამის მიუხედავად, მარადონას ექსსიძე მაინც ყველაზე მაცდურ ფეხბურთელად ითვლება ესპანური კლუბებისთვის და მისი შეძენა „რეალისა" და „ბარსელონას" „ფარული ვნებასაა". შესაძლოა, ამ სეზონის დასრულების შემდეგ აგუერო დაბრუნდეს მისთვის მშობლიურ ესპანურ ლა-ლიგაში, საიდანაც დაიწყო კიდეც მისი ვარსკვლავური გზა.

### დავიდ სილვა, „მანჩესტერ სიტი" – 44 მილიონი ევრო

„სიტის" კიდევ ერთი წარმომადგენელი ტოპ-ათეულში და ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი მთლიან პრემიერლიგაში – სილვა მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ასისტენტია ლიგაში. ისიც ესპანურ ლიგაში გადაბარგების რეალური კანდიდატია, რადგან, სეზონის ბოლოს „სიტის" არაბი მფლობელები გუნდის რეორგანიზაციას აპირებენ, ხოლო სილვაზე კბილებს ილესავენ მადრიდშიც და ბარსელონაშიც.

### ხუან მატა, „ჩელსი" – 42 მილიონი ევრო

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდა ესპანელი ადრეულ ასაკში გადავიდა „ჩელსიში" და მალევე მოიკიდა ფეხი ძირითად შემადგენლობაში. პირველივე სეზონში მატამ ჩემპიონთა ლიგა და ინგლისის თასი მოიგო. მიმდინარე სეზონში ის ლონდონელი „არისტოკრატების" საუკეთესო მეპასეა, ხოლო, ედენ აზართან და ფრანკ ლამპარდთან ერთად, ამ სეზონში კლუბის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის იბრძვის. უცნობია, თუ ვინ გაწვრთნის „ჩელსის" მომავალ სეზონში, შესაძლოა, სულაც ჟოზე მოურინიო დაბრუნდეს, თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, ხუან მატას მსგავსი ფეხბურთელი ნებისმიერ სპეციალისტს გამოადგება.

### გარეთ ბეილი, „ტოტენჰემი" – 42 მილიონი ევრო

უელსელი გარემარბი ერთმნიშვნელოვნად არის პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელი და თანამედროვე „ტოტენჰემის" სახე. ბეილის გარეშე ლონდონელების გუნდი, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, ის არის გუნდის სული და გული. ბომბარდირთა დავაში ბეილი მხოლოდ ვან პერსისა და ლუის სუარესს ჩამორჩება. თუმცა, გავრცელებული ცნობის თანახმად, ეს სეზონი მის ინგლისურ კარიერაში უკანასკნელი იქნება, რადგან ბეილის გადაბირებაზე საკუთარ რიგებში მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ფიქრობს; ხოლო, ადამიანს, რომელმაც თავის დროზე „ბარსელონიდან" ლუიშ ფიგუ და „იუვენტუსიდან" ზინედინ ზიდანი გადაიბირა, ბეილის ტრანსფერის ორგანიზება არ უნდა გაუჭირდეს.




### ედენ აზარი, „ჩელსი" – 40 მილიონი ევრო

ახალგაზრდა ბელგიელი ფეხბურთელი პრემიერლიგის ამ სეზონის საუკეთესო ახალწვეულის ტიტულს უმიზნებს და მისი სწრაფვა სავსებით გასაგებია, რადგან, მიმდინარე სეზონში „ჩელსის" ნახევარმცველი ერთ-ერთი საუკეთესოა კლუბში და, შედეგიან გადაცემებთან ერთად, პენალტების „მონადირებაც" იდეალურად გამოსდის. სავარაუდოდ, მომავალი სეზონის დაწყებამდე აზარის სატრანსფერო ფასი მოიმატებს და მისი შენარჩუნება აბრამოვიჩის გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იქნება.



### იაია ტურე, „მანჩესტერ სიტი" – 36 მილიონი ევრო

კოტდივუარელი იაია ტურე 2012 წლის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. „სიტის" შუახაზელი არ გამოირჩევა შედეგიანი გადაცემებით და არც გოლის გატანის ალღო აქვს, თუმცა, ის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მოთამაშეა მანჩესტერულ კლუბში, თუმცა, ამის მიუხედავად, მასთან კონტრაქტის გაგრძელებისგან თავს იკავებენ. შესაძლოა, ახალი სეზონიდან ტურე მახაჩკალის „ანჟის" რიგებში ვიხილოთ – რუსეთის პრემიერლიგის სწორედ ეს კლუბი აქტიურობს ყველაზე მეტად ტურესთან დაკავშირებით.

### ლუის სუარესი, „ლივერპული" – 36 მილიონი ევრო




ამბიციური ურუგვაელის შენარჩუნება ლივერპულურ კლუბს ძალზე გაუჭირდება, მით უმეტეს, რომ სეზონის ბოლოს კლუბი, შესაძლოა, ევროთასების საგზურის გარეშე დარჩეს, სუარესს კი ჩემპიონთა ლიგაში თამაშის სურვილი აქვს. სტივენ ჯერარდთან ერთად, სუარესი მერსისაიდული კლუბის ლიდერია, რომელიც ახალი სეზონიდან, ალბათ იტალიას მიაშურებს, სადაც მას „იუვენტუსი" და „მილანი" ეპატიჟებიან.

### ვენსან კომპანი, „მანჩესტერ სიტი" – 35 მილიონი ევრო

„მანჩესტერ სიტის" დაცვის ლიდერი და ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი ინგლისურ პრემიერლიგაში. ბელგიელი დიდი ხანია, გრანდების სამიზნეა და, მაგალითად „ბარსელონა" არც მალავს, რომ კომპანის კარლეს პუიოლის შემცვლელად მოიაზრებს. კომპანი, ედენ აზართან ერთად, ბელგიელი ფეხბურთელების ახალ თაობას მიეკუთვნება, რომელსაც ფეხბურთის სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ საერთაშორისო სარბიელზე.





## „მილანი" არ იყიდება

იტალიის ექსპრემიერის, სილვიო ბერლუსკონის ქალიშვილმა, ბარბარა ბერლუსკონიმ დაადასტურა, რომ საფეხბურთო კლუბ „მილანის" აქციების გაყიდვა ოჯახის გეგმებში არ შედის. „მილანი" მისი გულის ნაწილია," – ასე დაახასიათა საფეხბურთო კლუბის მიმართ მამის დამოკიდებულება ბარბარამ, რომელიც კლუბის მმართველობაში წამყვან თანამდებობაზე მუშაობს. ბარბარას თქმით, ახალი ინვესტიციების მოზიდვა და კლუბის გაყიდვა ორი სხვადასხვა რამ არის და ბერლუსკონების ოჯახი არასდროს გაყიდის კლუბს, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და წარმატებულ საფეხბურთო გრანდად ითვლება. შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს მუსირებდა ვერსია, რომ „მილანის" შეძენას არაბი მილიარდერები ცდილობდნენ.

## ამანათი თხის თავით

ბეისბოლის კლუბ „ჩიკაგო კაბსის" მფლობელ ტომ რიკეტს მავანმა „თაყვანისმცემელმა" ყუთში ჩადებული მოკვეთილი თხის თავი გაუგზავნა. კლუბის ოფისში ამანათის მიღებისთანავე გამოიძახეს პოლიცია და ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა გამომგზავნის დადგენის საქმეზე. თხის თავს კლუბისთვის სიმბოლური დატვირთვა აქვს: 1945 წელს, ერთ-ერთი თამაშის დაწყებამდე, „ჩიკაგო კაბსის" სტადიონზე ერთ-ერთი ფანი თხასთან ერთად შესვლას აპირებდა, თუმცა, სტადიონის დაცვამ შინაური ცხოველის შეშვებაზე უარი განაცხადა და თხის პატრონმა კლუბი დაწყევლა – არასდროს გენახოთ საჩემპიონო ტიტულიო. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ „ჩიკაგო კაბსი" არ გამხდარა ჩემპიონი, ხოლო თხის თავს მათ ყოველწლიურად უგზავნის უცნობი.



## „ფორმულა 1-ის" შეფის თამამი შვილი

ამერიკულმა „ფლეიბოიმ" თავის ვებგვერდზე „ფორმულა 1-ის" მფლობელის, ბერნი ეკლსტოუნის ქალიშვილის, ტამარა ეკლსტოუნის გულახდილი ფოტოები გამოაქვეყნა. ყველაზე პრესტიჟული და ცნობილი ავტორბოლის შეფის ლამაზმანმა ქალიშვილმა მაისის ნომრისთვის გაიხადა და ჟურნალმა მას ხუთი გვერდი დაუთმო. ტამარა ცნობილია ეპატაჟურობით და გულახდილი ფოტოსესია მისთვის პირველი არ გახლავთ – რამდენიმე ხნის წინ მან ასევე ბრიტანული ჟურნალ „ლოადედისთვის" გაიხადა. 82 წლის ბერნი ეკლსტოუნს სულ სამი ქალიშვილი ჰყავს: 58 წლის დებორა, 28 წლის ტამარა და 25 წლის პეტრა.

## ფაბრეგასი მამა გახდა

„პარი სენ-ჟერმენთან" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ „ბარსელონის" შემტევი, სესკ ფაბრეგასი, მამა გახდა. ფეხბურთელის 37 წლის გერლფრენდს, დანიელა სემანს, მშობიარობა მატჩის მსვლელობის დროს დაეწყო და დასრულებამდე ქვეყნიერებას ლია ფაბრეგასი მოევლინა, რომელიც მამამ მატჩის დასრულებიდან რამდენიმე საათში სამშობიაროში მოინახულა. ამგვარად, კატალონიურ კლუბში მამების რაოდენობა გაიზარდა: ლიონელ მესის, ხერარდ პიკეს, დავიდ ვილიას, პედროს, ვიქტორ ვალდესსა და ხოსე პინტოს არაოფიციალურ კლუბს სესკ ფაბრეგასიც დაემატა.



## მოურინიო და ჰიტლერი

მადრიდის „რეალის" ქომაგებმა „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონთან ახლოს პოსტერი გამოფინეს, რომელზეც ჟოზე მოურინიო ფაშისტური გერმანიის ლიდერთან – ადოლფ ჰიტლერთან ერთად არის გამოსახული. პოსტერს რამდენიმე ფაშისტური ლოზუნგი ამშვენებს და ჰიტლერთან მოურინიოს გაიგივებით ქომაგები იმ ფაქტს გმობენ, რომ მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დასვა გუნდის კაპიტანი და „რეალის" ათასობით ქომაგის კულტი იკერ კასილასი. ამჟამად „რეალის" მთავარი გოლკიპერი დიეგო ლოპესია, რომელიც სტაბილურად ასპარეზობს და მოურინიო მას მიიჩნევს პირველ ნომრად. არსებობს ვარაუდი, რომ ამ ორიდან ერთ-ერთი – კასილასი ან მოურინიო – კლუბს დატოვებს, თუმცა, კასილასის წასვლა მადრიდიდან ნაკლებად სავარაუდოა, ხოლო მოურინიოს დაბრუნება „ჩელსიში" რომან აბრამოვიჩის ბოლო დროს აკვიატებული აზრია, რომლის განხორციელება სავსებით შესაძლებელია.




## კაროლინ ვოზნიაცკი – მეგოლფეს დამხმარე

ცნობილი ჩოგბურთელი კაროლინ ვოზნიაცკი ტურნირებისგან თავისუფალ დროს საყვარელ ადამიანს უთმობს და თავისთვის საინტერესო პროფესიას ეუფლება. კაროლინას მეგოლფე ბოიფრენდი როვრი მაკილროი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთ ტურნირზე ასპარეზობს და მისი დამხმარე, როგორც გოლფის სამყაროში უწოდებენ – „კედი" – კაროლინ ვოზნიაცკი გახდა. კედის მოვალეობაში შედის მეგოლფის ინვენტარის ტარება, ყვანჯების დროულად მიწოდება და რჩევების მიცემა. უნდა ითქვას, რომ კაროლინა საქმეს პროფესიონალურად მიუდგა და მაკილროი კმაყოფილი დარჩა კედის მომსახურებით.



## მადამ ზლატანი

„პარი სენ-ჟერმენისა" და შვედეთის ნაკრების ლიდერის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის მეუღლე, 42 წლის ჰელენა სეგერი, ფეხბურთელების ცნობილი ცოლებიდან ყველაზე იდუმალ პერსონაჟად ითვლება. მოდელი, ბარმენი და მარკეტინგის დირექტორი ამჟამად მეუღლეზე ზრუნვით და შვილების გაზრდით არის დაკავებული. გაცნობის მომენტში ზლატანი 21 წლის იყო, ხოლო ჰელენა – 32 წლის. მას შემდეგ წყვილი ათი წელია ერთად არის და ზლატანი თავის მეუღლეს მოფერებით „სუპერძუკნას" ეძახის. ცნობისთვის, 2011 წელს ჰელენა შვედეთის ყველაზე ელეგანტურად ჩაცმულ ქალბატონად დასახელდა. ზლატანთან დაკავშირებით კი ბოლო პერიოდში ვრცელდება ცნობები, რომ სეზონის ბოლოს იგი პარიზს დატოვებს და კარიერას ტურინის „იუვენტუსში" განაგრძობს.

## ები კრაუჩის მორიგი სესია

„სტოკ სიტისა" და ინგლისის ნაკრების ექს-ფორვარდის, გიგანტი პიტერ კრაუჩის მეუღლემ, მოდელმა და ტელეწამყვანმა ები კრაუჩმა მორიგ გულახდილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ლამაზმანმა ებიმ ამჯერად ჟურნალ „ჰანგერისთვის" გაიხადა და მთლიანად შიშველი პოზირებდა ფოტოგრაფის წინაშე. შავ-თეთრი ეროტიკული ფოტოსესიის ნახვა კრაუჩის მეუღლის თაყვანისმცემლებს მაისში შეეძლებათ.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## სვით წყალი სწორად

სასმელი წყლის ხარისხი თავის აქტუალობას არასდროს კარგავს. მისი გასინჯვისას უპირატესობას გემოს ვანიჭებთ. ამგვარი შერჩევა შემთხვევითი არ არის. სხვადასხვა წყაროს წყალს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, მათ შორის, განსხვავებული გემოც აქვს. გემრიელი წყალი იწვევს არა მხოლოდ დადებით ემოციებს და კლავს წყურვილს, არამედ, უზარმაზარ ინფორმაციას შეიცავს დედამიწის წიაღის მდგომარეობის შესახებ.

დადგენილია, რომ სასმელი წყლის ხარისხსა და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ვინაიდან სასმელი წყლის ძირითადი წყაროა მდინარეები და მიწისქვეშა წყლები, მისი დაბინძურების რისკი მაღალია. ვისაც ბუნებრივ წყაროებზე ხელი არ მიგიწვდებათ და სამრეწველო წესით ჩამოსხმული მინერალური წყლის შეძენას ვერ ახერხებთ, შეგიძლიათ, სახლის პირობებშიც დაამზადოთ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო წყალი: საყინულეში მოათავსეთ ცივი წყლით სავსე ქვაბი. ექვსი საათის შემდეგ წყლის ნაწილი, რომელიც გაუყინავი დარჩა, სხვა ჭურჭელში გადაასხით და ხელახლა შედგით საყინულეში, ხოლო ყინული კი გადააგდეთ. ოთხი საათის შემდეგ ქვაბი გამოიღეთ მაცივრიდან, ყინულში არსებული სითხე გადაღვარეთ და ყინული ოთახის ტემპერატურაზე გაადნეთ. ასეთი წესით მომზადებული წყალი მინარევებისგან განმენდილია და ამავე დროს, შეიცავს ორგანიზმისთვის საჭირო ყველა ნივთიერებას. მისი სამკურნალო მოქმედების საიდუმლო კი ისაა, რომ გამდნარი წყლის მოლეკულის დიამეტრი ზომით იდეალურად შეესატყვისება უჯრედების მემბრანების ხვრელებს, რაც სითხეს საშუალებას აძლევს, ადვილად შევიდეს ქიმიურ რეაქციაში, რის შედეგადაც ნივთიერებათა ცვლის პროცესი აქტიურდება და ორგანიზმი ძალასა და ენერგიას ზოგავს.

წყალგაყვანილობის წყალი შეიცავს ქლორს, ფტორსა და სხვა ნაერთებს, რომლებიც დუღილის პროცესში ჯანმრთელობისთვის მავნე ნაერთს წარმოქმნის. ამისგან თავი რომ დაიცვათ, სანამ წყალს აადუღებთ, ერთი დღე-ღამე თიხის, სპილენძის ან მინის ჭურჭელში დატოვეთ, რომ ფტორი და ქლორი გაქრეს.

მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი დაახლოებით 40 ლიტრ სითხეს შეიცავს, რომლის აუცილებელი რაოდენობა მუდამ უნდა შენარჩუნდეს. უმნიშვნელო გაუწყლოების დროსაც კი, სისხლის პლაზმა და სხვა უჯრედგარეშე სითხე შესქელებას იწყებს და მათში მარილების რაოდენობა იმატებს. წყალი უჯრედებიდან დიდი კონცენტრაციის ზონაში მიემართება. შედეგად უჯრედები ნაოჭდება, რაც მთელი ორგანიზმის ნაადრევ დაბერებას იწვევს. გარდა ამისა, ადამიანთა უმეტესობა წყალს არასწორად სვამს, ხოლო მოსახლეობის თითქმის ნახევარი სითხეს გაცილებით ნაკლებს იღებს, ვიდრე საჭიროა.

თუ სისხლძარღვთა სისტემის სერიოზული დაავადებები არ გაწუხებთ და თირკმელებიც ნორმალურად მუშაობს, წყალი უნდა დალიოთ ნელა, ყლუპ-ყლუპით, არანაკლებ ორი ლიტრისა დღეში.

## პომიდორი ორგანიზმს კაროტინით ამარაგებს

ყოველდღე ერთი ჩაის ჭიქა პომიდვრის წვენის დალევით ადვილად შეივსებთ A ვიტამინის დეფიციტს.

დაახლოებით 200 მილილიტრი პომიდვრის წვენი 1 მილიგრამ კაროტინს შეიცავს, რომლის დღიური ნორმა სამი მილიგრამია.

კაროტინი ადამიანის ორგანიზმში A ვიტამინად გარდაიქმნება.

პომიდორში, ასევე, ბევრია სხვა მნიშვნელოვანი ვიტამინებიც: B, $B_1$, $B_{12}$, C, PP და K, ასევე, ფოლიუმის მჟავა, მინერალური მარილები.

პომიდორში მცირე რაოდენობით არის: ცილები, გლუკოზა, ფრუქტოზა, საქაროზა და ორგანული მჟავები, კერძოდ, ვაშლისა და ლიმონის მჟავა, რომლებიც აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს და ამცირებს ნაწლავური ბაქტერიების ზრდას. ამ თვისებების გამო, პომიდორი სამკურნალო და პროფილაქტიკური პროდუქტია.

პომიდორი თქვენს ორგანიზმს კაროტინით ამარაგებს.

სხვათა შორის, პომიდორი განსაკუთრებით სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალოდ, გაცხიმოვნებისა და მარილოვანი ცვლის დარღვევის დროს.

პომიდვრის რბილობი უებარი წამალია ჩირქოვანი იარების მოსაშუშებლად. კალციუმი და C ვიტამინი აუცილებელია ორსული ქალებისთვის.

## ძილის დარღვევა ამა თუ იმ დაავადების მანიშნებელია

თუ ძილთან დაკავშირებული პრობლემები გაქვთ, მაშინვე ნუ შეშფოთდებით, რადგან ამ პრობლემას ორგანიზმი ნელ-ნელა მოაგვარებს, მაგრამ, თუ უძილობა გრძელდება დიდხანს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ სასწრაფოდ უნდა მიაქციოთ სათანადო ყურადღება ჯანმრთელობას.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია, ისწავლოთ სწორად სუნთქვა. სწორად სუნთქვისა და სისხლის სისტემების საშუალებით მარაგდება ჩვენი ორგანიზმი ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით, იწმინდება და ახლდება ის. თუ ფილტვები წესრიგში არ გაქვთ, დღის განმავლობაში ეს თავს იჩენს მთქნარებით, ღამით კი – ძილის სურვილით (ანუ, გეძინებათ, მაგრამ, ვერ იძინებთ). გაამახვილეთ ყურადღება სუნთქვის სისტემაზე, თუ ნორმალურად დაძინებას მხოლოდ გამთენიისას ახერხებთ.

გულის დაავადებაზე მეტყველებს თვალების ქვეშ ჩალურჯებული რკალები, რაც მკვეთრად არის გამოხატული ძილის შემდეგ და დიდხანს არ ქრება. თუ ღამით დაძაბულს გძინავთ, გიწყდებათ სიზმრები, გეუფლებათ სევდა ან შიში, ყურადღება მიაქციეთ გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

თუ საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობა სათანადოდ არ არის მოგვარებული, ეს აისახება ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე, ამის განსაზღვრა კი სწორედ ძილის საშუალებით ხდება.

კუჭის ან საყლაპავი მილის დაავადებას გამცნობთ მშვიდი, მაგრამ ხანმოკლე ძილი. განსაკუთრებით მიხედეთ კუჭს, თუ ძილის შემდეგ ტუჩებზე პატარა ნახეთქები გიჩნდებათ და ყელი გიშუპდებათ; ასევე, თუ გაწუხებთ სხეულის ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა.

წვრილი ნაწლავის პრობლემების დროს, ძილში ძლიერდება ოფლიანობა, დილით კისრის დაბუჟება იჩენს თავს, ხოლო ტუჩებსა და პირის ლორწოვან გარსზე ჩნდება ნადები. თუ დაძაბული ძილი გაქვთ, სტრესულ ან ინტიმურ სიზმრებს ხედავთ, ყურადღება მიაქციეთ წვრილი ნაწლავის მდგომარეობას.

თუ მსხვილი ნაწლავი წესრიგში არ გაქვთ, საღამოს ადრიანად მოგერევათ ძილი, დაძინებისას კი მოუსვენრობა შეგაწუხებთ. დილას, შესაძლოა, პირში ცუდი სუნი იგრძნოთ, მთელი დღის განმავლობაში კი – სისუსტე.

მუდმივი მეტეორიზმიც მსხვილი ნაწლავის დაავადების მანიშნებელია. როცა დღისით ძილის სურვილი გიჩნდებათ, იძინებთ, მაგრამ შფოთავთ და ვერ ისვენებთ, ყურადღება მიაქციეთ ელენთასა და კუჭქვეშა ჯირკვალს. ამ დროს, შესაძლოა, გაგიჩნდეთ ტკბილზე მოთხოვნილება, დილას გაგაღვიძოთ შემცივნებამ, შეგაწუხოთ ტერფების სიმძიმემ.

თუ დილით შეშუპებას გრძნობთ მუხლქვეშ, ესე იგი, წესრიგში არ გაქვთ ლიმფური და იმუნური სისტემა.

თუ სიზმრებს საერთოდ ვერ ხედავთ, დილით კი უმიზეზოდ გეწყებათ თავბრუხვევა და თავის გამჭოლი ტკივილი, ყურადღება მიაქციეთ ღვიძლს.

მკვეთრად გამოხატული სიზმარი აქვთ თირკმელებისა და შარდის ბუშტის დისფუნქციის მქონე ადამიანებს, თუმცა, დილით მის გახსენებას ვერ ახერხებენ. ამ დროს, შესაძლოა, მხედველობის პრობლემებმაც იჩინოს თავი. ამ ორგანოების დაავადების დროს დამახასიათებელია ფხიზელი, ზერელე და წყვეტილი ძილი.

## ქოლეცისტიტს შინაურ პირობებშიც უმკურნალებთ

ქოლეცისტიტი ნაღვლის ბუშტის ანთებაა. მის განვითარებას ორი მიზეზი იწვევს, კერძოდ: ბაქტერიული ინფექცია და ნაღვლის შეგუბება. ინფექცია ნაღვლის ბუშტში შეიძლება მოხვდეს ნაღვლის სადინარებიდან სისხლით და ლიმფური გზით. ნაღვლის შეგუბების მიზეზებიდან აღსანიშნავია ნაღვლის ბუშტისა და მისი სადინარების თანდაყოლილი დეფექტი, ნაღვლის სადინარების დისკინეზიური ცვლილებები, ორსულობა, ნაკლები მოძრაობა. გარდა ამისა, ქოლეცისტიტის განვითარებას იწვევს მწვავე პანკრეატიტი, პარაზიტული დაავადებები, ჭარბი წონა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ნაღვლის ბუშტის კედლის სისხლმომარაგების მოშლა, მემკვიდრეობითობა და ალერგიული ფაქტორი.

მწვავე ქოლეცისტიტის დროს აღინიშნება ძლიერი შეტევითი ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ, ჭიპის მარჯვნივ, რომელიც, შეიძლება, გავრცელდეს მარჯვენა წელის, მხრისა და ბეჭის მიდამოებში. ტკივილს თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, პირღებინება და ტემპერატურის მომატებაც კი. ის, შესაძლოა, რამდენიმე დღეც გაგრძელდეს. ტკივილის შეტევის პროვოცირებას ახდენს შებოლილი, მწარე, ცხარე, ცხიმიანი საკვები, ალკოჰოლი, ემოციური და ფიზიკური დატვირთვა.

ტკივილი ნაღვლის შეგუბებითაა გამოწვეული. ნაღვლის დენას ხელს უშლის კენჭები. მძიმე შემთხვევაში ვლინდება სისუსტე, მადის დაქვეითება, შემცივნება და ტაქიკარდია.

მოხუცებსა და მოზრდილებში უფრო ხშირია კენჭოვანი ქოლეცისტიტი და მისი შერწყმა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებთან. გაცილებით ხშირია ქრონიკული ქოლეცისტიტი. ამ დროს ტკივილი ყრუდ მიმდინარეობს. აღინიშნება სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა არეში. ქრონიკულ ფორმას თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, პირში მწარე გემო, ტემპერატურის მომატება.

მსუბუქი ფორმის დროს მკურნალობა ძირითადად სპაზმოლიტურია. ასეთ დროს იყენებენ ნაღველმდენ საშუალებებსა და ანტიბიოტიკებს.

ქოლეცისტიტის დროს კარგია შემდეგი ხალხური რეცეპტით დამზადებული ნაყენი: 1 ჩაის კოვზ ბოლოკისა და 1 ჩაის კოვზ ჭარხლის წვენს შეურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი. დაასხით 1 ჩაის ჭიქა არაყი, კარგად ამოურიეთ და დადგით რამდენიმე დღის განმავლობაში ბნელ და გრილ ადგილას. მიიღეთ 50 მილილიტრი დღეში 3-ჯერ.

## გადაღლის დროს ჭამეთ საქონლის ღვიძლი და ბევრი ხილი

კარგი გუნება-განწყობისა და სასიცოცხლო ტონუსის შესანარჩუნებლად აუცილებლად აკონტროლეთ წნევა, სისხლძარღვების ჯანმრთელობა და წონა. გადაღლა, სტრესი და არასწორი კვება ცვეთს სისხლძარღვებს, უკარგავს ელასტიკურობას, იხშობა წვრილი ძარღვები, რასაც სპაზმები, თავის ტკივილი და მთელი რიგი უსიამოვნებები მოსდევს.

ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევისა და ინსულტის რისკ-ფაქტორებს შორის პირველ ადგილზე ჰიპერტონიაა.

კოორდინაციის დაკარგვის, თავბრუხვევის, თავის ტვინის სპაზმების დროს უნდა მიიღოთ მცენარეული ნედლეულით დამზადებული წამლები, რომლებიც აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, წნევას, წმენდს კაპილარებს ცხიმოვანი დანალექებისგან, აღადგენს ძარღვების ელასტიკურობას და ასე შემდეგ.

დაძაბულობისა და გადაღლის დროს უნდა მიირთვათ საქონლის ღვიძლი ან ტვინი, ბროწეული, ანანასი, ავოკადო, ხორბლის, ღერღილის ნაწარმი, ბევრი ხილი და ბოსტნეული.

C ვიტამინი, რომელსაც უხვად შეიცავს ფორთოხალი და გრეიპფრუტი, წმენდს ტვინის სისხლძარღვებს. კვებით რაციონში აუცილებლად ჩართეთ მინერალური ნივთიერებებით მდიდარი ზღვის პროდუქტებიც, ეს აუმჯობესებს ადამიანის გონებრივ აქტივობას.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: დილით რომ ვიღვიძებ, თვალები, სახე და ხელები შეშუპებული მაქვს. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი**: უნდა გამოირიცხოს გულის პათოლოგია და თირკმლის ფუნქციის დარღვევა. აგრეთვე, გაარკვიეთ, ხომ არ გაქვთ ალერგია. აუცილებლად მიმართეთ ოჯახის ექიმს, რომელიც დაადგენს, რა მიმართულებით უნდა ჩატარდეს გამოკვლევა.

**კითხვა: რამ იცის ყელში სპაზმი?**

**პასუხი**: მსგავსი ჩივილის მიზეზი ბევრია: საყლაპავის ზოგიერთი დაავადება, გულის ზოგიერთი დაავადება, ანემია, ყელის დაავადება, ნევროზი. საჭიროა გამოკვლევების ჩატარება.

**კითხვა: ვარ 42 წლის მამაკაცი. ხშირად, როცა გაცივებული არ ვარ, მინდა დაცემინება და ვერ ვაცემინებ. რა შეიძლება იყოს მიზეზი?**

**პასუხი**: ჩივილის მიზეზი, სავარაუდოდ, მომატებული ალერგიული ფონი უნდა იყოს.

**კითხვა: მაწუხებს კუჭის ტკივილი დილით, უზმოზე და ცოტა ხანს ჭამის შემდეგაც. საღამოსაც იგივე მეორდება. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი**: კლინიკური ნიშნები: ტკივილი უზმოზე ან ჭამის შემდეგ, სიმძიმის შეგრძნება, გულმმარვა და სხვა, შესაძლოა, იყოს როგორც გასტრიტის, ასევე, კუჭის წყლულის (ჩივილები უფრო გამოხატულია, ვიდრე გასტრიტის დროს) მანიშნებელი, ამიტომ, გირჩევთ, დროულად მიმართოთ გასტროენტეროლოგს.

**კითხვა: ვარ 26 წლის. ხშირად მექავება თვალები. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: თვალის ქავილი ყველაზე ხშირად ალერგიული ანთების ბრალია. ბოლო პერიოდში თვალის ქავილის გავრცელებული მიზეზია მშრალი თვალის სინდრომი: კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა თვალის ლორწოვანს აშრობს და ძლიერ ქავილს იწვევს. ქავილი, მიზეზიდან გამომდინარე, ზოგჯერ მხოლოდ ქუთუთოებს მოიცავს, ზოგჯერ – თვალის ლორწოვან გარსს; მასთან, ხან პერიოდულია, ხან კი – მუდმივი.

მკურნალობა გამომწვევი მიზეზის მიხედვით ინიშნება, რისთვისაც უნდა მიმართოთ ოფთალმოლოგს.

**კითხვა: ვარ 28 წლის. მაქვს ყურების საშინელი ქავილი. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი**: ყურის ქავილის მიზეზი მრავალნაირია, ყველაზე ხშირი მიზეზი კი ოტომიკოზი, ანუ ყურის სოკოვანი ინფექციაა, რომელიც თავს იჩენს იმუნიტეტის დაქვეითების, ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ცუდი ეკოლოგიური პირობების, ანტიბიოტიკებისა და ჰორმონული პრეპარატების ხანგრძლივად მიღების დროს. ქავილის შესაძლო მიზეზია ალერგიაც, რომელიც ვითარდება დაბანის დროს გამოყენებული შამპუნისა და საპნის მიმართ. მიზეზის დასადგენად უნდა გამოიკვლიოთ ყურის ნაცხი. მკურნალობის შესარჩევად მიმართეთ ყელ-ყურის სპეციალისტს. სანამ ამ ყველაფერს მოახერხებთ, გირჩევთ, დაწოლილ მდგომარეობაში ჩაიწვეთოთ ყურში 2-3 წვეთი მცენარეული ზეთი, რომელიც საგრძნობლად შეგიმცირებთ ამ უსიამოვნო სიმპტომს.

**კითხვა: რა ფუნქცია გამოიკვლევა ორგანიზმში FT4-ით?**

**პასუხი**: FT4 არის თავისუფალი თიროქსინი. FT4-ის გამოკვლევა საჭირო ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს TSH-ის ცვლილებას – ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირების შეფასების მიზნით.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



# რა უთხრეს ქურდებმა გიული ჭოხონელიძეს ფილმ „დღე პირველი დღე უკანასკნელის" ნახვის შემდეგ და რატომ გარდაიცვალა ცამეტი მსახიობი „ანთიმოზ ივერიელის" გადაღებების პერიოდში



მან ბევრ ფილმში ითამაშა. მოგვიანებით თავადაც დაიწყო ფილმების გადაღება, სადაც ყველა მთავარ როლს თავადვე ასრულებდა. ორსერიიანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ანთიმოზ ივერიელი" გიული ჭოხონელიძის ბოლო, შეიძლება ითქვას, ყველაზე სერიოზული ნამუშევარია, რომლის ღირებულებაც მსოფლიო კინობაზარზე 15 მილიონი დოლარია. რეჟისორმა ის 2001 წელს გადაიღო და მასში ბევრი საკმაოდ ცნობილი მსახიობი მონაწილეობს. გიული ჭოხონელიძე 2008 წელს, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს მისი ცხოვრების ფურცლებია, რომელიც, ვფიქრობ, ყველასთვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს.

„კინო უშუალოდ შინაგანი განცდა – გული და თვალია. სანამ კინოში მოვხვდებოდი, ვხატავდი. ბევრი მხატვარი მეგობარიც მყავდა, მაგრამ, ერთ დღეს გადავწყვიტე თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობოზე ჩაბარება, რაც ძალიან საინტერესო და იღბლიანი აღმოჩნდა ჩემთვის. ჩემს კურსზე იყვნენ გურამ საღარაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ლეილა აბაშიძე... ძალიან მაინტერესებდა მოსკოვში „ვგიკში" სწავლა და წავედი. როგორც თეატრალურ ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მესამე კურსზე დამსვეს. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი სერგო ფარაჯანოვის მოლდავური ზღაპარი „ანდრიაში" იყო, სადაც მთავარ როლს ვასრულებ. ამის შემდეგ ფარაჯანოვმა გადაიღო სრულმეტრაჟიანი ფილმი და იქაც მთავარ როლს ვთამაშობ. მერე რეჟისურას მოვკიდე ხელი. ჩემი პირველი სურათი „ქორჩორა" იყო. მას მოჰყვა „წინაპართა მიწა", რომლის რეჟისორიც და მთავარი როლის შემსრულებელიც ვარ. „მოსფილმში" გადავიღე დიდი, ორსერიანი სურათი „ბაგრატიონი"; ასევე, „მოსფილმში" გადავიღე რუსეთის დაფინანსებით ოთხსერიიანი მხატვრული ფილმი „სპირალი", შემდეგ – „ანთიმოზ ივერიელი". ამისთვის ბუქარესტს ვეწვიე, სადაც შვიდი ქვეყნის პატრიარქი იყო ჩასული. ტექნიკურად ეს იყო ძალიან რთული გადასაღები ფილმი. ფაქტობრივად, ჩვენ ამ თემის გარშემო მასალა არ გაგვაჩნია. ანთიმოზ ივერიელის გვარიც კი არ ვიცით. როცა ფილმის გადაღება გადავწყვიტე, ბევრი ვეძიე და გვარი ვერ მოვიპოვე, მაგრამ, რუმინეთს მდიდარი მასალა აქვს ამ პიროვნებაზე, რაც ძალიან დამეხმარა. ედუარდ შევარდნაძემ წამიყვანა რუმინეთში და რუმინეთის პრეზიდენტ ილიესკუს შემახვედრა. მოვილაპარაკეთ, რომ ნახევარს ისინი დააფინანსებდნენ, ნახევარს – ჩვენ. მათ ამ სურათში 2,5 მილიონი უნდა გადაეხადათ, ჩვენ, როგორც ღატაკ ქვეყანას – 400 ათასი ლარი. ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძელით ამ თანხის გადახდა და ამიტომ ფილმს ცხრა წელი ვიღებდი. მაშინ დიდი არეულობა იყო რუმინეთში, ხალხი შიმშილით იხოცებოდა. სურათზე მუშაობის პერიოდში 13 მსახიობი გარდაიცვალა. მსახიობებს ფულს ვერ ვუხდიდი. ხან ვის ვთხოვდი დახმარებას, ხან – ვის და, ასე, წამებით დავამთავრე ფილმი. „გვირაბმშენის" უფროსი დაგვეხმარა. ტურიზმის დეპარტამენტის მმართველი ომანიძე რუმინეთში ტურბაზას დაუკავშირდა და 60 კაცი უფასოდ მიგვიღეს. რუმინეთის პატრიარქმა რამდენჯერმე თავის სასტუმროში გვაცხოვრა. ჯარი დამჭირდა და დამახმარეს. დავით გარეჯი რომ დაგვჭირდა, ამაშიც ომანიძე დაგვეხმარა. ბოლოს, სურათის დასამთავრებლად შევარდნაძემ მომცა 120 ათასი ლარი. ფილმი სულ 400 ათასი ლარი დაჯდა. კინობაზარზე კი 15 მილიონად არის შეფასებული. მოგეხსენებათ, ანთიმოზ ივერიელი რუმინელი ხალხისთვის იგივეა, რაც ჩვენთვის შოთა რუსთაველი. ეს ადამიანი 12 ენას ფლობდა, საოცრად განათლებული და უდიდესი ორატორი იყო. ტაძარში გადაღების სცენა დამჭირდა. პატრიარქის სამოსით ვიყავი და ტაძარში შემოსული ხალხი ყველა კურთხევას მთხოვდა – ეგონათ უცხო ქვეყნის პატრიარქია ჩამოსულიო. ხომ ვერ ავუხსნიდი ამ ადამიანებს, რომ მსახიობი ვარ და ფილმს ვიღებთ-მეთქი, ამიტომ, შესაბამისად, ყველაფერს ვაკეთებდი, რაც საჭირო იყო. ერთი მონაზონი დაეჭვდა და, სადაც წავიდოდი, სულ დამყვებოდა. გადაღება რომ დამთავრდა, ტაძრიდან გამოვედი და წვერი მოვიხსენი. ეს რომ დაინახა, შეცბა, ხელში ჯვარი ეჭირა და, სატანაო – გაიძახოდა. მოსკოვში ვიყავი კინოფესტივალზე, ბევრი ქვეყანა იღებდა მონაწილეობას და ჩემი ფილმი რომ ნახეს, ყველა მეკითხებოდა, როგორ ვიყიდოთ თქვენი სურათიო. როგორ უნდა იყიდონ, როცა ასლი არ გაგვაჩნია, მხოლოდ ორიგინალი გვაქვს. ფილმი უნდა გადავიტანოთ ვიდეოფირზე და დაიყოს ოცდახუთ-ოცდახუთ წუთად, სხვადასხვა ენაზე გახმოვანება სჭირდება... აქ დიდ თანხაზეა ლაპარაკი, რომელიც დიდ შემოსავალს მოგვიტანს.





გურამ საღარაძე, ლია ელიავა, მურმან ლებანიძე და გიული ჭოხონელიძე გურამ საღარაძის დაბადების დღეზე



მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად



ჭოხონელიძე და ჟანრი ლოლაშვილი



შვილიშვილთან ერთად

### დათვის ბელი ფატიმასათვის

„ფატიმა" ხალხმა გამოსვლისთანავე აიტაცა. უამრავ წერილს ვიღებდი. ჯამბულათის როლის შემსრულებელმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა მითხრა, მეც ვიღებ წერილებს და სულ მლანძღავენო. გახსოვთ, ალბათ, ის უარყოფით როლს თამაშობს ფილმში, მე – დადებითს. სამი მთავარი როლი იყო და სამივე უაღრესად საინტერესო. ფილმის გადაღებების პერიოდში ოსეთის



ჭოხონელიძე და ოთარ კობერიძე

ერთ-ერთ სოფელში ვცხოვრობდით. რეჟისორმა სიკო დოლიძემ დაიჩემა – იბრაჰიმმა ფატიმას საჩუქრად დათვის ბელი უნდა მიუყვანოსო. მოიყვანეს დათვის ბელი და მომაბარეს. გადაღებები გაჭიანურდა. რეჟისორს ვუთხარი, ბელი იზრდება და მერე მისი გადაღება გაჭირდება-მეთქი. გავაგრძელეთ გადაღებები. სინათლე რომ ჩართეს, ბელი გადაირია. ადგნენ


ჭოხონელიძე ანთიმოზ ივერიელის როლში


„დღე პირველი დღე უკანასკნელი”

და ტორები მავთულით შეუკრეს; კბენა დაიწყო, მერე ცხვირ-პირიც შეუკრეს, მაგრამ, დათვმა თვალები გადააბრუნა და გადაგორდა – გაიგუდა. ფილმის პატარა ნაწილში მაინც დარჩა.

საერთოდ, ყველა როლში მკლავენ. ეს იყო საოცრება და სულ მაინტერესებდა, რატომ ხდებოდა ასე. ბოლოს დავასკვენი: ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან დატანჯული, ნაოჭებიანი სახე მაქვს-მეთქი. არც ერთ ფილმში კარგად ჩაცმული არ ვარ, სულ ღარიბებს, ქურდებსა და ყაჩაღებს ვთამაშობ. როცა ბაგრატიონის როლზე დამამტკიცეს, აი მაშინ შემიკერეს კარგი კოსტიუმი. მუნდირს ყოველ საღამოს ვწმენდდი.


„ფატიმა” – იბრაჰიმის როლში

### კარგი ქურდი

„დღე პირველი, დღე უკანასკნელში” ქურდის როლი არ იყო. მაშინ ხრუშჩოვი ისვენებდა სოჭში და ვიღაც ქურდმა წერილი მისწერა: ქურდი ვარ, მაგრამ, ქურდობა აღარ მინდა და, თუ შეიძლება, სამსახურის მოძებნაში დამეხმარეთო. ეს წერილი გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა, რომელიც სიკო დოლიძემ ნახა და ფილმში გამოიყენა. მითხრა – სწორედ შენ უნდა ითამაშო ქურდის როლიო. ფილმი რომ გამოვიდა ეკრანებზე, რესტორანში წავედით და აღვნიშნეთ. ჩვენს მოპირდაპირე მხარეს, მაგიდასთან ქურდები ისხდნენ. მიცნეს და მთხოვეს – თუ შეიძლება, ჩვენთან გადმოჯექითო. ცოტა, რომ დალიეს ერთერთმა მითხრა: როცა ქურდების ცხოვრება არ იცი, არ უნდა ითამაშოო. მაინც რატომ-მეთქი, – დავინტერესდი. ღია კარში რომ შედიხარ, მასე სად არის. როცა ჩვენ ვინმეს გაქურდვა გვინდა, პატარა ბიჭებს ვგზავნით და ყველა კარში ასანთის ღერებს არჭობენ; მერე დავივლით, რომელ კარშიც ასანთის ღერი დარჩენილია, ესე იგი, იქ არავინაა და ვიწყებთ იმ ბინის „დამუშავებასო”.


„დღე პირველი დღე უკანასკნელი” – ქურდის როლში

ცნობილი კინორეჟისორი კოლია პიპინაშვილი სიკო დოლიძესთან დადიოდა ხოლმე სტუმრად. სიკოსაც და კოლიასაც თეთრი ფერის „ვოლგები” ჰყავდათ. ერთხელ კოლია, ჩვეულებრივ, ესტუმრა სიკოს. რამდენიმე წუთის შემდეგ კარზე კაკუნის ხმაა. სიკომ გააღო კარი და ვიღაცამ წერილი გადასცა. წერილში ის ეწერა, რაც ქურდებმა მითხრეს რესტორანში: რატომ ეხებით ქურდების ცხოვრებასო. ცოტა ხანში ბატონი კოლია ქვემოთ ჩავიდა და რას ხედავს – მანქანა ადგილზე არ დგას. რამდენიმე დღის შემდეგ მანქანა ყაზბეგის ქუჩაზე იპოვეს. შიგნით წერილი იდო, რომელშიც ეწერა: დიდ ბოდიშს გიხდით, ბატონო კოლია, სიკო დოლიძის „ვოლგა” გვეგონა და ამიტომ წავიყვანეთო.


„დღე პირველი დღე უკანასკნელი”

**ეკა პატარაია**

# რას დაუკავშირა ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დავით სარაჯიშვილმა და როდის გადაეცა ეს შენობა მწერალთა კავშირს

(23-ე გვერდიდან)

ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს, მეწარმე აკაკი ხოშტარიას კუთვნილი სახლი გადასცეს. საქართველოს გასაბჭოებიდან მესამე დღეს დავით სარაჯიშვილის აშენებულ სახლში ახლად შექმნილმა მწერალთა კავშირმა დაიდო ბინა. ცნობისთვის, 1920-იან წლებში მწერალთა კავშირის შენობას „ხელოვნების სასახლეს” უწოდებდნენ.


დავით სარაჯიშვილის დაკრძალვა, მსვლელობა სასახლის ქუჩაზე (1911 წლის 26 ივნისი)

### „დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა“

1888 წლის შემოდგომაზე თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნის ბაზაზე ამოქმედდა დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა, რომელიც სამამულო ნედლეულზე მუშაობდა. სარაჯიშვილის კონიაკი პოპულარული იყო მთელ რუსეთის იმპერიაში და უცხოეთის ქვეყნებში. 1888-1914 წლებში მსოფლიო გამოფენებზე სარაჯიშვილის კონიაკმა 9 ოქროს, 5 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. სარაჯიშვილის ქარხნები აღჭურვილი იყო იმ დროის საუკეთესო აპარატურით. 1904 წლის მონაცემებით, მისი ქარხნების საერთო პროდუქცია შეადგენდა 38 218 000 ბოთლს. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან შეწყდა, სარაჯიშვილის კონიაკისა და ლიქიორის ქარხანა ველარ ახერხებდა პროდუქციის გატანას ექსპორტზე, რის გამოც მძიმე პერიოდი დაუდგა. დაახლოებით 1920 წელს ქარხანა დაიხურა და მხოლოდ რამდენიმე წელიწადში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განაახლა მუშაობა – სწორედ დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის ბაზაზე შეიქმნა თბილისის კონიაკის ქარხანა.


დავით სარაჯიშვილის კონიაკის პავილიონი (თბილისი, 1889 წელი)


სარაჯიშვილის კონიაკის პავილიონი საიუბილეო გამოფენაზე (1901 წელი)

**უშანგი რუხაძე**



**ადამიანები დიდი სიფრთხილითა და სიყვარულით ინახავენ და უფრთხილდებიან ახლობელთა ნაჩუქარ ან ნაქონ ნივთებს და ალბათ, ვერც ხვდებიან, რომ მათ მიმართ უცნაური ლტოლვა უჩნდებათ. ერთ დღესაც, შესაძლოა, აღმოვაჩინოთ, რომ, ტანსაცმელი ან სამკაული, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვატარებთ, ჩვენი ერთგვარი დამცველია, ასევე, ავი თვალისგანაც გვიცავს და ჩვენს წარმატებაზეც აგებს პასუხს. ხოლო, რაც შეეხება ფინანსურ პრობლემას, შეგვიძლია, თავადვე გადავჭრათ. როგორც ჩვენი დღევანდელი რუბრიკის რესპონდენტი, ქალბატონი ლალი ამბობს, ყველა ადამიანი კარგად უნდა დააკვირდეს, რა ფორმის ბიჟუტერია უკეთია საქმიან შეხვედრაზე, პაემანსა თუ წვეულებაზე, რადგან ამაში უდიდესი მაგიური საიდუმლო ინახება.**

# რატომ უნდა დააწყოთ კართან დაგებული ფეხსაწმენდის ქვეშ ხურდა ფული და როგორ გავაძლიეროთ ფინანსური კოდი ჩვენს ბინაში

**ლალი**: დღეს ჩვენ გვერდით უამრავი გაჭირვებული ადამიანი ცხოვრობს, რაც ჩემზე ძალიან მოქმედებს და განვიცდი. ნეტავ, იმდენი ფული მომცა, ყველას დავეხმარო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩემს ძალებს აღემატება. ერთადერთი, რითაც შემიძლია, მათ დახმარება გავუწიო, ის არის, რომ მივცე რჩევები და ვასწავლო ხერხები, რომლებიც მე წინაპრებისგან ვიცი და რაც უიღბლობისა და უფულობისაგან დაიცავს ადამიანს.

**– კერძოდ, რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა, რომ მატერიალური გაჭირვების წინაშე არ აღმოჩნდეს?**

– იმისთვის, რომ ოჯახი არასდროს დადგეს მატერიალური გაჭირვების წინაშე, აუცილებელია, საცხოვრებელი ბინის კუთხეებში დავაწყოთ ხურდა ფული. უმჯობესია, თუ ის ოჯახის რომელიმე წევრის პირველი ხელფასით იქნება ნაყიდი და მას არასდროს დახარჯავთ. ასევე, პირველი ხელფასით აუცილებლად შეიძინეთ სარკე და ის ატარეთ ჩანთით, ოღონდ, მასში ყოველ დილას და საღამოს ჩაიხედეთ. ცნობილია, რომ საფულეში ჩალაგებული ერთნაირი კუპიურები ერთმანეთის ენერგეტიკას ძალიან აძლიერებს. ხშირად ამოიღეთ ფული საფულიდან, დათვალეთ, თავზე შემოიტარეთ და ისევ თავის ადგილას დააბრუნეთ – ამით მას თქვენს ენერგეტიკას გადასცემთ და ეს ხერხი უფრო მეტი ფინანსების მოპოვებაში დაგეხმარებათ. როცა ხელფასს აიღებთ, სახლში მისულმა, საღამოს აანთეთ წითელი სანთელი, მის ალზე შემოატარეთ ფული და გონებაში გაიფიქრეთ, რომ ხართ ბედნიერი, არასოდეს შეგაწუხებთ უფულობა და სიდუხჭირე. შემდეგ ფულის კუპიურები ისევ საფულეში ჩადეთ და, მერწმუნეთ, დროთა განმავლობაში ის უფრო მეტ სახსრებს მოიძიებს. ასევე, ნურასდროს ისესხებთ ფულს სხვისთვის, არ გაასესხოთ თანხა ორშაბათს, არ დააბრუნოთ ვალი შაბათსა და ორშაბათს და არც ისეთ ადგილას დადოთ ფული, რომ მას სხვა ადამიანის მზერა მოხვდეს. გაცემული თანხა არასდროს დაიბრუნოთ ნაწილ-ნაწილ, რადგან ასევე ნაწილ-ნაწილ გაგივათ ხელიდან, ისე, რომ ვერაფერს იხეირებთ. თუ მაინცდამაინც ფულის სესხება დაგჭირდათ, ისესხეთ ის ხუთშაბათ დღეს, რათა მალევე შეძლოთ მისი მევალისთვის დაბრუნება. თუ გსურთ, ოჯახში ბარაქა გააორმაგოთ, მინის ლარნაკში ჩაასხით ახალ მთვარეზე ონკანიდან აღებული სუფთა წყალი და ჩაყარეთ მასში ორი 20-თეთრიანი და ორი 50-თეთრიანი. ყოველ დილით კი ამ წყლის რამდენიმე წვეთი დალიეთ და ისე გადით სახლიდან. ასევე, ბარაქის მოსაზიდად კარგია სახლის კართან, ფეხსაწმენდის ქვეშ ხურდა ფულის დადება, რომელიც დროდადრო უნდა ცვალოთ და ხარჯოთ. სასურველია, ამ ფულის ხარჯვა პარასკევ ან შაბათ დღეს დაამთხვიოთ. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ არ შეიძინოთ ამ ფულით სანთებელა, ასანთი, სიგარეტი და ცეცხლთან დაკავშირებული ნივთები. საღამოს არც გაასესხოთ ფული და არც ისესხოთ, არც მარცხენა ხელით გამოართვათ ის ვინმეს და არც თავად მისცეთ.

**– გამიგია, რომ ადამიანის მატერიალურ მდგომარეობაზე ტანსაცმელი და სამკაულებიც „აგებს პასუხს“. ამაზე რას გვეტყვით?**

– სამკაულებსა და ტანსაცმელს მართლაც მაგიური თვისებები აქვს ადამიანის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. თუ ქალი ხშირად ატარებს ვარდისფერი და წითელი ტყავის სამაჯურებს, მას მატერიალური მდგომარეობის მხრივ ყველაფერი რიგზე ექნება. ზოგიერთი სამკაული და სამოსი ერთგვარ თილისმად და დამცველადაც მოიაზრება. აქედან გამომდინარე, ალბათ, მიხვდებით, რატომ გვიჭირს ხოლმე ამა თუ იმ სამკაულისა თუ ტანსაცმლის გაჩუქება. ძველად ადამიანები ახალ ტანსაცმელს იშვიათად იცვამდნენ. მიაჩნდათ, რომ ძველი ტანსაცმელი ავი თვალის ზემოქმედების, უსახსრობისა და უიღბლობისგან იცავდა მათ. საერთოდ, ძველი ტანსაცმელი, რომელსაც ხშირად იცვამდით, უარყოფით ენერგიას განიზიდავს და, შესაბამისად, ადამიანის დაცვასაც უზრუნველყოფს არასასურველი მოვლენებისგან. ყველა ნივთი თავისი მფლობელის მფარველობისა და უსიამოვნებისგან დაცვის უნიკალურ უნარს იძენს, თუ მას დიდხანს და სიყვარულით ატარებთ. ბევრი მინახავს, ვინც ერთი ჭიქით სვამს ყავას, ჩაის თუ წყალს, ერთი და იმავე თეფშიდან მიირთმევს საჭმელს – ერთი სიტყვით, თავისი ჭურჭელი აქვს გამოყოფილი. ასეთი ჭურჭელიც ერთგვარი დამცველი თილისმაა მისი პატრონისთვის. კერძოდ, თუ მიეჩვიეთ ერთი ჭიქიდან სმას ან ერთი თეფშიდან ჭამას, მაგრამ, ის გაგიტყდათ და გამოცვლა მოგიწიათ, შესაძლოა, დროებით იგრძნოთ დამცველი ძალების ნაკლებობა.

**ნურასოდეს ისესხებთ ფულს სხვისთვის; არასდროს გაასესხოთ ორშაბათს, არ დააბრუნოთ ვალი შაბათსა და ორშაბათს და არც ისეთ ადგილას დადოთ ფული, რომ მას სხვა ადამიანის მზერა მოხვდეს**

**– ნათხოვარი ტანსაცმლის ტარების დროს ენერგეტიკა მართლა გადადის დროებით მფლობელზე და ხომ არ არის ეს საშიში?**

– სხვათა შორის, ამას ბევრი მეკითხება. თუ თქვენ გიყვართ ესა თუ ის სამოსი ან სამკაული, თავს კომფორტულად გრძნობთ მათთან შეხებისას და დიდხანს ატარებთ, არავითარ შემთხვევაში არ გაანათხოვროთ, მით უმეტეს – არ გააჩუქოთ. თუ ასე მოიქცევით, მაშინ თქვენი ენერგეტიკა, რომელიც ამ სამოსზე ან ნივთზეა გარკვეულწილად „მიწებებული“, გადადის მის ახალ მფლობელზე, შესაძლოა, მან დამცველის ფუნქციაც დაკარგოს და აღარც წარმატების მომტანი იყოს თქვენთვის. ის თქვენი დამცველი და თილისმაა და თქვენგან სათუთ მოპყრობას იმსახურებს.

**– თანამედროვე ქალები დღეს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებენ ბიჟუტერიას – საქმიან შეხვედრებსა თუ წვეულებებზე მათი გაკეთება ძალზე მიღებული და მოდური გახდა. ამბობენ, ამ დროსაც სიფრთხილის გამოჩენაა საჭიროო.**

– დიახ, ასეა. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, უნდა ისწავლოთ მათი სწორად შერჩევა. მაგალითად, თუ გსურთ ყურადღების ცენტრში ყოფნა, უპირატესობა ორიგინალურ კოლიეზე, გრძელ საყურეზე, ვარდისფერი ქვებით გაწყობილ ბეჭდებზე შეაჩერეთ; ყვავილის ფორმის, მკაფიო ფერის ქვებით გაწყობილი აქსესუარები კი გარშემო მყოფთა ყურადღებასაც დაიმსახურებს და თქვენს ცხოვრებას უფრო ლამაზსა და მრავალფეროვანს გახდის; გამჭვირვალე ქვებით მოოჭვილი ბიჟუტერია კი უფრო მიმზიდველს გაგხდით; ყვითელი შუშისთვლიანი ბიჟუტერია მეტ თავდაჯერებულობას შეგმატებთ; ხოლო, ყვავილის, პეპლის ან გულის ფორმის, გამჭვირვალე ქვებით შემკული პატარა ზომის გულსაკიდების ტარება მეტად მიმზიდველსა და წარმატებულს გაგხდით ცხოვრებაში; ოფიციალურ შეხვედრაზე კარგია წითელი, ცისფერი და ნარინჯისფერი ქვებით გაწყობილი ბიჟუტერიის გაკეთება, რადგან ეს თქვენს ინდივიდუალიზმს უსვამს ხაზს; პატარა, ზარის ფორმის გულსაკიდი, ბეჭედი ან საყურე ნებისმიერ სფეროში წარმატების გარანტი იქნება. საერთოდ, მიჩნეულია, რომ ქალმა ხშირად უნდა ატაროს მკვეთრი წითელი ფერის სამკაული, რადგან ამით ის ადვილად იპყრობს ყურადღებას და მეტად არის დაცული ნეგატიური ზემოქმედებისგან.

**ნონა დათეშიძე**

## იუმორის მომხიბვლელობა

მამაკაცებს უყვართ კარგი იუმორის მქონე ქალები – ისინი განსაკუთრებით აფასებენ ამ თვისებას სუსტ სქესში, თუმცა, შეფასების საკუთარი კრიტერიუმები აქვთ. ანუ, შეიძლება, შესანიშნავი იუმორის გრძნობა გქონდეთ, მაგრამ მამაკაცს თავი მაინც ვერ მოაწონოთ.

მამაკაცის აზრით, კარგი იუმორის გრძნობა აქვს ქალს, რომელიც მის ხუმრობებზე იცინის – ეს არის აქსიომა! თან, თვითონ ქალი ჩუმად უნდა იყოს, მხოლოდ უნდა უსმინოს და გაიცინოს. ქალის იუმორის ნიჭთან მამაკაცებს ოდითგანვე ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ. თავად მამაკაცებს უნდა ჰქონდეთ ალღო და რისკი, რათა კრიტიკულ სიტუაციაში არ დაიბნენ და სწრაფად იპოვონ გამოსავალი. სხვათა შორის, ქალებს არც ერთი სჭირდებათ და არც მეორე, ისინი ბუნებრივად ახერხებენ სირთულეების დაძლევას. მათ ამის ნიჭი ბუნებამ უბოძა. სამაგიეროდ, ქალი ვალდებულია, აღფრთოვანდეს კაცის ალღოიანობით, რისკიანობითა და გამჭრიახობით. არ გააკეთებს ამას და, კაცს თავს ვერ მოაწონებს. კიდევ, უნდა მოიქცეს ისე, რომ მამაკაცი მასთან საუბრისას ხუმრობის გუნებაზე დადგეს. ამ დროს არ ღირს, ქალმა განსაკუთრებული მახვილსიტყვაობა გამოავლინოს. თუ კაცი იგრძნობს, რომ თქვენ მასზე გამჭრიახი და მახვილგონიერი ხართ, შეიძლება, ეწყინოს და დაიბოღმოს. მამაკაცები ხომ ბავშვებივით არიან – პატარა რაღაცა სწყინთ და პატარა რაღაც უხარიათ. მოექცეით ისე, როგორც ბავშვს – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და, დარწმუნებული იყავით, აუცილებლად მოაწონებთ თავს.

## მოსასმენად სასიამოვნო

დიდი ხანია, თქვენთვის კომპლიმენტი ალარავის უთქვამს?! – ეს ცუდია, მაგრამ, აბა, გაიხსენეთ, როგორ უსმენდით და იღებდით კომპლიმენტებს? – სხვათა შორის, ესეც ხელოვნებაა. შეიძლება, ასეთ დროს ცდილობდით, მოკრძალება და მორიდება გამოგეჩინათ, სინამდვილეში კი საქმე გააფუჭეთ. დიახ, ქალბატონების უმრავლესობას ჩვევად აქვს, კომპლიმენტზე უპასუხოს: „რას ბრძანებთ, სულაც არ არის ასე!“; „გეჩვენებათ, ჩვეულებრივად გამოვიყურები“; „ეს თქვენ გეჩვენებათ, რომ ლამაზი ვარ“... როგორ გგონიათ, ამ ყველაფრის მოსმენის მერე ვინმეს კიდევ მოუნდება თქვენთვის კომპლიმენტის თქმა? იცით, რას იფიქრებენ? იმას არა, რომ თავმდაბალი ხართ. დარჩებათ შთაბეჭდილება, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის არ ბრძანდებით.

სინამდვილეში, კომპლიმენტის მოსმენა ფრიად სასარგებლო რამ გახლავთ: გვეხმარება, დავინახოთ ჩვენი ძლიერი მხარეები, გვმატებს საკუთარი თავის რწმენას, ვიჯერებთ, რომ მართლაც მომხიბვლელები ვართ და ამ ყველაფრის დადებითი შედეგები სწრაფად აისახება ჩვენს გარეგნობაზე – სახეზე ღიმილია, თვალებში კი ცეცხლი ინთება. პოზიტიური ადამიანები ადვილად ექცევიან ყურადღების ცენტრში. იცით, როგორ იცნობთ საკუთარ მეორე ნახევარს? – გული გამალებით იწყებს ცემას. შეუძლებელია, ვერ იგრძნოთ, რომ თქვენიანია, საკმარისია, გესმოდეთ თქვენი შინაგანი ხმის.

ერთი სიტყვით, მოუსმინეთ საკუთარ ხმას, რომელიც გეუბნებათ, რომ მომხიბლავი ხართ და დამსახურებულად მიიღეთ კომპლიმენტები.

## მინდა, მიყვარდეს!

შინაგანად ყველას უნდა, რომ უყვარდეს – სიყვარული ადამიანების ბუნებრივი მოთხოვნილებაა. სხვა საქმეა, ვინ აღიარებს ამას და ვინ დუმს. გაზაფხული ამ მოთხოვნილებას კიდევ უფრო ამძაფრებს. მართალია, სიყვარულის დრო სულ არის, მაგრამ, გაზაფხული მაინც განსაკუთრებულია. თითქოს ჰაერში ბრჭყვიალა, ფერადი პეპლები დაფრინავენ და თავბრუს გახვევენ. გინდა, სულ ილიმებოდე, სულ გაბრწყინებული და გახარებული დაიარებოდე. მზე თითქოს მარტო შენთვის ანათებს და გათბობს, ცხოვრება კი საუკეთესო სიურპრიზებს გთავაზობს. სიცოცხლე განსხვავებულ აზრს იძენს – პოზიტივი ყველგან და ყველაფერში იგრძნობა.

გაზაფხულზე მსუბუქი ფლირტიც კი საკმარისია ბედნიერებისთვის. მთავარია, სწორად შეარჩიოთ ფლირტისთვის შესაფერისი სუბიექტი და არ მოითხოვოთ მისგან იმაზე მეტი, ვიდრე ეს ფლირტის წესებით არის განსაზღვრული.

არავითარი მელანქოლია გაზაფხულზე – არც იფიქროთ და არც დაუშვათ! სიყვარული თუ გინდათ, გრძნობას უნდა გაუხსნათ გული და არა მელანქოლიას. ფიზიკური აქტიურობა მელანქოლიისთვის ადგილს აღარ დატოვებს და კარგად აისახება გარეგნობაზეც. ისეირნეთ ფეხით მზით გამთბარ ქუჩებში და ხშირად გაუღიმეთ საკუთარ თავს – ეს აუცილებლად აგიმაღლებთ განწყობას. შეგიძლიათ, უცნობებსაც გაუღიმოთ. ამაში არაფერია ცუდი – პირიქით. პოზიტიური განწყობა ძალიან გადამდებია და პოზიტიური ადამიანები მაგნიტივით იზიდავენ სიყვარულს. დარწმუნებული იყავით, მალე შეხვდებით იმას, ვინც მხოლოდ თქვენ გაგიღიმებთ.



## ძლიერი მამაკაცი

როგორ უნდა აღიზარდოს მამაკაცი, რომ სიძლიერე მისი ხასიათის მთავარ პრიორიტეტად იქცეს? ამბობენ, თუ მამაკაცი ძლიერია, მას ეს ჩვილობიდანვე ეტყობა. დედები, როგორც წესი, განსაკუთრებულად და ძალიან დიდხანს არიან მიჯაჭვულები ბიჭებზე. უფრო მფარველობენ მათ, ვიდრე ზრდიან ისე, როგორც მამაკაცს შეეფერება. სხვათა შორის, ბიჭები გაცილებით გვიან იწყებენ საკუთარი ხელით ჩაცმას, ვიდრე გოგონები. 3 წლის გოგონას თავისუფლად შეუძლია, ტანსაცმელი ჩაიცვას, მაშინ, როცა ამ ასაკის ბიჭს ისევ დედა აცმევს. ძალიან არ მოსწონს დედას, როცა მამაკაცები უხეშობენ. ამიტომ, ცდილობს, თავისი ვაჟიშვილი ამ ყველაფერს მოარიდოს. მაგრამ, განა რამდენ ხანს დაიცავს და „შეფუთავს“? მისი ბიჭუნა მოსასმენს მაინც მოისმენს და გასაგებს მაინც გაიგონებს. მთავარია, ისწავლოს, როდის რა თქვას და რატომ თქვას.

ძლიერი მამაკაცი არასდროს ყვირის – საკუთარი პრინციპებისა და აზრის დასამკვიდრებლად ეს ნამდვილად არ სჭირდება.

ზოგჯერ ძლიერი მამაკაციც ტირის, მაგრამ, მისი ცრემლი განსაკუთრებით ღირებულია, რადგან, არ წუწუნებს და არ ცდილობს, საკუთარი პრობლემა სხვას თავს მოახვიოს.

ძლიერი მამაკაცი არ იგინება ქალის თანდასწრებით და, საერთოდაც, ძალიან იშვიათად იგინება. გარდა ამისა, ის ღირსეულია და სამართლიანი.

ძლიერი მამაკაცი ერთგულია უპირველესად საკუთარი თავის, მერე კი იმ ადამიანების, რომლებიც გვერდით ჰყავს; სრულად იღებს პასუხისმგებლობას და არ ეშინია, ცხოვრებას შიშველი ხელებით შეეჭიდოს.

ძლიერ მამაკაცს მოსწონს მამაკაცთა საზოგადოება და აინტერესებს ქალბატონების საზოგადოებაც, სადაც მოწიწებით და ღირსეულად იქცევა... – ერთი სიტყვით, ძლიერი მამაკაცი ყოველთვის ყველაფერში გაგრძნობინებთ, რომ ის ძლიერია, მთავარია, ასეთი მამაკაცი იპოვოთ.

# რის გამო განაცხადა უარი „სეზარის" პრემიაზე ჟან-პოლ ბელმონდომ და რა აკავშირებს მას ჯეკი ჩანთან

*საკულტო მსახიობი, მილიონობით ქალისთვის მამაკაცის ეტალონი და მსოფლიო კინოს ფრანგი ლეგენდა – ჟან-პოლ ბელმონდო 80 წლის გახდა და, სოლიდური ასაკის მიუხედავად, დღემდე ინარჩუნებს ფრანგული კინოს უბერებელი სექს-სიმბოლოს სტატუსს. „ბებელის," როგორც მას ახლობლები უწოდებენ, ხანგრძლივმა ცხოვრებამ არაერთი საინტერესო ისტორია შემოინახა.*

* ჟან-პოლ ბელმონდო 1933 წლის 9 აპრილს დაიბადა პარიზთან ახლოს, ნეინ-სიურ-სენში, მოქანდაკისა და პროფესორის, პოლ ბელმონდოსა და ფერმწერ მადლენ ბელმონდოს ოჯახში. ისინი საშუალო ფენას მიეკუთვნებოდა, მამა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი და, გარკვეულწილად, გამოასწორა ოჯახის ფინანსური მდგომარეობა. სკოლაში სწავლის პერიოდში ჟან-პოლი არ გამოირჩეოდა კარგი სწავლით და დროის უმეტეს ნაწილს სპორტს უთმობდა: ფეხბურთს, სადაც მეკარეობა იზიდავდა და  კრივს. თუმცა, სპორტული კარიერის აწყობა ჟან-პოლს არ გამოუვიდა, რადგან, 16 წლისას ტუბერკულოზი დაუდგინეს, რომლისგან განკურნებაც მხოლოდ 20 წლის ასაკში მოახერხა. იმ დროისთვის მას ხელი ჰქონდა ჩაქნეული სპორტზე და მთლიანად სამსახიობო კარიერის აწყობაზე იყო გადართული – მან დრამატული ხელოვნების უმაღლესი ნაციონალური კონსერვატორიის კურსები გაიარა, რომლის დამთავრების შემდეგ თეატრში დაიწყო თამაში.



* ჟან-პოლ ბელმონდოს დებიუტი დიდ კინოში შედგა 1957 წელს ნაკლებად ცნობილ ფილმში – „ცხენზე, ფეხით და ავტომობილში." თუმცა, მისი მონაწილეობით გადაღებული კადრები ფილმის საბოლოო ვერსიიდან ამოჭრეს. ამას მოჰყვა კიდევ ერთი ეპიზოდური როლი ფილმში – „იყავი ლამაზი და გაჩუმდი", სადაც მასთან ერთად კიდევ ერთი დამწყები მსახიობი – ალენ დელონი თამაშობდა, მაგრამ, სცენები მათი მონაწილეობით ისევ ამოჭრეს მონტაჟის დროს. ჟან-პოლ ბელმონდო ცნობილი გახდა 1958 წელს ჟან-ლიუკ გოდარის ფილმით – „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე". ამ ფილმმა სათავე დაუდო ფრანგული კინოს „ახალ ტალღას".

* სპეციფიკური გარეგნობის გამო, თეატრალური სკოლის პედაგოგები ჟან-პოლ ბელმონდოს მხოლოდ უარყოფითი როლების შესრულებას უწინასწარმეტყველებდნენ – მათი აზრით, ბელმონდო თავისი გარეგნობით მხოლოდ ადამიანების შეშინებას მოახერხებდა. ასევე, მათი აზრით, ჟან-პოლს გაუჭირდებოდა გმირი-საყვარლის როლების მორგება და მხოლოდ გარეწრების როლებით მოუწევდა დაკმაყოფილება. რეალობაში კი ჟან-პოლ ბელმონდო თავისი დროის სექს-სიმბოლოდ იქცა, რომელიც მამაცურ როლებს არულებდა კინოში და რომანები ჰქონდა მსოფლიო კინოს მეგავარსკვლავებთან: ურსულა ანდრესთან, ჯინა ლოლობრიჯიდასთან, სოფი ლორენთან, კატრინ დენევთან, ჟანა მოროსთან და კლაუდია კარდინალესთან.

* 1970-1980-იან წლებში ჟან-პოლ ბელმონდო უზომოდ პოპულარული იყო საფრანგეთში. ეს პერიოდი მის კარიერაში ითვლება ყველაზე წარმატებულად როგორც პროფესიულად, ისე ფინანსური კუთხითაც. 80-იანი წლების ბოლოს ჟან-პოლმა თეატრალურ სცენაზე დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო და ბოლო პერიოდი თითქმის მთლიანად ჩამოშორდა კინოსამყაროს, მხოლოდ რამდენიმე მეტ-ნაკლებად წარმატებულ ფილმში ითამაშა. მათ შორის აღნიშვნის ღირსია კლოდ ლელუშის „საბრალონი" და პატრის ლეკონტის „ერთი შანსი ორისთვის", სადაც ბელმონდომ ალენ დელონთან ერთად ხანში შესული, რისკის მოყვარული  „ძველი ბიჭებისგან" შემდგარი დუეტი შექმნა.

* 1963 წელს ჟან-პოლ ბელმონდომ გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული წიგნი – „30 წელი და 25 ფილმი" და იმავე წელს აირჩიეს საფრანგეთის მსახიობთა კავშირის პრეზიდენტად.




* 1985 წელს ეკრანებზე გამოსული ფილმი „ძარცვა" უკანასკნელი ფილმია, სადაც ჟან-პოლ ბელმონდო თავად ასრულებდა ურთულეს ტრიუკებს კასკადიორების გარეშე. გადასაღებ მოედანზე ბელმონდომ რამდენიმე ტრავმა მიიღო და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა, კასკადიორების მომსახურებით ესარგებლა.

* რამდენიმე წლის წინ ჟან-პოლ ბელმონდოს ჰკითხეს, თუ რას აპირებდა იგი მომავალში, რაზეც ბებელმა უპასუხა: „არ ვაპირებ, გავხდე ფრანგული კინოს მფრინავი ბაბუა".

* ჟან-პოლ ბელმონდოს სიმაღლე 179 სანტიმეტრია.

* ფილმში „ბედით განებივრებული" შესრულებული მთავარი როლისთვის ჟან-პოლ ბელმონდომ ფრანგული კინოპრემია „სეზარი" მიიღო. თუმცა, ჯილდოს მიღებაზე უარი განაცხადა, რადგან, ჯილდოს ავტორი, მოქანდაკე სეზარი, თავის დროზე ჟან-პოლის მამაზე, ასევე მოქანდაკე პოლ ბელმონდოზე, არცთუ კარგ კონტექსტში ლაპარაკობდა.

* ჟან-პოლ ბელმონდომ 7 წელი იცხოვრა სამოქალაქო ქორწინებაში მსოფლიო კინოს სექს-სიმბოლოსთან, ურსულა ანდრესთან.

* პირველი ქორწინებიდან ელოდი კონსტანტენთან (1953-1966) ჟან-პოლს სამი შვილი ჰყავდა: პატრიცია, ფლორენცია და პოლი. მისი უფროსი ქალიშვილი – პატრიცია, 1994 წელს უბედური შემთხვევის დროს დაიღუპა. ყოფილ ბალერინა ნატი ტარდიველთან ჟან-პოლს ეყოლა ქალიშვილი – სტელა. ბოლო წლებში ჟან-პოლი „ფლეიბოის" ყოფილ მოდელსა და ბიზნესლედის, ბარბარა განდოლფის ხვდებოდა. მისი ერთადერთი ვაჟი, პოლ ბელმონდო, „ფორმულა 1-ის" ყოფილი მრბოლელია.

* უფროსი ქალიშვილის დაღუპვის ამბავი ჟან-პოლ ბელმონდოს სცენაზე გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე შეატყობინეს. ბელმონდომ ბოლომდე ითამაშა სპექტაკლი, რომლის დასრულების შემდეგ გულის შეტევა მოუვიდა, მეორე დღეს კი მას ტვინში სისხლის მიმოქცევის პრობლემები შეექმნა.

* ჟან-პოლ ბელმონდო ფლობს ცნობილ იტალიურ რესტორანს პარიზში, სახელად „სტრეზა". რესტორანი სასტუმრო „პლაც ატენას" უკანა მხარეს, შამბიეს №7-შია გახსნილი.

* 2006 წელს ჟან-პოლ ბელმონდომ ხელოვნების და ლიტერატურის ორდენის კომანდორის ტიტული მიიღო. საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ ამ  ჯილდოთი მსახიობის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედება დააფასა.

* ჟოს ბომონის როლი „პროფესიონალში," თავისი გროტესკულობის მიუხედავად, მსახიობის კარიერაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და ცნობილ როლად ითვლება.

* 1995 წელს ჟურნალ „ემფაირის" მიერ ჟან-პოლ ბელმონდო მსოფლიო კინემატოგრაფის ყველა დროის ყველაზე სექსუალური მსახიობი მამაკაცების ასეულში 52-ე ადგილზე გავიდა.

* ჯეკი ჩანის თქმით, მისი კერპი მსახიობი ჟან-პოლ ბელმონდოა.

* ჟან-პოლ ბელმონდო პარიზულ საფეხბურთო კლუბს „პარი სენ ჟერმენის" ქომაგია 1950 წლიდან.

* მსოფლიოში განთქმულმა საკლუბო დიჯეიმ, ბობ სინკლერმა, თავისი ფსევდონიმი ჟან-პოლ ბელმონდოს გმირის პატივსაცემად აიღო ფილმიდან „შესანიშნავი".

* თავის მუდმივ კონკურენტთან, ალენ დელონთან ერთად, ჟან-პოლ ბელმონდოს ნათამაშები აქვს ორ ფილმში: „ბორსალინო და კომპანია" და უკვე ნახსენები „ერთი შანსი ორისთვის".

**უშანგი რუხაძე**

# რატომ დადიოდა თოვლის პაპის სამოსში გამოწყობილი და ხურჯინგადაკიდებული სტალინი საბჭოთა მოქალაქეების ოჯახში



## თოვლის პაპა

***(1949 წლის 1 იანვარი)***

სტალინი აშკარად არაჩვეულებრივი, გამორჩეული პიროვნება იყო, მაგრამ მოკვდავისთვის დამახასიათებელი ყველა ადამიანური თვისება ჰქონდა. დიდი ბელადი თავისი სისადავით გამოირჩეოდა, თუმცა თანამედროვე პოლიტიკოსების მსგავსად, არასდროს პოზიორობდა. ის არ ყოფილა ქედმაღალი უბრალო ადამიანების მიმართ და მიუხედავად იმისა, რომ განგების რჩეული იყო, გლეხთან გლეხური, მუშასთან მუშური და მეომართან, ჯარისკაცთან, შესაბამისი ურთიერთობების დამყარება შეეძლო. მისი შემხედვარე, ყოველთვის გაოცებული ვიყავი, თუ როგორ ახერხებდა საერთო ენის გამონახვას ამდენნაირ ხალხთან. მიუხედავად იმისა, რომ სტალინი იშვიათად ეძლეოდა მხიარულებას, იყო მომენტები, როცა უჩვეულო როლში გვევლინებოდა და ყოველი ასეთი შემთხვევისას, მე კიდევ ერთხელ ვრწმუნდებოდი მის სიდიადეში. 1948 წლის მიწურულს, დიდი ბელადი განსაკუთრებით ამაღლებულ, კარგ განწყობაზე იყო, რაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურმა და სამხედრო-ტექნიკურმა წარმატებებმა გამოიწვია.

31 დეკემბერს სტალინმა კრემლის კაბინეტიდან მთელ ჩვენს ქვეყანას ახალი წლის დადგომა მიულოცა და როგორც კი გამოსვლა დაასრულა, მე და ვლასიკი გვიხმო: „საახალწლო სუფრაზე კრემლში არ მივალ და შენ (მან მე მომმართა) მხოლოდ ორი მანქანა და ოთხი მცველი (თქვენი ჩათვლით) მოამზადეთ ჩუმად გასასვლელად. შენ კი (ვლასიკს მიმართა) ჩემი ზომის თეთრი ქართული ჩოხა, შესაბამისი აქსესუარით, თუშური თავსაბურავი და თოვლის პაპის წვერ-ულვაში მომიტანეო. დავიბენი. თუმცა, მიზეზის კითხვას ვინ გაუბედავდა და ბრძანების შესასრულებლად დავიძარით. ის-ის იყო კაბინეტიდან გავდიოდით, რომ სტალინმა შეგვაჩერა და დასძინა: ქართული ხურჯინიც წამოიღეთ და კრემლის სასადილოს საწყობში ეს ხურჯინი შესაბამისი ნუგბარით შეავსეთო (ეს ბრძანება ვლასიკს ეკუთვნოდა). მე კი ასეთი დავალება მომცა: შენ ჩემს სტუმრებს გაუარე (სტალინის კრემლის ბინაში მთელი პოლიტბიურო იყო შეკრებილი საახალწლო წვეულებაზე და დიდ ბელადს ელოდნენ, რომელიც მათ საახალწლო გამოსვლის შემდეგ უნდა შეერთებოდა) და უთხარი, რომ შემაგვიანდება, უჩემოდ დაიწყონ, მაგრამ ნუ გამოთვრებიანო. მე კიდევ უფრო მეტად დავიბენი და ვლასიკთან ერთად უხმოდ დავტოვე სტალინის კაბინეტი. ოცი წუთის შემდეგ დიდი ბელადის ყველა ბრძანება შესრულებული იყო. სტალინმა ვლასიკს ჩოხა და წვერ-ულვაში გამოართვა, შემდეგ კი პატარა ოთახში გაუჩინარდა. მე და ვლასიკი, სტალინის მოლოდინში უხმოდ გავირინდეთ და შუა კაბინეტში მორჩილად ველოდით მის გამოჩენას. 15 წუთის შემდეგ პატარა ოთახის კარი გაიღო და კაბინეტში სტალინი შემოვიდა. რომ არ გვცოდნოდა, ვინ იდგა ჩვენ წინ, ვერც კი ვიცნობდით დიდ ბელადს, რომელიც ჩოხასა და წვერ-ულვაშს ისე შეეცვალა, ნამდვილი თოვლის პაპა გეგონებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ სტალინი 70 წელს იყო მიტანებული, ძალიან უხდებოდა თეთრი ქართული ჩოხა, ქამარ-ხანჯალი და შავი ნაბადი. სტალინმა გაიღიმა, გასასვლელი კარისკენ გაემართა და ხელით გვანიშნა, წავედითო. ვლასიკმა უზარმაზარი, საახალწლო ხორაგით სავსე ხურჯინი მხარზე მოიგდო და სამივენი კრემლის ეზოსკენ დავიძარით. დერეფნებში მდგომი დაცვის წევრები გაოცებით გვაყოლებდნენ თვალს და აშკარა ინტერესით ათვალიერებდნენ თოვლის პაპას. თუმცა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ის თავად დიდი ბელადი იყო. ბრძანებისამებრ, ორი მანქანა სრულ მზადყოფნაში იყო და როცა მე და ვლასიკი დიდი ბელადის ავტომობილში განვთავსდით (მე წინ, ხოლო სტალინი და ვლასიკი უკან) ვლასიკმა სტალინს ჰკითხა: „საით გვიბრძანებთ გამგზავრებას, ამხანაგო სტალინ?“, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: „გორკის ქუჩაზე გავიდეთ“ – და ჩვენც დავიძარით. კრემლის ჭიშკარს რომ გავცილდით, საათს დავხედე – ორის თხუთმეტი წუთი იყო. მოსკოვის ქუჩები სადღესასწაულოდ გახლდათ მორთული და გაჩახჩახებული, საცხოვრებელი სახლებიდან სინათლეები გამოკრთოდა და მხიარული ჟრიამული ისმოდა. აშკარად იგრძნობოდა საბჭოთა ადამიანების საზეიმო განწყობა. სტალინი აქეთ-იქით იყურებოდა, სიამოვნებით იღიმებოდა და ამბობდა: „ჩვენმა გმირმა ხალხმა ნამდვილად დაიმსახურა ბედნიერება. მათ ხომ საამისოდ უზარმაზარი მსხვერპლი გაიღეს“. 10 წუთის შემდეგ უკვე გორკის ქუჩაზე ვიყავით და ორიოდე კვარტლის გავლის შემდეგ, სტალინმა შეჩერება გვიბრძანა. ჩვენ, რვასართულიანი, მასიური შენობის წინ შევჩერდით. მანქანიდან ჯერ ვლასიკი გადმოვიდა და უზარმაზარი ხურჯინი გადმოიტანა. მას სტალინი გადმოჰყვა და მერე მეც გადმოვედი. „წავედით“, – ჩაილაპარაკა ბელადმა და რვასართულიანის განათებული სადარბაზოსკენ გაეშურა. მე, ვლასიკი და კიდევ დაცვის ორი წევრი აქეთ-იქიდან დავუდექით სტალინს, თუმცა წარმოდგენაც არ გვქონდა, სად მივდიოდით. დიდი ბელადი ზომიერი ნაბიჯებით მიუყვებოდა კიბეებს, მხოლოდ მეოთხე სართულზე შეისვენა წამით. შემდეგ ფართო კორიდორისკენ შეუხვია და ერთ-ერთ კართან შეჩერდა, რომელზეც აბრა იყო მიკრული „ბინა №16 – მირონოვი ს. ა.“, „მოდი, ამათ ვესტუმროთ, ვნახოთ, როგორ ხვდებიან ახალ წელს უბრალო ადამიანები. მე მგონი, უცხოებს ხელს არ გვკრავენ, მით უმეტეს, ხელცარიელები არ მივსულვართ!“ – ჩაილაპარაკა სტალინმა, ვლასიკს ხურჯინი მარჯვენა ხელით გამოართვა და მხარზე გადაიკიდა, მარცხენათი კი – ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. რამდენიმე წამში ბინის კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩენილმა ახალგაზრდა გოგონამ მხიარულად ჩაილაპარაკა: „აი, თოვლის პაპაც გვეწვია, მობრძანდით, მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო“ – და თან, დიდ ბელადს მარცხენა ხელში ხელი ჩაჰკიდა, ოთახში შეიყვანა. ჩვენც მათ მივყევით და დიდ, გაჩახჩახებულ დარბაზში აღმოვჩნდით, სადაც საახალწლო მრგვალ მაგიდასთან ექვსი ადამიანი იჯდა. ათამდე ადგილი კი ცარიელი იყო. მოქეიფეები ჟრიამულით შეგვეგებნენ და მაგიდასთან მიგვიპატიჟეს. „თოვლის პაპამ“ ხურჯინი იატაკზე დადო და თქვა: „ძვირფასო მასპინძლებო, ახალ წელიწადს გილოცავთ, გთხოვთ, ეს ძღვენი მიიღოთ და, თუ არ შეგაწუხებთ, შემოგიერთდებით“. მასპინძელი სერგეი ალექსანდროვიჩ მირონოვი, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, ინჟინერ-მშენებელი აღმოჩნდა. მან თავისი ოჯახის წევრები და სტუმრები სათითაოდ გაგვაცნო: „თოვლის პაპა“ ვერავინ იცნო და ერთ-ერთმა სტუმარმა ჰკითხა: „თქვენ, ალბათ, მსახიობები ხართ, არა?“ რაზეც თოვლის პაპამ მიუგო: „მსახიობები არ ვართ, თუმცა პატარა სასწაულის მოხდენა კი შეგვიძლია და ძალიან რომ მოისურვოთ, თვით ლავრენტი ბერიასაც კი გაგიჩენთ აქ“. „თოვლის პაპის“ სიტყვებმა საერთო მხიარულება გამოიწვია თანამესუფრეებში, ხოლო ოჯახის უფროსმა ჭიქები შეგვივსო და გვითხრა: დაილოცეთ, ძვირფასო სტუმრებო და მიირთვით, რაც გაგვაჩნიაო. ამასობაში ქალებმა ჩვენ მიერ მიტანილი ხურჯინიდან ხორაგი ამოალაგეს და სუფრაზე დაალაგეს, „თოვლის პაპამ“ კი ოდნავ შეცვლილი აქცენტით (რომ დროზე ადრე არ ეცნოთ), ოჯახი დალოცა და ახალი წელი მოგვილოცა ყველას. სუფრაზე მხიარულება გაჩაღდა, ყველანი „თოვლის პაპას“ უცქეროდნენ და მეგობრულად უტყაპუნებდნენ ხელს მხარზე. ის კი ხალისით პასუხობდა მათ შეკითხვებს. უცებ, ერთ-ერთმა სტუმარმა „თოვლის პაპას“ მისივე სიტყვები შეახსენა და უთხრა: ამ მხიარულებას პატარა სასწაული დაამშვენებდა, თქვენ, რა თქმა უნდა, იხუმრეთ და ბერიას ვერ მოიყვანთ, მაგრამ, გეტყობათ, კარგი მსახიობები ხართ, სიმღერა გეცოდინებათ და იქნებ პატივი დაგვდოთო. „თოვლის პაპას“ გაეღიმა და უპასუხა: „მე არ ვმღერი, ადრე, ოდესღაც საეკლესიო გუნდში ვგალობდი, მაგრამ ეს ადრე იყო. რაც შეეხება სიმღერას, მე თქვენ მომღერლებს მოგგვრით და მათ მოუსმინეთ“. შემდეგ „თოვლის პაპამ“ ერთ-ერთი ჩვენი თანამგზავრი იხმო და ყურში რაღაც უჩურჩულა. მან თავი დაუკრა და სწრაფი ნაბიჯებით დატოვა ბინა. „თოვლის პაპამ“ ხურჯინიდან ამოღებული „ოჯალეში“ დაისხა, იგივე სთხოვა ვლასიკს, რომელმაც ყველა ჭიქა შეავსო და სიტყვა ითხოვა: „ამ ღვინოს, რომ იცოდეთ, თავად სტალინი სვამს და მოდი, გემო გავუსინჯოთ“. თან, სადღეგრძელო უნდა წამოეწყო, რომ ოჯახის უფროსმა სიტყვა შეაწყვეტინა: „ძვირფასო სტუმრებო, კინაღამ გამომრჩა, ამ ჭიქით ჩვენი დიდი ბელადის, სტალინის სადღეგრძელო დავლიოთ, ხოლო ალავერდი თქვენთან ვარ“, – მიმართა მან „თოვლის პაპას“ და „ოჯალეში“ ბოლომდე გამოცალა. სტალინის სადღეგრძელოს მაგივრად, – მიუგო მირონოვს „თოვლის პაპამ“, – გთავაზობთ, თქვენი სადღეგრძელო შევსვათ, თქვენ გაგიმარჯოთო და „თოვლის პაპამაც“ ბოლომდე გამოსცალა ჭიქა. მირონოვს შევხედე, ჯერ ბამბისფერი დაედო, შემდეგ კი ჭარხალივით წამოწითლდა, უცებ სიბრაზისგან აენთო და დაიღრიალა: „რას როშავ, ბერიკაცო, რა ჩემი, რის ჩემი სადღეგრძელო, ვერ გაიგე, ჩვენი დიდი ბელადის (ამ სიტყვებთან ერთად მან მეორედ შეავსო ჭიქა „ოჯალეშით“) ჩვენი მამის, სტალინის სადღეგრძელო იყოსო და ისის იყო, უნდა გადაეკრა, რომ გაბმული ზარის ხმა გაისმა. მირონოვი შეკრთა, ჭიქა ხელში გაუშეშდა და ხან „თოვლის პაპას“ უყურებდა, ხან – კარს. სუფრაც ერთთავად გაირინდა, დაიძაბა და მხიარული ჟრიამული უეცრად შეწყდა. ამასობაში ის გოგონა, რომელმაც ჩვენ კარი გაგვიღო, მძიმედ წამოდგა სკამიდან და კარის გასაღებად გაეშურა. ოციოდე წამის შემდეგ ოთახში შემოვიდა ბერია, ვოროშილოვი, კალინინი და მოლოტოვი. ოჯახის უფროსს, მირონოვს ენა მუცელში ჩავარდნოდა და გაოცებული სახით უცქერდა ახალმოსულებს. „თოვლის პაპამ“ კი ოჯახის უფროსს მიუგო: „სერგეი ალექსანდროვიჩ, რას გაშეშებულხართ, ნუთუ ასე ხვდებით ძვირფას სტუმრებს? ხომ გითხარით, ბერიას მოგიყვანთ-მეთქი და არა მარტო მოგიყვანეთ, არამედ ლავრენტი პავლოვიჩი გვიმღერებს კიდეც რაიმეს (ბერია ბრწყინვალედ მღეროდა). მირონოვი უეცრად გამოერკვა და საბჭოთა ბელადები, რომლებიც აქამდე მხოლოდ სურათებში თუ ენახა, სუფრასთან მიიპატიჟა. ბერიას გარდა, ვერავინ მიხვდა, ვინ იყო „თოვლის პაპა“ და გაოცებულები იყურებოდნენ. ბერიამ ღვინით სავსე ჭიქა მაღლა ასწია და რიხიანად ჩაილაპარაკა: „სტალინს გაუმარჯოს“ და სულმოუთქმელად დალია, შემდეგ კი მშვენიერი ხმით იმღერა – „ღვინო კახურო“. ნამღერმა ტაში დაიმსახურა, რის შემდეგაც ბერია დაჯდა და „თოვლის პაპას“ ღიმილით შესცქეროდა. „თოვლის პაპამ“ ოჯახის უფროსს მოწევის უფლება სთხოვა და თანხმობა რომ მიიღო, ჩიბუხი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. პოლიტბიუროს წევრებმა ჩიბუხით იცნეს „თოვლის პაპა“, დანარჩენები კი კვლავ ვერაფერს ხვდებოდნენ. როდესაც მან ხელოვნური წვერ-ულვაში მოიხსნა, მხოლოდ ამის შემდეგ გაერკვნენ ყველაფერში. სტალინმა, სიტუაცია რომ განემუხტა, ოჯახის უფროსს პატეფონის დაქოქვა სთხოვა. მუსიკა აჟღერდა და ბელადმა საცეკვაოდ ის ახალგაზრდა გოგონა მიიპატიჟა, კარი რომ გაგვიღო. სუფრაზე საერთო მხიარულება მალე აღდგა, ქეიფი გამთენიამდე გაგრძელდა და სანამ მასპინძელს დავემშვიდობებოდით, კოლექტიური სურათი გადავიღეთ.

**მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით, მოამზადა**

**ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

კურტ ვონეგუტი

# რატომ უნდა აირჩიოთ პროფესია რეინკარნაციული კუთხით და როგორ გვაკავშირებს ასტრალური სხეული ცხოველებთან, ეთერული სხეული კი - მცენარეებთან

ფული ძალიან ძვირფასი სუბსტანციაა, ამიტომ, ზუსტად უნდა იცოდეთ, როგორ დაიცვათ თქვენი შემოსავალი ნეგატიური ემოციებისგან, შეინახოთ ის სწორად და მოიზიდოთ თქვენს საფულეში. ასევე, აუცილებელია სახლის სწორად მოწყობა და იმ ნივთის თავიდან მოშორება, რომელსაც უარყოფითი აურა აქვს და, შესაბამისად, ჩვენზეც უარყოფითად მოქმედებს.

ფული კოსმიური ენერგიების მატერიალური განსახიერებაა. არიან ადამიანები, რომლებსაც ის თავს არიდებს, ან, პირიქით, მათკენ მიილტვის. ამიტომაა საჭირო იმის ზუსტად ცოდნა, თუ როგორ მოვიზიდოთ ის და რა გავითვალისწინოთ მასთან მიმართებაში. ბევრი ადამიანი თავს არ ზოგავს, მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად, მაგრამ ჯიბეში ფული არ უჩერდება. ერთი სიტყვით, ფულს ბარაქა არ აქვს. ბევრმა კი არ იცის, რომ უბარაქობის ძირითადი მიზეზი პიროვნების შემოსავლებისა და ფინანსური მდგომარეობის სამყაროსეული არხის ჩაკეტვაა. ამ არხს „ბარაქის არხი“ ეწოდება და, თუ ადამიანი რეინკარნაციულად არ არის იმ პროფესიის, რითაც ბარაქა უნდა მოიზიდოს და შეინარჩუნოს. ამ შემთხვევაში მის საფულეში ფული ნამდვილად არ გაჩერდება. თუ გინდათ, მატერიალურად გამართული და წარმატებული იყოთ, პროფესია რეინკარნაციული კუთხით უნდა აირჩიოთ. გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ასტრალური სხეული ცხოველებთან გვაკავშირებს, ეთერული სხეული კი – მცენარეებთან.

ბარაქის მოზიდვაში მცენარეები და ცხოველები აქტიურ როლს თამაშობენ. მაგალითად, ამ მხრივ კარგია, თუ სახლში ძაღლი ან კატა გყავთ, მათ სითბოსა და სიყვარულს აგრძნობინებთ და ხშირად მიეფერებით. მაშინ ისინიც ანალოგიურად გიპასუხებენ და ასტრალურ მატერიალურ არხზე დადებითად იმოქმედებენ თავიანთი დადებითი აურით, რომელსაც თქვენკენ გამოსცემენ. მცენარეებიდან კი ბარაქის მოზიდვის კუთხით ყველაზე კარგია გვიმრა და კალანჰოე. გვიმრა ფინანსების არხს ხსნის ოჯახში, კალანჰოე კი მის მოსაზიდად ჯანმრთელობას გვძენს. ასევე, თუ გსურთ, ბევრი ფული გქონდეთ, ატარეთ დიდი ზომის საფულე და მასში აუცილებლად ჩადეთ ფურცელზე თქვენი ხელით დაწერილი ის სურვილი, რომლის ახდენაც გინდათ. ეს სურვილი კოსმოსში ქვეცნობიერ დონეზე იგზავნება და მისი მუდამ ტარებით კოსმოსში უშვებთ ამ სურვილის ახდენის კოდს. აგრეთვე, გაეცით გაჭირვებულებზე თუნდაც მცირედი თანხა და ის მალევე გაორმაგებული დაგიბრუნდებათ. სახლში კი აუცილებლად დადგით გამჭვირვალე ბროლის პატარა ლარნაკი, ჩაასხით მასში წყალი და ჩაყარეთ ხურდა ფული, ოღონდ, აუცილებლად ვერცხლისფერი მონეტები – ის სახლში ფულის ენერგიას ადვილად მოიზიდავს და ოჯახის ბიუჯეტი მუდამ შევსებული გექნებათ. ეს ფენ-შუის უძველესი მეთოდია და ძველთაგანვეა გამოცდილი მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად.

ასევე, უდიდესი მაგიური ძალა გააჩნია ოთახის კედელზე დაკიდებულ სურათებს. ის დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ბედზე, შემოსავლებსა და კეთილდღეობაზე. იმ სურათებს, რომლებიც უარყოფითი ენერგიით გაჯერებულ ბინაში ეკიდა, ძალიან საშიში აურა აქვს. თუ ისინი მემკვიდრეობით გერგოთ ან ანტიკვარულ მაღაზიაში შეიძინეთ და დაკიდეთ თქვენს საცხოვრებელ ბინაში, იცოდეთ, რომ მათგან წამოსული ნეგატიური იმპულსი საშიშროებას შეუქმნის როგორც ბედის, ისე ჯანმრთელობისა და შემოსავლების მხრივაც. ასევეა ავეჯიც.

აგრეთვე, ეცადეთ, რომ თქვენს ბინაში მაგიდა და წიგნების თაროები მუდამ მოწესრიგებული გქონდეთ. არ ვარგა, როცა მაგიდაზე ბევრი ნივთი დევს, წიგნის თაროზე კი აურზაურია. გარდა იმისა, რომ სახლში მაგიდისა და წიგნის თაროს მიხედვით მიხვდებით, თუ როგორი მოწესრიგებულია დიასახლისი, დალაგებული მაგიდა და თაროები სახლში დადებით ენერგიას მოიზიდავს და ფინანსური კეთილდღეობის კვანძის გახსნა ხდება. ზოგადად კი, ბინაში ნებისმიერ საგანს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ორგანიზმის თითოეულ ნაწილს – ჯანმრთელობისთვის. თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ, ამით საკუთარ კეთილდღეობას შეუწყობთ ხელს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1996 წლის 31 ოქტომბერს, ღამით. რომელი სფეროა ჩემთვის წარმატების მომტანი?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატებულია შემდეგი პროფესიები: სამეცნიერო-კვლევითი საქმე, მანქანათმშენებლობა, მანქანების დიზაინი, საინჟინრო საქმე, სამხედრო სტრუქტურები, საგანმანათლებლო სფერო, ფსიქოთერაპია, სპორტი, პოლიტიკის ფართო სპექტრი, ავიაციის ბიზნესი, სამედიცინო სფერო.

**კითხვა: დავიბადე 1993 წლის 13 იანვარს. ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მექნება ჰარმონიული და მშვიდი სასიყვარულო კავშირი?**

**პასუხი:** სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობებისთვის თქვენთვის მისაღებია მშვილდოსნის, კუროს, მორიელის ან თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი. ერიდეთ მერწყულებს.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1997 წლის 18 მაისს, დღის საათებში. მაინტერესებს, თუ ელის წარმატებები ფეხბურთში და რომელი პროფესიაა მისთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი:** გეტყვით, რომ მისთვის სპორტი დიდი წარმატების მომტანი არ იქნება, თუმცა, არც ცუდია. შრომისმოყვარეობისა და შეუპოვრობის წყალობით, შესაძლოა, სპორტში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიოს. პროფესიებიდან კი მისთვის წარმატების მომტანია: რეანიმატოლოგია, სტომატოლოგია, ქირურგია, გინეკოლოგია, ფიტოთერაპია, სუჯუკთერაპია, ჰომეოპათია, სამართალდამცავი ორგანოები, საგამოძიებლო საქმიანობა, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო დეპარტამენტები, სადაზღვევო კომპანიები, მუშაობა კონტროლის პალატაში; აგრეთვე, წარმატებულია საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, კომერციული საქმიანობა, საფინანსო სფერო.

**კითხვა: დავიბადე 1990 წლის 16 მაისს. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენთვის არც კარგია და არც ცუდი, ანუ, საშუალოა. ქვეყნებიდან კი შედარებით უფრო მისაღებია: ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, პაკისტანი, კუნძული მალტა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, ინგლისის დასავლეთი ნაწილი, კანადა, საბერძნეთი, კუნძული სარდინია, ნორვეგია.

**კითხვა: დავიბადე 1988 წლის 6 მაისს. რომელ პროფესიაში მელის წარმატება და უცხოეთის რომელი ქვეყანაა მისაღები ჩემთვის ასტროლოგიურად?**

**პასუხი:** უცხოეთის ქვეყნებიდან თქვენთვის მისაღებია: ინგლისის დასავლეთი ნაწილი, ბელგია, კანადა, სარდინია, ამერიკის შეერთებული შტატები, საბერძნეთი, ნორვეგია, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალიის ცენტრალური ნაწილი, ჩეხოსლოვაკია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, მალტა, პაკისტანი; პროფესიებიდან კი კარგია და წარმატების მომტანი: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ქორეოგრაფია, მთარგმნელობითი საქმიანობა, ავიაციის ბიზნესი, იურისპრუდენცია, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია, ხელოვნების ფართო სპექტრი, ფსიქოლოგია, საკურორტო ინდუსტრია.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

24 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.45 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;***

25 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

26 აპრილი, **პარასკევი** 19.45 - **„ნადირობის სეზონი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 აპრილი, **შაბათი** 19.45 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. კომედია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

23 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.;***

24 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 4სთ. 20წთ.;***

24 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები".** (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ერთმოქმედებიანი პიესა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 აპრილი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 აპრილი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„კინკასის უცნაური გარდაცვალება"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი (თეატრი სხვენში), რეჟისორი გიორგი თავაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„პეიზაჟს აპლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

23 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

24 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;***

26 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„საძაღლე"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ვანო ხუციშვილი. მონაწილეობს: სლავა ნათენაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;***

27 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 4სთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

26 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე. როლებში: ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, გვანცა დადიანიძე, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

27 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„გასროლა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

28 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: შალვა ბახტაძე, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**ალმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

25 აპრილი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„აკრძალული თამაშები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი მანანა ბერიკაშვილი. მონაწილეობენ: ნანა ბუთხუზი, ანა ალექსიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, კახა კინწურაშვილი, ალექსანდრე დავითაშვილი, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი მახარაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

26 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„კარმენი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი კოტე ფურცელაძე. მონაწილეობენ: ანა ალექსიშვილი, ანა წერეთელი, ეკატერინე დემეტრაძე, გიორგი ტორიაშვილი, გიგი ქარსელაძე, ბაჩო ჩაჩიბაია, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„გაყრა" - ვოდევილი** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

26 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„ოპერა მაფიოზო".** (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი გაბრიელ გოშაძე. მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, მამუკა ლორია, ზაზა ასანიშვილი, ვასილ ოდიშვილი, მაკა ძაგანია, თამთა ცინცაძე, სოსო მჭედლიშვილი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

27 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„სპექტაკლი-კონცერტი არიქა და ვარიქა"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე, თიკო ლუტიძე. მონაწილეობენ: ეკა დავითაშვილი, ქეთი ძოწენიძე, სოფო პაპუაშვილი, ნიკოლოზ გიორგაძე, გიგა ცერცვაძე, თემურ კვარაცხელია, ნიკოლოზ ნანიტაშვილი, რევაზ ფიფია, ზურა გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი***

28 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„ჭკუისა მჭირს"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, მაკა ძაგანია, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, დათო გიგოლაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, ლევან მამნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**



## ორშაბათი 22 აპრილი

06.30 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებანი" 07.30 "ჩვენი დილა"(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები"(პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი"– მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე"(პ/ე) 15.00 დ/ფ "როსელა" 17.00 დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"დავქორწინდეთ"**21.00 ტ/სერ **"როსელა"**22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან"23.00 "კომენტატორი" 00.00 "საფარი" 00.30 მხ/ფ **"ობოლი"**(ტიტ.).

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 9 სერ. 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 ოტელო – ვარიაციები ოტელოს თემაზე 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მხ/ფ **"სიყვარული და სხვა უბედურებები"** (ო. ბლუმი) 00.15 იმედი არტარეა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"**20.05 სერ **"ერთგულების ძალა"**22.00 "საქართველოს ვარსკვლავი" 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35, 16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25, 11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ|ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.55 მხ/ფ **"უკანასკნელი ჯვაროსნები"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ეთნოგრაფია 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ **"ქალაქი ანარა"** 13.30 კონცერტი -ანს. "შავნაბადა" 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი **"ჰაკი აძბა"** 16.55 დოკ/ფ "ველური ბუნება" 17.20 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. 17.40 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"გაზაფხული გადის"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმსახურო წელიწადი 23.35 მოკ/ფ **"მუსიკოსები"** 00.30 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 მხ/ფ **"ადამიანთა სევდა"**.

## სამშაბათი 23 აპრილი

06.30 "მოამბე"(აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა"(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები"(პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი"– მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე"(პ/ე) 15.00 ტ/სერ **"როსელა"** 17.00 დ/ფ "თანამედროვე იარაღი" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"დავქორწინდეთ"** 21.00 ტ/სერ.**"ბორჯია"** 22.00 დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი: (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" 00.30 მხ/ფ **"მარცხნივ"მარჯვნივ"**(ტიტ.) 02.30 დ/ფ "გვინეა".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 15 სერ. 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 ოტელო – ჯერ შეიცადეთ 14.40 კონცერტი: "თამარ ჭოხონელიძე" (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 14 სერ. 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ახალი საბავშვო ხმა 00.15 იმედი არტარეა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ. **"ერთგულების ძალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. **"გრიმი"** 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35, 16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25, 11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ|ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 20.05 ახალი ამბები 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 სპექტაკლი **"ჰაკი აძბა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ქრისტიანული სწავლება 10.55 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"გაზაფხული გადის"** 13.15 კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი (კამერული მუსიკის კონცერტი) 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.00 საღვთისმსახურო წელიწადი 16.20 მხ/ფ **"მათთვის, ვინც მამამ მიატოვა"** 17.05 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" II-III ნაწ. 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ "ჩემი ქვეყანა" 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 ჩვენი ფონდი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "საქართველოს ისტორია" 23.50 ფოტოგალერეა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.40 კარაბადინი.

გაგრძელება 47-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი“
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**22 – 28 აპრილი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„ქრუდსების ოჯახი“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
20.00, 22.30 - **„ობლივიონი“** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00 - **„მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„კომა“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 17.10 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*
19.45, 22.30 - **„მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.10 - **„შურისძიება“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
19.45 - **„ქრუდსების ოჯახი“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.30, 15.00, 17.30 - **„ობლივიონი“** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
20.00, 22.30 - **„შურისძიება“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი“
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დიდი დარბაზი*

12.00, 13.45, 15.45, 17.45 - **„ქრუდსების ოჯახი“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
19.40, 22.30 - **„ადგილი ფიჭვნარს მიღმა“**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.30, 14.30 - **„შურისძიება“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
17.00 - **„ადგილი ფიჭვნარს მიღმა“**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*
20.00, 22.30 - **„მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

### კინოთეატრი „საქართველო“
გურამიშვილის გამზ. 2/9,
ტელ: 230-80-80; 269-66-47.

12.00, 14.00 - **„დედამიწიდან გაქცევა“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
16.00, 20.00 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი“** 3D, ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;
18.00, 22.00 - **„კომა“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

# ისპანახი სოკოთი











**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი ქამა სოკო (შეიძლება ქილისაც), ნახევარი კილოგრამი ისპანახი, ფხვიერი ყველი – 200 გრამი, 100 გრამი მდნარი ყველი. 2 კბილი ნიორი, მარილი, შავი პილპილი, ზეთი შესაწვავად, 3 კვერცხი, ცოტა რძე.

**მომზადების წესი:** გააცხელეთ აირღუმელი 180 გრადუსზე. გარეცხეთ ისპანახი და დაჭერით. წვრილად დაჭერით სოკო, ტაფაზე გააცხელეთ ზეთი და მოხრაკეთ მასში. კარგად დაბრაწეთ და დაუმატეთ დანაყილი ნიორი, მარილი და შავი პილპილი. სოკოს მუდმივად ურიეთ, რომ არ დაიწვას. მთელი სისველე უნდა ჩაიშროს. 5-7 წუთში მზად იქნება. სანამ სოკო მზადდება, პარალელურად ცალკე თასში ათქვიფეთ კვერცხი. ჩაუმატეთ რძე და გახეხილი ყველი. ცოტა მარილი და პილპილი. მდნარი ყველი ჯერ გაყინეთ, მერე დაფხვენით, ზემოდან მოსაყრელად დაგჭირდებათ. გამოსაცხობ ტაფას წაუსვით ზეთი. მოათავსეთ ძირში ისპანახი, ზემოდან სოკო და გახეხილი ყველი (მდნარი), მოასხით გათქვეფილი კვერცხი და ზედ მოაყარეთ გახეხილი ყველი. მოათავსეთ აირღუმელში. აცხვეთ 45-60 წუთის განმავლობაში. ოქროსფრად რომ დაიბრაწება, მზად არის. დაჭერით და თბილი მიირთვით.

# მაფინები სტაფილოთი და ნიგვზით







**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამამდე შერეული ფქვილი – ხორბლისა და შვრიის, შაქარი გემოვნებით (დაახლოებით, 150-200 გრამი), მარილი, ცოტა სოდა, დარიჩინი, 3 კვერცხი, 2 ცალი მოზრდილი, რბილი ვაშლი, ვანილი, ზეთი, 2 ცალი სტაფილო, ნახევარი ჭიქა წვრილად დაჭრილი ნიგოზი, 50 გრამი ქიშმიში, ქოქოსის ფხვნილი, 100 გრამი მარგარინი.

**მომზადების წესი:** თასში ჩაყარეთ ფქვილი, შაქარი, მარილი. 50 გრამი გახეხილი მარგარინი (ჯერ გაყინეთ, რომ ადვილად გაიხეხოს), სოდა და დარიჩინი. ცალკე კარგად გათქვიფეთ კვერცხი, ვაშლის პიურე (წინასწარ წვრილკბილა სახეხზე გახეხეთ) და ცოტა ზეთი, ვანილი, ათქვიფეთ ძალიან კარგად. კომპონენტები ერთმანეთს სრულად უნდა შეერიოს. გახეხეთ სტაფილო. ჩაუმატეთ კვერცხიან მასას ქიშმიშთან, ნიგოზთან და ქოქოსის ფხვნილთან ერთად. ეს მასა მთლიანად შეურიეთ ფქვილიან ნაზავს და აურიეთ. ძალიან არ აზილოთ. კექსის პატარა ფორმებს წაუსვით მარგარინი და შეავსეთ ისინი ცომით. გამოაცხვეთ აირღუმელში 30 წუთის განმავლობაში. ფორმებიდან ამოიღეთ, როცა გაცივდება.

# სპაგეტი ბოსტნეულის სოუსით










**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი სპაგეტი, 3 ცალი საშუალო ზომის პომიდორი, 1 ცალი საშუალო ზომის სტაფილო, 1 თავი ხახვი, 100 გრამი მწვანე ხახვი, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 კბილი ნიორი, ცოტა ხმელი ქონდარი, შავი პილპილი, მარილი, ზეთი. მაგარი ყველის ნაჭერი (მარხვისას ყველს ჩაანაცვლებთ ცოტა სამარხვო მაიონეზით).

**მომზადების წესი:** ჩვეულებრივად მოხარშეთ სპაგეტი. ცალკე მოამზადეთ სოუსი: სტაფილო დაჭერით წვრილ ჩხირებად, ხახვი და პომიდორი – კუბიკებად, მწვანე ხახვი – რგოლებად. პომიდვრის გარდა მოშუშეთ ზეთში სტაფილო და ხახვი ფერის შეცვლამდე. ჩაუმატეთ პომიდორი, ქონდარი, პილპილი, მარილი და შუშეთ სრულ მომზადებამდე. მოშუშული ბოსტნეული გააცივეთ და დააბლენდერეთ. შემდეგ ისევ გააცხელეთ ტაფაზე 5 წუთის განმავლობაში. ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ნიორი. შეგიძლიათ, ცოტა ტომატ-პასტაც ჩაუმატოთ (გახსენით ანადუღარ წყალში). სოუსი ძალიან სქელი არ უნდა გამოვიდეს. დიდ ლანგარზე ამოიღეთ სპაგეტი და მოასხით სოუსი. ცხელსვე მოაყარეთ გახეხილი ყველი. სამარხვო ვარიანტს ყველის ნაცვლად სამარხვო მაიონეზი მოასხით.

# თევზი რომაულად












**საჭირო ინგრედიენტები:** რამდენიმე ცალი ზეთისხილი, თევზის ფილე (რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ პერსონაზე ამზადებთ), სავარაუდოდ, 400 გრამი საკმარისი იქნება 3 პერსონისთვის. შეგიძლიათ, გამოიყენოთ ნებისმიერი თევზი, მაგრამ ძვლები და კანი უნდა მოაშოროთ და ფილედ აქციოთ. 100 გრამი ოხრახუში, ზეთი – შესანწვავად, 2-3 კბილი ნიორი, მარილი, პილპილი, ნახევარი ჭიქა თეთრი ღვინო, 2 ცალი პომიდორი, ხმელი ქონდარი (ცოტა).

**მომზადების წესი:** ზეთისხილს გამოაცალეთ კურკა და გაჭერით შუაზე. პომიდორს გააცალეთ კანი და დაჭერით კუბიკებად. ოხრახუში ძალიან წვრილად დაჭერით. საშუალო ცეცხლზე დადგით ტაფა და დაასხით ზეთი. 2 წუთის განმავლობაში მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ნიორი, დაუმატეთ მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი თევზი და შებრაწეთ ყველა მხრიდან, კარგად შეაწითლეთ. შეეცადეთ, თევზის ნაჭრები არ ჩაგეშალოთ. უყავით მარილი, პილპილი, დაასხით ღვინო. ჩაიშუშოს მაღალ ცეცხლზე. პარალელურად, შეგიძლიათ მოხარშოთ სპაგეტიც. გარნირად ძალიან მოუხდება.

როცა ღვინო მთლიანად ჩაშრება, დაუმატეთ დაჭრილი პომიდორი. შუშეთ კიდევ ათიოდე წუთი. მოაყარეთ ქონდარი, ზეთისხილი და ოხრახუში. კარგად აურიეთ, მაგრამ ფრთხილად. პომიდვრის წვენი რომ ცოტა აორთქლდება, მზად არის. ლანგარზე ამოიღეთ სპაგეტი და ზემოდან მოათავსეთ თევზის რაგუ.





FABIO

* ისრაელის წარმოების უნივერსალური სარეცხი ფხვნილი Fabio
* გამოიყენება როგორც ხელით, ასევე, სარეცხი მანქანით რეცხვისას.
* მისი უნივერსალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ, რეცხავს როგორც თეთრეულს, ისე ფერად ტანსაცმელს.
* მინიმალური დანახარჯით – მაქსიმალური შედეგი: 5 კილოგრამ სარეცხზე 37-გრამიანი მოხმარება!
* 1 კილოგრამი Fabio გაძლევთ საშუალებას, იდეალურად გარეცხოთ 27-ჯერ (ანუ, 27-ჯერ გარეცხავთ 5 კილოგრამ სარეცხს, როგორც თეთრეულს, ასევე ფერად ტანისამოსს).
* არის ეკოლოგიურად სუფთა და არ იწვევს ალერგიას.

ტელეფონი: 551 441111

# ცხელი სალათა









**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი საქონლის ხორცი, 50 გრამი ნიგოზი, 3 კბილი ნიორი, 3 ჩაის კოვზი სოიის სოუსი, 1 ჩაის კოვზი ხმელი კვლიავი, 1 ცალი დიდი პომიდორი, 50 გრამი კიტრი, 50 გრამი ბულგარული წიწაკა, ცოტა მწვანე სალათა – მოსართავად. ნებისმიერი მწვანილი (თქვენი გემოვნებით), მაიონეზი.

**მომზადების წესი:** საქონლის ხორცი დაჭერით მომცრო კუბიკებად ან მოკლე წვრილ ჩხირებად. ცხელ ტაფაზე ერთად მოხრაკეთ ხორცი, კვლიავი, დანაყილი ნიორი და შუშეთ 7 წუთის განმავლობაში.

დაუმატეთ დანაყილი ნიგოზი და სოიის სოუსი, დადგით ძალიან დაბალ ცეცხლზე და შუშეთ კიდევ 3-5 წუთი. დიდ თეფშზე დააწყვეთ სალათის ფოთლები. დაჭერით კიტრი, პომიდორი და ბულგარული წიწაკა საშუალო ზომის კუბიკებად, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი, ზემოდან მოათავსეთ ჩაშუშული ძროხის ხორცი, ოდნავ ამოურიეთ და მორთეთ მაიონეზით – „ბადე დაახატეთ“.

# ცივი ჩაი მიხაკით

**საჭირო ინგრედიენტები:** 5 ჩაის კოვზი შავი ჩაი, 2 ცალი მიხაკი, 2 სადილის კოვზი შაქარი, 1 ლიტრი მდუღარე წყალი.



**მომზადების წესი:** ჩაი და მიხაკი მოათავსეთ ფაიფურის ჭურჭელში, დაასხით 250 მილილიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ 10 წუთი. შემდეგ დაუმატეთ დანარჩენი წყალი, შაქარი და კარგად აურიეთ. მზა ჩაი გადაწურეთ და რომ შეგრილდება, შედგით მაცივარში. როდესაც ჩაი კარგად გაცივდება, ათქვიფეთ მიქსერით ან ბლენდერით, გადაანაწილეთ ჭიქებში და მიირთვით ყინულთან ერთად.


სომელიე თეიმურაზ ბენიძე

# თევზის ღვეზელი



**საჭირო ინგრედიენტები:** *ცომისთვის* – 150 გრამი ფქვილი, 200 გრამი მაწონი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 3 ცალი კვერცხი, 1 ჩაის კოვზი ცომის გასაფხვიერებელი ფხვნილი, 0,5 ჩაის კოვზი სოდა. *გულსართისთვის:* 1 ჩაის კოვზი წვრილად დაჭრილი კამა, 1 ჩაის კოვზი კვლიავი, 300 გრამი თევზის ფილე, 3 სადილის კოვზი ბრინჯი, 1 ცალი კვერცხი, 70 გრამი ხახვი; მარილი, პილპილი. *სოუსისთვის:* 5 სადილის კოვზი პომიდვრის პასტა, 3 სადილის კოვზი რძე.

**მომზადების წესი:** გულსართისთვის მოხარშეთ თევზი, კვერცხი და ბრინჯი. გაციებული თევზი ჩანგლით დაჩეჩეთ და შეურიეთ ბრინჯი, დაკეპილი მოხარშული კვერცხი, ზეთში მოშუშული ხახვი, წვრილად დაჭრილი კამა, კვლიავი და შეანელეთ მარილითა და წიწაკით. მოზილეთ სქელი არაჟნის კონსისტენციის ცომი, მისი 2/3 ჩაასხით ფორმაში, გადაანაწილეთ მასზე გულსართი და ზემოდან დანარჩენი ცომი მოათავსეთ. ღვეზელი გამოაცხვეთ 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში, 40 წუთის განმავლობაში. როცა გამოცხვება, 5 წუთით გააჩერეთ ჩამქრალ ღუმელში. ზემოდან მოასხით სოუსი.

# თევზი ნივრისა და კამის მარინადში



**საჭირო ინგრედიენტები:** 1.5 კილოგრამი უფხო თევზი, 0,5 ჭიქა ზეთი, 2 ცალი კვერცხი, 0,5 ჭიქა ფქვილი, მარილი – გემოვნებით.

**მარინადისთვის:** 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 10 კბილი ნიორი, 1 კონა კამა, 1 სადილის კოვზი მაიონეზი, გასაფორმებლად – ლიმონი და ოხრახუში.

**მომზადების წესი:** გასუფთავებული და გარეცხილი თევზი დაჭერით პატარა, თხელ ნაჭრებად და მოაყარეთ მარილი. ლიმონის წვენით, მაიონეზით, დანაყილი ნივრითა და დაკეპილი კამით მოამზადეთ მარინადი და წაუსვით თევზის ნაჭრებს. გააჩერეთ 2 საათი, შემდეგ ამოავლეთ ჯერ ფქვილში, მერე კი გათქვეფილ კვერცხში და შეწვით ცხელ ტაფაზე ორივე მხრიდან. სუფრაზე გატანის წინ გააფორმეთ მრგვლად დაჭრილი ლიმონის ნაჭრებითა და წვრილად დაჭრილი ოხრახუშით.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 24 აპრილი

06.30 "მოამბე"(აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა"(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები"(პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე"(პ/ე) 15.00 ტ/სერ "**ბორჯია**" 17.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ "**დაჰქორწინდით**" 21.00 ტ/სერ. "**ბორჯია**" 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 მხ/ფ "**ოუშენის 13 მეგობარი**" 01.20 დ/ფ "ტვინი სარკეში".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. "**დაუვიწყარი**" 11.20 სერ. "**მაფიის ქვრივი**" 13.00 ოტელო – სიყვარულის ცეცხლი 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50 სერ. "**თილისმა**" 18.50 სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 15 სერ. 21.00 სერ. "**მარტოსული**" 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ "**საათის მექანიზმი**" 00.15 იმედი არტარეა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" 11.00 სერ. "**იდუმალი ქალი**" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. "**ვნების უფსკრული**" 18.45 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 20.05 სერ "**ერთგულების ძალა**" 22.00 ნანუკას შოუ. 22.40 ჩემპიონთა ლიგა 00.50 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35, 16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25, 11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ/ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ "**ადამიანთა სევდა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი - ვ.ჰოროვეცი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" IV-V ნაწ. 16.45 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" I ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**საბრალონი**" I ნაწ.

## ხუთშაბათი 25 აპრილი

06.30 "მოამბე"(აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა"(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები"(პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი"– მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე"(პ/ე) 15.00 ტ/სერ. "**ბორჯია**" 17.00 დ/ფ "ქართველი მუსიკოსები ამსტერდამში" 17.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ."**სიყვარული შიშით**" 21.00 ტ/სერ."**ბორჯია**" 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" 00.00 მხ/ფ "**გზა და კავშირი**".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. "**დაუვიწყარი**" 17 სერ. 11.20 სერ. "**მაფიის ქვრივი**" 13.00 ოტელო – ანანოს დაბადების დღე 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50 სერ. "**თილისმა**" 18.50 სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 16 სერ. 21.00 სერ. "**მარტოსული**" 22.00 მხ/ფ "**ძნელად აღსაზრდელები**" 00.15 იმედი არტარეა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" 11.00 სერ. "**იდუმალი ქალი**" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. "**ვნების უფსკრული**" 18.45 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 20.05 სერ "**ერთგულების ძალა**" 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35, 16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25, 11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ/ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ "**საბრალონი**" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" I ნაწ. 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" 13.35 კონცერტი - ანდრია ბოჩელი ლას-ვეგასთან 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 მხ/ფ "**ორომტრიალი**" 17.30 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" VI ნაწ. 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ალყა**" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 შაბათის სახარების განმარტება 22.40 დოკ/ფ "**კარიბჭე**" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" II ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**საბრალონი**" II ნაწ.

## პარასკევი 26 აპრილი

06.30 "მოამბე"(აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა"(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები"(პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი"– მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე"(პ/ე) 15.00 ტ/სერ."**ბორჯია**" 17.00 დ/ფ "ისტორიის შექმნა" 17.55 ფეხბურთი. უეფას ფეხბურთის თასი. ნახევარფინალი (პ/რ) შესვენებისას "მოამბე" 20.25 ფეხბურთი. უეფას ფეხბურთის თასი. ნახევარფინალი (პ/რ) 22.10 დ/ფ 23.30 "წითელი ზონა" 00.30 მხ/ფ "**გაიცანი ჯონ დო**" (ტიტ.).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. "**დაუვიწყარი**" 11.20 სერ. "**მაფიის ქვრივი**" 13.00 ოტელო – მშრალი ხიდის სიზმრები 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 16.35 რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) 17.50 სერ. "**თილისმა**" 18.50 სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 17 სერ. 21.00 სერ. "**მარტოსული**" 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 იმედი არტარეა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" 11.00 სერ. "**იდუმალი ქალი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. "**ვნების უფსკრული**" 18.45 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 20.05 სერ "**ერთგულების ძალა**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35,16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25,

11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ|ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ "**საბრალონი**" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 შაბათის სახარების განმარტება 11.10 დოკ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" II ნაწ. 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**ალყა**" 13.25 კონცერტი - ანიტა რაჭველიშვილი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.00 წმინდა დიმიტრი ყიფიანი 16.35 საუბრები ლიტერატურაზე 17.00 ჩვენი დრო 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო.

## შაბათი 27 აპრილი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 "მოამბე"(აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბავშვო ან/ფ "განძთა კუნძული" 11.00 "ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.30 საბ. ტ/სერ."**პირველყოფილი**" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 "მოამბე" 12.30 "AGVA-GEORGIA" 13.00 დ/ფ "ღვინო" 14.00 **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "**დილა**"/გორი" – "**დინამო**"/თბილისი" (პ/რ) 16.30 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.00 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" 18.00 "ეტალონი" 19.00 "გურმანია" 21.00 "ევროვიზიის დღიური" 21.30 მხ/ფ "**მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად**" 23.00 "ახალი ქართული კინო" 23.20 მხ/ფ "**მესაათე**" 01.00 მხ/ფ "**სისხლიანი ალმასი**".

07.40 ან/ფ "ბარბი: პრინცესა და მფრინავი რაშის საიდუმლო" 08.40 მხ/ფ "**შურისმაძიებელი ანგელოზები**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან/ფ "ავატარი" 12.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" 13.00 სერ."**ოქროს კერპი**" 1 სერ. 14.20 იმედიატორი (გ/ჩ) 15.50 დოკ/ფ. "**ფიდელის ძიებაში**" (გ/ჩ) 17.50 სერ. "**თილისმა**" 18.50 სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 18 სერ. 21.00 სერ. "**მარტოსული**" 22.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ "**ნიუ იორკის ბანდები**" 01.40 მხ/ფ "**მეხრე ლეგიონი**".

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 სერ. "**კლუბი**" (ს2) 10.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ "**სხვისი შვილები**" 15.30 სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" 16.30 "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) 19.00 ყველაზე ჭკვიანი 2. 20.05 სერ. "**ერთგულების ძალა**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 ქართ. მხ/ფ "F5" 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 "Latin Angels" 01.30 სერ. "**გრიმი**" 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00, 8.00, 22.30, 23.00, 23.30, 0.00, 1.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.35, 9.00, 10.00, 10.30, 11.00, 11.30, 12.30, 13.05, 13.35, 14.05, 14.35, 15.40, 16.05, 16.35, 17.05, 17.35, 18.45, 19.05, 19.35, 20.05, 20.35, 21.45, 22.00, 22.45, 23.15, 23.45, 0.35, 1.30, 2.30, 3.30, 4.30, 5.30, 6.30 უცხოეთის ამბები 7.57, 8.57, 9.57, 10.27, 10.57, 11.27, 11.57, 12.57, 13.25, 13.57, 14.25, 14.57, 15.55, 16.25, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.27, 19.57, 20.27 უკომენტაროდ|ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 13.30, 14.00, 14.30, 16.00, 16.30, 17.00, 17.30, 19.00, 19.30, 20.00, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.57, 21.58, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.55, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" 13.35 ქრისტიანული სწავლება 13.50 ჩვენი დრო 14.30 საღვთისმსახურო წელიწადი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა-"**სიყვარულის ელექსირი**" 16.50 დოკ/ფ "ცარიელია სახლი" 17.30 თბილისის ტაძრები 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 "თვენი"-"ლაზარეს აღდგინება" 21.30 სამედიცინო გადაცემა "კარაბადი-ნი" 22.00 სიახლენი 22.25 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.35 მხ/ფ "**ელ სიდი**" I ნაწ.

## კვირა 28 აპრილი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ/ფ "ოქროს კომპასი" 10.00 "ეტალონი" 11.00 "ჩვენი ექსპრესი" 11.30 საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" 12.00, 16.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სპექტაკლის დრო"– მ. თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლი: "**წუთისო-ფელი ასეა**" 15.00 დ/ფ "პერიკები და ლამაზი მაქმანები" 16.30 "ჩვენი ეზო" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.55 ფუტსალი. უეფას ფუტსალის თასი. III ადგილისათვის (პ/რ)20.00 დ/ფ 20.25 ფუტსალი. უეფას ფუტსალის თასი. III ადგილისათვის (პ/რ)22.10 "ქართული დოკუმენტალისტიკა"23.00 "აღმოაჩინე საქართველო"23.30 "უცნობი მუსიკა" 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ "**იღბლიანი**".

07.45 ან/ფ "ბარბი რაპუნზელი" 09.00 ქ.მხ/ფ "**კეთილი ადამიანები**" 08.50 მხ/ფ "**სახლში მარტო დარჩენილი - 3**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" 13.00 სერ. "**ოქროს კერპი**" 2 სერ. 14.20 მხ/ფ "**როგორ მოვიპაროთ მილიონი**" 16.00 ქ/სერ. "**ეჰ მეგობრებო**" 2 სერ. 17.40 იმედის გმირები 17.50 სერ. "**თილისმა**" 18.50 სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 19.00 ქრონიკა (5 წთ) 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 რომ გადახვალ" გააჩერე 23.30 იმედიატორი 01.00 დოკ/ფ "შავი არა თეთრი".

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 სერ. "**კლუბი**" 10.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 "საქართველოს ვარსკვლავი". 15.30 სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი20.00 იღბლიანი ბორბალი21.00 P.S.22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**"23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00, 22.30, 23.00, 23.30, 0.00, 1.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.35, 9.00, 10.00, 10.30, 11.00, 11.30, 12.30, 13.05, 13.35, 14.05, 14.35, 15.40, 16.05, 16.35, 17.05, 17.35, 18.45, 19.05, 19.35, 20.05, 20.35, 21.45, 22.00, 22.45, 23.15, 23.45, 0.35, 1.30, 2.30, 3.30, 4.30, 5.30, 6.30 უცხოეთის ამბები 7.57, 8.57, 9.57, 10.27, 10.57, 11.27, 11.57, 12.57, 13.25, 13.57, 14.25, 14.57, 15.55, 16.25, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.27, 19.57, 20.27 უკომენტაროდ|ამინდი 8.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 13.30, 14.00, 14.30, 16.00, 16.30, 17.00, 17.30, 19.00, 19.30, 20.00, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.57, 21.58, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.55, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 დოკ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" 13.05 ბზობა 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ "**ამაღლება**" 21.35 ბზობა 21.45 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ციკლი "საუფლონი"- "ნებით შესვლა ვნებისათვის" 00.35 მხ/ფ "**ელ სიდი**" II ნაწ.

**ვერძი**

ენერგიის დაქვეითება ცუდად აისახება თქვენს განწყობაზე. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში ნუ იქნებით იმპულსური. თუ შემოქმედებითად იმუშავებთ, წარმატებებს ადვილად მიაღწევთ. კარგია სამედიცინო კვლევის ჩატარება და მკურნალობის დაწყება.

**კურო**

იაზროვნეთ სწრაფად და არსებული სიტუაცია გამოიყენეთ საკუთარი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეცადეთ, ნებისმიერი სიტუაციიდან იპოვოთ ახლებური გამოსავალი. ნუ დაძაბავთ ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან თქვენი ჯიუტობით.

**ტყუპები**

ნუ ჩაიდებთ წყენას გულში და ეცადეთ, იყოთ მეტად დამთმობი საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან. ნებისმიერი საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა დაგეხმარებათ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მოგზაურობას არ გირჩევთ. ეცადეთ, დრო მოდუნებისა და დასვენებისთვისაც გამონახოთ.

**კირჩხიბი**

გაუმჯობესდება თქვენი ემოციური მდგომარეობა, რაც სასიკეთოდ აისახება საქმიან და სასიყვარულო ურთიერთობებზე. კარგ შემოსავალს გპირდებათ მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი და თანამშრომლობა. ოჯახის საქმეების მოგვარებაში ხელს შეგიწყობენ მეგობრები და ნათესავები.

**ლომი**

თქვენი ენერგეტიკა იწყებს დაქვეითებას, ამიტომ, სასურველია, დროდადრო შეისვენოთ. კარგია კონტაქტების გაფართოება, უცხოელებთან ურთიერთობა კი მომავალში კარგ პერსპექტივებს გიქადით. ნუ იქნებით საყვარელ ადამიანთან მკაცრი და დროულად გამონახეთ გზები კრიზისიდან თავის დასაღწევად.

**ქალწული**

მომატებულ შემოსავალი და თავს დაჯერებულად იგრძნობთ. მზრუნველობით მოეპყარით ოჯახის წევრებსა და გარშემო მყოფთ. შემოქმედებითად მუშაობა გაზრდის შემოსავალს. დროდადრო დასვენება კი სასიცოცხლო ენერგიით აგავსებთ. არ არის გამორიცხული მოგზაურობისას ახალ რომანტიკულ ურთიერთობას ჩაეყაროს საფუძველი.

**სასწორი**

დაასრულეთ ადრე დაწყებული საქმეები და სამომავლოდ არაფერი გადადოთ. გაგიადვილდებათ მიღებული ინფორმაციის გამოყენება. ნუ ჩაერევით სხვების საქმეში მათი თხოვნის გარეშე. შინაგან სიმშვიდეს მოგანიჭებთ საყვარელ ადამიანთან ხშირი ურთიერთობა. არ გირჩევთ მოგზაურობას და უცხოელებთან კონტაქტს.

**ღრიანკალი**

კარგია ადრე დაწყებული საქმეების დასრულება. გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი და ფინანსური მდგომარეობაც გამოსწორდება. მოერიდეთ ფარულ სასიყვარულო კავშირებს. არ გირჩევთ მოგზაურობას. უცხოელებისგან მიღებული წინადადება სარფიანი აღმოჩნდება.

**მშვილდოსანი**

მოგინდებათ ახალი ნაცნობობა, ახალი კავშირების დამყარება და მოგზაურობა – ეს მოგიხსნით შინაგან დაძაბულობას. თქვენს განწყობაზეა დამოკიდებული საყვარელ ადამიანთან სტაბილური ურთიერთობა და საქმეში წარმატება. სიფრთხილე გამოიჩინეთ გადაადგილებისას.

**თხის რქა**

მომატებული ენერგია დაგეხმარებათ მუშაობაში. ახალი საქმე წარმატებულად განვითარდება, ძველ პრობლემებს კი ადვილად გაუმკლავდებით. სასიყვარულო ურთიერთობა სტაბილური და ჰარმონიული იქნება. ყურადღება მიაქციეთ საბუთებს.

**მერწყული**

თქვენი ბიოპოტენციალი დაბალია, ამიტომ, ხშირად დაისვენეთ. პირად ურთიერთობებში მოსალოდნელია ცვლილებები. არ გირჩევთ ახალი სასიყვარულო კავშირების გაბმას. მოერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას და ხანგრძლივ მოგზაურობას.

**თევზები**

ენერგიის მომატება აისახება თქვენს შრომისუნარიანობასა და მატერიალურ მდგომარეობაზე. საქმიანი პარტნიორები შემოთავაზებებით გაგანებივრებენ. სასიყვარულო სფეროში ცვლილებები დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენს სურვილზე. მოგზაურობის დაწყებამდე გაითვალისწინეთ ყველა წვრილმანი.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 10 მაისი, 00 სთ: 28 წთ.**

**ორშაბათი**
**გეომაგნიტური დღეა**

მოერიდეთ აგრესიის გამოვლენას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, გამოცდების ჩაბარებას. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი ან ქრიზოპრაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სასიყვარულო ურთიერთობები, ახალი ნაცნობობა. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, ვაჭრობა, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის.*

**სამშაბათი**
**გეომაგნიტური დღეა**

შესაძლებელია ახალი საქმის დაწყება. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ნაცრისფერი, ბეჟი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან საფირონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა მანქანის ყიდვა-გაყიდვა. კარგია სასიყვარულო და მეგობრული ურთიერთობები, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია და მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

**ოთხშაბათი**

აკონტროლეთ ემოციები. ამაღლდება თქვენი სექსუალური პოტენციალი და ინტუიცია. ასევე, მომატებულ ცდუნებების ალბათობა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ბეჟი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ტოპაზი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვას. კარგია სასიყვარულო კავშირები, ხელოვნებასთან ურთიერთობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.*

**ხუთშაბათი**
**გეომაგნიტური დღეა**

დღეს სავსემთვარეობაა, ხვალ კი – მთვარის დაბნელება, რაც ნიშნავს უარყოფითი კოსმიური ენერგიების მოჭარბებას. მოერიდეთ აგრესიას, დეპრესიას, კონფლიქტებს, შეცდომების დაშვებას. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე. ნუ გარისკავთ და მოერიდეთ მოლაპარაკებებსა და ხელშეკრულებების დადებას; ასევე, ადგილსამყოფელის შეცვლას, სისხლის აღებას. ატარეთ ბეჟი, კრემისფერი, შავი, წითელი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ფირუზი, ონიქსი ან მწვანე იასპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

*პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.*

**პარასკევი**
**გეომაგნიტური დღეა**

დღეს მთვარის დაბნელებაა, მძიმე და უარყოფითი კოსმიური ენერგიების მოჭარბების დღე. მომატებულ კონფლიქტები, აგრესია, ცდუნებები, მოტყუებისა და ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. იყავით ფრთხილი და წინდახედული. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, სისხლის აღებას. ატარეთ შავი, წითელი, თეთრი, ყვითელი ან მწვანე სამოსი, ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, გიშერი, ზურმუხტი ან ყვითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მშვიდად გაატარეთ დღე. სუსტდება თავი, ცხვირი, შარდსასქესო სისტემა.

*პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის.*

**შაბათი**
**გეომაგნიტური დღეა**

აკონტროლეთ აგრესია, ემოციები, წყენა, სამაგიეროს გადახდის სურვილი. შესაძლებელია ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა. კარგია პარტნიორული თანამშრომლობა, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი, ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ფირუზი, აკვამარინი, იაგუნდი ან ლაზურიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, ინტელექტუალური საქმიანობა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ცხვირი, შარდსასქესო სისტემა.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

**კვირა**

გილოცავთ ბზობას! თუ გამოიჩენთ შეუპოვრობასა და მოთმინებას, შესაძლებელია მიზნის მიღწევა. დღეს მიტევების დღეა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, წითელი, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ლაზურიტი, ციტრონი, ლაბრადორი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, ინტელექტუალური საქმიანობა, სწავლა, მოგზაურობა. მომატებულ ინტუიცია. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### მამუკელაშვილი

გვარის ფუძედ გამოყენებულია სახელი **მამა**. „**მამა** არს ღმერთი დამბადებელთა. **მამა** არს შემქმნელი. **მამად** ითქმან: მოძღუარი, მღვდელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი" (სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა).

**მამა** გვხვდება საკუთარ სახელადაც. „**მამა** კარშაგარას მცხოვრები, მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს" (1537-1558 წლები).

**მამიდანაა** ნაწარმოები სახელები: **მამაგული, მამაგულა, მამაგულაი, მამადა;** ამათგან კი გვარები: **მამადელაშვილი, მამასხედი, მამაცაშვილი, მამახარაშვილი, მამაჯანაშვილი, მამუკელაშვილი** და სხვა.

„შოშიტა **მამუკელა** იყო ერისთავის ყმა, ჰყავს ძმები: გოგიელა, აღდგომელა და ნიკოლოზა. მას შოშიტა ერისთავმა უწყალობა მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა ტოგონიძის მამულს" (1641-1661 წლები).

ადრე **მამუკელაშვილებს** ფშავში უცხოვრიათ. მატნელი **მამუკელაშვილები** წარმოშობით ფშავიდან არიან. **მამუკელაშვილების** ადრინდელი გვარი ხუცურაული ყოფილა.

საქართველოში 764 **მამუკელაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 233, ახმეტაში – 167, თბილისში – 117. არიან სხვაგანაც.

### ფუტკარაძე

გვარის ფუძედ გამოყენებულია მწერის სახელი – ფუტკარი, ოღონდ, იმ შენიშვნით, რომ მაჭახელაში გაჩენილ, შემდგომში ფუტკარაშვილ-ფუტკარაძეთა ადრინდელი გვარი ყოფილა მეფუტკრისძენი.

მოსახსენიებელში მოიხსენიებიან მეფუტკრიეთ ივანე და მეფუტკრისძე გუგუნა.

გვარი მეფუტკრიძე მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში, ტბეთის სულთა მატიანეში მოიხსენიება.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის, **ფუტკარაძეთა** გვარს 34-ე ადგილი უჭირავს.

საქართველოში 7 003 **ფუტკარაძე** ცხოვრობს: შუახევში – 1 824, ხელვაჩაურში – 1 108, ბათუმში – 664, არიან სხვაგანაც.

### დიდიძე-დიდმანიძე

„ხელვაჩაურის სოფლები: აჭარისაღმართი და მარადიდი – **დიდმანიძეების** სამშობლო მხარეა, – წერდა ჟურნალისტი, აჭარული გვარების ქომაგი, ბატონი იოსებ ბექირიშვილი, – აქ, ქუთურეთში, ლომინაკენსა და ძაბლაკეთის უბანში, არის **დიდმანიძეთა** ადგილი, ნასახლარი, საძოვარი. აქ ბევრნი იყვნენ, ნაწილი **დიდიძედაც** იწერებოდა. სოფელ ცხემლარაში **დიდიძეები** ახლაც ცხოვრობენ. სიტყვა „დიდი" პოპულარული ყოფილა ამ მხარეში". ასევე, გვაქვს გვარები: **დიდმანიძე, დიდებულიძე, დიდიმამისაშვილი, დიდიძე, დიდია, დიდიშვილი, თავდიდიძე.** ბერძნებიდან გვაქვს ნასესხები მამაკაცის საკუთარი სახელი – დიდია. ის მეოთხე საუკუნიდან ჩანს.

**დიდმანიძის** გარდა, მანს შეიცავენ გვარები: სურმანიძე, ცალქალამანიძე, სულმანიძე, სამანიშვილი, ნარიმანაშვილი, ნარმანია, თურმანიძე, იამანიძე, მანჯავიძე და ასე შემდეგ.

ძველსპარსულად „მანია" ნიშნავს მნიშვნელოვანს, ავტორიტეტულს. სახელ ნარიმანში „ნარი" ირანულად „ვაჟია", ხოლო „მანი" – „გული". ეს ფორმა გვიანდელადაა მიჩნეული.

გადმოცემით, **დიდიძიდანაა** წარმომდგარი მაისურაძეთა ცნობილი გვარი.

საქართველოში 496 **დიდიძე** ცხოვრობს: თბილისში – 117, სამტრედიაში – 85, ქუთაისში – 76. არიან სხვაგანაც.

425 **დიდმანიძე**: ბათუმში – 91, ოზურგეთში – 38, თბილისში – 6. არიან სხვაგანაც.

### ზეინკლიშვილი

გვარის ფუძეა ხელობა-საქმიანობის ტერმინი – ზეინკალი. ამ გვარისანებს სოფელ ტკოცაში უცხოვრიათ.




„**ზეინკლიშვილი** ტკოცას მცხოვრები, ერთი კომლი, იხსენიება ზემო ქართლის კომლების ნუსხაში, მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს."

„**ზეინკლისშვილი** პავლე, ტკოცაში მცხოვრები, ბატონის სახასო მსახური, კარის დეკანოზი, ერთი კომლი. ჰყავს ძმა – გიორგი, ნაშენი ოთხი ვაჟი და განაყოფი – პაატა **ზეინკლისშვილი"**, – იხსენიება ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარი).

საქართველოში 305 **ზეინკლიშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 98, საჩხერეში – 67, თბილისში – 53. ცხოვრობენ სხვაგანაც.

### ქვლივიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ქველივა.

**ქულივისძე** მათე მოხსენიებულია 1494 წელს ქვათახევის სიგელში.

**ქულივიძეები** იყვნენ აზნაურები.

„**ქულივიძე** ბასილა, ნაცვალი, მოწმე იესე ჯაფარიძის მიერ თბილელის საგინაშვილისთვის მიცემულ კავთისხევში მიწის ნასყიდობის წიგნისა" (1649 წელი).

1674 წელს მოხსენიებულია **ქვლივიძე** ბასილა.

საქართველოში 739 **ქვლივიძე** ცხოვრობს: თბილისში – 349, საგარეჯოში – 306, გურჯაანში – 21. არიან სხვაგანაც.

### შამანაური-შამანაშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი შამან, რომელიც ბევრ ისტორიულ საბუთშია მოხსენიებული. შამანს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: დაუდუღებელი ღვინო, სუსტი არაყი, ჯადოქარი, მკურნალი.

ამ სახელიდან, ასევე, წარმოქმნილია გვარები: **შამანაშვილი, შამანაძე.**

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, შამანები ერქვათ ადამიანებს, რომლებიც არყის გამოხდაში იყვნენ დახელოვნებულნი. აქედან დასკვნა, რომ შამანაურებიც ამ ხელობას მისდევდნენ.

**შამანაური** და **შამანაშვილი** ერთი და იგივე გვარია. ცნობილია, რომ ხევში ბევრი ადამიანი ცნობილ გვარზე ეწერებოდა. შვილი სუფიქსით დაბოლოებული გვარების დიდი ნაწილი, მეთვრამეტე საუკუნეში ურ, ულ ან ძე სუფიქსებს ირთავდა. მსგავსი გვარებია **გოგიშვილი – გოგიაური, ელოშვილი – ელოური, ქუქიშვილი – ქუქიაური** და ასე შემდეგ.

ქართლის მთიანეთიდან წამოსული შამანაურების დიდი ნაწილი შიდა ქართლსა და თბილისში ცხოვრობს.

საქართველოში 298 **შამანაური** ცხოვრობს: თბილისში – 168, კასპში – 101, მცხეთაში – 13. არიან სხვაგანაც.

### არაბიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი არაბი, არაბა.

**არაბიძეთა** გვარი მეთხუთმეტე საუკუნიდან ჩანს ისტორიულ წყაროებში.

ქედში მცხოვრები **არაბიძე** მირიან ჯარელიძემ მამულითურთ უწყალობა თავის აზნაურს – გიორგი შერაზანიშვილს.

მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარში **არაბიძე** ბერდიას მამული მიუყიდია რამინა ჭაგრიძისთვის.

საქართველოში 2 080 **არაბიძე** ცხოვრობს: ზესტაფონში – 544, თერჯოლაში – 485, თბილისში – 276. არიან სხვაგანაც.

### აზარიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აზარიაჰ**, რომელიც ებრაული სიტყვაა და ქართულად უფლის შეწევნას ნიშნავს.

სოფელ ღოუბანში მოიხსენიება იასე სოლოღაშვილის ყმა – ივანე **აზარიაშვილი.**

ღოუბანში მცხოვრებმა ივანე **აზარიაშვილმა** 1826 წელს შვილი მოუნათლა თანასოფლელ სოლომონ სულხანიშვილს.

ღოუბანში მცხოვრებ ლაზარე აზარიაშვილს 1829 წელს შეეძინა შვილი, რომელიც მონათლა მღვდელმა გიორგი **აზარიაშვილმა**, სახელად დაარქვა ანა.

საქართველოში 390 **აზარიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 133, თეთრი წყაროში – 77, საგარეჯოში – 68. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# მოემზადეთ ზაფხულისთვის

ეს დიეტა ძალიან ადვილი შესასრულებელია, თუკი, რა თქმა უნდა, მოინდომებთ. წინასწარ გაფრთხილებთ, რომ შედეგს რამდენიმე დღეში ვერ დაინახავთ (მხოლოდ იგრძნობთ), მაგრამ, თუ ნებისყოფა გეყოფათ და კვების ასეთ რეჟიმს (და რაციონსაც) ერთ თვეს მაინც „გაქაჩავთ", გვერწმუნეთ, პლაჟის სეზონს კარგ ფორმაში დახვდებით.



ამ დიეტას რამდენიმე „ტრადიციული" და რამდენიმე განსხვავებული, ინდივიდუალური „საიდუმლო" აქვს:

**ტრადიციული „საიდუმლოები":**

ა) გამორიცხეთ ტკბილეული, ცხიმიანი, მწარე-ცხარე კერძები, ცომეული.

ბ) არაფერი მიირთვათ საღამოს 7 საათის შემდეგ.

გ) ჭამეთ პატარა ლუკმებით და თითოეული ლუკმა ღეჭეთ დიდხანს.

დ) ნებისმიერი სითხე სვით პატარ-პატარა ყლუპებით (დღეში 2 ლიტრი მაინც).

ე) მიირთვით დღეში მხოლოდ 2 ნაჭერი ცეხვილი შავი პური (ან „ხლებცი").

ვ) „მიაწექით" ცოცხალ ხილსა და ბოსტნეულს.

ზ) არასდროს დაიმატოთ კერძი.

თ) სუფრიდან ადექით ისე, რომ ცოტათი კიდევ გშიოდეთ.

ი) თითოეული ჯერი არ უნდა აღემატებოდეს 250-300 გრამს.

კ) ბევრი იარეთ ფეხით.

ლ) ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

**განსხვავებული „საიდუმლოები":**

ა) დიეტა დაიწყეთ 6-ჯერადი კვებით (დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე 2-2-საათიანი შუალედებით).

ბ) 3 დღის შემდეგ ნელ-ნელა შეამცირეთ თითოეული ჯერის ულუფა (ბოლო 3-4 ლუკმა აღარ მიირთვათ).

გ) 1 კვირის შემდეგ გაანახევრეთ თითოეული ულუფა.

დ) კიდევ 1 კვირის შემდეგ დაიწყეთ დღეში ერთი ჯერის „ამოგდება", ანუ, 6 ჯერის ნაცვლად, 5-ჯერ იკვებეთ (თითოეული ჯერის ამოგდება 3-4 დღეს გრძელდება).

ე) ყოველი 3-4 დღის შემდეგ თითო ჯერი მოაკელით, სანამ 4-ჯერად კვებამდე მიხვალთ და ეს რეჟიმი განაგრძეთ მინიმუმ 2-3 კვირის განმავლობაში (თუ გაძლებთ, შეგიძლიათ, 2-3 თვეზეც გამოსცადოთ თქვენი გამძლეობა).

ვ) თუ ისე მოხდა, რომ წვეულებაზე მიხვედით და მონატრებული კერძის მირთმევისგან თავი ვერ შეიკავეთ, მეორე დღეს მაქსიმალურად ბევრი იარეთ ფეხით, თუნდაც სახლში გააკეთეთ ფიზიკური ვარჯიშები და თქვენი მსუნაგობის გამო თავი მარტივად დაისაჯეთ: ამოაგდეთ ერთ-ერთი ჯერი ან ოთხივე ჯერი გაანახევრეთ.

ყველაზე რთული პერიოდი დიეტის ვადის ამოწურვის შემდეგ დგება – ამ დროს გგონიათ, რადგან დიეტა დასრულდა, ყველაფრის ჭამის უფლება გეძლევათ, თანაც – ნებისმიერი რაოდენობით. სწორედ ასეთი მიდგომის გამო ხდება, რომ ამდენი წვალებით დაკლებული 5 თუ 10 კილოგრამი ორ-სამ კვირაში ორმაგად „ნაზღაურდება", რასაც ხანგრძლივი დეპრესია მოჰყვება. ამიტომ, ძალიან ფრთხილად მიუდექით კვების საკითხს დიეტის დასრულების შემდეგ და, წონაში რომ აღარ მოიმატოთ, ტრადიციული „საიდუმლოები" მაინც დაიცავით.

# თავის მოვლის ექსპრეს-საშუალებები

***ხვალ მაღალი დონის წვეულებაზე ან მნიშვნელოვან შეხვედრაზე მიდიხართ, სადაც ძალიან კარგად უნდა გამოიყურებოდეთ, რადგან ამაზე, შეიძლება ითქვას, თქვენი მომავალია დამოკიდებული, მაგრამ, მოუცლელობის გამო დრო ვერ გამონახეთ, რომ თავისთვის მიგეხედათ? ნუ ნერვიულობთ, არსებობს ექსპრეს-საშუალებები, რომელთა წყალობითაც ეს პრობლემა ძალიან მარტივად მოგვარდება.***

## სხეული



ძილის წინ თუ აბაზანა ან შხაპი მიიღეთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ პროცედურის დილით გამეორება საჭირო აღარ არის, ოღონდ, სასურველია, თუ მიიღებთ პიტნის, გვირილისა და ლავანდის ნახარშებით გაზავებული წყლის აბაზანას, ბოლოს კი – კონტრასტულ შხაპს. მხნეობა, ენერგიულობა და ხალისი მეორე დღემდე გაგყვებათ.

## სახე

თქვენი სახე დასვენებული და მოვლილი რომ იყოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიშოროთ მონაცრისფრო შეფერილობა: სახეზე ორთქლის აბაზანის მიღების შემდეგ დაიდეთ ჩვეულებრივი დამატენიანებელი ნიღაბი: წვრილი ნაოჭების შესანიღბავად გამოიყენეთ ფილერები, რომელთა შემადგენლობაში შედის პუდრი და სილიკონი, რომელიც ღრმა ნაოჭებსაც კი კარგად ფარავს.

რაც შეეხება მაკიაჟს: როგორც ცნობილი ვიზაჟისტები ამბობენ, ვარდისფერი (და არა მუქი) რუჟი ქალს მინიმუმ ხუთი წლით აახალგაზრდავებს. დაბინდული ფერადი „ჩრდილები" თქვენი სახიდან მთლიანად წაშლის გამოუძინებლობის კვალს. „ჩრდილი" უნდა წაისვათ მთელ ზედა ქუთუთოზე და თქვენი მზერა ახალ სხივს შეიძენს. ახალ მაკიაჟს, შეგიძლიათ, დაუმატოთ ყავისფერი ან ნაცრისფერი პატარა „ისრები" თვალის გარეთა კუთხეებში. შიდა კუთხეებთან კი, წარბების ქვეშ წაისვით მბზინავი „ჩრდილის" თხელი ფენა. არ გამოიყენოთ ვარდისფერი, ქლიავისფერი, ნარინჯისფერი და იისფერი ჩრდილები, რადგან თითოეული მათგანი ხაზს გაუსვამს სახის დაღლილ გამომეტყველებას.

## თმა

როგორც ოდრი ჰეპბერნის სტილისტი ამბობდა, თვით ყველაზე მაგიური მაკიაჟიც კი უფერულდება, თუ თმა არ არის სუფთა და მოწესრიგებული. ამიტომ, მანამ, სანამ სახეს მიხედავთ, დაიბანეთ თმა და გაიშრეთ ფენით (ხანდახან, როცა გეჩქარება, დასაშვებია), შემდეგ კი გაიკეთეთ თუნდაც ყველაზე სადა ვარცხნილობა – მთავარია, თმას ეტყობოდეს, რომ მასზე ზრუნავენ.

თუ თქვენი თმა ძველებურად აღარ ბზინავს, აუცილებლად გაიკეთეთ ცხელი ნიღაბი (თუ, რა თქმა უნდა, წვეულებაზე წასვლამდე კიდევ გაქვთ ზედმეტი ერთი-ორი საათი): თმის ჩვეულებრივ ნიღაბში ჩაუმატეთ 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი და ეს მასა წაისვით ნამიან თმაზე, ძირებიდან მთელ სიგრძეზე. ჩამოიცვით თმაზე ჯერ ცელოფნის პარკი, შემდეგ კი – პირსახოცი და გარედან ფენით გააცხელეთ პირსახოცი 10-15 წუთის განმავლობაში. ჩამოიბანეთ ათქვეფილი კვერცხის გულით და თბილი წყლით. ბოლოს გადაივლეთ წყალში გარეული ძმარი (ღვინის ან ვაშლის).

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაქვს ძალიან თხელი ფრჩხილები. შესაბამისად, ადვილად მემტვრევა. უამრავი საშუალება ვცადე, თუმცა, უშედეგოდ. ახლობელმა მირჩია მოდელირება, მაგრამ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ფრჩხილების ხელოვნურად წაზრდის. თქვენ რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** მოსინჯეთ ფრჩხილების გასამაგრებელი საშუალება, რომელიც შედგება გელისა და ლაკის ჰიბრიდისგან (შეეცადეთ, ცნობილი ბრენდის ნაწარმი შეიძინოთ). ეს უნიკალური პროდუქტი უნდა წაისვათ ჩვეულებრივი ლაკის წასმის შემდეგ. შრება 2 წუთის განმავლობაში, მაგრამ ძლებს 2 კვირა. თავისი საოცარი პლასტიკურობის წყალობით, თხელ და დრეკად ფრჩხილებს აძლევს სიმკვრივეს და იცავს მტვრევისგან.

**კითხვა: ჩემი 14 წლის გოგონა ამ ბოლო დროს დეკორატიული კოსმეტიკით დაინტერესდა. რომელი კოსმეტიკურ-პარფიუმერიული საშუალებების გამოყენებაა ამ ასაკში რეკომენდებული?**

**პასუხი:** ნებისმიერ ასაკში რეკომენდებულია ცნობილი ბრენდების კოსმეტიკურ-პარფიუმერიული ნაწარმის გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ უხარისხო პროდუქტით გამოწვეული გართულებები. განსაკუთრებით კი თინეიჯერები უნდა მოერიდონ ბაზრობებზე შეძენილ და გაურკვეველი წარმომავლობის მქონე კოსმეტიკურ საშუალებებს. ამის მოგვარება ძალიან ადვილია: ნებისმიერ საფირმო მაღაზიაში აქვთ ამა თუ იმ ცნობილი ბრენდის კატალოგები, რომლებშიც ცალკეა გამოყოფილი დეკორატიული კოსმეტიკის გვერდები თინეიჯერებისთვის. სასურველია, თქვენმა გოგონამ არჩევანი ამ კატალოგებიდან გააკეთოს.

**კითხვა: გამიგია, რომ ნაოჭების საწინააღმდეგო საშუალება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კოენზიმ Q10-ს. რა არის ეს და როგორ მოქმედებს ის კანზე?**



**პასუხი:** კოენზიმ Q10, იგივე უბიჰიონი – ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფერმენტი, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი თვითონ გამოიმუშავებს და რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდობის შენარჩუნებას. მაგრამ, ასაკის მატებასთან ერთად, Q10-ის გამომუშავება ორგანიზმში მცირდება. ამიტომ, სილამაზისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია, გამოიყენოთ ის კოსმეტიკა, რომელშიც Q10 სინთეზირდება. ეს არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს დაბერებას და ხელს უწყობს კანში კოლაგენის, ჰიალურონის მჟავისა და ელასტონინის სინთეზს, რაც ებრძვის არა მარტო ნაოჭების გაჩენას, არამედ, დაბერების სხვა გამოვლინებებსაც.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ვინ იყო მოუხელთებელი ქართველი ბანდიტი, რომლის მოკვლისთვისაც მინისტრმა არაოფიციალური ჯილდო დააწესა

### გაქცევა

სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მოსამართლე ფეხზე ადგა და ტრიბუნალის განაჩენი წაიკითხა, რომელიც ასე დაასრულა:

– ტარიელ ანზორის ძე გასვიანს, მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა, სიკვდილით დასჯა. განაჩენი საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება.

დარბაზში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. უცებ, მესამე რიგიდან ოთხი მამაკაცი გამოვარდა. მათ პისტოლეტები მიუშვირეს ბადრაგს და აიძულეს, ბრალდებული გაეთავისუფლებინათ. შემდეგ, ბადრაგის ტაბელური იარაღი – ოთხი „მაკაროვიც“ თან წაიღეს და სიკვდილმისჯილთან ერთად დარბაზი დატოვეს.

ეს უპრეცედენტო გაქცევა, კიევის სამხედრო ტრიბუნალიდან 1970 წლის 19 მარტს განხორციელდა. გაქცეული, 19 წლის ტარიელ გასვიანი ორი ადამიანის მკვლელობისთვის გაასამართლეს. ის კიევის სამხედრო ოლქში მსახურობდა და კაპიტანი იური მარჩენ-

**გასვიანი მოსკოვში ჩავიდა და „პიკოს“ მკვლელობისთვის ქურდებთან თავი გაიმართლა**

კო და ზემდეგი ანდრეი სუსლოვი პირადი შეურაცხყოფის გამო დახოცა. გასვიანი „ყარაულში“ იდგა და ხელში დანაწამოცმული ავტომატი ეკავა. მარჩენკომ და სუსლოვმა შემოწმებაზე ჩამოიარეს და კაპიტანმა მას ყოველგვარი მიზეზის გარეშე დედა შეაგინა. გასვიანმა ადეკვატურად უპასუხა და გინება უკანვე დაუბრუნა. ზემდეგმა სუსლოვმა გასვიანს ყბაში მუშტი დაარტყა და მიწაზე დააგდო. კაპიტანმა კი პისტოლეტი დაადო შუბლზე, მიაფურთხა და ზედ დედის გინებაც დააყოლა. გასვიანმა მარჩენკოს დანა ატაკა მუცელში, დაუტრიალა და ნაწლავები გამოაყრევინა. შეშინებული ზემდეგი სუსლოვი გაიქცა. გასვიანი გამოეკიდა, დაეწია, მიაბრუნა, მუშტის დარტყმით მიწაზე დააგდო, ორჯერ ჩასცა დანიანი ავტომატი გულ-მკერდის არეში და ადგილზევე მოკლა. ხმაურზე, ნაწილის ხელმძღვანელობა და ჯარისკაცები შეგროვდნენ. ტარიელი იქვე დააპატიმრეს და სამხედრო ციხეში გადაიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი მარჩენკომ და სუსლოვმა დაიწყეს, გასვიანს არანაირი შეღავათი არ გაუწიეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ტრიბუნალიდან გაქცევის შემდეგ კი, სულ რაღაც, ნახევარ საათში, მთელი კიევი გადაკეტეს და შეიარაღებული ქართველების ინტენსიური ძებნა დაიწყეს. თუმცა, ისინი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო.

### სისხლიანი ოპერაცია

ტარიელ გასვიანის გაქცევა მისმა მამიდაშვილმა, 32 წლის ნუგზარ ონიანმა, მეტსახელად „სვანმა“ მოაწყო. მას თავისი ძმა, ბეთქილი და ტარიელის დეიდაშვილები, ძმები – ჯუმბერ და ჯაბა ვიბლიანები ეხმარებოდნენ.

სვანი ორჯერ იყო ნასამართლევი შეიარაღებული ძარცვისთვის და კრიმინალურ სამყაროში კარგად იცნობდნენ. ის ციხიდან იყო გაქცეული და საკავშირო ძებნაში იმყოფებოდა. ამიტომ, როცა მილიცია ტარიელ გასვიანის გაქცევის საქმეს იკვლევდა, ივარაუდეს, რომ ეს გაქცევა „სვანის“ მოწყობილი იყო. კიევის მილიციის სამმართველომ თბილისში დეპეშა გამოაგზავნა, სადაც ეწერა, რომ გასვიანის გაქცევის ორგანიზატორი სავარაუდოდ სვანი იყო და ქართველ კოლეგებს დახმარებას სთხოვდნენ. ეს წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიღეს და სვანისა და სხვების მოძებნა და დაკავება კაპიტან მერაბ ოქრუაშვილს დაავალეს. ის შესაბამის ქვედანაყოფს მეთაურობდა სამინისტროში და ძებნილები მის კომპეტენციაში შედიოდნენ. 34 წლის ოქრუაშვილმა „სვანის“ ძებნა გააქტიურა და 3 აპრილს შეიტყო, რომ ის და, სავარაუდოდ, ტარიელ გასვიანიც, ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში იმალებოდნენ, ვინმე ნესტორ აბრალავას ოჯახში. 4 აპრილს ოქრუაშვილმა და მისმა თერთმეტმა ხელქვეითმა აბრალავას სახლს ალყა შემოარტყეს და შიგ შეჭრა სცადეს. ატყდა სროლა, რომლის დროსაც დაიჭრა ორი მილიციელი, ხოლო მერაბ ოქრუაშვილმა სვანი, იგივე ნუგზარ ონიანი, ადგილზევე მოკლა. სახლში იმყოფებოდა ტარიელ გასვიანიც, რომელმაც გაქცევა მოასწრო და თავი ტყეს შეაფარა.



სვანის ცხედარი ჯერ ზუგდიდის პროზექტურაში გადაასვენეს, იქიდან კი სვანეთში და 32 წლის ნუგზარ ონიანი 11 აპრილს დაკრძალეს. დაკრძალვაზე მისვლა ვერ გაბედეს მილიციის ოპერატიულმა თანამშრომლებმა – გაშიფვრისა და შურისძიების შეეშინდათ. სამაგიეროდ, ბიძაშვილის დასაფლავებას ტარიელ გასვიანი დაესწრო. ის მწარედ ტიროდა და სვანის კუბოსთან დაიფიცა, რომ მის მკვლელს სამაგიეროს გადაუხდიდა. მიუხედავად იმისა, რომ ონიანის დაკრძალვაზე მილიციელები არ ყოფილან, ტარიელის სიტყვები მაინც მისწვდა მერაბ ოქრუაშვილის ყურს და იმ დღიდან კაპიტანმა ყურადღება გააასმაგა.

### მოუხელთებელი

ტარიელ გასვიანი 2 მაისს შესრულდა 20 წლის და ასაკის მიუხედავად კერკეტი კაკალი აღმოჩნდა – მილიციას ათასი თავსატეხი გაუჩინა. ტარიელის წინაპრები წარმოშობით ზემო სვანეთიდან იყვნენ. თავად კი თბილისში იყო დაბადებული, თუმცა, თითქმის მთელი ნათესაობა სვანეთში ჰყავდა. ახალგაზრდობის მიუხედავად, მან კარგად ორგანიზებული, შეიარაღებული ბანდა ჩამოაყალიბა და თავადვე მეთაურობდა. დაჯგუფება, რომელშიც თერთმეტი ადამიანი იყო გაერთიანებული – ძირითადად, სვანები, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეწეოდა ძარცვას. ბანდიტები, ძირითადად თავს ესხმოდნენ იატაკქვეშა მილიონრებს, ეგრეთ წოდებულ „ცეხავიკებს“ და ფულს ართმევდნენ.

ტარიელ გასვიანის ბანდამ ფუნქციონირება 1970 წლის 3 აგვისტოს დაიწყო და 2 დეკემბრის ჩათვლით, ანუ ოთხი თვის განმავლობაში 11 ძარცვა განახორციელა. სულ გაიტაცეს 470 ათასი მანეთი. მილიცია საჩივრებით აივსო.

9 ნოემბერს ბანდიტები 51 წლის ვანო გიუნაშვილს ესტუმრნენ სახლში და 60 ათასი მანეთი წაართვეს. გიუნაშვილმა დახმარებისთვის თავის გარე ბიძაშვილს, კანონიერ ქურდს, გოდერძი გიუნაშვილს, მეტსახელად „პიკოს“ მიმართა. პიკომ გასვიანი თავისთან დაიბარა, მაგრამ ტარიელმა უარი განაცხადა. მოტივად ის დაასახელა, რომ ძებნილი იყო და ქურდისთვის პრობლემების შექმნა არ უნდოდა. მაშინ პიკომ შეუთვალა, შენ უბრალოდ მშიშარა ხარ და გირჩევნია, „ცეხავიკ“ ვანო გიუნაშვილის წართმეული 60 ათასი მანეთი დაუბრუნო. ამაზე გასვიანს არაფერი უპასუხია. ზუსტად ერთი კვირის მერე კი პიკოს მიადგა სახლში საბურთალოზე, სადაც ის ახალაშენებული კორპუსის პირველ სართულზე, სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა ცოლ-შვილთან ერთად. ტარიელი რომ მივიდა, პიკო სახლში მარტო იმყოფებოდა.

– მე ტარიელ გასვიანი ვარ. თქვენ მე მშიშარა მიწოდეთ და ამიხსენით, რა უფლებით...

პიკო არ მოელოდა გასვიანის ვიზიტს, თუმცა, არ შემცბარა და მიუგო:

– იმიტომ, რომ ჩემთან მოსვლაზე უარი განაცხადე, რითაც ქურდი შეურაცხყავი.

– ახლა ხომ აქ ვარ. მითხარით, რატომ მიბარებდით?

– ვანო გიუნაშვილს სამოცი ათასი მანეთი უნდა დაუბრუნო.

– არა. ეს ფული ჩვენია და უკან არ დავ-

აბრუნებთ. ის, რომ თქვენი ნათესავია, იმას არ ნიშნავს, რომ ხელშეუხებელია. ჩვენ ფაშისტს წავართვით ფული.

– ეს ფული ქურდულ ობშჩიაკს ეკუთვნის და უნდა დაბრუნდეს, – იცრუა პიკომ, – გასვიანმა კი უთხრა:

– ქურდული ობშჩიაკი ფაშისტებთან არ ინახება და მატყუებთ. ფული არ დაბრუნდება.

– იცოდე, ცეცხლს ეთამაშები.

– მე კარგა ხანია, ცეცხლს ვეთამაშები.

– ასეთი ცეცხლი ჯერ არ შეგხვედრია და იცოდე, ფრთხილად იყავი, არ დაგწვას.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – ტარიელი პიკოს გამოემშვიდობა და წავიდა.

პიკომ შავ სამყაროში ხმა გაავრცელა – ტარიელ გასვიანი ბოზია, ქურდულ ობშჩიაკს შეეხოო. თავად კი რამდენიმე შეიარაღებული კრიმინალი ჩაისახლა ბინაში, რომ ტარიელის თავდასხმის შემთხვევაში, მისთვის პასუხი გაეცა. გასვიანმა პიკოს შეუთვალა, რომ ცილისწამებისთვის პასუხს აგებინებდა და 2 დეკემბერს მეთერთმეტე ძარცვა განახორციელა – კვლავ ვანო გიუნაშვილს ეწვია სახლში და 80 ათასი მანეთი გასტაცა. გიუნაშვილმა ამჯერად ნაცნობ მილიციელს მიმართა დახმარებისთვის. ეს ნაცნობი მილიციელი კი მერაბ ოქრუაშვილი იყო, რომლის სისხლის დაღვრაც ტარიელს ჰქონდა დაფიცებული. 2 დეკემბრის შემდეგ, გასვიანის ბანდა კარგა ხანს არსად გამოჩენილა და მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურად ეძებდნენ, მოუხელთებელი ბანდიტის აღმოჩენა არ ხერხდებოდა.

## ტარიელ გასვიანი გაქცეულ ზემდეგს დაეწია, მიწაზე დააგდო და ავტომატზე წამოცმული დანით გულ-მკერდი გაუპო

### ორმაგი შურისძიება

გასვიანის ბანდის გაუჩინარებიდან ოთხი თვე იყო გასული და მათ კვალს ვერავინ აგნებდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, გასვიანის გარდა, მილიციელებმა დანარჩენი ათის ვინაობა არ იცოდნენ. გასვიანის გამო რამდენიმე ხელქვეითი ჩამოაქვეითეს, მერაბ ოქრუაშვილი კი დააწინაურეს და მაიორის წოდებაც უბოძეს. მას უკვე პერსონალური ავტომობილი ემსახურებოდა.

1971 წლის 4 აპრილს, მაიორი მერაბ ოქრუაშვილი სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა. ზუსტად დილის 8 საათსა და 30 წუთზე, მისი სახლის სადარბაზოსთან სამსახურებრივი „ვოლგა“ გაჩერდა. ოქრუაშვილი მანქანაში ჩაჯდა, მაგრამ მძღოლმა მისი დაძვრა ვერ შეძლო. მანქანას ორივე მხრიდან პისტოლეტით შეიარაღებული ორი ადამიანი მიადგა, რომელთა შორის ერთ-ერთი ტარიელ გასვიანი იყო. მათ მძღოლი პისტოლეტის ტარის თავში ჩარტყმით გათიშეს და იქვე დააგდეს. მაიორი ოქრუაშვილი კი უკანა სავარძელზე გადასვეს, ისიც გათიშეს და გასვიანის მეგობარმა „ვოლგა“ ადგილიდან მოწყვიტა. მაიორმა რომ თვალები გაახილა, თბილისის ზღვაზე, უკაცრიელ ნაპირზე ეგდო, თავზე კი პისტოლეტმომარჯვებული ტარიელ გასვიანი ედგა.

– გამოფხიზლდი, შე ბოზო?! – კბილებში გამოცრა მოუხელთებელმა ბანდიტმა, – დღეს 4 აპრილია, შენი აღსასრულის დღე.

– მილიციელის მკვლელობისთვის დაგხვრეტენ. ჯობია, მშვიდობით წახვიდე აქედან, – უთხრა გასვიანს ოქრუაშვილმა.

– დახვრეტა უკვე მაქვს, მაგრამ, სანამ ამას იზამენ, ჯერ უნდა დამიჭირონ. შენ კი, უეჭველად მოკვდები.

– რას მერჩი?

– შენ რას ერჩოდი ნუგზარს, რატომ მოკალი?

– შემომაკვდა.

– მე კი ჩაგაძაღლებ, – თქვა ტარიელმა, მერაბ ოქრუაშვილს ორი ტყვია დაახალა გულში და ადგილზევე მოკლა.

ბანდიტის ლიკვიდაციისთვის მინისტრმა არაოფიციალური ჯილდო დააწესა – 10 ათასი მანეთი და სამოთახიანი ბინა, თუმცა, ტარიელის მოხელთება მაინც ვერ მოხერხდა და ვერც მისი ბანდის სხვა წევრებზე გასვლა შეძლო მილიციამ. მაიორ ოქრუაშვილის მკვლელობიდან ორი კვირის შემდეგ, გასვიანმა, მცხეთის ერთ-ერთ რესტორანში პიკო მოკლა. ტარიელი, მაგიდას მიუახლოვდა, სადაც სხვა ქურდებიც ისხდნენ და თქვა:

– აი, ამან, – ტარიელმა გაფითრებულ პიკოზე მიუთითა ქურდებს, – ბოზი მიწოდა, რაც ტყუილია და ბოზი თვითონაა.

ბოზის ხსენებაზე პიკო ადგილიდან წამოიწია, მაგრამ ტარიელმა ორი ტყვია დაახალა გულში და ადგილზევე მოკლა. შემდეგ კი იქაურობა სწრაფად დატოვა. იმ დღის მერე მოუხელთებელ ბანდიტს მილიციაც ეძებდა და ქურდებიც, თუმცა ისე გაუჩინარდა, მის კვალს ვერავინ მიაგნო.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, 1971 წელს, 21 წლის ტარიელ გასვიანმა და მისმა ორმა მეგობარმა თურქეთში გადასვლა მოახერხეს. იქიდან კი ჯერ სამხრეთ ამერიკაში, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდნენ. გასვიანი 1999 წელს მოსკოვში იმყოფებოდა, რამდენიმე კანონიერ ქურდს შეხვდა და პიკოს მკვლელობისთვის თავი გაიმართლა. გასვიანი დღესაც ცოცხალია და ცოლ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 22 აპრილი

1370 – საფრანგეთის მეფის, შარლ მეხუთის ბრძანებით, პარიზში დაიწყო ციხესიმაგრე ბასტილიის მშენებლობა.

1500 – პორტუგალიელი პედრუ ალვარიშ კაბრალის ექსპედიციამ აღმოაჩინა ბრაზილიის სანაპიროები.

1760 – ლონდონში პირველად გამოჩნდა გორგოლაჭებიანი ციგურები.

1964 – ტანგანიკა და ზანზიბარი გაერთიანდა ერთ სახელმწიფოდ, რომელსაც ეწოდა ტანზანია.

1969 – ჰიუსტონში პირველად გადაუნერგეს ერთი ადამიანის თვალი მეორეს.

### 23 აპრილი

1867 – ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ და საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ უარყვეს ლამანშის ქვეშ გვირაბის აშენების პროექტი. ეს პროექტი მხოლოდ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში განხორციელდა.

1896 – ნიუ-იორკში, პირველად ამერიკის ტერიტორიაზე, ჩატარდა კინოსეანსი.

1990 – ქალაქ კარლმარქსშტადტს დაუბრუნდა ძველი სახელი – ჰემნიცი.

1999 – ბელგრადის მასობრივი დაბომბვა ნატოს ავიაციის მიერ.

### 24 აპრილი

1771 – იაპონიის კუნძულ იშიკაგის თავს დაატყდა ცუნამი, რომლის ტალღის სიმაღლე, გადმოცემის მიხედვით, 85 მეტრს აღწევდა.

1877 – დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, შედეგად, აჭარა საქართველოს დაუბრუნდა.

1915 – თურქული არმიის შენაერთებმა მილიონზე მეტი სომეხი გაწყვიტეს – სომხების დიდი გენოციდი.

1967 – საბერძნეთში სამხედრო დიქტატორულმა ხელისუფლებამ აკრძალა მინი-ქვედაბოლოების ტარება. აკრძალვა 1974 წელს გაუქმდა.

1970 – ჩინეთმა კოსმოსში გაუშვა თავისი პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

### 25 აპრილი

1719 – ლონდონში გამოიცა დანიელ დეფოს რომანი „რობინზონ კრუზო“.

1792 – პარიზში, გრევის მოედანზე, საზეიმოდ დადგეს ჟოზეფ გიიოტენის გამოგონება – გილიოტინა – „ჰუმანური“ მოწყობილობა სიკვდილით დასჯისთვის. მომდევნო წლებში მას ბევრი ცნობილი ადამიანი ემსხვერპლა.

1859 – ეგვიპტეში დაიწყო სუეცის არხის მშენებლობა.

1926 – „ლა სკალაში“ გაიმართა პუჩინის ოპერის „ტურანდოტის“ პრემიერა.

1931 – შტუდგარდტში ფერდინანდ პორშემ დააარსა საავტომობილო ქარხანა „პორშე“.

1966 – ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია ქალაქი ტაშკენტი (უზბეკეთი).

### 26 აპრილი

1792 – კომპოზიტორმა რუჟე დე ლილმა დაწერა „მარსელიეზა“.

1921 – ლონდონის ქუჩებში გამოჩნდა მოტოციკლებზე ამხედრებული პატრული.

1933 – გერმანიაში დაარსდა საიდუმლო პოლიცია „გესტაპო“.

1937 – გერმანულმა ავიაციამ მიწასთან გაასწორა ესპანური ქალაქი გერნიკა (ეს მოვლენა უკვდავყო პიკასომ თავის შედევრში „გერნიკა“).

1986 – ჩერნობილის კატასტროფა.

### 27 აპრილი

1667 – ჯონ მილტონმა დაასრულა თავისი პიესა „დაკარგული სამოთხე.“

1828 – გაიხსნა ლონდონის ზოოპარკი.

1940 – დაარსდა საკონცენტრაციო ბანაკი „ოსვენციმი“, სადაც 1944 წლამდე 4 მილიონი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

### 28 აპრილი

1220 – ინგლისში დაიწყო ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ეკლესიის – სოლსბერის საკათედრო ტაძრის მშენებლობა.

1920 – წითელმა არმიამ აიღო ქალაქი ბაქო, მოხდა აზერბაიჯანის გასაბჭოება.

1923 – ლონდონში გაიხსნა სტადიონი „უემბლი“.

1955 – დაიწყო კოსმოდრომ „ბაიკანურის“ მშენებლობა.

1965 – ეკრანებზე გამოვიდა ფილმ „ანჟელიკას“ პირველი სერია.

**მსახიობი დიმა ტატიშვილი გულშემატკივრისა და მასზე შეყვარებული მაყურებლის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. მისი ცხოვრების სტილი ყოველთვის აქტიურია. ჩვენი რესპონდენტი ბედის კმაყოფილია და მიაჩნია, რომ პროფესიაში ნამდვილად გაუმართლა. ბოლო დროს დიმა სერიალ „შუა ქალაქში" გამოჩნდა და მისმა პერსონაჟმა მაყურებელი საკმაოდ გაახალისა.**

# რაზე არ მიდის დიმა ტატიშვილი არასდროს მაყურებლის გასაცინებლად და რისთვის ღირს მისთვის ცხოვრება



განუხორციელებელი მსახიობი ცოდოა ამ სიტყვის სწორი გაგებით

**– სერიალის „შუა ქალაქში" მაყურებელი თუ იყავით ადრე?**

– კი, ვუყურებდი. სხვათა შორის, ერთ სერიაში ვმონაწილეობდი კიდეც, მხოლოდ ეს ძალიან ადრე იყო. მაშინ ვიღაც უცხოეთიდან ჩამოსული ტიპი ვიყავი, ახლა კი სრულიად განსხვავებულ გმირს ვასახიერებ. ამ ფორმატის სერიალში პირველად ვთამაშობ, რაც ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ფაქტობრივად, ყოველ ოთხშაბათს პრემიერა მაქვს. მოკლედ, სერიალს მუღამი თუ დაუჭირე, გამოგივა.

**– თქვენ თუ დაუჭირეთ მუღამი?**

– მგონი, კი. ვცდილობ, ჩემი გმირი უფრო და უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს. მთავარია, სახალისო იყოს, თუმცა მაყურებლის გასაცინებლად ყველაფერზე არ უნდა წახვიდე. ზომიერების ფარგლებში უნდა იყოს სახალისო და კარგი სანახავი. როცა მაყურებელი სერიალს უყურებს, კი არ უნდა მოიწყინოს, უნდა გაიხაროს და ისიამოვნოს.

**– გიაზე რას გვეტყვით, რამით თუ ჰგავხართ თქვენს პერსონაჟს?**

– მე გიასნაირი კაცი არ ვარ, ცოტა ვერ არის. მოსწონს უცნაური მუსიკა, რაც მე კატეგორიულად არ მომწონს. მართალია, თაგვები არ მეზიზღება, მაგრამ გიასნაირად ნამდვილად არ მიყვარს. მღრღნელები ჩემთვის ფავორიტი ცხოველები არ არიან. თვითონ რომ ჰგონიათ მაგარი იუმორი აქვს და სხვა არავინ არის ამის აზრზე, აი, ისეთი კაცია. ისე, პერსონაჟები რაღაც დროის შემდეგ მსახიობებს ემსგავსებიან, ან პირიქით, მსახიობები ემსგავსებიან მათ.

**– თქვენ რით დაემსგავსეთ მას?**

– მე კი არა, გია მემსგავსება რაღაცით. ყველა მსახიობი საკუთარ პერსონაჟში გულისა და სულის რაღაც ნაწილს დებს, ისევე როგორც ხასიათის რომელიმე თვისებას ავლენს მასში.

**– თქვენი ხასიათის რომელი თვისება გამოამჟღავნეთ ამ როლში?**

– ჯაჯღანი. მართალია არ მიყვარს, მაგრამ ხშირად ვჯაჯღანებ სახლშიც და მეგობრებთანაც. მეუბნებიან, რომ ჯაჯღანა ვარ. გიაც სულ ბუზღუნებს.

**– საქმეშიც ჯაჯღანა ხართ?**

– არა, საქმეში ნამდვილად არ ვარ ჯაჯღანა, პირიქით.

**– წლების განმავლობაში ახმოვანებთ ექიმ ჰაუსს, რომელიც საკმაოდ პოპულარული სერიალის გმირია.**

– სხვათა შორის, ბოლო სეზონის გახმოვანება დავიწყეთ ახლახან. ეს არის მე-8 სეზონი, რის შემდეგაც თვითონვე გადაწყვიტეს, რომ აღარ გადაიღონ. ორი სერია უკვე გავახმოვანე, სულ 20 თუ 22 სერია იქნება. ეთერში როდის გავა, ნამდვილად არ ვიცი. თუმცა რომ იქნება, ფაქტია. სიამოვნებით ვუყურებ თვითონაც, ძალიან მაგარი სერიალია. თავად ჰიუ ლორი ძალიან საინტერესო მსახიობია.

**– არ შემიძლია, არ ვახსენო „დემნას" პერსონაჟი, რომელიც ასევე თქვენ განასახიერეთ სერიალიში „ჩემი ცოლის დაქალები."**

– დემნა კარგი, მაგრამ ცოტა მოსაწყენი კაცი გახლდათ, რომელსაც თავისი სამყარო ჰქონდა. დემნაზე მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. მას თავისი ლოგიკა აქვს, რომ დაუკვირდე თითქოს ნორმალურია, მაგრამ ბევრს უცნაურად ეჩვენება. რეალურად, მას თავისი გზა აქვს, რომელსაც რაღაც მოსწონს, რაღაც არ მოსწონს, არაორდინარული კაცია.

**– მსახიობობა იმ მხრივაც საინტერესოა, რომ ყველანაირი ადამიანის განსახიერება გიწევს.**

– თუ გაგიმართლა, კი. განუხორციელებელი მსახიობი ცოდოა, ამ სიტყვის სწორი გაგებით. როცა ადამიანს პოტენცია აქვს, მაგრამ არ ეძლევა მისი გამოყენების შანსი, ცუდია. როცა სხვადასხვა შემოთავაზება და სხვადასხვანაირი ადამიანების თამაში გიწევს, რასაკვირველია, საინტერესოა.

**– კარგია, როცა გიმართლებს, რადგან მსახიობის პროფესია ისეთია, თუ არ გაუმართლა, შეიძლება, სხვა ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლოს.**

> **გიასნაირი კაცი ნამდვილად არ ვარ, ცოტა ვერ არის. მართალია, თაგვები არ მეზიზღება, მაგრამ გიასნაირად ნამდვილად არ მიყვარს. მღრღნელები ჩემთვის ფავორიტი ცხოველები არ არიან**

– პირადად მე, სხვა არაფრის კეთება არ ვიცი. ღმერთის წყალობით, ამ ფაქტის წინაშე არ ვმდგარვარ და იმედია, არ დავდგები. თუ მე თვითონ ვიგრძენი, რომ ამ პროფესიაში აღარ ვვარგივარ, მაშინ წავალ. ისევე როგორც ნებისმიერ პროფესიაში, ასეა ჩვენთანაც – თუ მსახიობი ხარ, ძალიან კარგად უნდა აკეთო შენი საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯობია, წახვიდე.

**– რაც შეეხება თქვენს ოჯახს, არც ერთმა შვილმა მამის პროფესია არ აირჩია.**

– რომ მეგრძნო, რომ მათ მსახიობობის სურვილი აქვთ და რაც მთავარია, პოტენციალი, რასაკვირველია, ხელს შევუწყობდი ისე, როგორც შეიძლება, მშობელი შვილს დაეხმაროს. სიმართლე გითხრა, განსაკუთრებული სურვილი არ გამოუვლენიათ და რატომ უნდა მეიძულებინა? პირიქით, ძალიან კარგი, რომ ასეა. მსახიობის პროფესია მარტივი არ არის, დიდი შრომა სჭირდება – თან ან გაგიმართლებს ან არა. ყოველთვის სხვა ადამიანებზე უნდა იყო დამოკიდებული, რომლებიც ან შეგამჩნევენ, ან არა. მართალია, ჯერ კარიერა არ აუწყვიათ, თუმცა ცდილობენ, თავისი საქმე კარგად აკეთონ. ერთი იურისტია, მეორე ბიზნესმენეჯერი. მომწონს, რომ ამ პროფესიით მუშაობენ.

**– მკაცრი მამა ხართ?**

– მკაცრი კი არა სამართლიანი ვარ. ვცდილობ, სხვას არ მოვთხოვო ისეთი რამ, რასაც თავად არ ვაკეთებ. უსამართლო ნამდვილად არ ვარ.

**– ერთი კურიოზი მახსენდება ტყუპებთან დაკავშირებით, საბავშვო ბაღში რომ მოხდა. წამოსაყვანად რომ მიხვედით, არ მოგყვებოდნენ და მასწავლებელს უთხრეს, ჩვენი მამა არ არისო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. არასდროს გიკითხავთ რატომ მოგექცნენ ასე?**

– გავიხუმრეთო, ასე მეუბნებიან ყოველთვის. რეალურად, მგონი, თვითონაც არ იციან მიზეზი.

**– თეატრზეც მინდა გკითხოთ. რა ხდება მარჯანიშვილის თეატრში?**

– შემოდგომაზე მქონდა სპექტაკლის პრემიერა „კოტე მარჯანიშვილი." ეს არის სპექტაკლი იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა ჩვენი თეატრი. მალე შეიძლება, კიდევ ერთ სპექტაკლზე დავიწყოთ მუშაობა, რომლის შესახებაც წინასწარ არ მინდა საუბარი. ანუ, ამ ეტაპზე რეპეტიციები არ მაქვს, მხოლოდ სარეპერტუარო სპექტაკლებს ვთამაშობ.

**– მაყურებლის უმეტესობა დიმა ტატიშვილის გულშემატკივარია და დიდი სიმპათიით არის განწყობილი. ამას, ალბათ, გრძნობთ კიდეც.**

– თუ მართლა ასეა, ძალიან კარგია. ყოველ შემთხვევაში, მე ყოველთვის, ყველგან დიდ სითბოს ვგრძნობ მაყურებლისგან, რაც ძალიან მიხარია. გულახდილად ვამბობ, მართლა ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რადგან ადამიანები არაფრის გამო გამოხატავენ შენ მიმართ სითბოს.

**– რატომ არაფრის გამო? მგონი, ეს ყველაფერი დამსახურებულად ხდება.**

– მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და კარგია, თუ მათ მოსწონთ ეს. განსაკუთრებულს მართლა არაფერს ვაკეთებ, ეს ჩემზე უკეთ არავინ იცის. მადლობელი ვარ ყველა იმ მაყურებლის, ვინც მართლა ძალიან ბევრ რამეში მეხმარება. რეალურად ჩემი საქმის კეთების 80 პროცენტი მათზეა დამოკიდებული. როცა მუშაობის დროს მეძინება, მცივა, მცხელა ან მეზარება, მაშინვე მახსენდება, რომ ჩემი ნამუშევარი მაყურებელმა უნდა ნახოს. ამიტომ, უფლება არ მაქვს, პირადი დისკომფორტის გამო, ჩემი საქმე უხარისხოდ გავაკეთო. ხალხის სითბო ამაში მეხმარება და ძალას მაძლევს. მაგალითად, ყოფილა გადაღება, სადაც სასტიკი ყინვა იყო, მე კი ერთი თხელი მაისური და ზევიდან რაღაც ანაფორა მეცვა. ყველა ვარიანტში უნდა გავციებულიყავი, მაგრამ არაფერი მომივიდა. ან მზის დარტყმა როგორ არ მივიღე, როცა ზაფხულში დილიდან საღამომდე მზის გულზე მქონდა გადაღება. ჩრდილში ხომ ვერ დაიმალები, როცა ოპერატორი გეუბნება, მზეზე გამოდიო. ჩემი აზრით, მაყურებლის სიყვარული და ის პასუხისმგებლობა მაძლებინებს, რასაც მათ მიმართ ვგრძნობ. მსახიობები რომ ამბობდნენ ამას, ადრე მეგონა, იტყუებიანმეთქი, მაგრამ სიმართლე ყოფილა. მაყურებლის სიყვარულზე დიდი ბედნიერება არ არსებობს მსახიობისთვის. მიმაჩნია, რომ ამისთვის ღირს ცხოვრება. მე ბედის კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემს პროფესიაში ყოველთვის ძალიან კარგ ადამიანებთან მქონდა და მაქვს ურთიერთობა.

**მარიკა ხიდურელი**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

კითხვა: **მყავს ავტომობილი „მაზდა 6", 2006 წლის, 2.3-იანი ძრავით, ტიპტრონიკის ტიპის გადაცემათა კოლოფით (ამერიკული ვარიანტი). უკვე ერთი წელია, ვამჩნევ, რომ, მას შემდეგ, რაც მანქანით დაახლოებით 30-45 წუთს ვივლი, მესამიდან მეოთხე სიჩქარეში ჩაგდებისას, გადართვა საკმაოდ უხეშად ხდება, იგრძნობა მკვეთრი დარტყმა, ცივზე კი ეს პრობლემა არ აქვს. თან, ეს მხოლოდ და მხოლოდ მესამიდან მეოთხეში გადართვისას ხდება, სხვა სიჩქარეებში კი უპრობლემოდ გადადის. ბოლოს, როცა უკვე საგრძნობლად მოიმატა კოლოფის დარტყმამ, ზეთი მთლიანად გამოვცვალე კოლოფში – „მაზდას" „ატეეფი" ჩავასხი, ერთ-ერთ ბრენდ კომპანიაში შეძენილი, მაგრამ, არ უშველა. ხომ ვერ მეტყვით, რა შეიძლება იყოს ამის გამომწვევი მიზეზი და, საერთოდ თუ შეგიძლიათ, დამიხასიათოთ, როგორია ეს მოდელი საქართველოს პირობებში?**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

პასუხი: შეიძლება ითქვას, რომ უკვე ისეთ სიტუაციაში ხართ, როდესაც კოლოფი სერიოზულად დაზიანებულია. ამ მხრივ არ გაგიმართლათ. დაზიანება შეიძლება იყოს რამდენიმე სახის: ა) რთული, მაგრამ მარტივად მოსაგვარებელი; მარტივი დაზიანება, მაგრამ, რთულად მოსაგვარებელი; ან – რთული დაზიანება, რთულად მოსაგვარებელი. თუმცა, კოლოფში არაფერია ისეთი, რომლის შველა და გამოსწორება არ შეიძლება, მაგრამ, კოლოფის დაშლა აუცილებლად მოგიწევთ, ამიტომ, თქვენს ავტომობილს ავტომატური კოლოფის კარგი სპეციალისტი სჭირდება. ზოგადად, „მაზდა" გამოირჩევა ამტანობით, საკმაოდ კარგი მანქანაა, მაგრამ, საქართველოში ცოტა დადის, რაც ნიშნავს, რომ ნაწილის შოვნაც რთულია და ხელოსნებსაც ნაკლები შეხება და ცოდნა აქვთ. სულ ცოტა ხანში „მაზდას" ოფიციალური წარმომადგენლობა იხსნება საქართველოში, რასაც, რა თქმა უნდა, სერვისიც მოჰყვება, თუმცა, ჩვეულებრივი მოდელებისთვის, შესაძლოა, სერვისი საკმაოდ ძვირი დაჯდეს. გირჩევთ, დაშლილებში მოიძიოთ მთლიანად კოლოფი და გამოცვალოთ. მოხსნა, გაკეთება და აწყობა შეიძლება, ახალი კოლოფის ფასი დაჯდეს. მაგრამ, თუ ვერ იშოვეთ, მისი გადაკეთება მაინც მოგიწევთ.

კითხვა: **მსურს, შევიძინო „სუბარუ ბაჯა პიკაპი". იქნებ, დამიხასიათოთ ეს ავტომობილი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, როგორი ტექნიკური მახასიათებლები აქვს მას და რა ღირს საქართველოში მეორადი მანქანები?**

პასუხი: მსგავსი ავტომობილი საქართველოში თითქმის არ დადის, ერთ ან ორ მოდელს თუ არ ჩავთვლით. შესაბამისად, მისი ყიდვაც რთულია და არც ფასებია დარეგულირებული. ამ ტიპის ავტომობილი შეიძლება მოიძიოთ ქვეყნის გარეთ და ფასის დასადგენად უნდა დაუკავშირდეთ უცხოეთიდან მანქანების ჩამომყვან ფირმებს. რაც შეეხება მახასიათებლებს, ის იმავე ბაზაზე დგას, რომელზეც სხვა, ჩვენ ქვეყანაში კარგად ცნობილი მოდელები, ისეთი როგორებიცაა, მაგალითად, „იმპრეზა" და „ფორესტერი". შესაბამისად, აქვს ძლიერი სავალი ნაწილი, მაგრამ, სუსტი გადაცემათა კოლოფი და მოიხმარს საშუალოზე მეტ საწვავს, ანუ, 100 კილომეტრზე 10 ლიტრის ზემოთ.

კითხვა: **ვარ საშუალო ასაკის ქალბატონი და ჩემი პირველი ავტომობილი სულ ახლახან შევიძინე, ოჯახის მხრიდან ბევრი კრიტიკისა და უარის შემდეგ – მეუბნებოდნენ, რომ ჩემთვის უკვე დაგვიანებულია, ვერ შევძლებ მოვლას და სხვა. მინდა, ავტომობილს მათი დახმარების გარეშე მივხედო, მაგრამ, ისიც კი არ ვიცი, ზეთი რამდენ ხანში ერთხელ უნდა გამოვცვალო. იქნებ დამეხმაროთ.**

პასუხი: ახალ ავტომობილებს ხელსაწყოების დაფაზე აქვთ გამოტანილი, თუ რა სჭირდება მათ, რა დონეზეა ზეთი, წყალი და სხვა. მაგრამ, თუ მის წაკითხვას ვერ შეძლებთ, დამერწმუნეთ, რთული და ძნელად მისახვედრი მაინც არ არის. მაგალითად, ზეთი: რატომღაც, ზეთს ყველა დილით სინჯავს ხოლმე, რაც არასწორია. უნდა დავქოქოთ მანქანა, ჩავაქროთ, დაველოდოთ ცოტა ხანს, ამოვიღოთ „შუპი" და დავხედოთ, რა დონეზეა ზეთი. ყველა „შუპზე" მითითებულია მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, ან ზოლებით – „min" ან „max" წერია... თუ დავაკვირდებით, ყველა შემთხვევაში მივხვდებით, რომელი აღნიშნავს მინიმუმს და რომელი მაქსიმუმს. ზომაზე მეტი ზეთი ნიშნავს, რომ ზედმეტი წნევა შეიქმნება და ძრავას დააზიანებს. თუ ზეთი მინიმუმს ქვევითაა, უნდა მივაღწიოთ ზეთის ჩამსხმელ პუნქტამდე რაც შეიძლება რბილი სვლით – ვგულისხმობ, მოსახვევებში ნაკლები სიმკვეთრით შესვლას და ავტომობილის დაბალ ბრუნებზე მუშაობას. მაღალი ბრუნების მიცემის ან მოსახვევში მკვეთრად შესვლის დროს, შეიძლება დარჩენილი ზეთი ერთიანად აიტანოს ძრავამ და აღარ დარჩეს მარაგში იმისთვის, რომ კონკრეტულ მისამართამდე მიაღწიოს და ყველა საჭირო დეტალი შეზეთოს. რაც შეეხება წყლის დონეს, ძალიან ბევრ ავტომობილში ის საერთოდ არ ჩანს. არის მოდელები, სადაც ავზი ზედ რადიატორზეა მიმონტაჟებული. ანტიფრიზი თუა ჩასხმული, ის უფრო ჩანს და მისი დონის განსაზღვრა გაცილებით მარტივია. ერთ მარტივ ხერხს გასწავლით: რადიატორში წყლის დონე უნდა გაიგოთ ღამით, კერძოდ, ავზში ჩაანათოთ „ფანარი," გარედან დააკვირდეთ და წყლის დონე გარკვევით გამოჩნდება. ავზზე აუცილებლად იქნება მითითებული წყლის მაქსიმალური და მინიმალური დონის ნიშნული. თუ ზღვარი მინიმუმს ჩასცდა, შეიძლება, კიდევ გადარჩეს ძრავა, რადგან, მწარმოებელი მაინც ტოვებს მინიმუმის ქვემოთ მარაგს, მაგრამ, ამის გაგება შეუძლებელია. მაქსიმუმზე მეტი წყალი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. წყალი გაცხელების შემდეგ მოცულობაში იზრდება, ბევრდება, რაც ნიშნავს, რომ წყალი სისტემამ სადღაც უნდა დახარჯოს, ის სადღაც დაიღვრება, მაგრამ, ამასთანავე, შესაძლებელია წყალმა გასასვლელი ძრავას არასასურველ ნაწილშიც იპოვოს და სერიოზულად დააზიანოს ის. თუ წყალი აგიდუღდათ, ამას იოლად, ხელსაწყოების დაფაზე ანთებული ნათურითაც მიხვდებით.

კითხვა: **მინდა შევიძინო ავტომობილი „სიტროენ ცე 3 ფლურიელი". ძალიან მომწონს ვიზუალურად, მაგრამ, მისი სხვა მახასიათებლები არ ვიცი. რას მირჩევთ?**

პასუხი: „სიტროენ ცე 3 ფლურიელი" ისეთი ლამაზი ავტომობილია, რომ თვალს მაშინვე ჭრის, ამასთან, არის გამძლე, მოხერხებული, კომფორტული, ეკონომიური, ხშირად არ აჩენს თავსატეხს, მაგრამ, ერთხელ მაინც თუ გაუჩნდა პრობლემა, მიხვდებით, რომ დიდი ხნით გახდებით ფეხით მოსიარულე, თუ, რა თქმა უნდა, თავად არ გეხერხებათ ავტომობილის წვრილმანი შეკეთება. პრობლემა კი ყოველთვის წვრილმანებშია. თუ ძრავასა და მსხვილ დაზიანებებს ხელოსნები შედარებით იოლად მიხედავენ, წვრილმან საკითხებში თქვენი დახმარება გაუჭირდებათ. ავტომობილის ამა თუ იმ გაუმართაობის მიზეზის დადგენა და შემდეგ დაზიანებული ნაწილის შოვნა ძალიან გაგიჭირდებათ – მოგიწევთ შეკვეთების გაკეთება. თუ ეს მანქანა იმდენად მოგწონთ, რომ მოთმენას შეძლებთ, მისთვის ბევრ დროსა და ენერგიას დახარჯავთ, შეგიძლიათ შეიძინოთ. სხვათა შორის, „სიტროენი" ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მწარმოებელია.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*



- თალხი, უბრალო
- ჩვენი მდინარე
- ერთ-ერთი მეუღლე
- მეფე ოპერა „დაისში“
- ლოგინის საფარებელი
- ცისკარი, განთიადი
- მხატვარი (....)-გრეკო
- პატიმრის „ამალა“
- არეულ-დარეული
- თრობის საშუალება
- ცისკარი, განთიადი
- კედლის სანათი
- ერთ-ერთი მშობელი
- ქალაქი ესპანეთში
- მძიმე შრომა
- სალებავების გასაზავებელი სითხე
- იხილე ფოტო და რეჟისორი გაიხსენე
- პირველი წყვილი
- სისწრაფეში შეჯიბრება
- ქართლის ცნობილი სოფელი
- ვიკინგთა ღმერთი
- რომის იმპერატორი
- რუსული ჟურნალი
- ლაპარაკით ზეგავლენა
- მოზომილი ჭამა
- ჩემო თბილის-ქალაქო, შენმა დარმაც....
- კონდრის-კაცი
- ფრანგი ფეხბურთელი
- უხეში სამოსი
- გემების ან ტანკების შენაერთი
- მესამე პირის ნაცვალსახელი
- წრეწირის ნაწილი
- ცუდი კვერცხი
- ქანდარა თეატრში
- ჩარლზ დარვინის გემი
- მიჯნურს შეიძლება ძალიან დაეწვას
- უკრაინის პარლამენტი
- გერმანელი პოეტი
- პუშკინის ზღაპრის გრძნეული ქალი
- ძნელი
- ქალაქი იტალიაში
- დიდი ხერხი
- (.......) კასპაროვი
- შოკოლადის სასმელი
- ონისეს სატრფო
- ლეშის მჭამელი
- მცხოვრები
- ლატვიის დედაქალაქი
- ხელოვნური მდინარე
- მოღალატე
- ბავშვებს აშინებს
- კარგი ამინდი
- მღრღნელი არსება
- მრგვალი რიცხვი
- საქართველო ძველად
- ზარმაცი, უმაქნისი
- აკვიატებული ჩვევა
- პაუზა
- აღმოსავლური გაბმული ჰანგი
- გიორგის ვარიანტი
- გერმანელი მწერალი
- ვითომ ხორცს ცვლის
- აფრიკის ველები
- მუსლიმანთა ლიდერი
- ჯადოქრობა
- სამოსის ნაწილი
- წუნი, ზადი
- ბოთლის ბინადარი
- საზღვარზე გადასახლელი
- ბრაზილიური ცეკვა
- ჯაშუში
- კისრის თმები
- შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა
- ეკალი
- შესასვლელი
- აჩრდილი
- ლეგენდარული რუსი მეკარე
- რუსთველის კალამი

Column clues (columns 1–35, top to bottom):

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 6 2 |
| 2 | 2 2 4 |
| 3 | 1 4 7 |
| 4 | 1 3 9 |
| 5 | 2 1 10 |
| 6 | 2 3 11 |
| 7 | 5 14 |
| 8 | 4 3 13 |
| 9 | 3 2 12 |
| 10 | 3 1 12 |
| 11 | 3 1 3 1 1 11 |
| 12 | 3 1 1 1 12 |
| 13 | 3 1 1 13 |
| 14 | 4 18 |
| 15 | 25 |
| 16 | 26 |
| 17 | 27 |
| 18 | 27 |
| 19 | 26 |
| 20 | 25 |
| 21 | 25 |
| 22 | 26 |
| 23 | 26 |
| 24 | 25 |
| 25 | 19 |
| 26 | 11 |
| 27 | 9 |
| 28 | 11 |
| 29 | 14 |
| 30 | 17 |
| 31 | 20 |
| 32 | 8 9 |
| 33 | 4 4 |
| 34 | 3 3 |
| 35 | 2 |

Row clues (rows 1–30, left to right):

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 2 2 |
| 2 | 4 3 |
| 3 | 6 2 |
| 4 | 14 2 |
| 5 | 17 3 |
| 6 | 20 3 |
| 7 | 8 11 3 |
| 8 | 1 2 2 10 4 |
| 9 | 2 1 11 4 |
| 10 | 1 1 2 1 12 5 |
| 11 | 1 2 1 1 1 18 |
| 12 | 1 2 1 1 1 17 |
| 13 | 1 5 1 18 |
| 14 | 2 1 23 |
| 15 | 7 18 |
| 16 | 29 |
| 17 | 9 19 |
| 18 | 32 |
| 19 | 32 |
| 20 | 25 5 |
| 21 | 23 4 |
| 22 | 22 3 |
| 23 | 22 3 |
| 24 | 21 3 |
| 25 | 20 3 |
| 26 | 19 2 |
| 27 | 12 2 1 |
| 28 | 9 |
| 29 | 3 3 |
| 30 | 2 2 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებში.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 2 | | 5 | 1 | | 7 |
| | | 6 | 7 | 1 | | 3 | 2 | |
| 1 | 7 | | 8 | | 3 | 5 | | |
| | 2 | | 1 | 8 | 6 | | 7 | 4 |
| 4 | | 8 | 5 | 3 | | | 6 | 1 |
| | 6 | 1 | | 4 | 2 | 8 | | 5 |
| 2 | | 5 | | | 1 | 6 | 8 | |
| | 1 | | 4 | 2 | | | 5 | 3 |
| 3 | | 7 | | 5 | | 4 | 1 | 2 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | 8 | | | 1 | | 9 |
| | | 1 | | 5 | 4 | | 7 | |
| | 4 | | 1 | | 3 | | | 2 |
| 2 | | 5 | | | | | 3 | |
| | | | 7 | | | 2 | | 6 |
| | | 3 | | 8 | | | 1 | |
| | 7 | | | 4 | 1 | | | |
| 5 | | | | 6 | | | 2 | |
| 4 | | 9 | | | | 7 | 6 | 5 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. წრით და მასზე მიხატული მსხლის ფორმით დაიწყეთ დათვის ხატვა



2. დათვს მიახატეთ ყურები, დინგი და ფეხები



3. მიახატეთ თათებიც და ჭიუნჩიც



4. დათვს მიახატეთ ნაჩბები,პირი და მუცელი



5. მიახატეთ თვალები და ტოტები



6. მიახატეთ ყვავილი ხელში და გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ ათი განსხვავება





## იპოვე ცხოველების შესაბამისი ჩრდილები





## რომელი გზით მივა თაგუნა ყველთან



# ქრცვინი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ ქრცვინი სამჭედლოში შეძვრა და ქლიბს ღრღნა დაუწყო. ენაზე ტყავი გადასძვრა და სისხლი დასდინდა. ქრცვინს უხაროდა – ეგონა, ქლიბს ვხრავო და ენა სულ გადაიტყავა.

ეს არაკი იმაზეა ნათქვამი, ვისაც უგუნურებითა და სიჯიუტით ზიანი მოაქვს საკუთარი თავისთვის.

## რიცხვრებუსი

,10, ,,3, 10,,



# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, რა ნიშნებით გამოიხატება ცხოველზე ლეიშმანიოზი და როგორ უნდა მივხვდეთ ამ დაავადების საწყის ფორმას?**

**პასუხი:** ლეიშმანიოზს აქვს რამდენიმე ფორმა. ამ დაავადების დროს ძაღლს პირველად ეწყება უკანა ფეხების სისუსტე, უხასიათოდ არის, დავარდნილია, თვალებიდან და ცხვირიდან გამონადენი შეინიშნება. ზუსტი დიაგნოსის დასმა ლეიშმანიოზის შემთხვევაში ბარძაყის ძვლიდან ბიოფსიის აღებით ხდება, რაც საკმაოდ რთული პროცედურაა. ბოლო დროს იმუნური ტესტები შემოვიდა და მეტ-ნაკლები სიზუსტით გვიჩვენებს ლეიშმანიოზის არსებობას. ტემპერატურა მატულობს. ამიტომ, როგორც კი ძაღლს უხასიათობას შეატყობთ, მაშინვე ექიმს უნდა მიუყვანოთ. ლეიშმანიოზის საწყის ეტაპზე ცხოველმა ცხვირის აქერცვლა იცის, თან, ცოტა შეუსივდება კიდეც. ყურების ბოლოები თითქოს შეუხმება, თვალებიდან გამონადენი აქვს. ასეთ შემთხვევაში მას ექიმმა უნდა მიხედოს, თქვენით ვერ უმკურნალებთ, რადგან, ძალიან სპეციფიკური მკურნალობის კურსია, საჭიროა გადასხმები. გლუკანტინი, რომელიც ძაღლის ორგანიზმში შეჰყავთ, ქიმიური პრეპარატია და მისი ატანა ცხოველისთვის საკმაოდ ძნელია.

**კითხვა: მალე ჩემი მეგობრის დაბადების დღეა და მინდა ძაღლი ვაჩუქო. რას მირჩევთ, რომელი ჯიშის ძაღლი ჯობია, ვუყიდო (მხედველობაში მაქვს პატარა ტანის ძაღლი)?**

**პასუხი:** გირჩევთ, ამ სახის საჩუქრისგან საერთოდ შეიკავოთ თავი და მეგობარს სხვა რამე აჩუქოთ. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა, თქვენს მსგავსად, სიურპრიზის სახით, მეგობრისთვის ესა თუ ის ჯიშის ძაღლი უჩუქებიათ, მაგრამ, ძაღლის ახალ პატრონს ეს დიდი სერიოზულობით არ მიუღია და მცირე დროით დაკავებულა ცხოველის მოვლით, ისიც, მხოლოდ გართობის სახით. ამიტომ, ჯობია, უარი თქვათ მსგავს საჩუქარზე. თუ ადამიანს ძაღლი არ უნდა (რაც თქვენ არ იცით), საჩუქარზე უარს ვერ გეტყვით, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ, როგორც წესი, გააჩუქებს. ხოლო, თუ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი მეგობარი ცხოველების დიდი მოყვარულია, მაშინ, აჯობებს, წინასწარ უთხრათ საჩუქრის შესახებ, რის შემდეგაც ის მოემზადება და სიამოვნებით დაელოდება ოჯახის ახალ წევრს.

**კითხვა: ჩემი ძაღლი 12 წლის არის და უკვე ძალიან დასუსტებულია, ფაქტობრივად, აღარც გვეკონტაქტება და წევს თავისთვის. მირჩიეს, რომ მის ასეთ წვალებას, ჯობია, „დავაძინო“, მაგრამ, ამას ვერ ვაკეთებ, რადგან მეცოდება. იქნებ, თქვენ მითხრათ, რამდენად მიღებულია ასეთი მეთოდი?**

**პასუხი:** საერთოდ, ძალიან ცუდია ძაღლის „დაძინება,“ მაგრამ, მე ჩემი ინდივიდუალური ხედვა მაქვს ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ ძაღლი დაავადებულია ისეთი დაავადებით, რომელიც არ იკურნება და ის საშიშია პატრონის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის (მაგალითად, ლეიშმანიოზით, ცოფით, ლეიკემია და ასე შემდეგ), ძაღლი უნდა „დავაძინოთ“. არის მეორე მომენტიც, მაგალითად – სიბერე, რომელიც თქვენ გაინტერესებთ. თუ ძაღლი სიბერისგან იმ მდგომარეობამდეა მისული, რომ ძალიან იტანჯება, მაგალითად, დაეწყო ძვლების დაშლა, სახსრების განუკურნებელი ანთება ან რამე მსგავსი, ჩემი აზრით, ჯობია, დააძინოთ. ჩემთვის დაუშვებელია ძაღლის „დაძინება“ იმის გამო, რომ მას სიბერისგან მხედველობა დააკლდა ან ისე ველარ იყეფება, როგორც ადრე. არსებობს ასეთი ფრაზა: თუ მოიშინაურეთ ცხოველი, კეთილი ინებეთ და ბოლომდე მოუარეთ!



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჟიაშვილი**

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**

**ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა: როგორი მცენარეა ჰოვეა და როგორ გარემოში გავზარდო?**

**პასუხი:** ჰოვეა ძალიან გამძლე პალმაა. კარგ პირობებში შეიძლება ორ მეტრ სიმაღლესაც კი მიაღწიოს. ეს მცენარე იმდენად იოლად გასაზრდელია, რომ, თუ ხშირ ყურადღებას არ მიაქცევთ, მაინც მშვენივრად გაიხარებს. მას ძალიან უყვარს სინათლე, ამიტომ, ეცადეთ, დადგათ კარგად განათებულ ადგილას. მართალია, ნაკლებად ნათელ გარემოსაც აიტანს, მაგრამ, ასეთ პირობებში უფრო ლამაზი იქნება. ზამთარში მისთვის მინიმალური ტემპერატურა 13-14 გრადუსია, სხვა სეზონებზე კი 18-24 გრადუსია საკმარისი. ზრდის პერიოდში ნიადაგი ტენიანი უნდა ჰქონდეს, ზამთრობით კი იმდენი წყალი დაასხით, რომ მიწა ძალიან არ გამოუშრეს. ზრდის დროს ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. ზამთარში დამატებითი კვება არ სჭირდება. თუ ჰოვეას სინათლესა და წყალს არ მოაკლებთ, ის ძალიან დიდი და ლამაზი გაიზრდება. შეგიძლიათ, ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდოთ, რათა ტენიანობა უფრო მეტად აუმაღლოთ. ამ მცენარის გახარებას განსაკუთრებით იმ ადამიანებს ვურჩევთ, რომლებსაც ბევრი თავისუფალი დრო არ აქვთ.

**კითხვა: ჩემმა ამარილისმა ერთხელ უკვე იყვავილა, მაგრამ, მეორედ ველარ ვაყვავილე, იქნებ მირჩიოთ, კვლავ როგორ ავაყვავილო?**

**პასუხი:** ამარილისის მეორედ აყვავება არც ისე იოლია. პირველად ყვავილობის შემდეგ მას ფოთლები გამოსდის და კარგი მორწყვა სჭირდება. ზაფხულის მიწურულს მცენარე ცოტა დაასვენეთ. აქტიური ზრდის პერიოდში ნიადაგი გამოუცვლელად და იმავე ქოთანში დატოვეთ. მთავარია, რეგულარულად მორწყათ და კაშკაშა სინათლეზე დადგათ.

**კითხვა: როგორ მოვუარო გინურას და რთულია თუ არა მისი მოვლა?**

**პასუხი:** გინურა ძალიან იოლად მოსავლელი მცენარეა. მორწყვისას ეცადეთ, ფოთლებს წყალი არ მოხვდეს. უმჯობესია, წყალი პირდაპირ ლამბაქზე ან მიწაზე დაუსხათ. ზამთარში შედარებით იშვიათად მორწყეთ. მისთვის ნორმალურია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი, ხოლო ზამთარში მინიმუმ 10 გრადუსი მაინც უნდა იყოს. შეგიძლიათ, გინურა კაშკაშა სინათლეზე ამყოფოთ. დადგით აღმოსავლეთის ან დასავლეთის ფანჯარაზე. ეს იოლად მოსავლელი მცენარე მოტეხილი, წყალში ჩადებული ღეროთი ფესვიანდება. ყლორტების მოჭრით მას კომპაქტურობას შეუნარჩუნებთ, მაგრამ, ძალიანაც ნუ გასხლავთ, თორემ, დაუშნოვდება და შემდეგ მისი სილამაზის აღდგენა რთული იქნება. გინურა ძირითადად 20 სანტიმეტრი სიმაღლის იზრდება. თავისი კომპაქტურობის გამო, ნებისმიერი ზომის ოთახშია შესაძლებელი მისი გახარება. მიუჩინეთ ადგილი განათებულ კუთხეში და გაითვალისწინეთ მცენარისთვის შესაფერისი ტემპერატურა და მორწყვა.

**კითხვა: ბინაში მაქვს მანდევილა, მაგრამ, არ ვიცი, როგორ მოვუარო. იქნებ, ამიხსნათ, როგორ გარემოში გავზარდო მცენარე?**

**პასუხი:** მანდევილა კარგად იტანს სიცივეს, თუმცა, მისთვის კარგია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი, ზამთრობით კი – 15-16 გრადუსი. მცენარეს ყვავილობისთვის კარგი განათება სჭირდება, მაგრამ, მოარიდეთ მცხუნვარე მზეს. რაც შეეხება მორწყვას, ზრდის დროს მორწყეთ რეგულარულად. ზამთარში ისეთი სიხშირით მორწყეთ, რომ ნიადაგი არ გამოშრეს, თუმცა არც ზედმეტი წყალი მოგივიდეთ. ამ მცენარეს ფოთლების შესანარჩუნებლად ტენი სჭირდება. ყვავილები ზრდის პერიოდში ამოსდის, ამიტომ, დაყვავილების შემდეგ გადაჭერით, რითაც ხელს შეუწყობთ მომავალ სეზონზე მის უხვად აყვავებას. თუ ზამთრის ბაღი გაქვთ, გირჩევთ, იქ დადგათ.

**მოამზადა თეონა გოზალიშვილმა**

# როგორ გახდა კერძო კოლექციონერი ყაჩაღური თავდასხმის ობიექტი და ვინ მოითხოვა წილი ციხეში დაგეგმილი ძარცვიდან



მძიმე მდგომარეობაში მყოფი 61 წლის თინა თ-შვილი საკუთარ ბინაში დამლაგებელმა მაგული დ-ძემ გაკოჭილ მდგომარეობაში აღმოაჩინა. ქალბატონს თავის არეში აღენიშნებოდა მძიმე დაზიანებები, რაც, სავარაუდოდ, ბლაგვი საგნის დარტყმით იყო მიყენებული. პირველადი დახმარება დაზარალებულს დამლაგებელმა აღმოუჩინა – მან შემთხვევის ადგილზე გამოიძახა პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც თინა თ-შვილი საავადმყოფოში გადაიყვანა.

პირველი ჩვენება გამოძიებას მაგული დ-ძემ მისცა.

ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „სამ წელზე მეტია ქალბატონ თინასთან ვმუშაობ. კვირაში ორჯერ მივდივარ მისი ბინის დასალაგებლად. იმ დღეს, როდესაც ქალბატონი თინა ამ მდგომარეობაში აღმოვაჩინე, მასთან დილის 9 საათზე მივედი. კარი დაკეტილი დამხვდა და რამდენჯერმე დავაკაკუნე, მაგრამ რომ არ მიპასუხა. მეგონა, ჩაეძინა და კარი ჩემი გასაღებით გავაღე. ბინაში შესვლისთანავე შევნიშნე, რომ იქაურობა არეულ-დარეული იყო. გადმოყირავებული იყო კარადა, რომელიც შესასვლელშივე დგას. მაშინვე საძინებლისკენ გავიქეცი. ქალბატონი თინა სავარძელზე იყო მიბმული, პირი „სკოჩით" ჰქონდა გაკრული, სახეზე კი სისხლი ეცხო. პირველი, რაც გავაკეთე, დანა მოვიტანე და თოკი გავხსენი, მერე პირიდან მოვაძრე სკოჩი. თინა ძალიან ცუდად იყო, წყალი მივასხი სახეზე, მერე ტელეფონს მივვარდი და პოლიციასა და სასწრაფოში დავრეკე."

როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, თინა თ-შვილი ბინაში მარტო ცხოვრობდა, ხოლო მისი ვაჟიშვილი, ამერიკაში წარმატებული კომპოზიტორი შეძლებულად ცხოვრობდა და იქიდან ზრუნავდა დედაზე. თინა თ-შვილი ხელოვნებათმცოდნე იყო, თუმცა, ბოლო წლებში პროფესიით აღარ მუშაობდა. გაირკვა, რომ მარტოხელა ქალს ბინაში ბევრი უნიკალური ნახატი და ანტიკვარული ნივთი ჰქონდა, მაგრამ, შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ბინა თითქმის მთლიანად გაძარცვული დახვდათ – დამნაშავეებს ბინიდან წაეღოთ ნახატები, ანტიკვარული ნივთები და სუვენირები, რომელთა საერთო ღირებულება ასი ათას დოლარზე მეტი იყო. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ბოროტმოქმედები კერძო კოლექციონერის ბინაში ფანჯრიდან, გისოსის გადახერხვის შედეგად მოხვდნენ. შემთხვევის ადგილზე არ იყო დატოვებული არც ერთი კვალი, რაც მიუთითებდა, რომ ისინი გამოცდილი კრიმინალები იყვნენ. რა მოხდა მარტოხელა ქალბატონის ბინაში, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ დაზარალებულს შეეძლო, რომლის დაკითხვა გამოძიებამ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მოგვიანებით შეძლო.

ამონაწერი დაზარალებული ქალის ჩვენებიდან: მას შემდეგ, რაც ჩემი შვილი ოჯახთან ერთად ამერიკაში წავიდა, მარტო ვცხოვრობ. საკმაოდ კარჩაკეტილი ცხოვრება მაქვს – რამდენიმე ნათესავის გარდა, ჩემთან არავინ მოდის. ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩემი ბინის გასაღები აქვს, შორეული ნათესავია, რომელიც ჩემთან სახლის დასალაგებლად კვირაში ორჯერ მოდის. იმ ღამეს, როგორც ყოველთვის, მარტო ვიყავი. გვიანი ღამე იყო – დამამშვიდებლები დავლიე და ისე მეძინა, არაფერი გამიგია, როგორ შემოვიდნენ ჩემს ბინაში ქურდები. როცა თვალი გავახილე, დავინახე, რომ თავზე ორი მამაკაცი მედგა. ძალიან შემეშინდა. ერთს ხელში იარაღი ეჭირა, მეორე კი, რომელსაც ძალიან საშიში გამომეტყველება ჰქონდა, საწოლზე ჩამომიჯდა და მითხრა: ბებო, შენი მოკვლა არ გვინდა, ხმა არ ამოიღო, ყველაფერს წავიღებთ, რაც წასაღებია და შენც კარგად იყავი და ჩვენცო. მე ვუთხარი, ოღონდ ნუ მომკლავთ და, რაც გინდათ, ის წაიღეთ-მეთქი. მეორემ მკითხა: სახლში ვხედავთ, რაც გაქვს, შენ ფულის ამბავი გვითხარი, სახლში ფულიც გაქვსო? ფული არ მაქვს-მეთქი, ვუპასუხე. ამის თქმა იყო და იმ მამაკაცმა თავში იარაღის ტარი ჩამარტყა. ცხვირიდან სისხლი წამსკდა. მეორეს ეგონა, რომ თავი გამიტყდა და უთხრა: თავი დაანებე, ჩვენს საქმეს მივხედოთო. საწოლიდან გადმომათრიეს და სავარძელზე მიმაბეს თოკით. ერთ-ერთმა სკოჩი ამოიღო ჩანთიდან. პირის აკვრა რომ დაიწყეს, ვთხოვე: ეს ოთახი ისეთი მიყრუებულია, ჩემს ხმას ვერავინ გაიგებს. სუნთქვა მიჭირს და პირს ნუ ამიკრავთ-მეთქი. ამაზე იმ კაცმა, რომლის შეხედვაც კი მაშინებდა, დამცინა: ჰო, ბარემ ტელეფონს მოგიტან ახლოს, რომ პოლიციაში დარეკოო. სანამ პირს ამიკრავდნენ, კიდევ მკითხეს – ფული სად გაქვსო.

## მეგობრები ორი დღე მალულად ხერხავდნენ გისოსს პირველი სართულის ფანჯარაზე, რომლიდანაც ისინი კერძო კოლექციონერის ბინაში მოხვდნენ

სახლში მხოლოდ ორასი დოლარი მქონდა, დავიფიცე, ამის მეტი ფული არ მაქვს, აიღეთ და წადით-მეთქი. ამის თქმაზე მეორედ კიდევ ჩამარტყეს იარაღი თავში. ძალიან ცუდად გავხდი და ვთხოვე, წყალი დამალევინეთ-მეთქი, ამზეც უარი მითხრეს და გაკოჭილი და პირაკრული ოთახში დამტოვეს. მათი ფეხის ხმაზე ვხვდებოდი, რომ კედლებიდან ნახატებს ხსნიდნენ. არ ვიცი, როგორ მოახერხეს ამდენი რამის სახლიდან გატანა. წასვლისას ოთახში შემოიხედეს და მითხრეს: ჭკვიანად იყავი, ბებერო, თორემ, კიდევ გესტუმრებით და ასე ველარ გადაგვირჩებიო, – და წავიდნენ. მთელი ღამე სავარძელზე დაბმულმა გავატარე. თავის ახსნა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. დილით მაგულიმ მიპოვა და მან გადამარჩინა. ასე კიდევ დიდხანს რომ ვყოფილიყავი, ვერ გადავრჩებოდი".

დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მას თავს ორი დამნაშავე დაესხა. ისინი 40 წლამდე ასაკის მამაკაცები იყვნენ. თინა თ-შვილის განცხადებით, ისინი პირველად ნახა. ერთი მამაკაცი ჩვეულებრივი აღნაგობის იყო, მეორეს კი ძალიან საშიში გამომეტყველება ჰქონდაო, – განაცხადა სამართალდამცველებთან დაზარალებულმა, რომელმაც მოპარული ნივთების შეფასებისას აღნიშნა, რომ რამდენიმე ნახატი და ნივთი ძალიან ძვირად ღირებული იყო და მათ რეალიზაციას დამნაშავეები მხოლოდ ამ ნივთების კარგად მცოდნე პროფესიონალების მეშვეობით შეძლებდნენ.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დამნაშავეთა კვალზე გასვლა სწორედ ამ გზით მოხერხდა. დამნაშავეები ნაქურდალი ნივთების რეალიზაციას მოგვიანებით შეუდგნენ და სწორედ მაშინ გაებნენ ოპერატიული სამსახურის მიერ ოსტატურად დადგმულ ვაჭრობის „სცენაში:" მაღალი კვალიფიკაციის „ხელოვნებათმცოდნის როლი", რომელიც მოპარული ნივთების ყიდვით იყო დაინტერესებული, კარგად შეასრულა ოპერატიული სამსახურის თანამშრომელმა. სამართალდამცველებმა დეტალებზე შესათანხმებლად მისული დამნაშავეები ადგილზევე დააკავეს. ისინი წარსულში ნასამართლევი 36 წლის ვაჟა კ-ძე და 39 წლის ზაზა წ-ვა აღმოჩნდნენ. დაკავებულები თავიდან არ აღიარებდნენ ჩადენილ დანაშაულს და დუმილის უფლებით ისარგებლეს. მაგრამ, მტკიცებულებებმა, რაც გამოძიებას მათ წინააღმდეგ ჰქონდა მოპოვებული, ეჭვმიტანილებს მხოლოდ დუმილი კი არ დაარღვევინა, მათი საშუალებით გამოძიება დანაშაულის ორგანიზატორის კვალზეც კი გავიდა. ის პატიმრობაში მყოფი 30 წლის მამუკა კ-ძე აღმოჩნდა.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მამუკა კ-ძემ, ვაჟა კ-ძემ და ზაზა წ-ვამ ერთმანეთი ციხეში, პატიმრობის დროს გაიცნეს. სამივე მსჯავრდებული სასჯელს მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა. ვაჟა კ-ძე და ზაზა წ-ვა ციხიდან მამუკა კ-ძეზე უფრო ადრე უნდა გათავისუფლებულიყვნენ, მამუკა კ-ძემ მათ ციხიდან გამოსვლის წინ თ-შვილის ბინის „ნაკოლი" მისცა. მეგობრებს მისი კუთვნილი წილი ფულის სახით უნდა მიეტანათ მამუკა კ-ძის ოჯახში. მამუკა კ-ძე თინა თ-შვილის უბანში ცხოვრობდა და იცოდა, რომ ქალს სახლში ბევრი უნიკალური და ძვირად ღირებული ნივთი ჰქონდა. ბიჭები ვგეგმავდით მაგ ბინის „გატანას", მაგრამ, ვერ მოვასწარითო, – უთხრა მეგობრებს, რომლებმაც ციხეშივე დაგეგმეს მარტოხელა ქალის დაყაჩაღება, რაც გათავისუფლებიდან ერთ თვეში განახორციელეს. ვაჟა კ-ძე და ზაზა წ-ვა ორი კვირა სდარაჯობდნენ თინა თ-შვილის ბინას, კარგად შეისწავლეს, ვინ მიდიოდა მარტოხელა ქალის სახლში და როდის გადიოდა ის ბინიდან. ერთადერთი გზა ბინაში მოსახვედრად იყო სასტუმრო ოთახის ფანჯარა, რომელსაც გისოსები ჰქონდა. მეგობრები ორი დღე მალულად ხერხავდნენ გისოსს პირველი სართულის ფანჯარაზე – ისინი სწორედ ამ ფანჯრიდან მოხვდნენ ბინაში.

სასამართლომ დამნაშავეების მიმართ სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობისა და სხეულის დაზიანების მუხლით აღძრა და ორივეს 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გათავისუფლებიდან ერთ თვეში დამნაშავეები ისევ ციხეში მოხვდნენ. სასჯელი დაემატა ქურდობისთვის ნასამართლევ მამუკა კ-ძესაც, რომელსაც ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზებისთვის ციხეში ყოფნის ვადა სასამართლოს გადაწყვეტილებით 5 წლით გაუხანგრძლივდა.

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-16(642)

– მაგისთვის არ შეგაწუხებთ. თქვენ მხოლოდ მოიტაცეთ და საიმედო ადგილას დატოვეთ. მე თავად ჩავალ იქ და ბოლოს მოვუღებ. აი, ამ ტელეფონზე დარეკავთ და ადგილს მაცნობებთ, – მითხრა ნაუმოვმა და მკითხა: – ფულს ახლავე წაიღებთ?

– არა, ანგარიშზე დამისვით.

– კარგი. შევთანხმდით.

ობიექტი, პირობითად მას პაბლო ვუწოდოთ, კოლუმბიის ქალაქ მედელინში, ნამდვილ ციხესიმაგრეში ცხოვრობდა და მას, არც მეტი, არც ნაკლები, ორასი კარგად გაწვრთნილი და კბილებამდე შეიარაღებული მცველი სდარაჯობდა. სწორედ ამიტომ მითხრა ნაუმოვმა მასზე – მოუხელთებელიაო და, ცოტა არ იყოს, მეც შევცბი. თუმცა, სიტყვა ნათქვამი იყო, უკან ვერ დავიხევდი და შეკვეთის შესრულებას შევუდექი. თავდაპირველად ქალაქ როსტოვში ჩავედი და ექვსჯერ ნასამართლევი რეციდივისტი, 63 წლის ოლეგ ბერეჟნოი, მეტსახელად „კროტი“ მოვძებნე. ის იმით იყო ცნობილი, რომ გვირაბებს თხრიდა საპყრობილეებიდან და გარბოდა. ბოლოს, რომ ვერაფერი მოუხერხეს, სოლიკამსკის „ბელი ლებედში“, მესამე სართულზე, დაჯავშნილ საკანში გამოამწყვდიეს და ხუთი წელი იქ მოახდევინეს. მას მე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ, მის შესახებ ბევრი რამ მსმენოდა და როსტოვში მის დასარწმუნებლად ჩავედი. კროტს დიმიტრიჩსაც ეძახდნენ (მამის სახელით) და, კარი რომ გამიღო, ვუთხარი:

– გამარჯობა, დიმიტრიჩ, მიმიღებ?

– სტუმარი ღვთისაა, შემოდი, – მან თავის ოროთახიან ბინაში შემიპატიჟა, სადაც მარტო ცხოვრობდა. რომ შევედი და დავჯექი, მითხრა: შემახსენე, რომელი ხარ, თორემ, მე ბებერს, ტვინი მელევა და მეხსიერება მღალატობს.

– რა დროს სიბერეა, დიმიტრიჩ. 63 წლის ხარ, გაფურჩქვნის ასაკში და ორმოცი წლის კაცივით გამოიყურები. მე კი იმიტომ ვერ მიცანი, რომ პირველად მხედავ.

გამოცდილმა რეციდივისტმა ყურადღებით შემათვალიერა და მითხრა:

– ვინმემ გამოგგზავნა ჩემთან?

– არა, მე თვითონ მოვედი.

– გასაგებია. გისმენ, მითხარი, რა გინდა.

– დიმიტრიჩ, შორეული მოგზაურობა თუ გიყვარს?

– მთელი ცხოვრება შორეულ მოგზაურობებში არ მაქვს გატარებული?

– ესე იგი, მოგზაურობა გიყვარს.

– მაინც, სად მეპატიჟები?

– კოლუმბიაში, – მოკლედ მოვუჭერი კროტს, მან კი ალმაცერად შემომხედა და მითხრა:

– იქ რა დამკარგვია?

– დაკარგვით – არაფერი, მაგრამ, შეიძლება, იპოვო. უფრო სწორად კი – იშოვო.

– რა უნდა ვიშოვო?

– ფული, დიდი ფული.

– მუქთად არავინ არაფერს მოგცემს. მაინც, რა უნდა გავაკეთო და რამდენს მთავაზობ?

– ასმეტრიანი გვირაბი უნდა გათხარო და ორასი ათას დოლარს მიიღებ.

– რაო?!

– შენ რა, მართლა დაბერდი და ყურში სმენა მოგაკლდა? – ხუმრობით ვუთხარი დიმიტრიჩს და გავუმეორე, – ასმეტრიან გვირაბში ორასი ათას დოლარს მიიღებ, თითო მეტრზე – ორი ათას დოლარს. გაწყობს?

დიმიტრიჩმა თავი გააქნია, გრძლად ჩაუსტვინა და მითხრა:

– მეგობარო, ახლა დალაგებულად მითხარი, ვინ ხარ და რა გინდა, ოღონდ, ყოველგვარი შაყირის გარეშე. რაც არ უნდა იყოს, მუჟიკი ვარ, თანაც, ექვსჯერ ნასროკალი და, არც ისეთი პატარა, რომ ასე ამიგდო.

– დიმიტრიჩ, ვინ ვარ, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ კარგი კაცი ვარ. ორასი ათას დოლარს კი, ნაღდად გაგიმაზავ, თანაც – ახლავე. მთავარია, ხარისხიანი გვირაბი გათხარო, ოღონდ, სწრაფად, – ვუთხარი კროტს, შემდეგ პატარა ჩანთა გავხსენი, მაგიდაზე ოცი ცალი ასდოლარიანების შეკვრა დავყარე და დავამატე: – აი, მაყუთი. შეგიძლია, შეინახო. საბუთები, მგზავრობა, ცხოვრება და ინსტრუმენტები ჩემზე იყოს.

კროტი ისე მონუსხა მაგიდაზე დაყრილმა ფულმა, როგორც ბაყაყს ნუსხავს ხოლმე კობრა. შემდეგ, ფულები სწრაფად მოხვეტა და გვერდით ოთახში გავიდა. იქიდან ოციოდე წუთის მერე დაბრუნდა და მითხრა:

– თანახმა ვარ, წავედით.

– ძალიან კარგი. ახლა მაღაზიაში წავიდეთ და ახალი შმოტკები შევიძინოთ. შემდეგ სამი-ოთხზე სურათი გადავიღოთ, ხუთი დღის მერე კი გზას გავუდგებით, – ვუთხარი კროტს, რომელიც უკვე „ნორმაში ჩამჯდარიყო“ და ორასი ათასი დოლარი ბოროტი ხუმრობა აღარ ეგონა.



დიმიტრიჩს ჩაცმა ძალიან მოუხდა. სურათები რომ დაათვალიერა, რომლებზეც ჰალსტუხში იყო აღბეჭდილი, მხრები აიჩეჩა და თქვა:

– რაც მართალია, მართალია, ჩაშმოტკვა მაგრად ცვლის ადამიანებს. წარმოდგენილი მაქვს, რა ხანიგურ ვიდზე დადგებიან მმართველი ბობოლები, პიჯაკები და ჰალსტუხები რომ გააძრო და ბირკიანი ბუშლატები ჩააცვა.

– დიმიტრიჩ, ფრთხილად იყავი და სახლში იჯექი. იცოდე, შარს ერიდე. ოთხ დღეში გამოგივლი და გავემგზავრებით.

– რა შარს, რის გარეთ ბოდიალს, რას მეუბნები? ორასი ათასი ბაქსი ტრაკქვეშ მაქვს და ზედმეტად გავინძრევი? დარდი ნუ გაქვს, როგორც დამტოვებ, ისევე დაგხვდები.

– კარგი. წავედი, ნახვამდის.

– შენი სახელი მაინც მითხარი.

– ხოსე. შენ კი – პედრო ხარ. გასაგებია?

– გასაგებია, სენიორ ხოსე, – რევერანსი გააკეთა დიმიტრიჩმა და დაამატა: – პედრო თქვენი ერთგული იქნება სიცოცხლის ბოლომდე.

მე და დიმიტრიჩი ესპანელი ეთნოგრაფების სტატუსით გავემგზავრეთ კოლუმბიაში და შევთანხმდით, რომ ის ყრუ-მუნჯი იყო.

– გასაგებია, რა თქმა უნდა, ყრუ-მუნჯი ვარ. მე ხომ ესპანური არ ვიცი და რომ არ დავიწვა, ასე ჯობია, – მითხრა დიმიტრიჩმა, როდესაც კოლუმბიაში გამგზავრების წინ ინსტრუქტაჟს ვუტარებდი და, დაამატა: – ერთხელ ურალიდან მოვხიე და ძაღლების ყურადღება რომ არ მიმეპყრო და „ბაზარში“ არ გავჭედილიყავი, ყრუ-მუნჯის როლი ხუთიანზე შევასრულე. ასე რომ, გამოცდილება მაქვს.

დიმიტრიჩს საკმაოდ ბევრი ლაყბობა უყვარდა და, ასაკის მიუხედავად, ერთი შეხედვით, არასერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თუმცა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ის მშვენივრად ასრულებდა ჩემს ყველა მითითებას. მისი ნამდვილი ძალა კი მედელინში გვირაბის თხრის დროს გამოჩნდა. მან 102 მეტრი სიგრძის გვირაბი ჩვიდმეტ დღეში გათხარა. როდესაც ყველაფერი მზად იყო, მითხრა:

– აი, რასაც შეგპირდი, შევასრულე. ზედაპირამდე ორიოდე მეტრიღა დარჩა და ადგილზე იქნები. რა ვქნა?

– კიბეს შევიტანთ. შენ გვირაბის თხრას დაასრულებ, შემდეგ წახვალ და თავისუფალი ხარ. ბილეთი მზადაა და პირველივე რეისით ჯერ რიოში ჩაფრინდები, იქიდან – მოსკოვში. მოსკოვიდან როსტოვში ჩასვლა კი, ვფიქრობ, არ გაგიჭირდება.

– არ შეიძლება, რომ უკანაც ერთად დავბრუნდეთ?

– არა, დიმიტრიჩ, უკან მარტო უნდა დაბრუნდე.

დიმიტრიჩს მეტი არაფერი უთქვამს. შუაღამისას მან ბოლო ხვრელი გათხარა და წავიდა.

მე ერთი საათი მოვიცადე. შემდეგ პაბლოს სამყოფელში ფრთხილად ავძვერი და ობიექტის ძებნას შევუდექი. გვირაბი მასიური ღობის ძირში, სამეფო პალმების გვერდით ამოდიოდა და მას ხშირი ყვავილნარიც ფარავდა. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიყავი შეიარაღებული, მოტაცების ოპერაცია ყოველგვარი ხმაურის გარეშე უნდა შემესრულებინა და მაყუჩიანი იარაღიდან მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამესროლა. მაგრამ, ის არ გამჭირვებია და ობიექტი თავისი საძინებლიდან მას მერე გამოვიყვანე, რაც ის სპეციალური აეროზოლით გავთიშე. პაბლო ოცდაათიოდე წლის საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი იყო და, ასაკის მიუხედავად, ნარკობიზნესში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ის ჯერ ხშირი ტყის პირას გამოვიყვანე და წინასწარ გამზადებულ „ჯიპში“ ჩავაწვინე. შემდეგ კი კონსპირაციულ ბინაში მივიყვანე და საიმედოდ დავაბი, მე კი აეროპორტისკენ გავემართე და რიოში გადავფრინდი, ნაუმოვს რიოს აეროპორტიდანვე დავურეკე და პაბლოს ადგილსამყოფელი ვაცნობე. მერე რიოდან მოსკოვში ჩავფრინდი და იქ ტელევიზორიდან შევიტყვე პაბლოს გაუჩინარების ამბავი. მთელი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები პაბლოს მოტაცებაზე ლაპარაკობდნენ და სხვადასხვა ვერსიას ასახელებდნენ. პაბლოს ცხედარი კი ქალაქ მედელინის სადგურის სანაგვეზე ზუსტად ერთი თვის მერე იპოვეს. მისი სურათები რომ ვნახე, ვერ ვიცანი – მისგან მხოლოდ ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი. როგორც შემდეგ ექსპერტებმა დაასკვნეს, მას, თურმე, წითელი ჭიანჭველები სწოვდნენ სისხლს, რაც საშინელ ტანჯვა-წამებას იწვევს... ნაუმოვმა, მართლაც რომ ჯოჯოხეთურ ტანჯვაში ამოხადა სული დორას მკვლელობის შემკვეთს და ამ შურისძიებაში ლომის წილი მე მეკუთვნოდა. რაც შეეხება დიმიტრიჩს, ის მშვიდობიანად დაბრუნდა როსტოვში, პატარა კაფე გახსნა, სადაც, ამ ქალაქის კრიმინალური სამყარო იკრიბებოდა.

არ მეგონა, თუ კროტს კვლავ შევხვდებოდი, მაგრამ, ასე მოხდა. ტყუილად კი არაა ნათქვამი: „მთა მთას ვერ შეხვდება, თორემ კაცი კაცს – ყოველთვისო“. ერთხელ ერთი მსხვილი შეკვეთა ავიღე, რომლის მიხედვითაც, ობიექტი რესტორნის წინ უნდა გამენადგურებინა ავტომატური ცეცხლით. იქიდან კი ჯერ ერთი ავტომობილით უნდა გავქცეულიყავი, ხოლო შემდეგ სხვა ავტომობილში გადავმჯდარიყავი და მშვიდად გავცლოდი იქაურობას. მეორე ავტომობილში გადაჯდომის შემდეგ გრიმი და პარიკი უნდა მომეშორებინა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი, შაბლონური სიტუაცია იყო და არანაირ გართულებებს არ ველოდი. თუმცა, ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ და კინაღამ ჩავვარდი... ობიექტი ჩავცხრილე, მანქანა ადგილს მოვწყვიტე და გავქანდი. მაგრამ, ასიოდე მეტრიც არ მქონდა გავლილი, რომ მოულოდნელად სატვირთო მანქანა დამეჯახა და გადამატრიალა. კიდევ კარგი, გონება არ დამიკარგავს. ავტომატმომარჯვებული მანქანიდან გამოვვარდი, გზაზე შემთხვევით გამოჩენილ მოტოციკლეტისტს მოტოციკლი გავტაცე და გავიქეცი, თუმცა, მდევარი კუდზე მაჯდა. მე მათ ავტომატური ცეცხლი გავუხსენი და ჩამოვიშორე. ხოლო, იქ რომ მივედი, სადაც სათადარიგო მანქანა იდგა, გავოგნდი – მას ოთხივე ბორბალი მოხსნილი ჰქონდა და



აგურებზე იყო შეყენებული. ავტომატი ბუჩქებში ჩავაგდე. სამოსი გავისწორე და სწრაფი ნაბიჯებით მოვშორდი იქაურობას. ინტუიცია მკარნახობდა, რომ ქალაქში სიარული არ შეიძლებოდა, რადგან გაშიფრული ვიყავი და დამიჭერდნენ. უცებ დიმიტრიჩი გამახსენდა და მისი ბინისკენ გავემართე, რომელიც იქვე მდებარეობდა. რომ მივედი, დავაკაკუნე... კარი თავად კროტმა გამიღო და, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო, რადგან, გრიმით ვიყავი. მან ყურადღებით შემათვალიერა და მკითხა:

– ვის ეძებთ, პატივცემულო?

– დიმიტრიჩ, შენთან ვარ და შემომიშვი.

კროტმა სახლში შემიყვანა. სავარძელში რომ მოვკალათდი, მითხრა:

– გეტყობა, მიცნობ, მე კი ვერ გიცანი.

– დიმიტრიჩ, შენი დახმარება მინდა. აქ პატარა ინციდენტი მომიხდა და მთელი შავები მე მეძებენ. როგორმე ქალაქიდან უნდა გავიდე და შენ უნდა დამეხმარო.

– შავებს რა დაუშავე?

– დიდი ხნის ბაზარია და არ ღირს მოყოლა. შენ ის მითხარი, ამაში დამეხმარები?

– მაინც, ვინ ხარ?

– მოკითხვა კოლუმბიიდან. გახსოვს, ასმეტრიანი გვირაბი რომ გათხარე ქალაქ მედელინში?

– კი მაგრამ, შენ ეს საიდან იცი? ჩვენ იქ ორნი ვმუშაობდით...

– მესამე მე ვიყავი. შენ ეს მითხარი, დამეხმარები თუ არა როსტოვიდან გასვლაში?

– მედელინის ამბავი საიდან იცი?

– მე კიდევ ბევრი სხვა რამეც ვიცი. მაგალითად, ორასი ათასი დოლარის შესახებ, რომლითაც შენ პატარა კაფე გახსენი. დამეხმარები თუ არა?

– დაგეხმარები. ის, ვინც ეს გითხრა, კარგი კაცია და, ცუდი რომ იყო, არ გეტყოდა. ჩემი მანქანით გაგიყვან. როსტოვში ყველა მიცნობს და არავინ გამშმონავს, – მითხრა დიმიტრიჩმა. მართლაც, სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ, მისი „ჟიგულის“ საბარგულში ვიწექი და როსტოვიდან გავდიოდი. როდესაც სამშვიდობოზე გავედით, კროტმა საბარგულიდან ამომიყვანა, გამომემშვიდობა და როსტოვისკენ გაბრუნდა. მე კი გრიმი და პარიკი მოვიშორე, სადგურში ბილეთი ვიყიდე და მატარებელში ჩავჯექი. დიმიტრი მას მერე აღარ შემხვედრია, მაგრამ, დანამდვილებით ვიცი, რომ ის დღესაც ცოცხალია. სიბერის მიუხედავად, კვლავ მხნედაა და თავის ცნობილ კაფეს დიდი წარმატებით უძღვება. ტოლია ნაუმოვის ისტორიას კი იმას დავამატებ, რომ კოლუმბიური ვოიაჟიდან თვე-ნახევრის შემდეგ „ძიამ“ დამირეკა და თავისთან მისვლა მთხოვა.

– ხომ მშვიდობაა? – ვკითხე რომანს, რადგან მასთან ძალიან იშვიათად მივდიოდი, ხოლმე.

– რა თქმა უნდა. უბრალოდ, მარტო ვარ და თითო ჭიქა გადავკრათ ამ საღამოს.

„ძიას“ „თითო ჭიქა“ იმაზე მინიშნება იყო, რომ საქმეზე ლაპარაკი ტელეფონით არ სურდა. მას არც შეკვეთაზე უნდა ელაპარაკა ჩემთან, რადგან ასეთი საუბრები ჩვენ შორის ალექსანდრეს ქვედა ბაღში იმართებოდა.

„ჰმ, ნეტავ რა საქმე აქვს მოხუცს ჩემთან?“– ვფიქრობდი გუნებაში, როდესაც რომანთან მივდიოდი. მის ბინაში შევდგი თუ არა




ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ
5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში,
ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს
ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს
ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში,
მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს
კარგი სამსახური
და თან ...

მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31

ფეხი, ვკითხე:

– რა ხდება, „ძია“, რაღაც იდუმალებით ხარ მოცული.

რომანს ეშმაკურად ჩაეცინა ულვაშებში და მითხრა:

– ვიცი, რომ რეალისტი ხარ, მაგრამ, იდუმალების სამყაროში მოგიწევს დროებით გამგზავრება და ჯადოსნური, ზღაპრული სხივები მოგჭრიან მაგ არწივისებურ თვალებს.

„ძიასგან“ მსგავსი სიტყვები პირველად მესმოდა, რადგან მისგან მშრალ, მოკლე და კონკრეტულ ლაპარაკს ვიყავი მიჩვეული. ამიტომ, ვუთხარი:

– „ძია“, ჯადოქრის როლზე ხომ არ მიგიწვიეს რომელიმე ფილმში და რეპეტიციას ხომ არ გადიხარ?

– ახლავე ყველაფერს გაიგებ, – მითხრა რომანმა და თვალები შავი, სქელი ნაჭრით ამიხვია, თან დაამატა: – იცოდე, გამოხედვა არ გაბედო!

– მაინც, რას მიპირებ?

– ახლავე გაიგებ, – მითხრა „ძიამ“. მისი მოძრაობიდან მივხვდი, რომ ოთახში სინათლე ჩააქრო და მაგიდაზე რაღაც დადო. შემდეგ მომიახლოვდა, ზურგსუკან დამიდგა, სახვევი მომხსნა და მითხრა: – აი, შეხედე!

ოთახში ერთი პატარა სანთელი ენთო, რომლის შუქსაც მაგიდაზე დადებული საგანი ირეკლავდა და ირგვლივ ზღაპრულ სხივებს აფრქვევდა. ეს მართლაც იდუმალი, ფანტასტიკური სანახაობა იყო და ძალაუნებურად აღმომხდა:

– ეს რა არის?

– თორმეტკარატიანი ნარინჯისფერი ბრილიანტი „დორა“, – მითხრა ძიამ, ეს შენ შემკვეთმა გამოგიგზავნა, რომელსაც რიოში შეხვდი.

ყველაფერი ნათელი იყო ჩემთვის: ტოლია ნაუმოვმა, თავისი შურისძიების თითქმის სრულად დაკმაყოფილების ნიშნად, უძვირფასესი ბრილიანტი „დორა“ მაჩუქა. ეს ძვირფასი ქვა დღემდე ჩემს სეიფში ინახება სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად და დროდადრო მისი ზღაპრული ნათებით ვტკბები ხოლმე. „დორა“ ტოლია ნაუმოვმა თავისი განსვენებული მეუღლის, დორას პატივსაცემად უწოდა ამ ბრილიანტს. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, მას ასეთი სიყვარული თუ შეეძლო. „დორას“ რომ ვუყურებ ხოლმე, ჩემი მერიკო მახსენდება და თვალები ცრემლით მევსება, მაგრამ, ჩემს მერის ველარაფერი დააბრუნებს ამქვეყნად და ცრემლებით მხოლოდ გულის დარდს ვიქარვებ ხოლმე.

სხვათა შორის, კოჯრის სპეცსკოლაში მასწავლეს, რომ მძიმე ნერვული დაძაბულობიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალებაა ტირილი...

– კარგად დაიმახსოვრე, კოკი, – მასწავლიდა ჩვენი უწყების ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუქტორი – ჩვენი პროფესიის ადამიანებს ნერვული სისტემა უკიდურესად ეძაბებათ ხოლმე, ასეთ დროს კი არც ალკოჰოლს მიეძალო, არც დამამშვიდებელ წამლებს და არც სხვა, მსგავს საშუალებებს, არამედ, იტირე, ერთი გულიანად აღრიალდი და დაძაბულობაც ჩაგიცხრება.

– თუ ვერ შევძელი ტირილი?

– შეძლებ. შენი ცხოვრების ყველაზე უბედური დღე გაიხსენე, ყველაფერი თვალნათლივ, კინოკადრებივით გაატარე გონებაში და, მერწმუნე, ატირდები. მაპატიე, ჩემო კარგო, რომ შენს მტკივნეულ დღეებს ვეხები, მაგრამ, ასეთ დროს შენი დამწვარი მშობლები გაიხსენე. გახსოვს? შენს გადაბუგულ სახლ-კარს რომ დაუბრუნდი და შენს ეზოსთან ზეწარგადაფარებული ორი საკაცე დაგხვდა. შენ ზეწრები გადაწიე და დედ-მამის დანახშირებული ცხედრები დაინახე...

ინსტრუქტორის სიტყვებმა ისე გულში ჩამწვდომად იმოქმედა ჩემზე, რომ სისხლმა საშინელი სისწრაფით დაიწყო მოძრაობა ჩემს ორგანიზმში, წნევამ ამიწია, გულმა ისეთი სისწრაფით დაიწყო ბაგაბუგი, ლამის გამისკდა, მაგრამ, ერთი ცრემლიც არ გადმომიგდია და ინსტრუქტორს მსგავსი რამ აღარ უთქვამს ჩემთვის. ჩემი კარიერის განმავლობაში კი, ჯოჯოხეთური ნერვული დაძაბულობის მიუხედავად, არასდროს გამომიყენებია ტირილი განმუხტვის საშუალებად. თუმცა, რამდენჯერმე ცრემლებიც კი წამომსვლია, რომ არაფერი ვთქვათ, ცრემლების ღვრაზე მერიკოსა და დედ-მამის საფლავების მონახულების დროს... ნერვულ დაძაბულობას ყოველთვის ჩემი ნებისყოფის სიმტკიცის წყალობით ვძლევდი ხოლმე და ასეა დღემდე. არ ვტრაბახობ, მაგრამ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იოგის გამძლეობა მაქვს და წყობიდან თითქმის არასდროს გამოვდივარ. წყობიდან გამოსვლა უკმაყოფილების შედეგია, უკმაყოფილებას კი ნერვების აუშლელად ვაგვარებ ხოლმე და, არცთუ ისე იშვიათად, „ქირურგიული“ გზითაც კი...

– ჩვენ პლანეტის ქირურგები ვართ, – ირონიით იტყოდა ხოლმე ერთ-ერთი კოჯრელი ინსტრუქტორი, – დედამიწა სიცოცხლის პლანეტაა და ხალხმა მასზე ბედნიერად უნდა იცხოვროს. ხოლო, თუ ვინმე ბოროტი მასზე კიბოს გავრცელებას შეეცდება, რომ სიცოცხლე მოსპოს, ჩვენ ამ მეტასტაზების დროულად ამოკვეთა გვევალება და, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენი მისია უნდა შევასრულოთო...



ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი მეტასტაზი მაქვს ამოკვეთილი დედამიწის სხეულიდან და ამ კაცობრიულ, პლანეტარულ სიკეთეში ჩემი მოკრძალებული წვლილიც დევს.

ერთხელ, სოჭში ვისვენებდი ცოლ-შვილთან ერთად. „ბუხტის“ რაიონში, ველურ პლაჟზე ვიმყოფებოდით და ჩვენ გარდა იქ არავინ იყო. ჩემები ნაპირზე იყვნენ და საუზმობდნენ, მე კი კლდეებისკენ გავცურე და, როგორც კი ლოდზე შევდგი ფეხი, ნაცნობი ხმა მომესმა:

– რაც მართალია, მართალია, დელფინივით ცურავ, შენგან ცურვის ნამდვილი ჩემპიონი გამოვიდოდა.

თავი ავწიე და კლდეს ამოფარებული მუხინი დავინახე, რომელიც მიღიმოდა. მივხვდი, რომ რაღაც სასწრაფო და სერიოზული მოხდა, რადგან, თავად გენერალმა მომაკითხა. მე კლდეზე ავედი და ვუთხარი:

– გამარჯობა, ანდრეი ლუკიჩ. რამე სერიოზული მოხდა?

– სერიოზული რომ არ მოხდეს, ასე სასწრაფოდ იმიტომ მოგძებნე. ზუსტად ერთ საათში პორტის მეხუთე ნავსაყუდელთან გელოდები. ცოლ-შვილს სასტუმროში მიიყვან და, თბილისში დარეკვის საბაბით, ფოსტამტში წახვალ.

– მერიკო მეტყვის, ნომრიდან დარეკეო, – ვუთხარი მუხინს, მან კი მომიგო:

– სასტუმროში ყველა ტელეფონს გავთიშავ და წასასვლელი საბაბიც გექნება. აბა, შენ იცი, არ დააგვიანო.

მუხინს კლდეების უკან სწრაფმავალი კატერი ჰყავდა დაბმული და იმით წავიდა. მე კი სამასი მეტრი გავცურე ნაპირამდე, ისე მოვიქეცი, როგორც მუხინმა მითხრა და მეხუთე ნავსაყუდელთან დათქმულ დროზე სამი წუთით ადრე მივედი. გენერალი მუხინი ერთ-ერთ კომფორტულ იახტაზე მელოდებოდა და, როცა მივედი მითხრა:

– იუგოსლავიაში უნდა გაემგზავრო. ადრიატიკის ზღვისპირა ქალაქ სპლიტში. აი, შენი საბუთები. შენ ინგლისელი ჟურნალისტი ხარ და აკრედიტაციაც გაქვს. შენი სამიზნეები არიან პროფესორები – ვისტი და კლაინი. შენ მათი ლიკვიდაცია უნდა განახორციელო და პლანეტარული ქირურგის როლი იკისრო.

მუხინის სიტყვებმა კოჯრელი ინსტრუქტორი გამახსენა და ვკითხე:

– ანდრეი ლუკიჩ, ვინ არიან ვისტი და კლაინი და რა უბედურებას აპირებენ?

– ორივე ამერიკელი მიკრობიოლოგია, ნობელის პრემიის ლაურეატები. ბოროტი გენიოსები არიან და, თუკი მათი ამჟამინდელი სამუშაოები წარმატებით დასრულდა, მსოფლიო კატასტროფის წინაშე დადგება.

– ისეთს რას აკეთებენ?

– რას და, ვირუს „ბურღს“. მათი ჩანაფიქრით, ეს „ბურღი“ უნივერსალური თვისებებით უნდა იყოს აღჭურვილი და აღწევდეს ნებისმიერ გარემოში, მრავლდებოდეს ძალიან სწრაფად, შეეძლოს ნებისმიერი სასიკვდილო ინფექციის გადატანა და მასზე არანაირი ანტივირუსი არ მოქმედებდეს. ხომ წარმოგიდგენია, რა უბედურებას დაატრიალებს „ცეერუ“, ვისტმა და კლაინმა რომ „ბურღი“ შექმნან! ასეთ შემთხვევაში, საბჭოეთს ყოველგვარი ატომური ბომბის გარეშე გაასწორებენ მიწასთან და მთელ პლანეტაზე სიცოცხლეს მოსპობენ. ასეთია მათი ბნელი ზრახვები, ისინი არც სხვას ინდობენ და არც საკუთარ თავს.

– ანდრეი ლუკიჩ, ვისტი და კლაინი თუ ასეთი მნიშვნელოვანი პერსონები არიან, სპლიტში რა უნდათ, და, საერთოდ, რა ხდება იქ?

– ბოლოდან დავიწყებ. სპლიტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ტარდება მიკრობიოლოგიაში და ეს ორი პროფესორი მასზე დასასწრებად უნდა ჩავიდეს იქ. რაც შეეხება

მათ მნიშვნელობას, გიმეორებ, რომ ისინი ბოროტი გენიოსები არიან და „ცეერუ“ იძულებულია, მათ კაპრიზებს დაჰყვეს. სპლიტში „ცეერუს“ საუკეთესო აგენტები იქნებიან მობილიზებულები მათ დასაცავად და სწორედ ამიტომ გგზავნით იქ შენ და არა სხვას. პროფესორების დახოცვა შიშველი ხელებით მოგიწევს, რადგან იქ უმკაცრესი კონტროლი იქნება დაწესებული, დაცვა კი – გაათმაგებული. აბა, შენ იცი. კაცობრიობის ბედი შენზეა დამოკიდებული.

მუხინის სიტყვებმა, ერთი მხრივ, უხერხულობაში ჩამაგდო, მეორე მხრივ კი სიამაყით ამავსო და ბოროტი გენიოსების სალიკვიდაციოდ უაღრესად მობილიზებული გავემგზავრე იუგოსლავიაში. სპლიტში მართლაც რომ შეინიშნებოდა „ცეერუს“ აგენტების სიმრავლე და ისინი არც მალავდნენ ამას. მათი მთავარი ამოცანა იყო, სამი დღის განმავლობაში დაეცვათ ვისტი და კლაინი, შემდეგ კი უვნებლად ჩაეყვანათ ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად ამისა, კონფერენციის მეორე დღეს დავალება წარმატებით შევასრულე და მაშინვე მოსკოვში დავბრუნდი. მე სასტუმროს კლერკის უნიფორმაში ვიყავი გამოწყობილი და ლიფტს ვმართავდი (ნამდვილი კლერკი კი ამ დროს გაკოჭილი იწვა ჩემს ნომერში). დილის ცხრის ნახევარზე, მეოთხე სართულზე, სადაც ამერიკელი პროფესორები ცხოვრობდნენ, ლიფტი გამოიძახეს. მეოთხეზე რომ ავედი, კაბინაში შემოვიდნენ ორი პირადი მცველი და ორივე პროფესორი. როგორც კი ლიფტი დავძარი, „ცეერუელი“ მუტრუკები ელვისებური დარტყმებით დავანოკაუტე და იქვე ჩავკეცე. ხოლო, სანამ პროფესორები მიხვდებოდნენ, რა მოხდა, მე  მათ კისრები მოვამტვრიე, იქვე დავყარე და კაბინა მეორე სართულზე გავაჩერე, მერე გარეთ გამოვედი და გავქედი. შემდეგ ჩემს ნომერში დავბრუნდი, ტანსაცმელი გამოვიცვალე და დაცვის თავგზის ასაბნევად სახანძრო სირენა ავამუშავე. სანამ სასტუმროში პანიკა იყო, მე იქაურობა დავტოვე და ჯერ უახლოეს კუნძულამდე კატერით მივედი, რომელიც იქვე მივაგდე, შემდეგ კი საბჭოთა სატვირთო გემმა ოდესაში მშვიდობიანად ჩამიყვანა.

– ყოჩაღ, კოკი, ბოროტი პროფესორები ახლა ჯოჯოხეთს ეცნობიან, მათი „ბურლი“ კი უკვე ვეღარასოდეს გაბურღავს ჩვენს ულამაზეს პლანეტას, – მითხრა მუხინმა, როდესაც ლუბიანკაზე მივედი და შჩუკინის კაბინეტში შევდგი ფეხი, სადაც ანდრეი ლუკიჩიც იმყოფებოდა.

– ნამდვილი „ასი“ ხარ, შენს საქმეში ვერავინ შეგედრება, – დაამატა შჩუკინმა და მაგრად ჩამომართვა ხელი.

სხვათა შორის, „ბურლი“ მაინც გამოიგონეს, თანაც, საბჭოთა კავშირში და, მისი შემქმნელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 34 წლის იური კოლმანი, ვისტსა და კლაინზე უფრო ბოროტი, ამბიციური და ტექნოკრატი აღმოჩნდა. ის „კაგებეს“ ერთ-ერთ საიდუმლო ლაბორატორიაში მუშაობდა, რომელიც ციმბირის ტაიგაში, ღრმა მიწისქვეშეთში მდებარეობდა და კოლოსალური შედეგები ჰქონდა ამ სფეროში. კოლმანის მნიშვნელობიდან გამომდინარე, „კაგებე“ მის ბევრ საზიზღრობაზე ხუჭავდა თვალს. ამ ახალგაზრდა ბოროტ პროფესორს მიწისქვეშეთში ნამდვილი ჰარამხანა ჰქონდა მოწყობილი, სადაც ოცი რჩეული, ტანწერწეტა ქალი ჰყავდა, რომლებიც მის უკულმართ სექსუალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდნენ. მას ბევრი ფული, დაცვა, პირადი მანქანა და პირადი თვითმფრინავიც კი ჰყავდა. ერთადერთი, რაშიც მას მკაცრად აკონტროლებდნენ, ის იყო, რომ საიდუმლო ბუნკერიდან ამოსვლის დროს საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ უშვებდნენ გარეთ. ამას კი იმიტომ აკეთებდნენ, რომ კოლმანს იქიდან ვირუსი არ გამოეტანა.



– როგორ გეტყობათ, რომ ბიოლოგიაში ინჩი-ბინჩი არ გაგეგებათ, – ეტყოდა ხოლმე მათ გაღიმებული კოლმანი, – ვირუსის გამოტანა სპეციალური კონტეინერის გარეშე შეუძლებელია. ან კი, რაში მჭირდება მისი გარეთ გამოტანაო.

ერთი სიტყვით, ეს გარყვნილი ბოროტი გენიოსი ყველას ატყუებდა და თავისი ზედამხედველები დააჯერა, რომ „ბურლის“ ანტივირუსი არ არსებობდა. მას კი ეს ანტივირუსი უკვე გამოგონებული ჰქონია და სწორედ მისი მეშვეობით მოახერხა „ბურლის“ გარეთ გამოტანა. მას ჯერ ანტივირუსი დაულევია, შემდეგ კი „ბურლი“ გადაუყლაპავს და მოსკოვში რომ ჩასულა, „ბურლი“ ამოუღებინებია, სპეციალურ კონტეინერში მოუთავსებია და ყირიმში გამგზავრებულა. იქ კი თავისი ოთხი მცველი ვირუსით დაუხოცავს და სასტუმროს ნომერში დაუყრია, შემდეგ „კაგებეში“ დაურეკავს და უთქვამს: თუ სასწრაფოდ პოლიტბიუროში არ ამირჩევთ და თავდაცვის კურატორობას არ მომანიჭებთ, „ბურლს“ შავ ზღვაში გავუშვებ და დედამიწაზე სიკვდილს გავავრცელებო.

კოლმანი ადვილად შეასრულებდა მუქარას, თუმცა, პოლიტბიუროში არჩევის არანაირი შანსი არ ჰქონდა, თანაც, ითხოვდა, რომ მისი სურათი და პოლიტბიუროში არჩევის ინფორმაცია ცენტრალური ტელევიზიით, პროგრამა „ვრემიაში“ გაეშვათ, რომელსაც მთელი საბჭოთა კავშირი უყურებდა. სწორედ ამ დროს გამომიძახეს ლუბიანკაზე და შჩუკინმა მითხრა:

– ჩვენზეა ნათქვამი: ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთო.

– რატომ, ამხანაგო გენერალო, რაშია საქმე? – ვკითხე შჩუკინს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბ | | ჩ | ი | | რ | ა | მ | პ | ა | | ა | ნ | ა | |
| ბ | ა | ბ | ა | ლ | ე | | ი | | | ხ | მ | ი | ა | დ | ი |
| | რ | ი | ყ | ე | | გ | ზ | ა | | უ | | ც | | ვ | |
| ბ | ა | ლ | ო | ნ | ი | | მ | ი | | ნ | ი | ა | ნ | ი | ა |
| | ბ | | ლ | ი | რ | ი | | ვ | ო | დ | ე | ვ | ი | ლ | ი |
| მ | ა | რ | ა | ნ | ი | | პ | ა | თ | ო | ლ | ო | გ | ი | ა |
|  | | | | | | | | ზ | ა | ვ | ი | | ე | | ზ |
| | | | | | | | მ | ო | რ | ი | | ე | რ | ა | მ |
| | | | | | | | ა | ვ | ი | | ა | ლ | ი | ს | ა |
| | | | | | | მ | ა | ს | | ო | მ | ი | | უ | |
| | | | | | | ე | ს | კ | ა | ლ | ა | ტ | ო | რ | ი |
| ქ | ი | რ | ო | მ | ა | ნ | ტ | ი | | ი | ნ | ა | ბ | ე | |
| | | ო | | ა | ლ | ი | რ | | ქ | ვ | ი | რ | ი | თ | ი |
| ნ | ი | კ | ა | ლ | ა | | ი | რ | ი | ე | | უ | | ი | |
| | | ო | | ი | | | ხ | | ა | რ | ი | ლ | ი | | კ |
| | კ | | ზ | | მ | ი | ტ | ი | ჩ | ი | | ი | უ | რ | ი |
| თ | ო | ვ | ა | | უ | ლ | ი | ს | ე | | ხ | | დ | | კ |
| | ლ | ა | რ | ი | ნ | ა | | ე | ლ | დ | ო | რ | ა | დ | ო |
| კ | უ | რ | ა | ტ | ი | | | ნ | ი | ა | ზ | ი | | ა | |
| | მ | ი | ნ | ა | | ს | | ე | | ნ | ე | მ | ო | | ბ |
| | ბ | ა | დ | ი | შ | ი | | ტ | ყ | ე | | ა | ზ | ი | ლ |
| ლ | უ | ც | ი | ფ | ე | რ | ი | | ა | ლ | | ნ | ი | ნ | ი |
| | ს | ი | ა | | რ | ი | მ | ი | ნ | ი | | ი | ვ | ა | ნ |
| ლ | ი | ა | | მ | ი | ა | უ | | ა | ა | კ | | ა | | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 5 | 9 | 7 | 8 | 1 | 4 | 6 |
| 4 | 1 | 6 | 5 | 3 | 2 | 7 | 9 | 8 |
| 7 | 9 | 8 | 1 | 4 | 6 | 5 | 2 | 3 |
| 8 | 5 | 1 | 3 | 9 | 4 | 6 | 7 | 2 |
| 6 | 4 | 7 | 8 | 2 | 5 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 3 | 2 | 6 | 1 | 7 | 4 | 8 | 5 |
| 5 | 6 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 | 3 | 7 |
| 2 | 7 | 3 | 4 | 5 | 9 | 8 | 6 | 1 |
| 1 | 8 | 9 | 7 | 6 | 3 | 2 | 5 | 4 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 2 | 1 | 3 | 6 | 7 | 4 | 9 | 5 |
| 3 | 9 | 4 | 2 | 8 | 5 | 6 | 7 | 1 |
| 6 | 5 | 7 | 1 | 4 | 9 | 8 | 3 | 2 |
| 5 | 3 | 2 | 6 | 7 | 1 | 9 | 4 | 8 |
| 1 | 4 | 6 | 9 | 5 | 8 | 3 | 2 | 7 |
| 7 | 8 | 9 | 4 | 3 | 2 | 5 | 1 | 6 |
| 9 | 6 | 8 | 7 | 2 | 3 | 1 | 5 | 4 |
| 2 | 1 | 5 | 8 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 7 | 3 | 5 | 1 | 6 | 2 | 8 | 9 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. ჰანიბალის თვითმკვლელობას, რითაც თავიდან აიცილა, ცოცხლად ჩავარდნოდა ხელში რომაელებს . 2. ბუნებრივი ასფალტი. 3. ჰერმეტული. 4. ნიკოლო პაგანინი. 5. პანდას. 6. ტარხუნას. 7. ისლამი. 8. „... მე კი მხოლოდ 1000“. 9. ორმოც ნაწილად, რაც ეგვიპტური ტომების რიცხვს შეესაბამება. 10. ცისარტყელას მრავალფეროვნება.**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-16(642)**

## ჯობია, არ მოუსმინო

როგორ უნდა უთხრას ქალმა პარტნიორ მამაკაცს – წადი, ფეხებში მედები და ხელს მიშლი... მაგრამ, ძალიან შორსაც ნუ გადაადგილდები, შეიძლება, ყოველ წუთს დამჭირდეო?! ხომ წარმოუდგენლად მიგაჩნიათ, რომ ამ ყველაფრის მერე კაცმა მშვიდად შემოგხედოთ, გაგიღიმოთ, ცოტა ხნით მეორე, ან, იქნებ, მესამე პლანზეც გადაინაცვლოს და მშვიდად დაგელოდოთ, როდის დაუქნევთ ხელს, რომ ისევ კისრისტეხით მოირბინოს თქვენი მითითებების შესასრულებლად... არადა, თურმე, შესაძლებელია – ზოგიერთი ქალისთვის ამას არც განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება და, სხვათა შორის, არც სიტყვები. მსგავსი ტიპის ურთიერთობები იგება არა სიტყვებით, არამედ, სიტყვებზე გაცილებით მნიშვნელოვანი იმპულსებით, რომლებიც შეუცდომლად ხვდება მიზანს... წესით, ევას ჭეშმარიტ შთამომავლებს ეს ნიჭი თანდაყოლილი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ, მხოლოდ ზოგიერთებს თუ შეარჩინა ტექნიკურ-ევოლუციურმა პროგრესმა...

***

ქალს არც უცდია, შიშველი სხეული დაეფარა... ლოგინში ნახევრად წამოჯდა და, ზუკას, აღფრთოვანებისგან პირდაღებული რომ შესცქეროდა, ცხვირზე წკიპურტი გაჰკრა.

– რას მომშტერებიხარ? სიგარეტი მომაწოდე... საფერფლეც. რა იყო, ასე უცნაურად რატომ მიყურებ? სანთებელაც მჭირდება.

ზუკა, როგორც იქნა, მოეგო გონს და სანთებელაც მიაწოდა.

– შენ არ მოწევ? – ჰკითხა ქალმა და ბალიში მოხერხებულად ამოიდო ბეჭის ქვეშ, – ვგიჟდები ლოგინში მოწევაზე, ჩემი ბაბუინი კი მიშლის.

– მაგარ ვიდზე ხარ, – აღმოხდა ზუკას, რომელსაც საერთოდ არ გაუგონია ქალის სიტყვები.

ლიზამ გადაიკისკისა:

– რას მელაპარაკები! ესე იგი, მოგწონვარ, ანუ, იმედი არ გაგიცრუე.

– არა, რას ამბობ... – ზუკა ქალისკენ გადაიხარა და სახე მის მკერდში ჩამალა.

– ახლა მოვკვდები! – ამოიოხრა და ტუჩებით ლიზას ყელზე მფეთქავი ძარღვი მოძებნა...

– გეყოფა, მოიცადე... ხომ ხედავ, ვეწევი. დაგწვავ, იცოდე. მე კი ტრუსის სუნს ვერ ვიტან, გული მერევა...

ზუკამ ისევ ამოიოხრა:

– ჭკუიდან მშლი... არ ვნანობ, უკვე აღარაფერს ვნანობ...

ლიზამ ნამწვი საფერფლეზე დაასრისა, ბიჭს მხარზე მიეკრა და ყურის ბიბილოზე უკბინა.

– ანუ, რაღაცას ნანობდი. აბა, გამოტყდი, რას? რომ შემხვდი? თუ ამას გულისხმობდი, ძალიან გავბრაზდები.

– ოღონდ ეგ არა, ვერ გადავიტან. ასე მგონია, სულ გიცნობდი და სულ შენ გვერდით ვიყავი.

– ჩემ გვერდით თუ?.. – დამცინავად ჩაეკითხა ქალი და აკისკისდა, – რა ვიცი, თავს იკავებდი შეხვედრაზე, ლამის ძალის გამოყენება დამჭირდა.

– ჰო... – ჩაილაპარაკა ზუკამ.

– რა – „ჰო“? ესე იგი, დარწმუნებული არ იყავი, რომ შენს გემოვნებას დავაკმაყოფილებდი? საზიზღარო...

– არა, არა... საქმე ეგ არ არის, – ზუკა შეიჭმუხნა, – არც ვიცი, უნდა გითხრა თუ არა... მოკლედ, ცოტა სინდისი მაწუხებდა შენი ქმრის გამო.

ლიზამ ტაში დაუკრა:

– ყოჩაღ! არ ხუმრობ? ამას სერიოზულად ამბობ?

– ჰო. როცა ვფიქრობ, რომ ჩემს სიამოვნებაში ფულს შენი ქმარი იხდის, რბილად რომ ვთქვათ, თავს უხერხულად ვგრძნობ.

ლიზამ ჯერ გაოცებით შეხედა, მერე გახალისდა:

– ჩემი ბაბუინი კეთილია, თანაც, ამ შემთხვევაში ჩემი სიამოვნების საკითხია პრიორიტეტული.

– ბაბუინი ვინ არის?

– ჩემი ქმარი. მოფერებით ვეძახი ასე. მართლა ძალიან კეთილია, უყვარს, როცა მანებივრებს.

– მით უმეტეს, უხერხულია, – თავი გააქნია ზუკამ. ქალმა ტუჩები გაბუსხა და ასადგომად წამოიწია:



– თუ ჩემს ქმარსა და შენს უხერხულობაზე ლაპარაკს არ შეწყვეტ, ჩავიცვამ და წავალ, თანაც, წავალ მანქანით და შენ თბილისში მარშრუტკით მოგიწევს დაბრუნება. არ გეხუმრები! ვერ ვიტან, როცა ჭკუას მარიგებენ.

– არა, არა, ჭკუას არ გარიგებ. ეს სულაც არ მიგულისხმია, – ზუკა წელზე მოეხვია ქალს და მაგრად ჩაბღუჯა, – უბრალოდ, შენზე ვფიქრობდი. არ მინდა, ჩემ გამო პრობლემები შეგექმნას.

– მაგაზე ნუ იდარდებ, – ლიზამ ხმა გაინაზა, – საუზმეზე ქვემოთ ჩავიდეთ თუ ნომერში შევუკვეთოთ?

– ნომერში შევუკვეთოთ.

– კარგი. მითხარი, რას შეჭამ. აქ ყველაფერი ძალიან გემრიელია. მე ყავა, ჯემი და ტოსტები მინდა; კიდევ – მოხარშული კვერცხი და ბეკონი. სექსის მერე მადა ყოველთვის განსაკუთრებული მაქვს.

– ჩემთვისაც შენ შეარჩიე. სულერთია, – ზუკამ ტუჩების კვალდაკვალ ხელებიც გაააქტიურა... ქალმა მოჩვენებითი წინააღმდეგობა გაუწია, ტელეფონის ყურმილით იგერიებდა მის ალერსს... მერე კი უდანაშაულო ნივთი იატაკზე ისროლა და თავბრუდამხვევ ვნებას ბოლომდე მინებდა...

***

ქეთიმ ხელთათმანები ნაგვის ურნაში ჩაყარა და ხალათი გაიხადა.

– მორჩა, დღევანდელი დღეც დამთავრდა... ძალიან დავიღალე. მაინც, რამდენი ხალხი იყო, ყველას ერთად როგორ ასტკივდა კბილები... თათია, ხვალისთვის არავინ ჩამიწერო, შუადღემდე ვერ მოვალ – ბავშვი მყავს წასაყვანი ასაცრელად.

– ყავა არ დავლიოთ? – კაბინეტში ნატომ შემოიხედა, – ჩვეულებას ნუ ვუღალატებთ.

– ჰო, რა ვიცი, დავლიოთ. ადრე მინდა, წავიდე. ვახო შემპირდა, კინოში წაგიყვანო.

– ოჰო, მოსალოცად გქონია საქმე, – თვალი ჩაუკრა ნატომ, – ბევრი იჩხუბე, ამ გადაწყვეტილებამდე რომ მიგეყვანა?

ქეთიმ მხრები აიჩეჩა:

– არა, თვითონ გამოიჩინა ინიციატივა. ეს ბოლო კვირაა, კარგად იქცევა. ცდილობს, ყურადღებიანი იყოს. ბავშვსაც უვლის, როცა ძიძა მიდის.

– ფრთხილად იყავი, კაცი რომ კარგად იქცევა, ცოტა საშიშია.

– ვერ მივხვდი, რას გულისხმობ, – ქეთიმ ჯერ ნატოს შეხედა, მერე ლელას შეავლო განცვიფრებული მზერა. ლელამ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და ნატოს შეუბღვირა:

– რა სისულელეებს ამბობ! ქეთი, შენ არ მოუსმინო ამას – გაუგია რაღაც და იმეორებს. არც ასეა საქმე.

– მოიცა, მოიცა, კიდევ უფრო დავიბენი. რატომ არის საშიში. როცა კაცი კარგად იქცევა?

– ვითომ, როცა რაღაცას აშავებს და სინდისი უწყებს ქენჯნას, მაშინ იქცევა მაამებლადო... მაგრამ, ასე ნამდვილად არ არის.

– მაინც ვერაფერს მივხვდი. „რაღაცის დაშავებაში“ რა იგულისხმება?

– მაგალითად, ნუ, ღალატი, – უხალისოდ განუმარტა ლელამ.

– რა?!

– ხომ გითხარი, სისულელეა-მეთქი.

– ანუ, ნატოს იმის თქმა უნდოდა, რომ, შესაძლებელია, ვახო მღალატობდეს? – ქეთის თვალები გაუფართოვდა, – ვაიმე, ესე იგი, რაღაც იცით და მიმალავთ? ნატო, მითხარი, რა ხდება!

– არაფერიც არ ხდება, საიდან მოიტანე? – გაბრაზდა ლელა, – ნატო, არ უნდა გეთქვა. არ იცი ამისი ამბავი? ქეთი, დამშვიდდი. არავითარი შორსმიმავალი ფანტაზიები... ნატოს არაფრის თქმა არ უნდოდა ამით. ვახო კარგი ბიჭია, უყვარხარ და ღალატზე საერთოდ არ ფიქრობს. ნატოს საერთოდ რა ესმის ურთიერთობების, სტერეოტიპებისა და ჰიპოთეზების გავლენით ლაპარაკობს.

– ჰო, აბა რა!.. – მაშინვე დაეთანხმა ნატოც,

– უბრალოდ, ვიხუმრე... ისე, რას წარმოვიდგენდი, ასე თუ გადაირეოდი. ვახო „ისეთი“ არ არის.

– არ იცი შენ, ვინ არის „ისეთი“, – გამოაჯავრა ქეთიმ, – ერთ ნაბიჯზეც არ უნდა ენდო მაგათ.

– მაგაში გეთანხმები, – ამოიოხრა ლელამ და ერთბაშად დასევდიანდა.

– რა ვიცი, ხომ არსებობენ ქალები, რომლებიც კაცებს საკუთარ ჭკუაზე ატრიალებენ წაღმა და უკუღმა, – ხელი ჩაიქნია ქეთიმ, – სულ მიკვირდა, ამას როგორ ახერხებენ.

– ჰო, აბა?! მე ვერასდროს ვხვდები, როდის უნდა ვიყო გულწრფელი და როდის უნდა ვითამაშო, – თქვა ნატომ, – იმდენს ვიცნობ თამაშში დაოსტატებულს, ყველაფერს გულახდილობაში რომ უთვლიან...

– ნიჭი უნდა მაგას, გენაცვალე, თორემ ჩემი გამოცდილებიდანაც ვიცი, რომ კაცებს ეგეთი ქალები უფრო მოსწონთ, – ამოიოხრა ლელამ, – ვითომ გრძნობებს რომ სიტყვებზე მაღლა აყენებენ, სინამდვილეში, რაღაც ისეთი მექანიზმი აქვთ, რითაც კაცებს ასულელებენ და აგიჟებენ. მაინც, სად სწავლობენ ამ ყველაფერს?

– დიპლომატიის უმაღლეს სკოლაში, – გაეცინა ქეთის, – ჩვენ მაინც არაფერი გამოგვივა, თავიც რომ მოვიკლათ. ვერ ვისწავლე, როდის გავჩუმდე და როდის ვილაპარაკო.

– ასეა. მგონი, წიგნი არსებობს – „როგორ ვმართო მამაკაცი“. ერთი, ეგ წიგნი ჩამაგდებინა ხელში და მერე მე ვიცი, – ინატრა ნატომ.

– მარტო წიგნი რომ არ შველის საქმეს? თეორიულად თითქოს მეც ვიცი რაღაც-რაღაცეები, მაგრამ, რად გინდა, პრაქტიკაში ვერ ვიყენებ. რა არის, იცით? ეტყობა, ძალიან სულელი ვარ. ჭკუა ვერ ვისწავლე. გაჩუმდი და გაიღიმე – ყველაზე ნაღდი იარაღია... მოისაწყლე თავი და აკრუტუნდი ფისოსავით, – ვერა, რა... ისეთს ავჩხავლდები ხოლმე, მერე ვნანობ.

– მაგაში მართალი ხარ. კაცებს აშინებთ მჩხავანა ქალები. არა, კი არ აშინებთ, არ მოსწონთ, ფისო ურჩევნიათ.

– ბრჭყალებიანი ფისო... ეჰ, ჩვენგან აღარაფერი გამოვა, – ხელი ჩაიქნია ქეთიმ.

– იმედს ნუ გადაგვიწურავ, მე ჯერ ყველაფერი წინ მაქვს, – გააპროტესტა ნატომ, – მაგალითად, ჩვენმა ყოვლისმცოდნე სტილისტმა მითხრა, ანუ, მასწავლა, როგორ უნდა აუჩუყო კაცს გული.

– მაინცდამაინც ნუ ენდობი მაგის რჩევებს, – ჭკუა დაარიგა ლელამ.

ნატომ ჩაიცინა.

– მაცადეთ, მომისმინეთ, ჯერ. მოკლედ, თურმე სიტყვები არ არის მთავარი. მნიშვნელოვანია ინტონაცია და გამოხედვა. მზერა ისეთი უნდა გქონდეს, სინანულს გამოხატავდე – აქაოდა, არ მინდოდა, გამებრაზებინე და, რაც დამემართა, მხოლოდ ჩემი გულუბრყვილო სისულელითო. სახე ოდნავ უნდა დახარო, აუცილებელია დამნაშავის გამომეტყველება. ოღონდ, აუცილებლად თვალებში უნდა უყურო – აი, ისე, კატა რომ იყურება ხოლმე საწყლად. ქეთ, შენ რომ კატა გყავს, „პადში“ – ხომ გახსოვს, თვალები რომ დაუმრგვალდება ხოლმე?..

– თან, უნდა გაწითლდე კიდეც, ხომ?

– საერთოდ, სასურველია.

– არ აპირებ, ივარჯიშო ამაში? – ქეთიმ ჭიქები გადმოალაგა და ყავა დაასხა, – სერიოზულად გეუბნები, ტრენინგები დაგჭირდება.

– შენ იცინი და, ტრენინგი არც ერთს არ გვაწყენდა, მართლა.



– ჰოდა, ვუთხრათ ამ ჩვენს სტილისტს. გადაკვალიფიცირდეს და ქალებს ტრენინგები უტაროს მამაკაცების „შებმის“ საკითხებში – თმის შეჭრა-შეღებვას ეს აჯობებს. იმდენი გამწარებული ცოლია, კლიენტებისგან მოსვენება აღარ ექნება, – ლელას სიცილი აუტყდა და გადაცდენილმა ყავამ ლამის დაახრჩო.

ქეთიმაც გამოცალა თავისი ფინჯანი და ჩაფიქრებული ჩააშტერდა ფსკერს.

– ისე, მთლად ლოგიკას მოკლებული არ უნდა იყოს შენი ნათქვამი, ნატუსია – ყურადღება არ უნდა მოვადუნო. რა იცი, ეშმაკს არ სძინავს...

– შენ ისევ ვახოზე და მაგ ამბავზე ფიქრობ, გოგო? ნუ ჩაიხვევ, არ გინდა. არ გჭირდება ქარიშხალი ჭიქაში, თანაც – ცარიელში. დამიჯერე, – გააფრთხილა ლელამ, – ნუ მიიზიდავ ნეგატივს.

***

თიკომ ორცხობილები გულმოდგინედ დააწყო თეფშზე, ხილი გარეცხა და დიზაინერებისთვის განკუთვნილ ოთახში შევიდა.

– ბიჭებო, ხილი მოგიტანეთ... ყავასაც ახლავე შემოგიტანთ და ერთად დავლიოთ. პატარა შესვენება მოვიწყოთ.

გიგიმ ზუკას გახედა და თვალი მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა. თიკომ რომ კარი გაიხურა, წამოხტა და ყველაზე დიდ ვაშლს სტაცა ხელი.

– გეუბნები, უყვარხარ ამ გოგოს... ვერ ხედავ, როგორ დაგფოფინებს თავზე?

ზუკა გაწითლდა:

– ნუ სულელობ. მე რას დამფოფინებს. ამ ოთახში მარტო მე ვარ? შენ და ლაშაც აქ არ ხართ?

– თავს ნუ იკატუნებ. ლაშას ცოლი ჰყავს, მე – ნინი და, საერთოდაც, ჩვენ აშკარად არ „ვჯდებით“ მისი ინტერესის არეალში. ისე, მშვენიერი გოგოა. შინაურია და არ აფასებ, თორემ, აბა, ისე გაგეცნო, განყენებულ სიტუაციაში?! ზოგჯერ, რომ ჩაიშმოტკება, თვალიც გამირბის ხოლმე.

– გეყოფა, მორჩი ამაზე ლაპარაკს! – – გაბრაზდა ზუკა, – და, საერთოდაც, თიკოს თემა დავხუროთ, კარგი?

გიგი მივიდა და ზუკას მაგიდაზე ჩამოუჯდა:

– შენ რაღაც უცხო ჰანგებზე ამღერდი, აბა ერთი მოყევი, რა ხდება?

– არაფერიც არ ხდება. სამსახურებრივი რომანის მომხრე არ ვარ – სულ ეს არის.

– აჰა, გავიგე: შენ სხვანაირი რომანის მომხრე ხარ, მაგალითად, გათხოვილ დამა-ქალთან.

ზუკა ჭარხალივით გაწითლდა:

– გეყოფა-მეთქი!

– მდა... უკვე ვხვდები, რაშიც არის საქმე. შეხვდი, ხომ, იმ ქალს?

– ჰო, შევხვდი, – ცოტაოდენი ყოყმანის მერე დაუდასტურა ზუკამ.

– ვაჰ, სექსიც გქონდათ? აუ, მომიყევი, რა, ვგიჟდები, ისე მაინტერესებს.

– გიგი, შემეშვი, ისედაც ვნერვიულობ.

– მოიცა, ეგ როგორ გავიგო? დაგევასა? ხომ გეუბნებოდი, ფოტოებს არ ენდო-მეთქი?

– ეგ რა შუაშია. ძალიან მაგარი ქალია... ძალიან... – ზუკამ ამოიოხრა, – ვერც კი წარმოიდგენ, ისეთი მაგარი. სიღნაღში ვიყავით შაბათს და ღამით იქ დავრჩით, სასტუმროში. იცი, რა ღამე გვქონდა?

– მართლა? მერე, რაღა განერვიულებს, სულელო... მაგრამ, ვხვდები – გაიფცქვნებოდი სიღნაღში. რომელ სასტუმროში იყავით? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, იქ ყველა სასტუმრო ძვირია. ისე ნუ იზამ, ბოლომდე გაგატყაოს. ვიცი მე ეგეთების ამბავი: ჯერ სიღნაღს მოინდომებს, მერე ანტალიას, ევროპაზე რომ გადავა, სახლი გაგიხდება გასაყიდი...

– მოიცა, მოიცა, ნუ გაუბერე! სახლი გამიხდება გასაყიდი არა, იხვი. ყველაფერში თვითონ გადაიხადა ფული და სწორედ ეგ მაწუხებს.

– რა?! მართლა?! ბიჭო, ტუზი დაგცემია და ეგ არის, რაღას წუწუნებ? ყველას კი არ უმართლებს ასე.

– მოიცა, რა, მაგრად მიტყდება.

– რა გიტყდება? თუ ძმა ხარ, მოეშვი სისულელეებს. მოეშვი და მიიღე მაქსიმალური სიამოვნება.

– ნეტავი შენ, მაგარი „ანალვლე“ ტიპი ხარ. ბიჭო, აზრზე ხარ? – ქმრის ფულს ხარჯავს.

გიგიმ წაუსტვინა:

– უფრო უკეთესი. ვა, რა მაგარი ქმარი ჰყოლია – ცოლს ბოლომდე აგულავებს. შეირგე, რა!

– ნუ აფრენ. არც ასეთი უსინდისო ვარ.

– სინდისი რა შუაშია, ბიჭო, იმ კაცს თუ აწყობს ასეთი ცოლი და პრობლემა არა აქვს, შენ რას დარდობ და რატომ ნერვიულობ, ვერ ვხვდები.

– იცი, თავის ქმარს რას ეძახის? – ბაბუინს. მაგრად გამიტყდა.

– ბაბუინს? ჰა, ჰა, ჰა... – გიგი გადაბჟირდა, – აი, მესმის ქალი! ბაბუინს რომ ცივილიზაციას აზიარებ, როგორი მაგარი უნდა იყო.

ზუკამ საყვედურით შეხედა ახარხარებულ გიგის და ხელი ჩაიქნია...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# რატომ ვიტყუებით?!

***არ არსებობს ბოლომდე გულწრფელი ადამიანი. ყველა ცრუობს: ზოგი – რისთვის, ზოგიც – რისთვის. თქვენ რა გაიძულებთ, იცრუოთ? ამ სამი სიტუაციიდან ამოირჩიეთ თქვენთვის ყველაზე ნაცნობი, ანუ, თქვენც ასე მოიქცეოდით?***



**1. ქალი მაღაზიაში პალტოს ირჩევს. მერე ნახულობს ფასს და ხვდება, რომ ვერ იყიდის, მაგრამ, ამბობს: „გადამიდეთ, თუ შეიძლება. ცოტას გავივლი და დავბრუნდები საყიდლად“;**

**2. ბანალური სიტუაციაა: მეგობრები იკრიბებიან წლების შემდეგ. ის, ვინც ამ ხნის განმავლობაში ვერაფერი შექმნა ღირებული, ამბობს: „არ მინდა, ჩემს მიღწევებზე ვილაპარაკო, მით უმეტეს, თქვენთან – რატომ დაგაკომპლექსოთ?!“**

**3. მეგობარი ხვდება მეგობარს. ერთი ეუბნება მეორეს: „სულ შენზე ვფიქრობდი; კარგია, რომ შემხვდი (არადა, სულაც არ არის ასე და ცრუობს). ცუდია, რომ იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს.“**

### ნახეთ, თქვენ მიერ შერჩეული ვარიანტი (პასუხები):

1. ამას ეწოდება სოციალური შფოთვა. თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ და ლაპარაკობენ თქვენ შესახებ სხვები. მიზეზები თქვენს ბავშვობაში უნდა ეძებოთ. ალბათ, ხშირად გეუბნებოდნენ მშობლები: შენ ჩვენ გვარცხვენო. ეს არის ტყუილი, რომელიც თქვენვე დაგაზარალებთ, თუმცა, შეცვლა ძალიან გაგიჭირდებათ. ბუნებრივად რომ მოიქცეთ, ამისთვის დრო და ვარჯიში დაგჭირდებათ. გახსოვდეთ: საკუთარი თავის გარდა, არავის წინაშე არ ხართ ანგარიშვალდებული.

2. ამ ტყუილის მიზეზია ცხოვრებისადმი ქარაფშუტული მიდგომა და რეალობის არაჯეროვანი გააზრება. შეუცნობლად დგებით არჩევნის წინაშე: თავისუფლება თუ სოციალური სტატუსი?!

ამ ტყუილისთვის არავინ დაგიჭერთ, მაგრამ, საკუთარი ფანტაზიების ისეთ სიღრმეებში შეხვალთ, რომ „ნაცარს“ უკვე სხვებს კი არა, საკუთარ თავს შეაყრით თვალებში.

3. თქვენი სტილის ადამიანისთვის აუცილებელია ურთიერთობები. მზად ხართ, განსხვავებული აზრიც კი აიტანოთ, ოღონდ მარტო არ დარჩეთ. ნუ ეცდებით, ყველას გული მოიგოთ და ყველა კმაყოფილი გყავდეთ – ეს შეუძლებელია. შეინახეთ თქვენი დადებითი ემოციები რჩეულთათვის.



### ინტიმური „სიმართლე“

ბიუსტჰალტერი, რომელიც ქალის სხეულის ყველაზე მომხიბვლელ, ინტიმურ ნაწილს კიდევ უფრო დახვეწილს ხდის, მგონი, ყოველთვის არსებობდა. მას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. ბიუსტჰალტერს ატარებდნენ იმ ქვეყნების ქალბატონებიც, რომლებსაც „ცივილიზაციის აკვანს“ უწოდებდნენ და პირველყოფილი ტომებიც. ერთ-ერთი ძველეგვიპტური სასიყვარულო ბარათი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნით თარიღდება, ასეთი შინაარსისაა: „მე მინდა, ვიყო ის ბაფთა, რომელიც შენს მკერდს გარს ახვევია“.

სპეციალურ სამკერდე სახვევს, რომელიც ზოგჯერ თხელი ტყავისგანაც მზადდებოდა, ატარებდნენ ძველი საბერძნეთის ქალები. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის ამფორაზე გამოსახულია ნახატი, როცა ქალღმერთს მფრინავი არსებები მსოფლიოში პირველი (ალბათ პირველი) ბიუსტჰალტერის მორგებაში ეხმარებიან.

ძველი რომაელი ქალები სახვევის ათასგვარ ვარიანტს იყენებდნენ. არსებობდა მკერდის ასაწევი სპეციალური სახვევი, ან, ძალიან დიდი მკერდის „შესამცირებელი“ სახვევი. ასკეტურ შუა საუკუნეებში ბიუსტჰალტერის შესახებ, რატომღაც, დაივიწყეს, მერე კი გაჩნდა მტანჯველი, სულის შემხუთველი კორსეტი, რომლის ჩაცმისას ქალები სერიოზულ ტკივილებს იტანდნენ.

1370 წელს სტრასბურგში გამოიცა სპეციალური დადგენილება, რომელიც ყველა ქალს ავალდებულებდა მკერდის „შეფუთვას“. ისე უნდა გაეკრათ, როგორც ესპანეთში. 16 წლის გოგონებს უკვე კორსეტში სვამდნენ.

იდეა ბიუსტჰალტერის შექმნის შესახებ ერთდროულად გაუჩნდა რამდენიმე ადამიანს. ცნობილმა პარიზელმა ექიმმა, მადამ გიშ სარომ, დაამზადა პირველი ლიფი – მან მარტივად გადაჭრა შუაზე კორსეტი და ორ ნაწილად გაყო. სხვათა შორის, პირველად ლიფები მხოლოდ აფთიაქებში იყიდებოდა.

იმავე დროს, იმავე საფრანგეთში, მოდელიერმა ერმან კადოლმაც გადაჭრა კორსეტი შუაზე. თავისი კლიენტის, ჩოგბურთელის მოთხოვნით. ძალიან მალე კი გერმანელმა მკერავმა კრისტინა ჰარლტმა მოიგონა „ფუფაიკა“ მკერდისთვის. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, პირველი პატენტი ლიფზე 1914 წელს გაიცა ვინმე მერი ფილიპს ჯეკობსზე. ეს ამბავი კი ასე მოხდა: ერთხელ მერიმ შენიშნა, რომ უხეში კორსეტი საშინლად არ უხდებოდა მის მდიდრულ საღამოს კაბას. დაუძახა მოსამსახურეს და ორივემ ერთად, ორი ელასტიკური ლენტითა და, რამდენიმე ცხვირსახოცით, სახელდახელოდ დაამზადეს უზურგო ლიფი, რომელიც ზურგმოშიშვლებულ კაბაში არ გამოჩნდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ ეს გამოგონება მერისგან გამოისყიდა მსხვილმა კომპანიამ და ლიფების წარმოებაც „დაიქოქა“. მიუხედავად ყველაფრისა, „ლიფის დედიკოს“ ტიტული მიანიჭეს მკერავ იდა როზენტალ-კაგანოვიჩს – ამერიკაში ჩასულ რუს ემიგრანტს. სწორედ მან, 1922 წელს, მოახერხა, ლიფი ორი „ფინჯნით“ გამოეკვეთა, ერთმანეთთან კი ლითონის ელასტიკური დეტალის ჩანართით შეეერთებინა.

1942 წლიდან ამ ლიფებმა მსოფლიო დაიპყრო.

### სახლი რა საჭიროა



საბერძნეთში, ძველ დროში, აი, მაშინ, ფილოსოფოსები რომ ცხოვრობდნენ, სახელი „დიოგენე“ ძალიან ბევრ ადამიანს ერქვა (შეიძლება, მოდაში იყო), მაგრამ, ისტორიამ მხოლოდ ერთი მათგანი შემოგვინახა და განადიდა. პრინციპში, ეს ლოგიკურიც არის, ყველაზე შთამბეჭდავი კვალი ხომ სწორედ იმ დიოგენემ დატოვა.

ფილოსოფოსმა სიცოცხლეშივე თქვა უარი ყველანაირ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე და თიხის კასრში დასახლდა. ახალგაზრდობის წლებში დიოგენე შეხვდა ნათელმხილველს, რომელმაც ურჩია – გადააფასე ფასეულობებიო, დიოგენემ კი მისი სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. ერთხელ, დაინახა თაგვი, რომელიც თავისთვის მიცუნცულებდა და საკუთარ თავს უთხრა: აი, თაგვი – ჭკვიანი არსება. არ ფიქრობს არც სახლზე, არც კარზე, ჭამს და სვამს იმას, რასაც ბედი მისთვის გაიმეტებს. ახლა უკვე მესმის ყოფიერების ჭეშმარიტი არსიო, – მიატოვა საცხოვრებელი და მოწანწალე ცხოვრება დაიწყო. მთელი საბერძნეთი და კორინთო მოიარა, ბოლოს კი კორინთოში დაიდო ბინა – უზარმაზარ, მრგვალ თიხის კასრში. ჰქონდა ერთი ტოლჩა, კოვზი და ჯამი. მერე ნახა, მწყემსი ბიჭი წყალს პეშვით როგორ სვამდა და ტოლჩაც გადააგდო – ზედმეტიაო. დიოგენე ამტკიცებდა: ფილოსოფოსისთვის გამდიდრება ძალიან ადვილია, მაგრამ, საშინლად უინტერესოო.

**გვერდი მოამზადა
ელენე წულუკიძემ**

# გამჭრიახი პოლიციელი

## სტივ ლინდლი

ჩარლი კინელმანმა სიგარეტი ბოლომდე ჩაიყვანა და ჩაფიქრდა. საავადმყოფოში უთხრეს, რომ ჯინა გარდაიცვალა. დაზიანებები სასიკვდილო აღმოჩნდა. შერიფს ჯერ კიდევ ერთი საათის წინ ელაპარაკა. ერთი წლის განმავლობაში ხვდებოდა ჩარლი ჯინას, მერე ბიჭმა ველარ გაუძლო მის გამოხდომებს და დაშორდნენ. თუმცა, ჩარლის ქალის მიმართ ლტოლვა და ინტერესი არ განელებია – მისი სურათიც კი ჯიბით დაჰქონდა. ჯინა ზოგჯერ აუტანელი იყო. პარალელურად, სხვა მამაკაცებსაც ხვდებოდა და ეკეკლუცებოდა, რაც ჩარლის აცოფებდა, მაგრამ, ქალთან ვერაფერს გახდა. საერთოდაც, ჯინა იზიდავდა უსიამოვნებებს. მისგან ყველას ჰქონდა პრობლემები, ჩარლის კი მაინც უყვარდა. შერიფმა ისევ დარეკა – ისინი ეძებდნენ მანქანას, რომელიც გვიან ღამით დაეჯახა ჯინას.

– თქვენ ამბობთ, რომ წითელი მანქანა იყო? ჰო, მაგრამ, მე ხომ მწვანე „რემბლერი" მყავს, რომელიც უკვე ერთი კვირაა, გაფუჭებულია და ვერც მოვიცალე, შემეკეთებინა. ძალიან ბევრი საქმე მაქვს, პროფილაქტიკაშიც არ მყავს დამხმარე და ბენზინგასამართ სადგურზეც მარტო ვმუშაობ. არა, წუხელ აქედან არსად გავსულვარ, მთელი ღამე ვმუშაობდი. ვინ იცის, ვინ იყო – რამდენი გადარეული დადის ამ ტრასაზე! ჯინა? თვეზე მეტია, არ მინახავს. დიახ, მესმის, რომ ვალდებულები ხართ ყველა შეამოწმოთ. დიახ, რა თქმა უნდა... – ჩარლიმ ყურმილი დაკიდა და ტრასას გახედა. გული დამძიმებული ჰქონდა. ჯინას სახე სულ თვალწინ ედგა. გარეთ გამოვიდა – იქნებ მზეს და ჰაერს მოეგვარა მისთვის ცოტა შვება, თუმცა ამაოდ, მაინც ვერ მოისვენა. დასწყევლოს ღმერთმა ეს ჯინაო, – იფიქრა, – რატომ არ შემიძლია, საერთოდ ამოვიღო გულიდანო. გარაჟის გვერდით ხმამაღლა ყეფდა ვეება დობერმანი. ესეც უკვე ნერვებზე იწყებდა თამაშს. უცებ ძრავას ხმა შემოესმა. შემობრუნდა და მუქი წითელი „პონტიაკი" დაინახა. მძღოლმა პირდაპირ მის ბენზინგასამართ სადგურთან დაამუხრუჭა, სულ ბოლო ჩამომსხმელთან. ჩარლის წინა ბამპერი არ დაუნახავს, მაგრამ, გული სიხარულით აუძგერდა. ეს ნიშანი იყო. ცოტა ახლოს მივიდა და მანქანის მარცხენა ფრთაზე მოზრდილი დაზიანება შენიშნა. რამდენიმე წამი გაოგნებული იდგა და „პონტიაკს" ათვალიერებდა, მერე შეკრთა და ნელი ნაბიჯით გაემართა მანქანისკენ.

შერიფი ბობ პულზი მოღუშული იჯდა. ბოლო დროის მოვლენები ძალიან აღიზიანებდა. ჯერ იყო და, შტატის პოლიციამ რამდენიმე ნარკოტიკებით მოვაჭრე დააპატიმრა 24-ე გზატკეცილზე, ერთი კი გაექცათ; მერე კიდევ – ეს ჯინა ტატლი... ბობ პულზმა ამოიოხრა. სიმშვიდე სწყუროდა, მაგრამ თუ არ იმოქმედებდა, საყვედური არ ასცდებოდა. ისედაც რამდენჯერმე მიანიშნეს ცენტრალური განყოფილებიდან, ძალიან ცოტა დაპატიმრება გაქვს საგრაფოშიო. ჯინას შემთხვევა შუაღამისას მოხდა. ბობის უნდოდა, ეფიქრა, რომ ეს ვილაც შემთხვევითი გამვლელი იყო და არა ადგილობრივი მოსახლე – მის საგრაფოში ხომ კეთილსინდისიერი მოქალაქეები ცხოვრობდნენ... მან ისევ ამოიოხრა და ყურმილი აიღო.

„პონტიაკის" მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა, კარი კი ღია დატოვა, რომ „ბალახის" სუნი გასულიყო – შეიძლება, მექანიკოსს სცოდნოდა, როგორი სუნი აქვს „მოსაწევს". მთელი ღამე გაუჩერებლად მიდიოდა. მთელი სხეული ნაცემივით სტეხდა. საღამომდე სენტლუისში უნდა მოესწრო ჩასვლა, სადაც მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა დანიშნული. ბენზინის ჩამოსასხმელთან მივიდა და, ის იყო, ავტომატი უნდა ჩამოეხსნა, რომ ჩარლიმ დაუძახა:

– სერ, აქ თვითმომსახურება არ არის!

მძღოლი შემობრუნდა და ზეთით მოთხუპნულ კომბინეზონში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი დაინახა.

– კარგი, ბაკი გამივსე!

მექანიკოსმა უცნაურად შეხედა, თითქოს ამოწმებდა. „პონტიაკის" მძღოლი აღელდა, მაგრამ, იმასაც მიხვდა, რომ ამ ტიპთან ჩხუბი არ აწყობდა – ახლა ამის დრო ნამდვილად არ ჰქონდა. თუმცა, მექანიკოსის მზერა საშინლად აღიზიანებდა. არა, ახალი უსიამოვნება ნამდვილად არაფერში სჭირდებოდა, ისედაც, მაიამიდან მოყოლებული, ერთი პრობლემა მეორეს მოსდევდა. რამდენჯერმე ბეწვზე გადაურჩა საგზაო პატრულს. ანერვიულებულმა ნახევარი ბოთლი „ჯეკ დანიელსი" მაინც დალია. „ბარდაჩოკში" გადატენილი პისტოლეტი ედო, რომლიდანაც მაიამიში გაისროლა. „პონტიაკის" მძღოლმა ამოიოხრა და გაიფიქრა, რომ ბოთლში კიდევ იყო ჩარჩენილი ცოტაოდენი ვისკი. უცებ შეამჩნია, რომ მექანიკოსიც ნერვიულობდა. მანქანაში მთელ ხმაზე გაჰყვიროდა რადიომიმღები. იმ ქალის ამბავს გადმოსცემდნენ შუაღამისას, 24-ე გზატკეცილზე რომ დაეჯახა მანქანა. „პონტიაკის" მძღოლი ბუნებრივმა მოთხოვნილებამ შეაწუხა და გარაჟის კუთხეს ამოეფარა. ჩარლიმ მომენტით ისარგებლა და მანქანა გულდასმით დაათვალიერა. შეცდომა გამორიცხული იყო – მანქანებში უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდა. როცა საგრაფოს მთავარმა ავტომექანიკოსმა თანაშემწედ აიყვანა, თოთხმეტი წლის იყო. „პონტიაკი" რაღაცას იყო დაჯახებული. შეიძლება ხეს, ან, მოზრდილ ძაღლს – დაზუსტებით თქმა ძნელი იქნებოდა, მაგრამ, ამას უკვე ნაკლებად ჰქონდა მნიშვნელობა, შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვა. უცებ ისევ წარმოუდგა თვალწინ ჯინა... დობერმანის ხმამაღალმა ყეფამ გამოაფხიზლა, გარაჟის კუთხიდან „პონტიაკის" გაფითრებული მძღოლი გამოჩნდა. – რა საშინელი ძაღლია! რამდენია ჩემზე, თერთმეტი დოლარი და ოთხმოცი ცენტი? არა, არა, არაფრის შემოწმება არ მინდა. ნურც ზეთს ჩაუმატებთ, ძალიან მეჩქარება.



– როგორც გენებოთ, უბრალოდ, ამ მხარეში მეტი ასეთი სადგური აღარ შეგხვდებათ, – მხრები აიჩეჩა ჩარლიმ, – მაინც რას დაეჯახეთ? სერიოზული დაზიანებაა. ირემი ხომ არ გაიტანეთ? გზატკეცილზე ხშირად დაბოდიალობენ ხოლმე.

„პონტიაკის" მძღოლს ნერვიულობა დაეტყო. ჩარლიც შესამჩნევად გაფითრდა. სიტუაცია ფეთქებადსაშიში ხდებოდა. მძღოლი ერთი ნახტომით გაჩნდა მანქანასთან და „ბარდაჩოკიდან" პისტოლეტი ამოიღო. ჩარლიმ მოასწრო და გაბმით დაუსტვინა. „პონტიაკის" მძღოლს ძაღლი არ დაუნახავს. მხოლოდ იგრძნო, როგორ დაეცა რაღაც ძალიან მძიმე, ყელში კი ბასრი კბილები ჩაესო. მერე გასროლის ხმაც გაისმა.

შერიფი პულზი გვერდზე გადგა, რომ საკაცეზე დადებული „პონტიაკის" მძღოლის უსულო სხეული გაეტარებინა – დობერმანმა მას საძილე არტერია გადაუჭრა. პულზი დაიხარა და ჩარლის, რომელიც იატაკზე იჯდა, ხელბორკილი დაადო:

– მაპატიე, ჩარლი, იძულებული გავხდი, ძაღლი მომეკლა. კარგად გყოლია დაგეშილი. რომ მცოდნოდა, ის ტიპი უკვე მკვდარი იყო, აღარ ვესროდი. იცი? როცა კარგად გავაანალიზე ჩვენი სატელეფონო საუბარი, ერთ რამეს მივხვდი: ძალიან ბევრი ილაპარაკე საკუთარ მანქანაზე, რომელიც კვირაზე მეტია გაფუჭებულია და, თანაც, მწვანე ფერისაა. ასეა, მე ახლახან ვნახე ის, მაგრამ, იქვე რამდენიმე მანქანაც ვნახე. შენ ხომ მექანიკოსი ხარ. მძღოლები მოდიან, მანქანას შესაკეთებლად გიტოვებენ და მიდიან. იცი, კიდევ გარაჟში რა ვნახე? ქილა წითელი საღებავით. ეჰ, ჩარლი, ჩარლი... ჭკვიანი ბიჭი ხარ, მაგრამ, შეცდომები მაინც დაუშვი. ერთი კვირის წინ შენ დაურეკე ამ გარაჟის მეპატრონეს და სთხოვე, უფლება მოეცა, კლიენტის წითელი „რემბლერით" გევლო, სანამ შენს ავტომობილს შეაკეთებდი. უკვე მოგისწრია და გამოგისწორებია შელუნული ფრთა, მაგრამ, მასზე საღებავი ბოლომდე ჯერ არ გამშრალა. მკვლელიც კარგად „გაშიფრე" და, პრინციპში, თითქმის ყველაფერი გამოგივიდა. ჯინამ ისევ გიღალატა, არა?! ამიტომაც შეიძულე. ვერც წარმოიდგენ, რა ვიპოვეთ „პონტიაკის" საბარგულში – ნარკოტიკები და, კიდევ, ნარკოტიკებით მოვაჭრის გვამი. შუბლი იმ იარაღით აქვს გახვრეტილი, რომლითაც „პონტიაკის" მძღოლი შენც გიპირებდა მოკვლას. ძალიან წარმატებულად შეგირჩევია მსხვერპლი, ვერაფერს იტყვი.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

# მკვდარი ვერსია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-16(642)**

დოდომ სადავე მოზიდა, ცხენი მოაბრუნა და უნაგირიდან ჩამოხტა, მაგრამ, ნიკასთან მიახლოება ვერ შეძლო. წაქცევით შეშინებული პირუტყვი გაშმაგებული იქნევდა ფეხებს და ადგომას ცდილობდა. დოდოს უნებლიე კივილი აღმოხდა, როდესაც ოსკარის ფლოქვმა ნიკას თავის გვერდით რამდენჯერმე მოთხარა მიწა. დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა – შესაძლოა, ცხენის მომდევნო გაბრძოლება მხედრისთვის საბედისწერო აღმოჩენილიყო. დოდომ ძალა მოიკრიბა, მეორე მხრიდან შემოუარა ოსკარს, აღვირს ჩააფრინდა და მთელი ძალით მოქაჩა. თან ყვიროდა:

– ადექი, ოსკარ!.. გესმის?.. ადექი!..

დოდოს ხმამ ცხენი დაამშვიდა და ბორგვა შეწყვიტა. შემდეგ გვერდზე გადაბრუნდა, წინა ფეხებს დაეყრდნო, მსუბუქად აზიდა სხეული და ისე მშვიდად გაუყვა ბილიკს, თითქოს არაფერი მომხდარა. დოდომ მაშინვე თავი მიანება ცხენს, ნიკას გვერდით დაეშვა მუხლებზე, მისი ლოყები ხელისგულებში მოიქცია და შიშნარევი ხმით ჩასძახა:

– თვალები გაახილე!.. შემომხედე, ნიკა!.. გესმის ჩემი?!

ნიკამ მძიმედ ასწია ქუთუთოები და დანისლული მზერა მიაპყრო.

– ჰო შემომხედე... რამე მითხარი... – აჩქარდა დოდო.

– სუნთქვა მიჭირს, – ყრუდ ჩაილაპარაკა ნიკამ და წამოწევა დააპირა.

– არა, არ ადგე, საშიშია... შეიძლება, ნეკნი გაქვს გატეხილი... – დოდო მხრებში ჩააფრინდა და ადგომის საშუალება არ მისცა.

ამასობაში მათთან იპოდრომის რამდენიმე თანამშრომელმა მიირბინა, მათ შორის იყო ექიმიც. მან ქურთუკი გაუღელა ნიკას და ფრთხილად შეუდგა მკერდის შემოწმებას, თან, ყოველი შეხებისას ეკითხებოდა:

– აქ გტკივა?..

– არა...

– ასე?

– მტკივა...

– ახლა?.. – მარჯვენა გვერდზე მიაჭირა ხელი ექიმმა.

– მტკივა-მეთქი, შენი!.. – კბილები გააღრჭიალა ნიკამ და ხელი აუკრა.

– გასაგებია... – წელში გაიმართა ექიმი, – საშიში არაფერია. დაეხმარეთ, ადგეს.

– ადგეს?! – გაოცებით გახედა დოდომ.

– ჰო... საშუალო ხარისხის დაჟეჟილობა აქვს. არ გამოვრიცხავ, ერთი ან ორი ნეკნიც ჰქონდეს გაბზარული, მაგრამ, რაც მთავარია, მოტეხილობას გადაურჩა, – უპასუხა ექიმმა.

დოდო და ერთ-ერთი მეჯინიბე მხარში ამოუდგნენ ნიკას და ფრთხილად წამოაყენეს.

– შეძლებ სიარულს? – ჰკითხა ექიმმა, – თუ გინდა, საკაცეს მოვატანინებ.

– არ მინდა. უბრალოდ, სუნთქვა მიჭირს. ცოტა ხანს ჩამოვჯდები.

– უკვე გითხარი, რომ ნეკნები მთელი გაქვს, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, რენტგენი მაინც გადაიღე. ეს ხვალისთვის. დღეს კი, სახლში დაბრუნებისთანავე მიიღე თბილი აბაზანა და მაშინვე ლოგინში ჩაწექი. ახლა შენთვის დასვენება პირველი წამალია... თუ დაგჭირდით, ჩემს ოთახში ვიქნები, – თქვა ექიმმა და ადმინისტრაციული შენობისკენ წავიდა. დოდომ ნიკას წელზე მოხვია ხელი და იქვე, ღობის გასწვრივ დადგმული მორისკენ წაიყვანა.

– არც ვიცი, რა გითხრა, – ალაპარაკდა დოდო, როგორც კი ნიკა მორზე ჩამოჯდა, – ვერ წარმოიდგენ, როგორ შემეშინდა. ვერ ვხვდები, რა ბუზმა უკბინა ოსკარს. ჯობდა, საერთოდ არ მომეყვანე აქ. კაფეში ან რესტორანში ნეკნებს არ დაიჟეჟავდი.

– ნუ ღელავ, საშინელი არაფერი მომხდარა.

– საშინელი არაფერი მომხდარა?! – გაოცებულმა ახედა დოდომ, – შენ ვერც კი ხვდები, რომ სიკვდილს გადაურჩი. იცი, რამდენი სანტიმეტრით აცდა ოსკარის ფლოქვი?

– აზრზე არა ვარ. როგორც კი ცხენი დამეცა, სუნთქვა შემეკრა და თვალთ დამიბნელდა, – უპასუხა ნიკამ.

– დიდი-დიდი, ათი სანტიმეტრით. ოთხჯერ თუ ხუთჯერ ფლოქვი შენი თავის გვერდით დაარტყა მიწას. სულ ცოტაც და, საფეთქელს ჩაგიმტვრევდა, – აკანკალებული დოდო მკერდში ჩაეკრა.

– კარგი, კარგი, დამშვიდდი, – თმაზე მოეფერა ნიკა.

– ახლა როგორ ხარ, სიარულს შეძლებ?

– ყოველ შემთხვევაში, სახლამდე ნაღდად მივაღწევ.



– არავითარი სახლი, – სწრაფად თქვა დოდომ, – ჩემთან წამოხვალ. ასეთ მდგომარეობაში მარტოს ვერ დაგტოვებ... წამოდი!

დოდოს მანქანა ცენტრალურ შესასვლელთან უფრო ახლოს იდგა. მანქანასთან მიახლოებისას ის დაწინაურდა, კარი გააღო და ნიკას მოლოდინით აღსავსე მზერა მიაპყრო.

– შენი მანქანით წამოვიდე? – ჰკითხა მან.

– ჰო... ასეთ მდგომარეობაში მანქანის მართვა გაგიჭირდება.

– ჩემი მანქანა აქ დავტოვო?

– გასაღები მომეცი, ბიჭებს ვთხოვ და ჩემს სახლთან მოიყვანენ, – შესთავაზა დოდომ.

– კეთილი, – დაეთანხმა ნიკა, მანქანის გასაღები მისცა და მძიმედ დაეშვა სავარძელზე.

დოდომ მაშინვე ადმინისტრაციული შენობის ცენტრალურ შესასვლელს მიაშურა, სადაც იპოდრომის რამდენიმე თანამშრომელი იდგა. მან ერთ-ერთი ახალგაზრდა მამაკაცი გვერდით გაიხმო და საუბარი გაუბა, თან ნიკას მანქანაზე უთითებდა და რაღაცას უხსნიდა. ბოლოს დოდომ ახალგაზრდას გასაღები მისცა, მანქანასთან დაბრუნდა, საჭეს მიუჯდა და ნიკას უთხრა:

– ყველაფერი რიგზეა. ჩემი ნაცნობია, უკან გამოგვყვება და მანქანას ჩემს სახლთან მოიყვანს. წავედით?

– წავედით, – უპასუხა ნიკამ და მოხერხებულად მოეწყო სავარძელში.

* * *

დოდო ვერაზე, უზარმაზარ ხუთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ბინა სადად, მაგრამ გემოვნებით იყო მოწყობილი. ყველაფერში ბინის პატრონის სივრცისადმი სიყვარული იგრძნობოდა: ოთახები არ იყო ავეჯით გადატვირთული. ვრცელი ჰოლი, რბილი ავეჯით გაწყობილი სასტუმრო ოთახი, რომლის კედლებსაც რამდენიმე ფერწერული ტილო ამშვენებდა. არსად ჩანდა ტელევიზორი და მუსიკალური ცენტრი. სამაგიეროდ, კუთხეში მოზრდილი აკვარიუმი იდგა. ასეთი აკვარიუმი ნიკას ადრე არასდროს უნახავს. შუშის ვიწრო და გრძელი მართკუთხედი ცალკეულ სექციებად იყო დაყოფილი და ყოველ სექციაში თითო თევზი დაცურავდა. გარეგნულად თევზები ერთი ჯიშის უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ, შეფერილობით აბსოლუტურად განსხვავდებოდნენ. აქ იყო სისხლივით წითელი, ლურჯი, იისფერი, სხვადასხვა ფორმისა და ფერის ზოლებით, ლაქებით, წინწკლებით მოხატული რამდენიმე თევზი. ყოველ მათგანს ძალიან ლამაზი, ფუშფუშა კუდი ამშვენებდა. თევზები მძიმედ ამოძრავებდნენ ფარფლებს და მშვიდად დაცურავდნენ კედლიდან კედლამდე. მაგრამ, დროდადრო სურათი მოულოდნელად იცვლებოდა: რომელიმე მათგანი ელვის სისწრაფით მოსწყდებოდა ადგილს და მთელი ძალით ეხეთქებოდა შუშის ტიხარს, რომლითაც მეზობელი თევზისგან იყო გამოყოფილი. ამის დანახვაზე მეზობელიც ასევე იქცეოდა – თავგამოდებით ეხეთქებოდა ტიხარს. რამდენიმე უშედეგო შეტევის შემდეგ თევზები მშვიდდებოდნენ და ისევ მძიმედ იწყებდნენ წრეზე ცურვას, ცოტა ხანში კი იგივე მეორდებოდა.

ნიკა ცოტა ხანს ათვალიერებდა აკვარიუმს, შემდეგ დივანზე ჩამოჯდა და დოდოს გახედა:

– შენი ბინა სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი.

– არ მოგწონს?

– მომწონს, მაგრამ, მაინც სხვას ველოდი.

– მაინც რას?

– უფრო შენი ტემპერამენტის შესაბამისს. მაგალითად, მძლავრ მუსიკალურ ცენტრს, სამხრეთამერიკული რიტმული მუსიკის დიდი კრებულით. შენ კი, არათუ მუსიკალური ცენტრი, ტელევიზორიც კი არ გაქვს. სამაგიეროდ, გაქვს ასეთი ორიგინალური აკვარიუმი.

– ცდები... სიმართლე გითხრა, მართლაც ძალიან ცოტა დროს ვუთმობ ტელევიზორს, მაგრამ, ქვის ხანაშიც არ ვცხოვრობ. ტელევიზორი და ცენტრი საძინებელში მიდგას, ძილის წინ თუ ჩავრთავ ხოლმე – გააჩნია, რა ხასიათზე ვარ. ჩემი მუსიკალური გემოვნებაც ვერ გამოიცანი – კლასიკას ვუსმენ: ვაგნერს, ბეთჰოვენს, ბრამსს. ძალიან მომწონს ჩაიკოვსკი, მიყვარს ბლუზიც. ეს აკვარიუმი კი ჩემი ცხოვრების ნაწილია, მის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებდი, – უპასუხა დოდომ.

– რა ჯიშის თევზებია? ასეთები არასდროს მინახავს, – აკვარიუმს მიუბრუნდა ნიკა.

– ვერც ნახავდი. აკვარიუმის მოყვარულები გაურბიან ამ ჯიშის თევზებს. ბევრი მათ ზედმეტ თავის ტკივილად მიიჩნევს.

– რატომ? – ჰკითხა ნიკამ.

– იმიტომ, რომ რთული მოსავლელები არიან. ეს ტროპიკების თევზებია, ამაზონში ცხოვრობენ. ვერ იტანენ ტემპერატურის ცვლილებას, თან, განსაკუთრებული კვებაც სჭირდებათ. მოკლედ, ძვირი ჯდება, – უპასუხა დოდომ.

– რატომ არიან ცალ-ცალკე? ერთად, ერთ აკვარიუმში უფრო ლამაზად გამოჩნდებოდნენ.

– გამოჩნდებოდნენ, – გაეცინა დოდოს, – რამდენიმე საათი მართლაც ლამაზი სანახაობა იქნებოდა, მაგრამ, მეორე დღისთვის მათგან მხოლოდ ერთი დარჩებოდა ცოცხალი.

– ერთი? – გაუკვირდა ნიკას, – რატომ?

დოდო აკვარიუმს მიუახლოვდა და თითებით მოეფერა სრიალა შუშას.

– ხედავ, რა ლამაზები არიან? ბუნებაში პრაქტიკულად შეუძლებელია ორი ერთნაირის ნახვა. მათ „მებრძოლ თევზებს“ უწოდებენ, მაგრამ ეს შეცდომაა – ისინი დაუნდობელი მკვლელები არიან. მათში მხოლოდ ერთია მდედრი – აი, ის, რუხი შეფერილობის. მამრები შუშის მიღმა ხედავენ მას, ამასთან ერთად, ხედავენ ერთმანეთსაც. სხვა მამრის სიახლოვე მათთვის ნამდვილი კატასტროფაა. საშუალება თუ მიეცათ, მანამდე იბრძოლებენ, სანამ მათგან მხოლოდ ერთი დარჩება ცოცხალი. მაგრამ, ერთმანეთის გარეშეც არ შეუძლიათ არსებობა. ასე მგონია, მეტოქის სიახლოვე მათთვის გარკვეული სტიმულატორია. თითქოს მოწინააღმდეგე აიძულებთ ფორმაში ყოფნას. მარტო დარჩენილები დუნეები ხდებიან, ნაკლებს მოძრაობენ, ცუდად იკვებებიან და, საბოლოოდ, იღუპებიან

თითქოს დოდოს სტყვების დადასტურება სურსო, ერთ-ერთმა თევზმა მარაოსავით გაშალა ლამაზი კუდი და შუშის ტიხარს მიღმა მყოფი მეზობლისკენ გაქანდა. მეტოქე შეტევას არ შეუშინდა და მეორე მხრიდან შეასკდა შუშას. თითის სიგრძე მკვლელებმა კიდევ რამდენჯერმე შეუტიეს ტიხარს, შემდეგ კი დამშვიდდნენ და საპირისპირო მხარეს გაცურეს.

– ევოლუციის ჭეშმარიტი ქმნილებები არიან – ლამაზები, სწრაფები და დაუნდობლები. ჭიდილის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ... როგორ გამართე ლაპარაკით. ერთი წუთით... – დოდო სამზარეულოში გავიდა. უკან მობრუნებულმა ჟურნალის მაგიდაზე ვისკიანი ჭიქა დადგა და ნიკას უთხრა, დალიეო.

– არ მინდა, – იუარა ნიკამ, – ისედაც გაბრუებული ვარ.

– დალიე, დაღლილობის შეგრძნებას მოგიხსნის და მოეშვები. მანამდე კი აბაზანას მოგიმზადებ, – თქვა დოდომ და ოთახიდან გავიდა.

ნიკამ ჭიქა აიღო, რამდენჯერმე შეატრიალა ხელში და ერთი ყლუპი ვისკი მოსვა. სასმელი ესიამოვნა. მაშინვე იგრძნო, როგორ დაურბინა თბილმა ტალღამ სხეულს. ნიკამ კიდევ ერთი ყლუპი მოსვა, თავი უკან გადაწია და თვალები დახუჭა. ცოტა ხანში ოთახში ნაბიჯების ხმა გაისმა. დივანი ოდნავ შეინძრა. ნიკამ თვალები გაახილა – დოდო დივანის მეორე მხარეს იჯდა და ღიმილით შესცქეროდა.

– დაღლილობა მომერია, – ჩაილაპარაკა ნიკამ და დივანზე შესწორდა.

– ცოტაც გაუძელი. აბაზანა მოგიმზადე. ხომ გახსოვს ექიმის დანიშნულება: თბილი აბაზანა და სიმშვიდე. წამოდი... – თქვა დოდომ.

– ჰო, – ჩაილაპარაკა ნიკამ, კიდევ ერთი ყლუპი ვისკი მოსვა და ადგა.

მრგვალ აბაზანაში წყლის ზედაპირი თოვლივით ქათქათა, სურნელოვან ქაფს დაეფარა.

– ტანსაცმელი იქ, ტუმბოზე დააწყვე. მერე გაგიმხნედ, – ხელით მიანიშნა დოდომ და საბაზანოდან გავიდა.

ნიკა დარიგებისამებრ მოიქცა. ტანსაცმელი გაიხადა, ტუმბოზე დააწყო და აბაზანაში ჩაწვა. დაღლილობამ, რამდენიმე ყლუპმა ვისკიმ და თბილმა წყალმა სწრაფად გაიტანა თავისი – ნიკა მოეშვა და თავისთავად დაეხუჭა თვალები. არნახული სიმშვიდის შეგრძნება დაეუფლა. ახლა მხოლოდ ერთი რამ სურდა: რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო ასე. სმენას კარის გაღების ხმა მისწვდა. „ალბათ ტანსაცმლის წასაღებად შემოვიდა,“ – გაიფიქრა ნიკამ და სწორედ ამ დროს, მკერდზე ხელის შეხებით იგრძნო. მან მძიმედ აზიდა ქუთუთოები და გაოცებულმა ახედა ხალათში გამოწყობილ დოდოს, რომელიც აბაზანის კიდეზე იჯდა და ფრთხილად ეფერებოდა მკერდზე. ქალი შეჩერდა. მერე ადგა, ნელი, გამომწვევი მოძრაობით გაიხადა ხალათი, კიდეს ფრთხილად გადააბიჯა და აბაზანაში ჩაეშვა. მისი უზადო სხეულის დანახვამ ნიკას ყრუანტელი მოჰგვარა. მხურვალე ტალღამ სწრაფად დაურბინა, სხეულის ყოველ უჯრედს მისწვდა და გაათბო. ხელი თავისთავად ამოძრავდა. ჯერ მაჯაზე შეეხო დოდოს, შემდეგ ზემოთ აუყვა – იდაყვი უკან მოიტოვა, მხარზე მოეხვია და და თავისკენ მიიზიდა. ქალი ლერწამივით მსუბუქად დაჰყვა. მისკენ გადაიხარა, ჟინიანად ჩააკვდა ტუჩებში და...

მოულოდნელად მობილური ტელეფონი აწკრიალდა. დოდომ უკმაყოფილოდ გახედა ნიკას შარვალს, რომლის ჯიბიდანაც ისმოდა ზარის ხმა და ჩაილაპარაკა:



– ახლავე გამოვრთავ.

– არა, – სწრაფად თქვა ნიკამ. მან უკვე იცოდა, ვინც ურეკავდა – ეს ზარი საგანგებოდ ჰქონდა დაყენებული ნანას ნომერზე, რათა სხვა აბონენტებისგან გამოერჩია, – დაველაპარაკები.

– ეს აუცილებელია? – ჰკითხა დოდომ.

– აუცილებელია. ნანა მირეკავს, – უპასუხა ნიკამ.

– ნანა... ვინაა ნანა? – ჩაეძია დოდო.

– ჩემი კლიენტი.

დოდო უხალისოდ გადასწვდა შარვალს, ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და ნიკას გაუწოდა.

– გისმენ, ნანა, – უპასუხა მან.

– მაპატიე, ასეთ დროს რომ გირეკავ, მაგრამ, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, – ცრემლნარევი ხმით ალაპარაკდა ნანა, – მეშინია... ძალიან მეშინია და სხვა არავინ მყავს, ვისაც შეიძლება, რომ დახმარება ვთხოვო...

– გეშინია?! რისი გეშინია? – აბაზანიდან წამოიწია ნიკამ.

– ვიღაც მირეკავს და მემუქრება!

– როდის დაგირეკა?

– პირველად რამდენიმე საათის წინ. შემდეგ კიდევ ორჯერ დარეკა. ყოველი დარეკვისას ერთსა და იმავეს მიმეორებს: გონს მოეგე. ნიკა გურულთან ურთიერთობა შეწყვიტე, თორემ, შენს ქმართან მოგიწევს გამგზავრებაო!.. – ტირილი აუვარდა ნანას, – თანაც, სახლში მარტო ვარ, ჩემები რაიონში არიან წასულები. სახლიდან გამოსვლა და ვინმესთან წასვლა კი არა, ფანჯარასთან მიახლოებაც ვერ გამიბედავს!

– კარგი, დამშვიდდი. მე ახლავე მოვალ! – უპასუხა ნიკამ. მერე მობილური გათიშა, აბაზანიდან ამოვიდა და სწრაფად შეუდგა ტანის გამშრალებას.

დოდო ცოტა ხანს უხმოდ ადევნებდა თვალს. ბოლოს მაინც ვერ შეძლო თავის შეკავება და გაოცებულმა ჰკითხა:

– მართლა მიდიხარ?

– უნდა წავიდე. ნანას ვიღაც ემუქრება, – უპასუხა ნიკამ.

– არ მეგონა, შენს დამქირავებელს ღამითაც თუ უწევდი მომსახურებას, – ირონიით შენიშნა დოდომ.

– ხომ გითხარი, რომ ვიღაც ემუქრება! – უკმაყოფილო ხმით უპასუხა ნიკამ.

– ამისთვის არსებობს პოლიცია, პატრული. შენ რა შუაში ხარ?

– იმ ადამიანმა მე მთხოვა დახმარება, – ნიკამ გვერდზე გადადო პირსახოცი და ჩაცმას შეუდგა, – მე კი ჯერ არავისთვის მითქვამს უარი დახმარებაზე.

– მე არავინ მემუქრება, ნიკა, მაგრამ, ახლა საშინლად არ მინდა მარტო დარჩენა. იცოდე, რომ წასვლით ძალიან მატკენ გულს.

– მაპატიე, დოდო, მაგრამ, ვერ დავრჩები.

– შენი ნებაა, – დოდო სწრაფად ამოვიდა აბაზანიდან, ხალათი პირდაპირ სველ ტანზე მოისხა და უკანმოუხედავად გავიდა სააბაზანო ოთახიდან.

ნიკამ ჩაცმა დაასრულა და სასტუმრო ოთახში გავიდა. დოდო გაქვავებული სახით იჯდა დივანზე. მზერა აკვარიუმში მოსრიალე თევზებისკენ ჰქონდა მიმართული.

– ეს პატარა არსებები მდედრის გულის დასაპყრობად სიცოცხლესაც კი არ იშურებენ, შენ კი უარს ამბობ იმაზე, რაც თითის გაუნძრევლად გეძლევა... არ ვიცი, რა დავარქვა ამას, ნიკა – გატაცება, რაღაც ახლის ძიების სურვილი თუ სხვა, უფრო ღრმა გრძნობა, მაგრამ, მე ძალიან მომწონს შენი სიახლოვე. ნუ მოკლავ იმას, რაც რამდენიმე დღის წინ დაიბადა და ჯერ არ გამყარებულა... – აკვარიუმისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე ჩაილაპარაკა დოდომ.

– მაპატიე. არ მინდოდა შენი წყენინება, მაგრამ... – ნიკამ აღარ დაასრულა და დაიხარა, რომ ლოყაზე ეკოცნა დოდოსთვის, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ქალი გაერიდა. ნიკა წამით შეჩერდა, დოდოს თმაზე მოეფერა, შემდეგ კი შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ბინიდან.

* * *

ნანა ნერვიულად ჭმუჭნიდა ცხვირსახოცს, რომლითაც დროდადრო თვალებს იმშრალებდა და ისე უამბობდა ნიკას მომხდარის შესახებ.

– საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც პირველად დარეკა...

– მობილურზე დაგიკავშირდა თუ ბინის ტელეფონზე? – ჩაეძია ნიკა.

– ორივეზე.

– ორივეზე?! – გაუკვირდა ნიკას.



– ჰო, ორივეზე. პირველად ბინის ტელეფონზე დარეკა. საშინელი ხმა ჰქონდა, ჩახლეჩილი. მომეჩვენა, რომ, კი არ ლაპარაკობდა, ხიხინებდა. სიტყვების გარჩევაც კი მიჭირდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ყოველი თუნდაც ბუნდოვანი ფრაზა მაგრძნობინებდა იმ გაღიზიანებას, ზიზღსა და აგრესიას, რომლითაც ის მელაპარაკებოდა. ისე შევშინდი, რომ მისი ბოლომდე მოსმენა ვერ შევძელი და ტელეფონი გავთიშე... ცოტა ხანში ისევ დარეკა, მაგრამ, როგორც კი ეკრანზე იგივე ნომერი შევნიშნე, ტელეფონს ახლოსაც არ გავეკარე... ამის შემდეგ მობილურზე დარეკა. ამჯერად ნომერი სხვა იყო. ვერ მივხვდი, ვინ მირეკავდა და ვუპასუხე... ისევ ის აღმოჩნდა. ისევ გავუთიშე ტელეფონი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ისევ მობილურით დამიკავშირდა და ისევ სხვა ნომრით...

– შეგიძლია, დაწვრილებით ამიხსნა, რას მოითხოვდა შენგან? – ჰკითხა ნიკამ.

– შენ თვითონ მოისმინე, – უპასუხა ნანამ და მობილური გაუწოდა, – შეშინებული ვიყავი, დაბნეულიც, მაგრამ, მაინც მივხვდი, რომ შენთვის საინტერესო იქნებოდა ამის მოსმენა. მესამე დარეკვისას ტელეფონი არ გავუთიშე და ყველაფერი ჩავიწერე, რაც მან თქვა.

ნიკამ მობილური ჩამოართვა, მენიუში საჭირო განყოფილება მოძებნა და ჩანაწერი ჩართო.

მობილურიდან მამაკაცის ჩახლეჩილი ხმა გაისმა:

– ნუ მაღიზიანებ, ნანა. ამას მხოლოდ შენთვის ვაკეთებ. თუ კიდევ ერთხელ გამითიშავ ტელეფონს, პირობას გაძლევ, მომდევნო დილას ველარ მოესწრები – ამაღამვე გაგამწესებ საიქიოში!...

– რა გნებავთ?

– უკვე გითხარი და კიდევ გიმეორებ: ნუ იქექები ამ საქმეში. დაითხოვე შენი დეტექტივი და ყველაფერი კარგად იქნება. თუ არ შეისმენ, უეჭველად მოგიწევს შენს ქმართან გამგზავრება. გითხრა, როგორ მოხდება ეს?! გზაჯვარედინზე მანქანა დაგეჯახება... ან კიდევ, სადარბაზოდან გამოსულს დაგახლიან ტყვიას... შეიძლება, დაქვრივებულმა და ცხოვრებით თავმობეზრებულმა, სიცოცხლე ფანჯრიდან გადახტომით დაასრულო... შენ რომელი გირჩევნია? – ავად ჩაიხითხითა უცნობმა, – კარგად გაიგე, რაც გითხარი?

– გავიგე... – ყრუდ ჩაილაპარაკა ნანამ.

– ჰოდა, თუ გაიგე, ხვალვე დაუკავშირდი გურულს და ხელშეკრულება გააუქმე – ეს ხომ ძალიან მარტივია. გააკეთებ იმას, რასაც გეუბნები და იცოცხლებ; არ გააკეთებ და... მოკლედ, თვითონაც ხვდები, რაც მოხდება!... ეს ბოლო გაფრთხილებაა. მე აღარ დაგირეკავ. თუ გურულმა საქმის ქექვა განაგრძო, ჩათვალე, რომ მკვდარი ხარ!...

– და, რა გადაწყვიტე ამის შემდეგ? – ნანას მიუბრუნდა ნიკა, როგორც კი ჩანაწერი შეწყდა.

– არც კი ვიცი, რა გითხრა, – მზერა აარიდა ქალმა, – ეს იმდენად აუტანელია, რომ... ამის შემდეგ სახლიდან გასვლასაც ვერ გავბედავ. მაგრამ, როდემდე ვიცხოვრებ განდეგილივით?.. არ ვიცი, როგორ მოახერხეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მათ მოკლეს ანდრო. მათ შეწირა ვაჟაც და, ალბათ, ჩემამდე მოღწევასაც შეძლებენ.

– შენ მართლა ფიქრობ ხელშეკრულების გაუქმებაზე? – მოიღრუბლა ნიკა.

– არ ვიცი... – ნანამ პაუზა გააკეთა და ყოყმანით განაგრძო, – მხოლოდ ამ მუქარაშიც არ არის საქმე.

– აბა, რაშია?

– მე... მე ფული აღარ მაქვს, – ნანამ სახეზე აიფარა ხელები, – დღეს შეტყობინება მივიღე ბანკიდან – ანგარიში, რომელზეც დანაზოგს ვინახავდი, დააყადაღეს. მე ველარაფერს გადაგიხდი. მაპატიე...

– გულწრფელად მითხარი, რა უფრო გაღელვებს – ეს მუქარა თუ ის, რომ ანგარიში დაგიყადაღეს და ფულს ვერ გადამიხდი?

– ერთი მეორეს დაემატა, მეორეს მესამე და... – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ნანამ.

– მე გთხოვე, გულწრფელად გეპასუხა! ნუ ვისაუბრებთ როგორც დამქირავებელი და დაქირავებული. მე შენთან ისე მოვედი, როგორც მეგობარი!

– მესმის, ნიკა. მაგრამ, შენც უნდა გამიგო. ჩემს ნაცნობებს შორის არ მეგულება ადამიანი, რომელიც იმ არაკაცისგან ჩემს დაცვას შეძლებს. მაგრამ, ისიც არ მინდა, ჩემ გამო თავი საფრთხეში ჩაიგდო და თანაც ამაში არაფერი მიიღო. არა, მე ასე არ შემიძლია. მირჩევნია, ისე მოვიქცე, როგორც ყოველთვის ვიქცეოდი.

– როგორ იქცეოდი ყოველთვის?

– ვჩუმდებოდი და ყველაფერს ბედისწერას ვანდობდი, – უპასუხა ნანამ.

– „მოსახდენი მაინც მოხდება“, – ესაა შენი დევიზი? – ჰკითხა ნიკამ.

– ასეც შეიძლება ითქვას.

– და, ამართლებდა?

– ყოველ შემთხვევაში, სხვა ადამიანისთვის ვნება არასდროს მოუტანია, – ამოიოხრა ნანამ.

– ამჯერად მოუტანს! – ცივად შენიშნა ნიკამ.

– რას გულისხმობ? – შიშით გახედა ნანამ.

– როგორ გგონია, შეურიგდებიან შენი მშობლები წყნეთის აგარაკის დაკარგვას – იმ აგარაკის, რომელსაც ისინი წლების განმავლობაში აშენებდნენ?! – ჰკითხა ნიკამ.

– შევეცდები, ყველაფერი ავუხსნა.

– „შევეცდები“ არ ნიშნავს იმას, რომ აუხსნი!

– შენ რას მთავაზობ?.. როგორ მოვიქცე? – გაუბედავად ჰკითხა ნანამ.

– როგორ გადაწყვეტილებას მიიღებ, რომ გითხრა: ორივე პრობლემას მოვაგვარებ-მეთქი?

– კი მაგრამ, როგორ? – გაოცებული მზერა ესროლა ნანამ.

– რაც შეეხება ჰონორარს. ეს ყველაფერი უკვე ჩემს პირად საქმედ მიმაჩნია. იმ საქმეში კი, რომლითაც პირადად ვინტერესდები, ფულს არავისგან მივიღებ; თანაც, შენ ანგარიშის დაყადაღება არც უნდა გაშინებდეს. როდესაც ყველაფერი გაირკვევა, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და სესხის ვალდებულება და ყადაღა ერთად მოიხსნება. ის არაკაცი თუ არაკაცები კი იქ წავლენ, სადაც აქამდე უნდა გამოემწყვდიათ. მანამდე კი შენს უსაფრთხოებაზე მე ვიზრუნებ. ნუ გეშინია, ეს



დიდხანს აღარ გაგრძელდება. მუქარა იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი ნერვიულობენ. ჩანს, მტკივნეულ ადგილზე დავაბიჯე ფეხი.

– მესმის, მაგრამ...

– რა – „მაგრამ“? – ჩაეკია ნიკა.

– არ მინდა, რომ ჩემ გამო რამე შეგემთხვეს, – ყრუდ ჩაილაპარაკა ნანამ.

– ეს ჩემი პროფესიაა, ნანა. არა აქვს მნიშვნელობა, ვის საქმეზე ვიმუშავებ, ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც, ვისაც ჩემი საქმიანობა არ მოეწონება. ასე რომ, საგანგაშო არაფერია. ახლა ისევ ხელშეკრულების შეწყვეტაზე თუ დაიწყებ ლაპარაკს, ჩავთვლი, რომ, უბრალოდ, არ მენდობი და ჩემი იმედი არ გაქვს.

– რომ არ გენდობოდე, არც დაგირეკავდი, – უპასუხა ნანამ.

– ესე იგი, ხელშეკრულება ძალაში რჩება? – ჰკითხა ნიკამ.

– რჩება...

– კეთილი... ახლა მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ, – განაგრძო ნიკამ, – რატომ ხარ მარტო?

– ჩვენ სოფელში სახლი და მოზრდილი ბაღი გვაქვს. მამას უყვარს იქ ყოფნა და დედასთან ერთად ერთი კვირით გაემგზავრა სოფელში. ჩემი მარტო დატოვება არ უნდოდათ, მაგრამ, შენ ჩემს საქმეზე მუშაობ და მე ვერანაირად ვერ გავყვებოდი მშობლებს.

– პრინციპში, უკეთესიცაა, ისინი აქ რომ არ არიან.

– მეც ასე მგონია, – დაეთანხმა ნანა, – ვგრძნობ, რომ არ მაქვს მათთვის ყველაფრის ახსნის ძალა.

ნიკა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა.

– ჩემთან უნდა წამოხვიდე.

– სად? – დაიბნა ნანა.

– ვიდრე ვითარება გაირკვევა, ჩემს ბინაში იცხოვრებ, – უპასუხა ნიკამ.

– გამორიცხულია! – სწრაფად თქვა ნანამ.

– რატომ, რა არის ამაში უცნაური?

– და, რაა ამაში ნორმალური?! – აღშფოთდა ნანა, – მე ისიც ვერ მომინელებია, რაშიც მადანაშაულებენ ანდროს ოჯახის წევრები და ახლობლები. შენ თვითონ თქვი, რა აზრი შეგექმნება ახალდაქვრივებულ ქალზე, რომელიც უცხო მამაკაცის ბინაში ცხოვრობს?

– მე ძალიან მარტივად ვწყვეტ ასეთ საკითხებს – ვაკეთებ იმას, რაც საჭიროდ მიმაჩნია და საერთოდ არ მაინტერესებს ვიღაც უსაქმურების აზრი – შენც იმავეს გირჩევ! უპასუხა ნიკამ.

– მე არ ვწყვეტ ასე!

– კეთილი, მაშინ, მე დავრჩები შენთან.

– არა, არა, ეს შეუძლებელია!

– ნანა, ვითარება არჩევნის საშუალებას არ გვაძლევს. მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ შენ არაფერი გემუქრება, სხვანაირად საქმეზე ვერ ვიმუშავებ. ჩემს ბინაში უსაფრთხოდ იქნები, სახლიდან ყოველთვის ერთად გამოვალთ. თანაც, ეს მხოლოდ საქმეს არ ეხება. მე გამოგყვები ყველგან, სადაც შენ მოინდომებ. ბინის გარეთ მუდამ შენ გვერდით ვიქნები, – ნიკამ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: – გთხოვ, ნუღარ გავაგრძელებთ ამ საუბარს. ისედაც მძიმე დღე მქონდა და, ახლა აქ რომ მოვსულიყავი, ისეთი ადამიანი დავტოვე მარტო, ვისთან ერთადაც მართლა ძალიან მინდოდა ყოფნა.

ნანამ სწრაფად გახედა ნიკას და ჩაილაპარაკა:

– კარგი, გამოგყვები. შენ გენდობი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## პოლიტიკაში დაბრუნებული პორნოვარსკვლავი სექსუალურ უფლებებს დაიცავს და მხარს დაუჭერს მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზებას

წარსულში ცნობილი პორნოვარსკვლავი ილონა შტალერი, რომელიც უფრო მეტად სცენური ფსევდონიმით არის ცნობილი, იტალიურ პოლიტიკაში ბრუნდება – მაისში ჩიჩოლინა რომის მუნიციპალურ არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

61 წლის ჩიჩოლინა თავის კანდიდატურას იტალიის ლიბერალური პარტიის სახელით წარადგენს. ის აცხადებს, რომ სრულიად იზიარებს პარტიის პოლიტიკურ პროგრამას, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვაში. თუ შტალერი რომის საქალაქო საბჭოში მოხვდება, როგორც თვითონ ამბობს, ეცდება, მიაღწიოს ერთსქესიანი ქორწინების აღიარებას, პროსტიტუციის ლეგალიზებას, „მსუბუქი“ ნარკოტიკების მოხმარების დაშვებას და პატიმართა ღირსების დაცვას.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა ჩიჩოლინასთვის პირველი არ არის. ჯერ კიდევ 1979 წელს, პორნოფილმებში გადაღების პარალელურად, ის პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა იტალიის „მწვანეთა პარტიის“ შემადგენლობაში. მოგვიანებით შტალერი „რადიკალურ პარტიაში“ გადავიდა, საიდანაც 1987 წელს პარლამენტში აირჩიეს. იქ ჩიჩოლინა 1992 წლამდე იყო და 12-ზე მეტი კანონპროექტი მოამზადა, თუმცა, ერთი მათგანი არ მიიღეს. ილონა ციხეებში თავისუფალი ურთიერთობების დამცველად გამოდიოდა და წინადადებაც წამოაყენა, შეექმნათ „სიყვარულის ოტელები“. 1991 წელს კი შექმნა საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია – „სიყვარულის პარტია“.

პორნოვარსკვლავი მსოფლიოს დაამახსოვრდა, როგორც მშვიდობის დამცველი. სხვადასხვა დროს ის იასირ არაფატს, სადამ ჰუსეინსა და უსამა ბინ ლადენს სთავაზობდა, მასთან სიყვარულის სანაცვლოდ, უარი ეთქვათ ომზე. თუმცა, სამივე მამაკაცი ისე წავიდა ამქვეყნიდან, ეს შეთავაზება ვერ გამოიყენა.

2002 წელს შტალერმა ძალები ჩრდილოიტალიურ ქალაქ მონცის კომუნალურ არჩევნებში მოსინჯა, შემდეგ კი უშედეგოდ სცადა, მშობლიური უნგრეთის პარლამენტის დეპუტატი გამხდარიყო. არც ისე დიდი ხნის წინ მან განაცხადა „ოპტიმისტ-ფუტურისტების“ პარტიის შესახებ. გასულ წელს ჩიჩოლინა ქალაქ მონცის მერად აპირებდა თავისი კანდიდატურის წამოყენებას, მაგრამ ბოლოს რომი აირჩია.

2011 წელს, პენსიონერის ასაკს მიღწეულმა შტალერმა, როგორც იტალიის სახელმწიფო მოღვაწემ, მოითხოვა პენსია 40 ათასი ევროს რაოდენობით და, დარწმუნებული იყო, რომ, გარდა პენსიისა, მას ეკუთვნოდა გარკვეული პრივილეგიები: მუდმივი უფასო მგზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ერთჯერადად – თვითმფრინავითა და მატარებლით.

ილონა შტალერი 1951 წელს დაიბადა ბუდაპეშტში, მაგრამ, კარიერა იტალიურ პორნობიზნესში გაიკეთა, სადაც 1972 წელს მოქალაქეობაც მიიღო, 1991 წელს ცოლად გაჰყვა ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად ამერიკელ მხატვარს, სკულპტორ-ავანგარდისტ ჯეფ კუნსს, ვისგანაც ვაჟი – ლუდვიგი შეეძინა. მცირეხნიანი ქორწინების დარღვევის შემდეგ, შვილი ამერიკიდან იტალიაში წამოიყვანა, რის გამოც ქმართან მრავალწლიანი დავა ჰქონდა.

## ზარმაცი და ცელქი... უნივერსიტეტის პედაგოგი

ამერიკის ქალაქ პიტსბურგის უნივერსიტეტის პედაგოგმა პოლიციაში დარეკა, რომ თითქოს სასწავლო შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული. ეს ნაბიჯი კი იმის გამო გადადგა, რომ საშინლად ეზარებოდა მეცადინეობის ჩატარება.

ნენსი ბრაუნი, როგორც თავად აღიარა, იტანჯება შფოთვის შეტევებით, დეპრესიითა და ნევროზით. მდგომარეობა კი მას შემდეგ გაუუარესდა, რაც უფულობის გამო აუცილებელი წამლების მიღება შეწყვიტა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს, მეცადინეობა რომ არ ჩაეტარებინა, საჭირო იყო მიზეზი. ასაფეთქებლის ვერსია კი იმ იმედით მოიგონა, რომ სამართალდამცავი ორგანოები შენობის დაცლის გადაწყვეტილებას მიიღებდნენ და მეცადინეობა ჩაიშლებოდა. თუმცა, ევაკუაცია არ მოხდა. მაშინ ბრაუნმა თვითნებურად გადადო ლექციები იმ მოტივით, რომ საშიშროება არსებობდა.

„ცელქ“ პედაგოგს ეშმაკობას მიუხვდნენ. მართალია, არ დაუკავებიათ, მაგრამ, სასამართლოს წინაშე ის მაინც წარდგება.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

**ეს უსაყვარლესი, ბუთქუჩა, კეთილი და მოფერებისთვის დაბადებული 11 წლის ბიჭი, ირაკლი ინწკირველი, საქართველოს სახელით მიემგზავრება იურმალაში საბავშვო „ახალ ტალღაზე.“ შიდა შესარჩევ კონკურსზე მან გულწრფელი აპლოდისმენტები დაიმსახურა ჟიურის წევრებისგანაც, მაყურებლისგანაც და რამდენიმე მონაწილეს შორის სწორედ ის შეირჩა. ირაკლი რუსეთში ცხოვრობს. მართალია, იქ დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ, ინტერვიუ ქართულ ენაზე ჩავწერეთ, რომელსაც განსაკუთრებული ხიბლი მისმა გურულმა აქცენტმა შესძინა. ირაკლიმ რუსულ-გურულად მიამბო, თუ როგორ ცხოვრობს პატარა ქალაქ კარალოვაში და როგორ ემზადება საბავშვო კონკურსისთვის.**

# ვისთან ჩხუბის გამო დარჩა სახეზე ნაიარევი პატარა ირაკლი ინწკირველს და როგორ მოხიბლა მან „იურმალის“ ჟიური

**ირაკლი ინწკირველი:** მე ვარ ირაკლი ინწკირველი, 11 წლის. ამჟამად მოსკოვში ვცხოვრობ, დედასთან, მამასთან და ძმებთან ერთად. ძირითადად, პატარა ქალაქ კარალოვაში ვცხოვრობთ. მყავს ბევრი მეგობარი, ვერთობით, სხვადასხვა თამაშს ვთამაშობთ. ახლა მოსკოვში ვარ, სახლში მარტო ვრჩები, რადგან, მშობლები და ძმები სამსახურებში არიან.

**– რატომ წავიდნენ მშობლები საქართველოდან?**

– იმისთვის, რომ ჩვენი უზრუნველყოფა შეძლებოდათ, ნორმალურად გვეცხოვრა, სირთულეების გარეშე.

**– ცელქი ბიჭი ხარ, მხიარული?**

– კი, ორივე. თუმცა, სერიოზულიც ვარ ხოლმე. რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა ბავშვი, მეც ვცელქობ, სხვანაირად როგორ იქნება.

**– სახეზე ნაიარევი რატომ გაქვს?**

– ბიჭებთან წავიჩხუბე ცოტა და იმიტომ. მაინც არის ქართველების მიმართ ცოტა აგრესიული დამოკიდებულება, მაგრამ, ყველა ასეთი არ არის. აუ, შენ ქართველი ხარ, წადი აქედანო, – არ გეუბნებიან. არიან ბიჭებიც და გოგოებიც, რომლებიც თბილად მიგიღებენ, თბილ სიტყვებს გეტყვიან. მაგრამ, ზოგი ისეთიც არის, რომ ქართველობის გამო ცუდად გექცევა და გეჩხუბება. ჰოდა, ერთხელ ამის გამო ვიჩხუბე და დამრჩა ნაიარევი.



სულ ვახარებ და ჩუმად სიურპრიზებს ვუკეთებ ხოლმე, არ მინდა, ყველამ გაიგოს რომ მიყვარს

**– ქართულად ასე კარგად როგორ ლაპარაკობ?**

– დედა და მამა სახლში მელაპარაკებიან და მასწავლიან ხოლმე, მაგრამ, წერა-კითხვა არ ვიცი. დიდად არც მინდა ვიცოდე, რადგან, არ მინდა საქართველოში ცხოვრება, მოსკოვში მინდა ვიყო. ძირითადად, კარალოვაში ვცხოვრობ, მაგრამ, მოსკოვში მირჩევნია.

**– ვინ აღმოაჩინა, რომ კარგი ვოკალური მონაცემები გქონდა?**

– ეს ძალიან სასაცილო ისტორიაა. პატარა ვიყავი, ექვსი წლის და ეს ამბავი ფრაგმენტებად მახსოვს. მამამ წამიყვანა „რუსეთში ქართველთა კავშირის“ ერთ-ერთ დარბაზში და ჩამწერა ცეკვის წრეზე. მამამ ჩემს მასწავლებელს, მაია ბალანჩივაძეს, უთხრა, იქნებ შეამოწმოთ, აქვს თუ არა სმენაო. მასწავლებელმა აიღო რაღაც ნოტები და მთხოვა, გაიმეორეო. რაც დამავალა, ყველაფერი გავაკეთე და უცებ მითხრა, არაჩვეულებრივი სმენა და ხმა გაქვს, უნდა იმღეროო. მოკლედ, ყველა ძალიან გახარებული იყო, რომ ხმა და სმენა აღმომაჩნდა და უცებ ვთქვი: „რეპი მინდა მე!“ ***(იცინის).*** გაგიჟდნენ. უკვე 10-11 წლის რომ გავხდი, ყველა დამცინოდა ამის გამო, სულ მახსენებდნენ, როგორ გამოვაცხადე, რეპის სიმღერა მინდა-მეთქი.

**– ცეკვაზე სიარული განაგრძე?**

– ცოტა ხნის წინ დავანებე თავი, რადგან, სამსაათიანი რეპეტიციების შემდეგ ყინვაში გარეთ რომ გამოვდიოდი, ძალიან ადვილად ვცივდებოდი და ეს არ შეიძლებოდა. სიმღერა თავიდანვე ძალიან სერიოზულად დავიწყე. სულ უფრო და უფრო შემიყვარდა სიმღერა. მამამ გადაწყვიტა, რომ „ვოისზე“ გამოეგზავნა „სილკები“. აქ ჯერ არ არის დაწყებული ეს პროექტი და, რომ დაიწყება, აუცილებლად გავალ. ქასთინგი გავიარე და „ბრმა ქასთინგზე“ არც ერთი მწვრთნელი არ მობრუნდა.

**– რაღაც გაუგებრობა მოხდა, რამაც, ალბათ, საშინლად დაგწყვიტა გული.**

– კი, მართლა ძალიან მეწყინა. იცით, არც ვფიქრობდი და არც ველოდი გავიმარჯვებდი თუ დავმარცხდებოდი, უბრალოდ, ძალიან მეწყინა, რომ პროექტიდან გამოვვარდი. ძაან-ძაან ნაწყენი ვიყავი. იმ პერიოდში გიგა კუხიანიძესთან დავდიოდი და მან მითხრა უფრო კარგი იქნება, „იურმალის“ შიდა შესარჩევ კონკურსზე თუ გახვალო. „ვოისზე“ ზურგით სხედან და მხოლოდ შენი ხმა ესმით. ძალიან მაგარი ხმა გაქვს, მაგრამ, ტიპაჟი ხარ უფრო მაგარი და, სადაც ამას ერთიანობაში ხედავენ, იქ გადიო. ხმასთან ერთად, ჟიურის სჭირდება ტიპაჟი, შოუ, რომელსაც სცენაზე შენ აუცილებლად დადგამო. ეს ტიპაჟი, ზრდილობა, თბილი კონტაქტი, ბავშვური თავმოყვარეობა – არც ერთ ბაღანაში, უფრო სწორად, ბავშვში არ დამინახავს და აუცილებლად მიიღე მონაწილეობაო.

**– ანუ, დაგითანხმეს „იურმალის“ ქასთინგზე მონაწილეობის მისაღებად.**

– მანამდე ორი თვე საქართველოში ვიყავი. „ვოისიდან“ გამოვვარდი თუ არა, იმ დღესვე მივედი გიგა კუხიანიძესთან, ეს მითხრა და გავედი „იურმალის“ შიდა შესარჩევზე. უცებ მოხდა ყველაფერი. გავედი, ვიმღერე და ამიყვანეს.

**– ახლა რა ხდება, ვინ იქნება შენი პროდიუსერი, ვინ გამზადებს?**

– ახლა რუსეთში ვემზადები, ჩემს მასწავლებელთან. აგვისტოში უნდა წავიდე იურმალაში, მანამდე კი, 21 აპრილს, მივიდე, რომ ჩემი რეპერტუარიდან სიმღერები აარჩიონ. იმის გამო, რომ საქართველოს სახელით გამოვდივარ, ქართული სიმღერაც უნდა შევასრულო და ესეც ასარჩევია.

**– გურული კილოთი საიდან ლაპარაკობ?**

– დედაც და მამაც გურულები არიან და, როცა ზაფხულობით საქართველოში ჩამოვდივართ, ოზურგეთში მივდივარ, ჩვენს სოფელში, ვაკიჯვარში და ქართულს იქ ვსწავლობ. იქ გურული კილოთი ლაპარაკობენ.

**– მოგწონს სოფელში ყოფნა?**

– არა. არაფერი იქ არ არის, არანაირი გასართობი, მარტო ტყე და ტელევიზორი. თუკი რაიმე გასართობია, აიპედი ან რაღაც ეგეთი, ყველაფერი ჩამომაქვს რომ გავერთო. ზაფხულობით ჯერ დეიდაჩემთან ვარ ხოლმე ცოტა ხანს თბილისში და მერე – სოფელში.

**– შეყვარებული გყავს?**

– კი და ჩემი დიდი გულშემატკივარია.

**– რა ჰქვია შენს შეყვარებულს?**

– ეს „სეკრეტია“ ***(იცინის).*** მას ძალიან მოსწონს რომ ვღმერი და ამდენ პროექტში ვმონაწილეობ, მაგრამ, მას არ ვუმღერი ხოლმე. ისე, სულ ვახარებ და ჩუმად სიურპრიზებს ვუკეთებ. არ მინდა, ყველამ გაიგოს, რომ მიყვარს.

**ეს ტიპაჟი, ზრდილობა, თბილი კონტაქტი, ბავშური თავმოყვარეობა – არც ერთ ბაღანაში, უფრო სწორად, ბავშვში არ დამინახავს და აუცილებლად მიიღე მონაწილეობაო**

**– მარტო ხშირად რჩები?**

– საკმაოდ. მშობლები და ძმები რომ სამსახურში არიან, ყველაფერს მარტო ვაკეთებ: ვჭამ, გასართობად გავდივარ მეგობრებთან, ვმეცადინეობ. მოკლედ, ყველა მუშაობს, მე კი ვერთობი და ვმღერი. მამას სტუმრები რომ ჰყავს ხოლმე, მამღერებენ და ეს ძალიან მომწონს. იმედია, „იურმალაზე“ კარგად ვიმღერებ და ხალხს მოეწონება.

**სალომე გველესიანი**



## ბესტსელერების ავტორი ევგენი კოვტუნი – თბილისში

2013 წლის 13 აპრილს სამორინეში „შანგრი ლა თბილისი“ გაიმართა სამტომეული გამოცემის – „აზარტი საბჭოთა ქვეყნებში“ – პრეზენტაცია. სპეციალურად პრეზენტაციისთვის სამორინემ სახელგანთქმულ მწერალს – ევგენი კოვტუნს უმასპინძლა. ევგენი კოვტუნი აზარტული თამაშებისა და ლატარიების სფეროში სახელმწიფო რეგულირების დარგის ცნობილი ექსპერტია.

წიგნში საუბარია აზარტულ თამაშებსა და ლატარიებზე, ასევე, სათამაშო კარტების წარმოების ისტორიაზე. კოვტუნის ნაშრომი სამ ტომად გამოვიდა: „აზარტული თამაშები“, „ლატარიები“ და „სახელმწიფო საბანკო მონოპოლია“. წიგნის დაწერისას ავტორმა ხუთი ათასზე მეტი საარქივო მასალა შეისწავლა, გაეცნო ათასზე მეტ ცენტრალურ გაზეთს და შეარჩია ექვსასზე მეტი ილუსტრაცია. სამტომეულში ამომწურავად არის აღწერილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში აზარტული თამაშების განვითარების ისტორია 1917 წლიდან მის დაშლამდე, ანუ, 1991 წლამდე. როგორც კოვტუნმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი წიგნები მრავალ ენაზეა თარგმნილი და ყველგან უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

სამტომეულის – „აზარტი საბჭოეთის ქვეყნებში“ – შეძენა შესაძლებელია ინტერნეტ-მაღაზიის – „ამაზონ.კომ-ის“ მეშვეობით. სამტომეულის რამდენიმე ეგზემპლარს კი სამორინე „შანგრი ლა თბილისი“ საჩუქრად გადასცემს ქალაქის ბიბლიოთეკას.

## „ოთხი მეგობრის თვალით დანახული სამყარო“

17 აპრილს ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში ძალიან საინტერესო და ორიგინალური გამოფენა გაიმართა, სახელწოდებით „ოთხი მეგობრის თვალით დანახული სამყარო“, სადაც ოთხმა მეგობარმა „პოპ-არტით“ აჩვენა დამთვალიერებელს სამყაროს მათეული ხედვა. ერთ სივრცეში გამოიფინა ქალბატონების: ირინა ჯანელიძის, ნანა მეტიკაშვილის, ქეთი შარაბიძისა და მარიკა მუჟირის ერთობლივი ნამუშევრები. შემოქმედებმა გამოფენა სპეციალურად დაამთხვიეს ელენე ახვლედიანის 115 წლისთავს, რომელიც 18 აპრილს შესრულდა. „ქალბატონ ელენეს უყვარდა ახალგაზრდა შემოქმედები, სიახლეებთან გაზიარება და ჩვენც სწორედ ამ სივრცეში გამოვიტანეთ ჩვენი ნახატები. ეს არის ვიზუალური ხელოვნება და ნამუშევრები ჩვენს შინაგან განწყობას გადმოსცემს. სურათებს შინაარსობრივი დატვირთვა მივეცით. თუ რა გამოგვივიდა, ამას უკვე ხალხი შეაფასებს,“ –ამბობს ნამუშევრების ერთ-ერთი ავტორი ქეთი შარაბიძე.




საღამოს განსაკუთრებული ელფერი შესძინა კლასიკურმა მუსიკამ, რომელიც „პოპ-არტის“ სტილში, ქალური სინაზით შესრულებული ნახატების აღქმას მეტ ჰარმონიას ანიჭებდა. ოთხმა მეგობარმა თბილისის და არა მხოლოდ თბილისის კულტურული დაწესებულებებიდან გამოფენის გაკეთების მიწვევებიც მიიღო.

## Red Bull BC One 2013 – ბრეიქდანსის ყველაზე პრესტიჟული ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი თბილისში გაიმართება!

თბილისში, ტელევიზიის მესამე პავილიონის შენობაში, ბრეიქდანსის ყველაზე პრესტიჟული ჩემპიონატის – Red Bull BC One 2013-ის ამიერკავკასიის ოფიციალური შესარჩევი ტური გაიმართება. შეჯიბრებებში 16 ბი-ბოი (5 ქართველი, 5 სომეხი და 6 აზერბაიჯანელი) შეხვდება ერთმანეთს; ერთი-ერთზე ორთაბრძოლების შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული, რომელიც შემდეგ საკვალიფიკაციო ეტაპზე კიევში გაემგზავრება; საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვების შემთხვევაში კი – სეულში, Red Bull BC One 2013-ის მსოფლიო ფინალზე. შეჯიბრების მსაჯები იქნებიან: მუნირი საფრანგეთიდან – მოქმედი ჩემპიონი, Red Bull BC One 2012-ის გამარჯვებული, რონი ამერიკის შეერთებული შტატებიდან – Red Bull BC One All Stars-ის წევრი და სლავი ბულგარეთიდან – 2012 წლის აღმოსავლეთ ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული. ღონისძიებას მუსიკალურად გააფორმებს DJ Ciga, ხოლო წამყვანი იქნება MC Samori. თუ ვის აღმოაჩნდა 16 მონაწილიდან საკმარისი ენერგია, გამძლეობა, რკინის ნერვები, თვითრწმენა და მოძრაობების ამოუწურავი არსენალი იმისთვის, რომ გამხდარიყო ამიერკავკასიის შესარჩევი ეტაპის გამარჯვებული და ვის მიეცა რეალური შანსი, გამოავლინოს თავისი ნიჭი და შესაძლებლობები პლანეტის საუკეთესო ბრეიქდანსერებთან ერთად სეულში, სამხრეთ კორეაში Red Bull BC One 2013-ის მსოფლიო ფინალში, ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში გაგაცნობთ. 2013 წლის ფინალი ჩემპიონატისათვის საიუბილეო იქნება – წელს Red Bull BC One 10 წლის ხდება.



## ნიკა ცქიტიშვილი მეორე ქალიშვილის მამა გახდა

16 აპრილს, ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში, კალათბურთელ ნიკა ცქიტიშვილს მეორე შვილი შეეძინა. ინფორმაცია ამის შესახებ ნიკას დასთან, ნინო ცქიტიშვილთან გადავამოწმეთ, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ბეირუთის ერთ-ერთ კლინიკაში პატარა ელენე დაიბადა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, პატარა ელენე ავტომატურად არ იღებს მოქალაქეობას, რადგან ლიბანში განსხვავებული ბიუროკრატიული სისტემაა. წყვილის პირველი შვილი, ლიზი, სექტემბერში 3 წლის ხდება.



**ნინო ცქიტიშვილი**: „ყველაფერმა კარგად ჩაიარა და დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ნიკაც დაესწრო მშობიარობას – სოფოს გვერდით იდგა თავიდან ბოლომდე. როგორც მითხრეს, ლიზიმ ახალშობილის მიმართ ეჭვიანობა დაიწყო, თუმცა, ეს ნორმალურია და, ალბათ, მალე გაუვლის.“

ვულოცავთ ნიკას და სოფოს პატარა ანგელოზის შეძენას, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

## ამიკო ჩოხარაძე მამა გახდა



იუმორისტი ამიკო ჩოხარაძე მეორე შვილის მამა გახდა. მისმა მეუღლემ, ანა ონიანმა, 16 აპრილს ფიზიოლოგიურად იმშობიარა გაგუას სახელობის კლინიკაში. პატარა ქალბატონი 3 კილოგრამი და 100 გრამი და 49 სანტიმეტრი დაიბადა. როგორც ამიკომ გვითხრა, მშობიარობამ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, ყოველგვარი გართულებების გარეშე და დედა-შვილი თავს მშვენივრად გრძნობს. უფროსი შვილი 2 წლისაა და მას საბა ჰქვია, გოგონას საკმაოდ უცხო სახელი – ემილი დაარქვეს. როგორც მამიკომ გვითხრა, იმ დღიდან მოყოლებული, ამ ამბავს აღნიშნავს და ქრონიკულად ნაბახუსევია.

**ამიკო**: „16 აპრილიდან სულ ვქეიფობ, თავი მაქვს უკვე გასიებული ***(იცინის)***. მშობიარობას არ დავესწრებივარ არც ერთი შვილის დაბადებისას. რაც შეეხება სახელს, ეს არავის სახელი არ არის, უბრალოდ, მე და ჩემმა ცოლმა შევარჩიეთ და ორივეს ძალიან მოგვეწონა.“ ჟურნალი „თბილისელები“ ულოცავს წყვილს ქალიშვილის შეძენას და ყველაფერ საუკეთესოს უსურვებს ახალგაზრდა ოჯახს.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# რომელი ცნობილი დიზაინერები და კოსმეტიკის მწარმოებელი კომპანიების მფლობელები მოხვდებიან „ფორბსის" 2013 წლის მილიარდერების რეიტინგში

*2013 წლის მილიარდერების რეიტინგს ჟურნალი „ფორბსი" საზოგადოებას მარტში წარუდგენს. უკვე ცნობილია, რომ მასში დაჯავშნილი აქვთ ადგილი რეიტინგის ახალ სახეებს, მოდის სამყაროს წარმომადგენლებს, რომელთა კაპიტალმა, გასული წლის მონაცემებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და ამჟამად ისინი მილიარდერთა რეიტინგის სრულუფლებიან წევრებად მიიჩნევიან.*

**ბრი როშე – 3 მილიარდი დოლარი**

ცნობილი ფრანგული კოსმეტიკური კომპანიის „ივ როშეს" დამფუძნებლის, ივ როშეს რვა შვილიშვილიდან უფროსი – 35 წლის ბრი როშე 2012 წელს განხორციელებული წარმატებული პროექტებით, „ფორბსის" 2013 წლის გამოცემის მილიარდერთა რეიტინგში მოხვდება. „ლორეალის" შემდეგ „როშე" მეორე კომპანიაა საფრანგეთში, რომლის აქტივების ფასი 3 მილიარდ ამერიკულ დოლარს გასცდა. ბრი როშე ამჟამად კომპანიის აქციების 96 პროცენტს ფლობს. 2013 წლიდან კომპანია ჩინურ ბაზარზე შესვლას და მის ათვისებას აპირებს, რაც კიდევ უფრო გაზრდის აქტივებს. საინტერესოა, რომ თავად ბრი როშე ჯაზის მუსიკოსობაზე ოცნებობდა, თუმცა საბოლოოდ, უზარმაზარი კონცერნის მფლობელი გახდა.



**„დიზელი" – 2,5 მილიარდი დოლარი**

ტანსაცმლის პოპულარული ბრენდის, „დიზელის" მფლობელისა და დამაარსებლის, 57 წლის რენცო როსოს „ფორბსის" მილიარდერთა რეიტინგში მოხვედრა, სწორმა მარკეტინგულმა პოლიტიკამ განაპირობა. პროვოკაციულმა სარეკლამო რგოლებმა (მაგალითად, თუ როგორ მისდევს უზარმაზარი „დიზელის" სპორტული ფეხსაცმელი ბორბლებზე უზარმაზარ უკანალს), პრომოებმა ვარსკვლავებთან და სარეკლამო კამპანიებმა „ფიატსა" და „დუკატისთან," „დიზელს" ყველაზე გლამურული და ახალგაზრდული სპორტული ბრენდის სტატუსი მოუპოვა. ფერმერების ოჯახში დაბადებული რენცო როსო 10 წლის ასაკიდან დაინტერესდა ბიზნესით და თავდაპირველად, ბოცვრები მოაშენა, მოგვიანებით იგი მოდის ინდუსტრიით დაინტერესდა და 1970-იანებში პირველი კოლექციები შექმნა. კომპანია „დიზელი" 1978 წელს დააფუძნა. მის ერთპიროვნულ მმართველობაში ჯინსების ბრენდი 1985 წლიდანაა. „დიზელის" გარდა, რენცო როსოს საკუთარი სასტუმრო აქვს მაიამიზე და ცნობისთვის, ის ექვსი შვილის მამაა.



**იუბერ დორნანო – 1,6 მილიარდი დოლარი**

იუბერ დორნანო 1976 წელს ქმნიდა კოსმეტიკის ბრენდ „სისლეის" და ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, რომ 2013 წელს „ფორბსის" მილიარდერთა რიცხვში შევიდოდა. დორნანოს ოჯახმა 1935 წელს მონაწილეობა მიიღო კომპანია „ლანკომის" შექმნაში რომელიც მოგვიანებით, „ლორეალის" სახლის ნაწილი გახდა. ფიტოკოსმეტოლოგიაში წამყვანი კომპანიის მფლობელი იუბერი ოჯახთან ერთად უძღვება კომპანიის მართვას. მისი მეუღლე, იზაბელ დორნანო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტია, ხოლო ვაჟი, ფილიპი – გენერალური დირექტორი.

**„ბულგარი" – 1,5 მილიარდი დოლარი**

ძმები ნიკოლა და პაოლო ბულგარები საიუველირო კომპანია „ბულგარის" დამფუძნებლის შვილიშვილები არიან. ისინი „ფორბსის" ახალ



რეიტინგში, თითოზე 1,5-მილიარდიანი კაპიტალით მოხვდნენ. ფრანგულ კონცერნ LVMH-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, რომელიც, აერთიანებს შემდეგ ცნობილ მარკებს: „ლუი ვიტონი", „ჟივანში" და სხვები, „ბულგარი" 5 მილიარდი დოლარის სანაცვლოდ, ფრანგი მილიარდერის ბერნარ არნოს ფრთის ქვეშ მოექცა. ამით „ბულგარის" მფლობელებმა თავიანთი კაპიტალი გაზარდეს. ამჟამად ძმები ბულგარები ფლობენ LVMH-ის აქციათა 4,8 პროცენტს და მათი კაპიტალი რეიტინგის გამოქვეყნებამდე შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს, რადგან კომპანიის საქმეები 2013 წელს უკეთესობისკენ მიდის.

**„ECCO" – 1,5 მილიარდი დოლარი**

დანიელი ბიზნესმენის, კარლ ტუსბის ქალიშვილი, ჰანი ტუსბი კასპშაკი „ფორბსის" 2013 წლის მილიარდერთა რეიტინგის ახალი სახე იქნება. დანიური ფეხსაცმლის კომპანია ECCO, 1963 წელს კარლ ტუსბმა დააფუძნა და ამჟამად ამ ბრენდის ფეხსაცმელი იყიდება მსოფლიოს 97 ქვეყნის 822 მაღაზიაში, მათ შორის საქართველოშიც. ფეხსაცმლის მარკა, ხარისხის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრენდია მსოფლიოში და მომხარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. 2012 წელს „ფორბსმა" კომპანიის აქტივები 1,5 მილიარდ დოლარად შეაფასა და ამან განაპირობა ჰანის ტუსბი-კასპშაკის მოხვედრა რეიტინგში. ცნობისთვის, ჰანის მეუღლე – დიტერ კასპშაკი ECCO-ს პრეზიდენტია.

**„დოლჩე და გაბანა" – მილიარდი დოლარი**

ის, რომ ცნობილი სამოდელო ბრენდის მფლობელები – დომენიკო დოლჩე და შტეფანო გაბანა მილიარდერები არიან, ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც იტალიაში სასამართლო მოსმენები დაიწყო გადასახადების გადახდის თავის არიდების ფაქტზე. საქმე 2004 წლიდან



იღებს სათავეს და მოდელიერებს ედავება საკუთარი ბრენდის ნაწარმის დაბალ ფასად შეტანას ლუქსემბურგში – თავისივე კომპანიის შვილობილი კომპანიის ბალანსზე. იტალიურმა საგადასახადო სამსახურმა „დოლჩე და გაბანას" 1,5 მილიარდი ევროს გადაუხდელი გადასახადი დაუთვალა. დოკუმენტაციის შესწავლისას „ფორბსმა" დაადგინა, რომ „დოლჩე და გაბანა" სათითაოდ მილიარდ დოლარს ფლობენ და ამგვარად, დიზაინერები ახალი რეიტინგის ახალი სახეები უნდა გახდნენ.

**ტორი ბერჩი – მილიარდი დოლარი**

46 წლის ამერიკელმა ტორი ბერჩმა დიზაინერის კარიერა რალფ ლორანთან თანამშრომლობით დაიწყო და 2004 წელს კი საკუთარი სამოდელო ბრენდი დააფუძნა. კომპანია „ტორი ბერჩი," რომელიც „კლას ლუქსის" ტიპის ტანსაცმელზე სპეციალიზდება, 2009 წელს გახდა ცნობილი ამერიკაში და უკვე შემდგომ, დანარჩენ მსოფლიოში. ბრენდის პოპულარიზებაში ტორის ოპრა უინფრი დაეხმარა, რომელმაც თავის ცნობილ ტელეშოუში დიზაინერს დაუთმო გადაცემის ნაწილი. გარდა ამისა, ბრენდის პოპულარობას ხელი ცნობილმა ამერიკულმა სერიალმა „ჭორიკნებმა" შეუწყო, რომლის მთავარი გმირები ნიუ-იორკის გლამურულ ცხოვრებასა და ტანსაცმლის ბრენდებზე ჭორაობდნენ. 2012 წელი ტორი ბერჩისთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა. დეკემბერში „ფორბსმა" კომპანიის აქტივები 3,25 მილიარდ დოლარად შეაფასა. ტორის წილი კომპანიაში 28,3 პროცენტია, ანუ ზუსტად მილიარდი დოლარი. ამგვარად, ტორი ბერჩი გასულ წელს გახდა მეორე ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ქალი ამერიკაში. პირველ ადგილზე 41 წლის სარა ბლეიკლია, რომელმაც მილიარდიანი კაპიტალი ქვედა თეთრეულის გაყიდვაზე გამოიმუშავა. ერთადერთი უსიამოვნება, რომელიც ტორის 2012 წელს შეემთხვა, ყოფილ მეუღლესთან და კოლეგასთან, კრის ბერჩთან სასამართლო დავა იყო. კრისმა, ასევე, დააფუძნა ტანსაცმლის ბრენდი, რომელიც ტორის მოდელების ასლებია, თუმცა გაცილებით დაბალ ფასად ყიდის.

**უშანგი რუხაძე**

**„მაესტროს” დილის წამყვანი ლევან ჟორჟოლიანი ძალიან საინტერესო და მხიარული რესპონდენტი აღმოჩნდა. ის ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და უკვე საკმაოდ კარგი ჟურნალისტური გამოცდილება აქვს – მან ყველა ჟურნალისტის საოცნებო ტელევიზიაში მოხვედრაც მოასწრო. მან ხალისით გვიამბო, თუ როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა „ბიბისიდან“ და რა თვისებები დაეხმარა წარმატების მიღწევაში.**

# როგორ მოხვდა ლევან ჟორჟოლიანი „ბიბისის“ „ნიუს-რუმში“, რამ აღაფრთოვანა ის და რა მოხდა მის ცხოვრებაში აბსოლუტურად სპონტანურად

– პირველი კურსიდან ვმუშაობ. თავიდან იყო „ინტერნიუსის“ პროექტი – „მედია.ჯი“, რომლის ძირითადი მიმართულება იყო პრობლემური საკითხები მედიაში, სხვადასხვა კვლევა და ასე შემდეგ. მერე გარკვეული პერიოდი ვთანამშრომლობდი სხვადასხვა გამოცემასთან, მათ შორის იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა ფინეთისთვის.“ ჟურნალისტებს ვეხმარებოდი ინფორმაციების მოძიებაში და მათ შორის იყვნენ საერთაშორისო ჟურნალისტებიც; თუმცა, ამას სისტემატიური სახე არ ჰქონია, რადგან, ვსწავლობდი კავკასიის უნივერსიტეტში, სადაც შაბათ-კვირაც კი არ მქონდა თავისუფალი. ძალიან დატვირთული გრაფიკი მქონდა. დავამთავრე კავკასიის მედიის სკოლა. შემდეგ აქტიურად ვიყავი ჩართული მედია-კვლევებში, კერძოდ, წინასაარჩევნოდ თემა იყო ასეთი: რამდენად იყენებდნენ სიძულვილის ენას პოლიტიკური სუბიექტები. საკმაოდ მასშტაბური კვლევა ჩატარდა.

**– ტელეკომპანია „მაესტროში” როგორ მოხვდი?**

– ტელეკომპანია „მაესტროში“ მოვხვდი გადაცემა „ფაკულტეტიდან.“ მოგეხსენებათ, ციხის კადრების შემდეგ სტუდენტთა მასობრივი პროტესტი იყო. იმისათვის, რომ ახალგაზრდებს მისცემოდათ შანსი, ღიად გამოეთქვათ საკუთარი აზრი, „მაესტრომ“ სპონტანურად დაგეგმა გადაცემა „ფაკულტეტი”. პირველად მოვხვდი ამ გადაცემაში. შემდეგ „მაესტროს“ პროდიუსერებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ გაკეთებულიყო დილის გადაცემა და ერთ-ერთ ქასთინგზე მეც მივედი. როგორც აღმოჩნდა, გამიმართლა და ამირჩიეს. ზოგადად, ყოველთვის აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას სხვადასხვა პროექტში, კონკურსში, ერთ-ერთი იყო „ახალგაზრდა კავკასიელ ჟურნალისტთა კურსი”. აფხაზ, ოს, აზერბაიჯანელ და სომეხ ჟურნალისტებთან ერთად ვიყავი მთიან ყარაბაღში, რამაც ძალიან ბევრი გამოცდილება შემძინა. დღეს მხოლოდ გვსმენია, რომ ენგურს გაღმა არსებობს მხარე, რომელიც ჩვენი იყო და არაფერი ვიცით მის შესახებ. ძალიან კარგი შანსი მომეცა, გავსაუბრებოდი აფხაზებს და ოსებს ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ძალიან მაინტერესებს სოციალური საკითხები და კონფლიქტები. არ არის აუცილებელი მაინცდამაინც ომი, „მშვიდობის ჟურნალისტიკა“ რასაც ჰქვია, იმის დიდი მომხრე ვარ.

**– როგორია შენი დილა „მაესტროსთან” ერთად?**

– ჩემი დილა „მაესტროსთან” ერთად ძალიან კარგად იწყება. მიმაჩნია, რომ კარგ რაღაცას ვაკეთებთ. ჩვენი დილა არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს ზოგადად დილა – მრავალფეროვანი თემითა და სტუმრებით. ყველა სეგმენტი იპოვის თავის ნიშას – სწორედ ამაზეა გათვლილი ჩვენი გადაცემა. გვყავს საინტერესო სტუმრები. არის, ასევე, პრესის მიმოხილვა. ყოველ დილით თვალყურს ვადევნებთ ბეჭდურ მედიას, რაც ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია.

**ადრე თუ პირადად არ ვიცნობდი ადამიანს, „ფეისბუქში“ არ მყავდა დამატებული. ახლა უკვე იმდენი „ფეისბუქ-მეგობარი“ მყავს, უმეტესობას არც კი ვიცნობ**

**– შენი აზრით, რა თვისებები დაგეხმარა წარმატების მიღწევაში?**

– ჩემს შემთხვევაში ყველაფერი მოხდა აბსოლუტურად სპონტანურად. ნახევარი წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მოვხვდებოდი ტელევიზიაში. როდესაც გასაუბრებაზე მოვედი, მამუკა ღლონტმა პირველი ის მკითხა, თუ მქონდა სატელევიზიო გამოცდილება. ვუთხარი, რომ გამოცდილება არ მქონდა და მეგონა, გარკვეულ დროს მომცემდნენ მოსამზადებლად, მაგრამ, ასე არ მოხდა და გადაცემა იმ დღესვე ჩავწერეთ. ძალიან ვნერვიულობდი, რადგან, სრულიად გამოუცდელი ვიყავი კამერებთან მუშაობაში. მეგონა, დავიბნეოდი, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც ისე ცუდი იყო.

**– ასეთ სიტუაციებში ხშირად იბნევი ხოლმე, თუ ადვილად ინარჩუნებ სიმშვიდეს?**

– ვერ ვიტყვი, რომ ყოველთვის სიმშვიდეს ვინარჩუნებ, რადგან, ძალიან ბევრჯერ დავბნეულვარ. ჩემს ცხოვრებაში მართლა დაუგეგმავად ხდება ყველაფერი. ეს, ალბათ, იღბალის დამსახურებაცაა, რადგან, ბევრი ადამიანი გამოირჩევა ნიჭიერებით, მაგრამ, არ უმართლებთ ხოლმე. ამ შემთხვევაში ვიტყოდი, რომ ძალიან გამიმართლა. ტელევიზია ის ადგილია, სადაც თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ყოველთვის, როცა ტელევიზიაზე საუბრობდნენ, „ნიუს-რუმი” და, ზოგადად, შიდა სამზარეულო ასე წარმომედგინა: ყვირილი, ხმაური, ხშირად დედის გინებაც, რაც საკმაოდ აპრობირებულია ***(იცინის).*** პირველად, როდესაც მოვხვდი „ბიბისის” „ნიუს-რუმში“ და იყო აბსოლუტური სიჩუმე, ძალიან გამიკვირდა და აღფრთოვანებულმა ვიკითხე, რატომ არის ასეთი სიწყნარე-მეთქი. ერთ-ერთმა პროდიუსერმა მიპასუხა, რომ ჟურნალისტიკა ისედაც სტრესული პროფესიაა და ზედმეტად ხელოვნური გარემოს შექმნა არ არის საჭირო. მართლაც, ყველამ ვიცით ჩვენი საქმე. როდესაც ეთერი მთავრდება, ვგეგმავთ სიუჟეტებს, ვფიქრობთ თემაზე, ვწერთ ხმას. გარკვეულწილად, მეორე დღის გეგმა მუშავდება; რა თქმა უნდა, სტრესული სიტუაციებიც ხშირად არის, მუდამ მობილიზებული უნდა იყო, რადგან, პირდაპირ ეთერში გადიხარ.



**ყოველთვის, როდესაც ტელევიზიაზე საუბრობდნენ, „ნიუს-რუმი” და, ზოგადად, შიდა სამზარეულო, ასე წარმომედგინა: ყვირილი, ხმაური, ხშირად დედის გინებაც, რაც საკმაოდ აპრობირებულია**

**– „ბიბისი” ახსენე. როგორ მოხვდი ყველა ჟურნალისტისთვის საოცნებო ტელევიზიაში?**

– „ბიბისიში“ მოვხვდი პროექტიდან „კავკასიელ ჟურნალისტთა კურსი”. საქართველოდან ვიყავით სამი წარმომადგენელი. იქ მოხვედრა ადვილი ნამდვილად არ ყოფილა: უნდა გაგვეგზავნა ჩვენი მონაცემები, სტატიები, ვიდეოები და წერილი, თუ რატომ გინდოდა მონაწილეობა ამ პროექტში. ეს იყო ტრენინგები. შევისწავლეთ საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ფოტოჟურნალისტიკა და დოკუმენტალისტიკა. გვასწავლიდა „ბიბისის” ერთ-ერთი ტრენერი, რომელსაც აქვს გამოცემული ეთიკის სხვადასხვა სახელმძღვანელო. საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე იქ ყოფნის პერიოდში. სამწუხაროდ, დიდი ხნით არ ვიყავით წასულები, ეს იყო დაახლოებით ერთი კვირა.

**– თუ მოახერხე ჩახედვა „ბიბისის” შიდა სამზარეულოში, რა ხდებოდა „ნიუს-რუმში” ეთერს მიღმა?**

– „ბიბისიში“ მოხვედრა ჩემი ოცნება იყო. ზოგადად ძალიან მიყვარს ბრიტანული კულტურა. „ბიბისის“ საიტზე აქვთ შენობისა და ნიუსრუმის ტური. ასე რომ, იქ ჩასვლამდეც ვიცოდი, როგორი იყო შენობა, „ნიუს-რუმი“. თუმცა, თვალით ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. „ბიგ-ბენის“ დანახვა არ გამხარებია ისე, როგორც „ბიბისიში“ მოხვედრა. როგორც უკვე ვახსენე, სიმშვიდე იყო. ყველას ჰქონდა თავისი საქმე. თავდაცვის მიზნით ტელეფონები დაშიფრული ჰქონდათ და ეს ჩემთვის აღმოჩენა იყო. თუკი უცნობი ნომერი გირეკავს, შეიძლება, „ბიბისიდან“ რეკავდნენ ***(იცინის).***

**– ახლა, რაც შეეხება შენს პირად ცხოვრებას: დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, დრო, ალბათ, დასვენებისთვისაც გრჩება.**

– თავიდან ვწუწუნებდი, რომ თავისუფალი დრო არ მრჩებოდა. ერთხელ, მეგობრებთან ჩამოვთვალე ჩემი დღის რეჟიმი – დილით სამსახურში ვიყავი, მერე სიუჟეტი გავაკეთე, კითხვები დავწერე, შემდეგ კაფეში გავიარე, მერე წიგნი ვიყიდე და ბოლოს დეიდაშვილის ბავშვებთან ვიყავი-მეთქი, მითხრეს, მაგდენს ჩვენ ვერ ვახერხებთო ***(იცინის).*** მე წუწუნით ვყვებოდი, არადა, თურმე სხვები ჩემზე ბევრად დაკავებულები იყვნენ. ასე რომ, ნორმალური გრაფიკი მაქვს და ვერ ვიტყვი, რომ დრო არაფრისთვის მრჩება. დილით შვიდის ნახევარზე გვაკითხავს მძღოლი, შემდეგ საგრიმიოროში შევდივართ. განსაკუთრებით ფხიზლად უნდა იყო, რომ მანიკას და ნინუცას დაასწრო მაკიაჟის სკამზე, თორემ, მერე ძალიან იწელება დრო ***(იცინის).*** საღამოს 5 საათზე უკვე თავისუფალი ვარ. შაბათს ვისვენებ და მთელი დღე სახლში ვარ. კვირის დანარჩენ დღეებში მეგობრებთან ერთად დავდივარ თუნდაც კაფეში, ან კინოში – ყოველთვის ვახერხებ განტვირთვას.

**– ახალგაზრდა, დასაოჯახებელი ბიჭი ხარ, ალბათ, თაყვანისმცემლებიც გეყოლება. როგორ გამოხატავენ შენ მიმართ სიმპათიებს?**

– მას შემდეგ, რაც „მაესტროში“ დავიწყე მუშაობა, „ფეისბუქის“ მეგობრების რაოდენობა ერთიორად გაიზარდა. ხშირად მამატებენ, მწერენ. ადრე თუ პირადად არ ვიცნობდი ადამიანს, „ფეისბუქში“ არ მყავდა დამატებული. ახლა უკვე იმდენი „ფეისბუქ-მეგობარი“ მყავს, უმეტესობას არც კი ვიცნობ.

**ხატია კარანაძე**

**„რუსთავი 2-ზე“ უკვე დაიწყო „საქართველოს ვარსკვლავის“ მეორე სეზონი ახალი ჟიურითა და ახალი მონაწილეებით. ერთ-ერთი მათგანია 20 წლის გვანცა ჯაფარიძე, რომელსაც არაერთი გატაცება აქვს.**

# სად აპირებს გიჟური სურვილების განხორციელებას გვანცა ჯაფარიძე და რა იმედგაცრუებები ჰქონდა მას ცხოვრებაში

**გვანცა ჯაფარიძე**: „სეუში“ ვსწავლობ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. მოდელიც ვარ, თუმცა, დაახლოებით, ორი წელია, რაც ჩემს სააგენტოსთან აღარ მაქვს ურთიერთობა. თუმცა, თუ, ამ მხრივ არის რამე საინტერესო შემოთავაზება, არ ვამბობ უარს. ასევე, სიმღერის კუთხით მაქვს ხოლმე სხვადასხვა მიწვევა: კლუბებში, ღონისძიებებზე თბილისში, ბათუმში. გარდა ამისა, ვხატავ და, საერთოდ, გადაწყვეტილი მქონდა სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება. შემდეგ თეატრალურში ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას ვოკალისა და დრამის ფაკულტეტზე, მაგრამ, ბოლოს არჩევანი მაინც ჟურნალისტიკაზე შევაჩერე, რადგან ეს პროფესია ბავშვობიდან მომწონდა. ბოლო დროს იმდენად აღარ მრჩება თავისუფალი დრო, რომ ვხატო, თან, მუზაც აღარ მომდის. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, რაღაც მაკლია და მინდა, ჩემი ნეგატიური ემოციები გამოვხატო, მაშინ ვხატავ, თუმცა, ამას ახლა სიმღერით უფრო ვახერხებ. მაგრამ, ჩემთვის ხატვაც განტვირთვის ძალიან კარგი საშუალებაა და ამაში ძალიან მეხმარება. სპორტითაც ვარ გატაცებული – თხილამურებით სრიალზე ვგიჟდები. დაახლოებით ორი წელია, რაც თხილამურებზე ვდგავარ და საკმაოდ წარმატებულად. ბაბუაჩემი, გივი ჯაფარიძე, მოთხილამურე იყო, საქართველოს ჩემპიონი; მამაჩემიც და ჩემი ბიძაშვილებიც მოთხილამურეები, ჩემპიონები არიან. მე, რაღაც, გვიან მომიწია თხილამურებზე დადგომა, მაგრამ, ნიჭიერი ვყოფილვარ, ძალიან მალე ავითვისე. შეჯიბრებაზეც კი გამოვედი ჩემი უნივერსიტეტის სახელით. ძალიან რთული ტრასა იყო, ტრამპლინებზე ვიხტუნავე. მიყვარს ადრენალინი, ექსტრემი. პატარა ვიყავი, პირველად თხილამურებზე რომ დამაყენეს, მაგრამ, შემეშინდა და ახლა ეს შიში დავძლიე, თან, ისე, რომ ზოგი მეუბნება – გიჟი ხარ, შენ არ უნდა იდგე თხილამურებზეო, რადგან, ყველაზე საშიშ ადგილებში ვსრიალებ. კიდევ, მიყვარს ველოსპორტი. ზაფხულში ღამის 11 საათის მერე გავდივარ გარეთ ველოსიპედით, ყურსასმენებით და ლამის მთელ თბილისს ვუვლი წრეს, თან, ისეთ ადგილებში დავდივარ, სადაც ყველაზე დიდი მოძრაობაა. ეს, ერთი მხრივ, სპორტია და, მეორე მხრივ – ძალიან კარგი განტვირთვა. უფრო გიჟური სურვილების განხორციელებაც მინდა: პარაშუტით გადმოხტომა, ასევე, ხიდიდან გადახტომა, მაგრამ, საქართველოში ცოტა მეშინია, ასეც ვერ გავრისკავ. სხვაგან უფრო შეიძლება.

**– საკმაოდ ხალისიანი, ენერგიული და ემოციური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ.**

– კი, ასეთი ვარ. თუმცა, ზოგჯერ ჩავიკეტები ხოლმე საკუთარ თავში, მაგრამ, ეს იშვიათად ხდება. უფრო მეტად გართობის მოყვარული ვარ და ბევრს ვერთობი მეგობრებთან ერთად. ცეკვა მიყვარს, სიმღერაზე ხომ აღარ არის საუბარი.

**– გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოდელიც იყავი.**

– საერთოდ არ მიზიდავდა ეს სფერო, მაგრამ, ჩემი დის მეგობარი ძალიან იყო ამ საქმეში ჩართული და სულ ამბობდა, მივიყვანოთ ჯიჯისთანო. მე ფოტოგრაფია უფრო მიზიდავდა. 13 წლის რომ ვიყავი, ჩემი გადაღებული ფოტოები გამოფენილიც იყო. საბოლოოდ, მაინც მივედი სააგენტოში, სადაც ძალიან კარგად შემხვდნენ და შემპირდნენ, რომ, შეიძლება, სოფო ჭყონიას უცხოეთშიც გავეშვი. მაგრამ, საბოლოოდ, ვერ მოხერხდა და გული ამიცრუვდა. თუმცა, ჩვენებებზე გამოვდიოდი, „ფეშენ ვიქზეც“ გამოვსულვარ, სხვადასხვა რეკლამაში ვარ გადაღებული, ასევე, მუსიკალურ კლიპებში. ერთ-ერთი იყო კლიპი „სტეფანე და 3 ჯი“, რომელიც MT-ზე მოხვდა. მოკლედ, მაქვს კამერასთან მუშაობის გამოცდილება. ბოლოს „მის BMW-ს“ კონკურსში ვმონაწილეობდი და გავხდი „BMW ქლაბ ჯორჯიას” ფავორიტი. ახლაც, საინტერესო შემოთავაზება თუ იქნება, არ ვიტყვი უარს.



**შოუა და ყველაფერი შოუსთვის გაკეთდა. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, როგორი ვარ და მიხვდნენ, რომ ის პრომო ჩემგან ძალიან შორს იყო**

**– ბავშვობიდან მღერი?**

– ბავშვობაში საოპერო სიმღერებს ვმღეროდი. პავაროტი მიყვარდა ძალიან, დისკი მქონდა და სულ იმას ვმღეროდი. ზოგადად, მაქვს საოპერო ხმის ტემბრი, დედამ კონსერვატორიაშიც კი მიმიყვანა. მაგრამ იმდენად დავიმორცხვე, „ჭრელო პეპელაც“ კი ვერ ვიმღერე წესიერად. ჩემი პირველი კონკურსი იყო „ჯეოსტარი“ – ავიყვანე პედაგოგი და აქედან დავიწყე აქტიური მუსიკალური ცხოვრება. თუმცა, იყო იმედგაცრუება, ხელიც ჩავიქნიე. მაგრამ, მერე მივხვდი, რომ სწორად მოიქცნენ, რადგან, პატარა ვიყავი, ბოლომდე არ ვიყავი დახვეწილი, ძალიან გამიჭირდებოდა და ვერაფერს გავაკეთებდი. ამის მერე იყო „იმედზე“ სრულიად განსხვავებული პროექტი – „ახალი ხმა“ და გადავწყვიტე, ბედი მეცადა. რეალურად, რა სიმღერაც ვიმღერე, არ მიხდებოდა, არ არის ჩემი სტილი და, შეიძლება, ამანაც ბევრი რამ განაპირობა. რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიდოდი, ამიტომ, რომ არ შემოტრიალდნენ მწვრთნელები, გამიკვირდა კიდეც და თან ძალიან დამწყდა გული. ვთქვი: ვსიო, აღარანაირ კონკურსში არ მივიღებ მონაწილეობას-მეთქი. ვერ ვიტან ქასთინგებს, მაგრამ, სხვანაირად აღარ გამოვა. ბოლოს ჩემი მეგობრის, მანანა დოიაშვილის რჩევით, „საქართველოს ვარსკვლავზე“ მაინც მოვედი. მან დამარწმუნა, რომ არ უნდა გავჩერდე: შენ უნდა გამოჩნდე, ხალხს უნდა დაანახვო, რა შეგიძლიაო. მოკლედ, მოვემზადე და, როგორც ჩანს, თავი მოვაწონე ჟიურის.

**– რას ელოდები ამ კონკურსისგან?**

– როგორც იქნა, გამიმართლა და არ ვაპირებ გაჩერებას. ყველანაირად ვეცდები, ყოველი ჩემი გამოსვლა ხალხისთვის იყოს ახალი, საინტერესო, მრავალფეროვანი. უპირველეს ყოვლისა, მინდა, ხალხის სიყვარული დავიმსახურო და ამისთვის ბოლომდე დავიხაჯები. სხვათა შორის, ქასთინგზე ჩემი პრომოს შემდეგ ხალხს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს თავში მაქვს ავარდნილი, ზედმეტად ამბიციური ვარ. ფოტო რომ დაიდო „საქართველოს ვარსკვლავის“ ვებ-გვერდზე, ცოტა ცუდი კომენტარები დაიწერა. ეს პრომო რომ მენახა, შეიძლება, მეც ასე მეფიქრა, მაგრამ, მალე დაინახავენ სინამდვილეში როგორი ვარ. შოუა და ყველაფერი შოუსთვის გაკეთდა. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, როგორი ვარ და მიხვდნენ, რომ ის პრომო ჩემგან ძალიან შორს იყო. რაც შეეხება კონკურსში მონაწილეობას, ეს უკვე ძალიან ბევრ რამეს გაძლევს, დიდ გამოცდილებას იღებ, რადგან, მუშაობ ბენდთან ერთად, ყოველდღე რეპეტიციები, კამერებთან მუშაობა, ფილარმონიის სცენაზე დგომა... არა მხოლოდ მუსიკალურ, არამედ, ცხოვრებისეულ დიდ გამოცდილებასაც იღებ, ბევრ რამეს სწავლობ. რეჟიმი უკვე შემეცვალა, თან, პარალელურად, ვმუშაობ.

**– სად მუშაობ?**

– საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციაში ვარ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სპორტული ღონისძიებების ორგანიზების მენეჯერი. ახლა ვაპირებთ დიდი პროექტის განხორციელებას: „სითი მარათონი – ჩემი ქალაქი დარბის“ – ასეთია ჩვენი ლოზუნგი. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარდება. ექვსთვიანი პროექტია. სამსახურიდან მაქვს ხელშეწყობა, ჩემს გასაკეთებელ საქმეს ვაკეთებ.

**რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორი კარგია ხასიათით, მაინც პირველ ეტაპზე გარეგნობას ექცევა დიდი ყურადღება. მაგრამ, თუ ძალიან კარგია მხოლოდ გარეგნობით, მაშინ იქვე მთავრდება ყველაფერი**

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– ამ ეტაპზე პირად ცხოვრებაში არაფერი არ ხდება. ადრე ვიყავი შეყვარებული, მაგრამ, ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს, აღარ განვითარდა

**27 წლის ფეხბურთელის, გიორგი ლორიას ცხოვრებაში სიახლეა. სულ ცოტა ხნის წინ მან ითამაშა ფილმში – „რა მოხდა კიევში“, რამაც მეორე პროფესიის არჩევაზე დააფიქრა ფეხბურთელი. მკითხველმა კარგად იცის, რომ ის არაჩვეულებრივი მეკარეა, თავისი საქმის პროფესიონალი და მაქსიმალურად ცდილობს, საქართველოს ნაკრები წინ წაწიოს. თუ როგორ დაიწყო მისი კარიერა და რა გეგმები აქვს მომავალში, ამაზე თავად გვესაუბრება.**

# ვინ გაუკეთა გიორგი ლორიას გრანდიოზული სიურპრიზი და როდის აიცილა თავიდან მან ყველაზე დიდი ნერვიულობა

– 8 წლიდან დავიწყე ფეხბურთის თამაში. სპორტსკოლა „ავაზა“ რომ არის, მე და მამაჩემი იქ ვსეირნობდით. დავინახე, როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს და გამიჩნდა სურვილი, მეც მეთამაშა. იქიდან მოყოლებული, სულ ვთამაშობ.

**– ანუ, შენი სურვილით მოხდა ეს ყველაფერი.**

– დიახ. არავის დაუძალებია. ძალიან მომწონდა ეს სპორტი. ოჯახშიც მოეწონათ ჩემი გადაწყვეტილება და მხარში დამიდგნენ.

**– ფიქრობდი, რომ ასეთ წარმატებას მიაღწევდი?**

– პატარა რომ ვიყავი, ამდენს ვერ ვფიქრობდი, სერიოზულად არ ვუყურებდი ამ ყველაფერს. მერე, ასაკის მატებასთან ერთად, იმედიც გამიჩნდა. ნელ-ნელა ყველაფერი სრულდება.

**– პირველი სერიოზული შემოთავაზება როდის გქონდა?**

– „დინამოში“ გადასვლა იყო ჩემი სერიოზული ნაბიჯი. 15 წლის ვიყავი, როცა „ავაზაში“ ჩემი მწვრთნელები იყვნენ – კახა კაჭარავა და ნოდარ აკობია. 17 წლისამ სკოლა დავამთავრე, ან უნდა გადავსულიყავი სადმე, ან ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა, როგორც ხდება ხოლმე. მე ამ დროს არსად არ ვიყავი, ჰაერში დავრჩი ***(იცინის).*** ერთ დღესაც სახლში მოვიდნენ კახა კაჭარავა, ნოდარ აკობია, ლევან აბაშიძე და მითხრეს, მეკარე არ გვყავს და რამდენიმე თამაშში კარში ჩაგვიდექიო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. თურმე, სინჯები ყოფილა. მე

**ფილმში ყველანი გავითიშებით და ჩემ გარდა, ყველა კიევში აღმოჩნდება**

არ ვიცოდი. იმ დღის შემდეგ მითხრეს, რომ „დინამოს“ აკადემიაში კონტრაქტს გიფორმებთო. გაოცებული დავრჩი.

**– თავიდანვე რატომ არ გითხრეს?**

– მეც ეგ კითხვა გამიჩნდა ***(იცინის).*** რომ არ გენერვიულა, არ გითხარითო. ნერვიულობა თამაშის დროს უდიდესი ფაქტორია, თუ ნერვიულობ, საერთოდ ვერ ითამაშებ.

**– კარიერის განმავლობაში წინააღმდეგობები შეგხვედრია?**

– დიახ, რა თქმა უნდა. „დინამოს“ მეორე გუნდში ვვარჯიშობდი და მესამეში ვთამაშობდი ხოლმე. მე ყოველთვის მინდოდა დუბლებში თამაში. პირველ გუნდში ძალიან ბევრი მეკარე იყო და მე აღარ მიწევდა თამაში. მწვრთნელი იყო გია მაკასარაშვილი და ვუთხარი, თამაშს თავს დავანებებ-მეთქი. პროგრესი არ იყო. გიამ გადამაფიქრებინა და მერე პირიქით, უფრო მეტს ვვარჯიშობდი. საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ მეორე გუნდშიც ვთამაშობდი და ძირითადშიც მოვხვდი. „ავაზაშიც“ იყო ასეთი შემთხვევა. მაშინ მეკარისთვის ისეთი მაღალი არ ვიყავი, როგორიც საჭირო იყო – ახლა გავიზარდე ***(იცინის).*** თუმცა, ოჯახის დახმარებით განვაგრძე თამაში, ძალიან დამიდგნენ მხარში და გადამაფიქრებინეს. როცა მიჭირდა, ყოველთვის ოჯახი მედგა მხარში. რომ გეთამაშა, უნდა დაგემსახურებინა. სხვა, ისეთი დაბრკოლებები არ ყოფილა, ფაქტობრივად, გუნდში ერთი ოჯახი ვართ.



იყო დრო, როცა მეკარეობისთვის სიდაბლის გამო მიწუნებდნენ

**– არ შემიძლია, არ გკითხო საქართველო-ესპანეთის თამაშზე. ძალიან აქტუალური თემა იყო. შენ რომ ტრავმა არ მოგსვლოდა, როგორ ფიქრობ, რა შანსები იყო?**

– ძნელი სათქმელია ***(იცინის).*** ღვთის წყალობით, გადავრჩი მყესების გაგლეჯას. ეგ რომ მომსვლოდა, სავარაუდოდ, იმ პერიოდის მერე რამდენიმე თვის დაწყებული მექნებოდა თამაში. გადავრჩი და იმაზე მალე ვითამაშე, ვიდრე უნდა დამეწყო. ახლა ძალიან საინტერესო თამაშები გველის.

**– ალბათ, სურვილი გაქვს, საქართველოს ჩემპიონატიდან უფრო ძლიერ ჩემპიონატზე გადახვიდე.**

– დიახ, რა თქმა უნდა. ჯერ მთელი სულით და გულით „დინამოში“ ვარ. სხვა სიახლე არაფერია. ზაფხულში, ვნახოთ, რა იქნება. დიდი სიწყნარის შემდეგ რაღაცეები ხდება ხოლმე ***(იცინის).*** ძალიან ბევრს ვვარჯიშობ, ფეხბურთით ვცხოვრობ.

**– მოდი, ფილმზე ვისაუბროთ, რომელშიც შენ როლი გაქვს.**

– მქონდა შემოთავაზება, მეთამაშა ფილმში „რა მოხდა კიევში“ და დავთანხმდი – იდეა ძალიან მომეწონა. სულ მინდოდა, ასეთი რაღაც მომხდარიყო. ბოლოს და ბოლოს, მამაჩემი, ნუგზარ ლორია რეჟისორია – „მხიარული ესკიზებისა“ და „იავნანამ რა ჰქმნას“ მეორე რეჟისორი. დედაჩემიც რეჟისორია. ჩემი და – მსახიობი. მარტო მე გამოვედი ფეხბურთელი ***(იცინის).*** სხვათა შორის, თეატრალურზე ვსწავლობდი. 9 თვე ვისწავლე ტელე და კინოოპერატორობა. ძალიან მეადვილებოდა და იმიტომაც მალე დავანებე თავი – მომბეზრდა, პროგრესირებადი პროფესია არ იყო.

**– უფრო დაწვრილებით მომიყევი შენს როლზე.**

– ამ ფილმში საკუთარ თავს ვთამაშობ. მე ვარ გიორგი ლორია, რომელსაც ჰყავს ძმა – უჩა. მოვლენები ასე ვითარდება: მეორე დღეს მაქვს თამაში ესპანეთთან და წინა დღეს გადავწყვიტეთ, გუდაურში სასრიალოდ წავსულიყავით, იქ კი ჩემი ძმა ამბებს მოახდენს... ყველანი გავითიშებით და ჩემ გარდა, ყველა კიევში აღმოჩნდება. მთელი ფილმის განმავლობაში მე მეძებენ. ძალიან მაგარი გადაღებები იყო. მაისის ბოლოს პრემიერა იქნება. მოკლედ, „ქართული ჰენგოვერი“ იყო ***(იცინის).***

**– შენ ისე მოგეწონა გადაღებები, მგონი, სხვა შემოთავაზებებსაც დასთანხმდები.**

– რატომაც არა, გააჩნია, იდეა როგორი იქნება და იმის მიხედვით. ძალიან გავერთე.

**– დასასრულს, მკითხველს ურჩიე, რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად.**

– უპირველესად, მონდომება და გამართლება, ყველაფერთან ერთად, ღვთის წყალობა. ნებისმიერ საქმეში ბევრი შრომაა საჭირო.

**ნინო აბრამიშვილი**

---

ჩვენი ურთიერთობა და დამთავრდა. თან, პატარები ვიყავით, იმას ახლა თავისი ცხოვრება აქვს, მე – ჩემი. ამ ეტაპზე ამისთვის არც დრო მაქვს და არც მინდა სერიოზული ურთიერთობა. უფრო კარიერას უნდა მივხედო. აქედანვე თუ არ ვიზრუნე, მერე დაგვიანდება. რომ ავაწყობ კარიერას, მერე იმის დროც მოვა.

**– როგორი უნდა იყოს ბიჭი, რომ შენი ყურადღება მიიქციოს?**

– რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორი კარგია ხასიათით, მაინც პირველ ეტაპზე გარეგნობას ექცევა დიდი ყურადღება. მაგრამ, თუ ძალიან კარგია მხოლოდ გარეგნობით, მაშინ იქვე მთავრდება ყველაფერი. უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს თავმდაბალი. ვერ ვიტან ისეთ ბიჭებს, რომლებსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ, „მემარიაჟებიან“, საკუთარ თავზე ბევრს ლაპარაკობენ, თავს იქებენ. ასეთი ბიჭი ჩემს თვალში მაშინვე დაბლდება. განათლებულიც უნდა იყოს და – ცხოვრების აზრზეც. გემოვნებიანი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მუსიკაში. როცა ადამიანს არ აქვს ჩამოყალიბებული მუსიკალური გემოვნება, ის ჩემთვის უინტერესოა. მოკლედ, საინტერესო ადამიანი უნდა იყოს. შეიძლება, ერთნაირი შეხედულებები არ გვქონდეს, მაგრამ, რაღაცაში უნდა ემთხვეოდეს ჩვენი აზრები, თუნდაც მუსიკაში, ან, ზოგადად, ხელოვნებაში. ყურადღებიანი უნდა იყოს, რადგან, ქალისთვის ყურადღების ნაკლებობა არ არის სასიამოვნო. კიდევ, უნდა იყოს მეგობრული და, უპირველეს ყოვლისა – ჩემი მეგობარი. უნდა გამიგოს, გავუზიარო ჩემი ტკივილი და სიხარული.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ტვენი**: ვინც აძლევს სესხს, ღარიბდება; ხოლო ვინც იღებს სესხს კოტრდება.

**ვოლტერი**: თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ დამოკიდებული ვიყოთ მხოლოდ კანონებზე.

**ბუასტი**: კანონი არის კანონი, რამდენჯერაც არ უნდა დაარღვიოს ის ვინმემ.

**სტეინბეკი**: თუ არ იცი, როგორ მოიქცე, მოიქეცი სამართლიანად.

**ეჟი ლეცი**: ასე ცხოვრება არ შეიძლება, მაგრამ სხვაგვარად ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლია.

**ფრიში**: თუ გინდა, ცხოვრებამ გაგიღიმოს, ეცადე, ჯერ შენ გაუღიმო ცხოვრებას.

**ჰოვენარგი**: გინდა შეამოწმო შენი მეხსიერება? გაიხსენე, რაზე ოცნებობდი ერთი წლის წინ.

**ჩერნიშევსკი**: მლიქვნელობს ის, ვისაც სურს ბატონობა მორჩილების ნიღბით.

**რენარი**: როცა სიმართლეს ლაპარაკობ, არასოდეს ბევრს არ ლაპარაკობ.

**სენეკა**: სიძუნწე გახლავთ ღირსება მართოდენ დროის ხარჯვაში.

**ტაციტი**: სადაც მომხვეჭელობა იფურჩქნება, ის სარწმუნოებრივი სიწმინდე იშვიათად შეინახება.

**მენანდრე**: სამართლიანი კაცის ზნეობრივი თვისებები სავსებით ცვლის კანონებს.

**კანტი**: მორალურობა სრულიადაც არ ითვლება გრძნობის საგნად, ის მხოლოდ გონების საგანია.

**ჰერაკლიტე**: ზერელე ცოდნა შეცდომისა და შუღლის წყაროა. ძაღლები მას უყეფენ, ვისაც არ იცნობენ.

**ბელინსკი**: ვინც არ ესწრაფვის, ვერ მიაღწევს; ვინც ვერ გაბედავს, ვერც მიიღებს.

**ილია**: საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა და გონება საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა ჩვენი თვალი და ყური მასზედ, რაც „ჩემობის“ ფერი ადევს და არა „ჩვენობისა“? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთ წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აღიგავებოდა დედამიწის ზურგიდამ...

**კონსტანტინე**: წარმატებას მტრებისა და მეშურნეების გაბოროტებაც მოსდევს.

**ბომარშე**: არ ღირს სიმართლის გამო გაბრაზება. ჯობია, იგივე ვუპასუხოთ.

**ფულერი**: ბრმა სარკისთვის მადლობას არ გეტყვის.

**კუმორი**: სიკეთე სიბოროტისგან უნდა გაკეთდეს, სხვა არაფერს სიკეთედ გადაკეთება არ სჭირდება.

**მენკენი**: დემოკრატია არის ცირკის მართვის ხელოვნება მაიმუნების გალიის შიგნიდან.

**რასელი**: დემოკრატიის დროს ბრიყვებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხოლო დიქტატურის დროს – მართვის უფლება.

**შამფორი**: იყო გულუხვი, ნიშნავს, გასცე იმაზე მეტი, ვიდრე შეგიძლია; იყო ამაყი – ნიშნავს მიიღო ნაკლები, ვიდრე გეკუთვნის.

**შოუ**: ადამიანის ხმა მისი მეორე სახეა.

**დორევილი**: ქალი შეცდომით იბადება, სიყვარულით თხოვდება, სისულელით შობს, მშობიარობის მერე ჭკვიანდება, ქმარს კაპრიზის გამო შორდება და შვილებზე დარდით კვდება.

**სტენდალი**: ქალები გვიმსუბუქებენ იმ საზრუნავს, რომელიც მათ გარეშე არც გვექნებოდა.

# თუ გამოიცნობთ

1. ტრაზიმენის ბრძოლაში (217 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მან გაანადგურა კონსულ ფლამინიუსის ლაშქარი. ტიცინისა და ტრებინის ბრძოლებში (218 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ის თავისი ჯარით ალპების მთებიდან დაეშვა და დაამარცხა ორი რომაელი კონსულის არმია. მისი უმცროსი ძმა იტალიაში დაიღუპა. **გაიხსენეთ ის და დაასახელეთ, რას უწოდებენ ისტორიკოსები მის უკანასკნელ გამარჯვებას რომაელებზე?**

2. **რა იყო** ტრინიდადის კუნძულზე მდებარე ტბაში, რომლის ფართობი 40 ჰექტარია, თუ 1876 წელს ეს მთელ ვაშინგტონს ეყო?

3. ჰერმეს ტრისმეგიტის სწავლების მიმდევრები საიდუმლოდ ინახავდნენ მის ცნებებს. აქედან წარმოიშვა სიტყვა „მჭიდროდ დახურული“. **რა სიტყვაა ეს?**

4. 1831 წლის 9 მარტს, ახალგაზრდა ლისტმა პარიზში ერთ იტალიელ კომპოზიტორს მოუსმინა. მოხიბლულმა უნგრელმა კომპოზიტორმა გადაწყვიტა, თავი დაენებებინა საჯარო გამოსვლებისთვის, სანამ ამ იტალიელის მსგავს ვირტუოზულ ტექნიკას არ მიაღწევდა. **ვინ იყო ის იტალიელი კომპოზიტორი?**

5. ცხოველი ბეი-შუნგა ცხოვრობს მცირე ტერიტორიაზე, რომელსაც, სულ რაღაც, 300 კილომეტრი სიგრძე აქვს. ამ სავსებით უწყინარ ცხოველს მეცნიერები მტაცებელთა კლასს მიაკუთვნებენ და ენოტსაც უწოდებენ. **რას ვეძახით მას ჩვენ?**

6. სიტყვა „ესტრაგონის“ მნიშვნელობა ბევრმა არ იცის, თუმცა ის ბევრისთვის საყვარელი სუფრის მწვანილია; მისგან გემრიელი კერძიც მზადდება და შესანიშნავი სასმელიც. **რას ვეძახით მას ჩვენ?**

7. **როგორ გამოითქმის** არაბულად სიტყვა „მორჩილება“?

8. მალპლაკის ბრძოლაში ფრანგების დამარცხების შემდეგ ჰერცოგ მალბოროს ერთ-ერთმა დამარცხებულმა განუცხადა, რომ აღტაცებულია მისი მხედართმთავრული ნიჭით, რაზეც ჰერცოგმა მიუგო: „რას ნიშნავს ომში გამარჯვება? არაფერს. უბრალოდ, თქვენ 1001 შეცდომა დაუშვით, ...“ **დაასრულეთ ფრაზა.**

9. ლეგენდის თანახმად, უდაბნოს ბოროტმა სულმა – სეტმა, შურის გამო მოკლა თავისი ძმა, ოსირისი, მისი ცხედარი კი ნილოსში ჩააგდო. როცა იზიდამ ქმრის სხეული იპოვა, სეტმა ისევ მოიპარა ის, მრავალ ნაწილად დაჭრა და მთელ ქვეყანაზე მიმოფანტა. **რამდენ ნაწილად დაჭრა სეტმა ძმის სხეული?**

10. ამ ბუნებრივი მოვლენის შესწავლისას ლეონარდო და ვინჩიმ შეამჩნია, რომ იგივე თვისება აქვს ფრინველის ბუმბულსაც და დამდგარ წყალში მყოფ დამპალ კუნძსაც. გარდა ამისა, ძვირფას ქვებს და წყლის ზედაპირზე მოტივტივე ცხიმსაც. **ბუნების რა მოვლენაა ეს?**

***პასუხები იხილეთ 65-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ცენტრალური ამერიკის მცირე წყალსატევებში გავრცელებულია ხვლიკი – ბაზილიკუსი. მას „იესოს“ ხვლიკსაც ეძახიან იმის გამო, რომ წყალზე სიარული შეუძლია.

* რუსეთის ერთ-ერთი ქალაქის – ჩერნოვსკოეს დამკრძალავი ბიუროს სახელი ძალიან ოპტიმისტურად ჟღერს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

* 21 მარტს მთელი მსოფლიო აღნიშნავს ხმელეთის დღეს, 22 მარტს წყლის დღე აღინიშნება, 23 მარტი კი მეტეოროლოგების პროფესიული დღესასწაულია.

* ალექსანდრ პუშკინის ყველაზე მისტიკური ნაწარმოებია „პიკის ქალი“. ამბობენ, რომ კარტების კომბინაცია თითქოს ზებუნებრივად აისახა პოეტის ცხოვრებაში: 3, 7 – მოკლეს 37 წლის ასაკში; ტუზი (ანუ – 1) წლის პირველ თვეს აღნიშნავს – ის იანვარში გარდაიცვალა.

* ზოგს, შეიძლება, ახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირში ხუთშაბათობით „თევზის დღე“ იყო. ამავე დღეს იმართებოდა კულტურის სახლებსა და კლუბებში ჩემპიონატები... დომინოში.

* 1794 წლის დეკემბერში პიშეგრიუს ფრანგული არმია ნიდერლანდებში შევიდა, მაგრამ ჰოლანდიელებმა დაანგრიეს კაშხლები და თითქმის მთელი ქვეყნის ტერიტორია წყლით დაიფარა. პიშეგრიუმ უკანდახევა გადაწყვიტა, მაგრამ, უტრეჰტის ციხეში გამომწყვდეულმა ფრანგმა გენერალმა ობობებზე დაკვირვება მოახდინა და მოახერხა, სარდლისთვის ეცნობებინა ახალი ამბავი, რომ მალე ყინვები დადგებოდა და გაყინული წყლის ზედაპირზე გადაადგილებით ისინი ამსტერდამამდე მიაღწევდნენ, რამაც პიშეგრიუს გადაწყვეტილება შეაცვლევინა.

* მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ოცდამეორე საუკუნის დასაწყისისთვის ქერათმიანებს გადაშენება ემუქრება. უკვე მეოცე საუკუნის ბოლოსთვის, ქერათმიანები ცენტრალური ევროპის მოსახლეობის მამაკაცთა 8 პროცენტს და ქალების მხოლოდ 6 პროცენტს შეადგენდნენ.

* იაპონიაში ყოველი 286-ე ტყუპია, ამერიკის შეერთებულ შტატებში – ყოველი 44-ე, მსოფლიოში ის 60 მილიონია. მათი ყოველწლიური ყრილობა ამერიკაში ერთ-ერთი დიდი ზეიმია.

* პოლონელმა ზოოლოგმა გუშმა ვირთხებს „ინტელიგენტური ცხოველი“ უწოდა. დოქტორი ჯეკსონი კი ამბობდა, რომ ისინი „ყველაზე მრავალრიცხოვანი და ადამიანის შემდეგ ყველაზე „გაფურჩქვნადი“ ძუძუმწოვარია მსოფლიოში“.

* მთის ბროლს ყირიმში „ყირიმის დიამონტს“ ეძახიან, კარპატებში – „მარმაროშის დიამონტს,“ საფრანგეთში – „ალანსონის ალმასს“.

* გადამუშავებული ანტარქტიკული კიბორჩხალებისგან დამზადებული „ოკეანე“, მსოფლიოში ცნობილი კონსერვია, მათი თვალებისგან კი საკონდიტრო საღებავს ამზადებენ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa2-a5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



უფროსი თანამშრომლების ოთახში შედის:

– მე ხომ გაგაფრთხილეთ, მუშაობის დროს ნუ ეწევით-მეთქი!




– და, ვინ მუშაობს, რო?!

***

ქალთან საყვარელი მიდის.

– იცი, ახალი პოზა მოვიგონე, მაგარია! – და უხსნის...

– მოიცა, თუთიყუშს გადააფარებ, არ დაგვინახოს, თორემ, ქმარს ყველაფერს მოუყვება.

– არრრა! ენა ამომგლიჯეთ, მაგრამ, მაყურებინეთ! – იყვირა თუთიყუშმა.

***

მოხუცი ცოლ-ქმარი ტელევიზორს უყურებს. უცბად კაცი ამბობს:

– მომისმინე, უკვე ორმოცდაათი წელია, ერთად ვართ, ხუთი შვილი გავზარდეთ... ბოლო ოთხი გაჭრილი ვაშლივითა ჰგავს ერთმანეთს, პირველი კი სულ განსხვავებულია... ახლა მაინც გამოტყდი, მიღალატე, არა?

– ჰო, შევცოდე...

– და, ვინ არის პირველი შვილის მამა?

– შენ...

***

აკვალანგის გარეშე ყვინთვის საერთაშორისო შეჯიბრებაზე ჩვენიანმა გაიმარჯვა. გაოცდნენ ჟიურის წევრები და ეკითხებიან:

– შეუძლებელი შეძელით, ასე დიდხანს მსოფლიოში არასდროს არავის გაუძლია წყალქვეშ ამოუსუნთქავად – ალბათ, მომზადების სპეციალური სისტემა გაიარეთ.

– არა, უბრალოდ, ჩვენს ლიფტში ისეთი სუნი დგას ხოლმე, თანაც, ისე ნელა დადის, ყოველდღიურად მე-15 სართულზე სუნთქვაშეკრული ავდი-ჩავდივარ...

***

ტიპი შედის მაღაზიაში:

– ტრუსიკი გაქვთ?

– არა, ბატონო.

– გასაყიდად?

***

ჩემს ქმარს საყვარლის გაჩენა უნდოდა და გადავაფიქრებინე – ვუთხარი, ვერ გავქაჩავთ, ამდენი შემოსავალი არ გვაქვს-მეთქი. უმჯობესია, მე გავიჩინო საყვარელი – ოჯახი ხრამია და დამატებითი შემოსავალი ნამდვილად არ გვაწყენს...

***

ნარკოტიკებზე გაწვრთნილმა ძაღლმა საბაჟოზე ადვილად მიახვედრა ჰოლანდიელი მგზავრი, რომ ერთი კილოგრამი ხორცის საშუალებით სულ ადვილად შეიძლება პრობლემის მოგვარება.

***

– წინა კვირას გაზეთში გამოვაქვეყნე განცხადება: „ვეძებ ცხოვრების თანამგზავრს“ და კვირის ბოლოს 500-მდე წერილი დამიგროვდა.

– მერე?

– ყველგან ორი სიტყვა ეწერა: „ჩემი წაიყვანე“.

***

– გუშინ სახლში დავრეკე და ცოლს ვეუბნები, ასე და ასეა, მოკლედ, ჩემი ბიზნესი ჩავარდა და გავკოტრდი-მეთქი. შინ მივედი და ცოლი აღარ დამხვდა... ტანსაცმელიც წაუღია... ჯანდაბას მაგის თავი, რად მინდა ქალი, რომელსაც იუმორის გრძნობა არ აქვს...

***

– ჩემმა ქმარმა დაბადების დღეზე ახალი აიფონი მაჩუქა.

– საბედნიეროდ, ჩემს ქმარს არც ახსოვს ჩემი დაბადების დღე...

– რატომ – საბედნიეროდ?

– წელიწადში რამდენჯერმე შევახსენებ ხოლმე და ყოველთვის საჩუქარს ყიდულობს...

***

ტრასაზე მიდის ტიპი. ხედავს, ქალი დგას. გადაწყვიტა, გაიყოლოს და გაუჩერა. ჩაჯდა ქალი და კაცს ეუბნება:




– იცით, მე ფული არ მაქვს...

კაცმა მარჯვნივ გადაუხვია, მანქანა მინდორში გაიყვანა, საბარგულიდან დიდი ზეწარი გადმოიღო და გაშალა...

– რას კადრულობთ! მე წესიერი ქალი ვარ, ქმარი მყავს და ოთხი შვილი...

– მეც წესიერი კაცი ვარ, ოჯახი მაქვს სარჩენი და 40 კურდღელს ვუვლი. დაგლიჯე ბალახი, თუ გინდა, ადგილამდე მიგიყვანო!..

***

– კარაქისა და ხიზილალის ბუტერბროდი გამიკეთე, თუ შეიძლება.

ქალი აკურატულად ჭრის პურს, უსვამს კარაქსა და ხიზილალას და აწვდის კაცს. კაცმა შეჭამა და სთხოვა, კიდევ გამიკეთეო.

– არა, ეს დემოვერსია იყო, ანუ სადემონსტრაციო, ლიცენზიურ ვერსიას კი ქორწინების შემდეგ მიიღებ...

***

მიხო კროსვორდს ავსებს:




– მარო, ერთიც შენა თქვი – პირველი მამაკაცი, ოთხი ასო...

– მიტო!..

***

საავადმყოფოში 14 წლის ბიჭი მიიყვანეს, დუნდულაში ლურსმანი აქვს გარჭობილი.

– როგორ მოგივიდა? – ეკითხება ექიმი.

– მეზობლის „ლექსუსზე“ გულს ვახატავდი და ხელი ამიცდა...

***

– თუ შეიძლება, ეს შეკვრა ამიწონეთ... რამდენია?

– ზუსტად კილო და ექვსას ორმოცდაათი... რა არის?

– ეს ის ორი კილო ხორცია, ერთი საათის წინ თქვენთან რომ ვიყიდე...

***

ქალმა ოქროს თევზი დაიჭირა. ოქროს თევზი ყურადღებით დააკვირდა:

– აუ, ქალი ხარ?

– ჰო...

– შემწვი!..

***

ჭიჭიკია შინ დაბრუნდა და ეზოს წინ მკვდარი ძაღლი იპოვა. მაშინვე მილიციას დაურეკა.

– აქ რეიზა რეკავ, სიმონ, ეილე და სადმე ჩაფალი...

– რა ვიცი, ძამია, ასეთ დროს ნათესავებს ატყობინებენ ხოლმე და...

# „მესხი-კალოევის დუეტი“, უმადური კაკაბაძე და „მუნჯი მიცვალებული“

### კოლორიტი შალვა

70-იან წლებში ლანჩხუთის „გურიის“ მთავარი მწვრთნელი იყო ცნობილი სპეციალისტი შალვა კაკაბაძე, ენამოსწრებული და ენაკვიმატი პიროვნება. გუნდის უფროსი გახლდათ ევგრაფი შევარდნაძე, რომელიც იმ პერიოდში გარდაიცვალა.

ერთხელ ერთ სუფრაზე შალვა ქეიფობს, იქვე, გვერდით კაცი ზის, ხმას არ იღებს და არის წყნარად. სუფრის წევრებს გაუკვირდათ – რატომ ხმას არ იღებს აგი კაციო.

– როდის იყო, მიცვალებული ხმას იღებდა? – კითხვა შეუბრუნა შალვამ.

– როგორ? – გაუკვირდათ სუფრის წევრებს.

– როგორ, ბატონო და, აგი კაცი ევგრაფის მძღოლად მუშაობდა და იყო გვარიანად, მარა, მოკვდა ევგრაფი და მოკვდა აგიცა, – აუხსნა შალვამ.

### შეთანხმდნენ

ნოდარ ახალკაცთან კაბინეტში რაღაც დოკუმენტზე ვმუშაობთ. მისი ოთახის კარი ყოველთვის ღია იყო – რის დაცვა, რა დაცვა... შემოვიდა ვილაც პიროვნება და ნოდარს მიმართა:

ბატონო ნოდარ! ერთი ისეთი საფეხბურთო ილეთი დავამუშავე, თუ ნაკრებში ამიყვანთ, ყველა თამაშში 2-3 ბურთს აუცილებლად გავიტანო. მაინც, რა ისეთი ილეთი დაამუშავეო, – ჰკითხა ცნობილმა. რაო და, როდესაც მოწინააღმდეგე დაჯარიმდება, მე ბურთს ჩავაწოდებ მეტოქის საჯარიმოში, მერე ბურთს იქ დავხვდები და თავური დარტყმით მათი კარის ბადეს შევარხევ; ამ ილეთს მე „მესხი-კალოევის დუეტი“ დავარქვიო.




ნოდარმა ჩვენ თვალი ჩაგვიკრა, მას კი ხელი მაგრად ჩამოართვა, შეაქო, მაგრამ, ბოლოს დაღონებული სახით უთხრა: ეს ძალიან კარგი ილეთი დაგიმუშავებია, მაგრამ, შენ ფეხბურთის თამაშის ერთი წესი დაგვიწყნია: ფეხბურთელს ჯარიმის დარტყმის შემდეგ ბურთით თამაში აღარ შეუძლია, ვიდრე მას სხვა მოთამაშე არ შეეხება – ბურთზე მიყოლებით ორჯერ შეხება აკრძალულია. მერე კი სერიოზული ტონით განაგრძო: ნამეტანი ჭკვიანი კაცი ჩანხარ და მოდი, ასე მოვიქცეთ: შენ სხვა, ახალი ილეთის დამუშავებაზე ივარჯიშე, მე კი „ფიფას“ ხელმძღვანელობას მაღარიჩის სახით ერთ კაი მოზრდილ ქვდილას დავუკლავ და, იქნებ, როგორმე ეს ოხერი წესი გავაუქმებინოო.

მაგარი კმაყოფილი წავიდა ის პატიოსანი კაცი ნოდარის ოთახიდან.

### მადლობის მაგიერია?!

მოგვიანებით შალვა კაკაბაძე ფილარმონიის პირდაპირ მდებარე ხილ-ბოსტნის მაღაზიის დირექტორად მუშაობდა.

ერთი დღეა და, მაღაზიაში ახალმიღებულ ბოსტნეულზე მოზრდილი რიგია. მივიდა გამოჩენილი მსაჯი, ბატონი კარლო ყრუაშვილი. რიგში ხომ არ დადგებოდა? ბოლოს და ბოლოს, ძმაკაცი დირექტორი იქ ჰყავდა და პირდაპირ შალვასთან „მიაჭრა“ – ურიგოდ მომეცი პროდუქტიო.

– აჰ, ეგ არ მთხოვო! – შორს დაიჭირა შალვამ.

კარლოს ცივი წყალი გადაესხა – ამას ნამდვილად არ ელოდა:

– რატომ, კაცო? – ეკითხება პირგამშრალი.

– უხერხულია, ჩემო კარლო, ათი კაცი დგას რიგში და შენ ურიგოდ როგორ მოგცე, რას იტყვის ხალხი? მათ თვალწინ ურიგოდ როგორ გაგიშვა?

– ახლაა უხერხული, არა?! – გადაირია ყრუაშვილი, – შენ ის შალვა კაკაბაძე არ ხარ, ლანჩხუთში ათი ათასი მაყურებლის თვალწინ პენალტს რომ მთხოვდი?!

– ჩუმად, კაცო, რა გაყვირებს, მოგიხერხებ რამეს, – ხელად მონახა გამოსავალი შალვამ.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი (პირველი) გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ „შეერგო დედის რძესავით“ ჩინელ ბიჭს გაყინული პელმენი, არაყანი და ლუდი

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრები. მე ახლა არა მიშავს რა, მაგრამ, რამდენიმე დღის წინ ცოტა შეუძლოდ ვიყავი და ექიმთან ვიზიტის ამბავს მოგიყვები ამ წერილში.

ადრეც გწერდი, რომ ძალიან უხარისხო საჭმელები იყიდება საქართველოში და ბევრი ხალხი იწამლება-მეთქი. ახლა კი ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადე.

სამი დღის წინ კობამ თავისთან დამპატიჟა – მაგარ პელმენებს გაჭმევო და სტუმრად მივედი. მითხრა, მაგარი არაყი მაქვს, ტყუილად დალევა არ მინდა, პელმენებს მაგრად მოუხდებაო და გაყინული პელმენები ადუღებულ წყალში ჩაყარა. პელმენი იგივე ხინკალია, ოღონდ, ძალიან პატარა ზომის. როცა მოიხარშა, დიდ თეფშზე ამოიღო და არაყანი მოასხა – ძალიან უხდებაო. თითქმის ბოლომდე შევჭამეთ და კობამ ერთი ბოთლი არაყი დააყოლა, მე კი ცოტა ლუდი დავლიე, ქშინა და ხალისიანად დამიწყო გასინჯვა. რა დაგემართაო, – მკითხა. მე ვუთხარი, გაყინული პელმენები ვჭამე, თავბრუ მეხვევა და გული მერევა-მეთქი. კუჭი არ აგეშალაო? არა-მეთქი ვუპასუხე. აგეშლებაო, – დამაიმედა და გარეთ გავიდა.

ცოტა ხანში ექთანი შემოვიდა, სახელი, გვარი




სახლში მივედი თუ არა, ძალიან ცუდად გავხდი, თავბრუ მეხვეოდა და გული მერეოდა. ჩვენმა დიასახლისმა სასწრაფო გამოიძახა და საავადმყოფოში წამიყვანეს.

გზაში მთელი გზა დამცინოდნენ – სასწრაფოს ექიმი ამბობდა, ნეტავი, ბუზმა მოწამლა თუ კალიამო. მიმიყვანეს, პალატაში დამაწვინეს და ექიმი მოვიდა.

პირველად მკითხა დაზღვევა გაქვსო? მე ვუთხარი, არა-მეთქი. უჰ, შენ გენაცვალეო, – ამოიდა მისამართი ჩაიწერა და მკითხა, ფულს შენ გადაიხდი თუ მოვა ვინმეო. მე ვუთხარი რა დროს ფულია, ცუდად ვარ, მიშველეთ რამე-მეთქი. იმან მიპასუხა, გირჩევნია, ფული გაამზადო, თორემ, ცუდად გახდომა მერე ნახეო. მე ვუთხარი, რამდენი უნდა გადავიხადო-მეთქი. ექთანმა ხელები მოიფშვნიტა და დაიწყო: ექიმის ვიზიტი – 70 ლარი, ახლა რომ წამალს დაგალევინებ – ეგ 20 ლარი, 20 ლარი მე უნდა გადამიხადო და, ღამე თუ დარჩები, საწოლი 300 ლარი ღირსო.

ძლივს მომასულიერეს, დედა. ამ ქალმა ლამის ჩემი სამი თვის შემოსავალი ჩამოთვალა. მე ვუთხარი, ექიმს 70 ლარი რაში უნდა გადავუხადო, არაფერი გაუკეთებია-მეთქი. რომ გამოიძახე, იმიტომო. მე როდის გამოვიძახე, თვითონ მოვიდა-მეთქი. ასე მითხრა – პატივი გცა და მოვიდა თვითონ, აბა, შენ სად იყავი მიმსვლელი, ფეხზე ვერ დგები, ხო ხედავო. გავჩუმდი, რაღა მეთქვა.

ჯერ ორი ტაბლეტი წამალი დამალევინეს, მერე კი მითხრეს, გადასხმა გჭირდება და 60 ლარი ღირსო. მე ვუთხარი, არ მინდა, სახლში წავალ-მეთქი. კარგად თუ იყავი, რას გამორბოდი აქ, რომ გვანერვიულე ამდენი ხალხიო, – გაბრაზდა ექთანი, რაღაცა ფურცელზე ხელი მომაწერინა – რომ მოკვდე, ჩვენ არ დაგვაბრალოო – და წავიდა.

გამოვედი, დედა, 110 ლარი გადავიხადე და სახლში წავედი. დიასახლისს რომ მოვუყევი ყველაფერი, ყაჩაღები არიანო, თქვა და წყევლა დაიწყო. მერე 25 ლარი გამომართვა გადასასხმელი აპარატი და წამალი მოიტანა, სახლში გამიკეთა გადასხმა და მეორე დღეს უკვე კარგად ვიყავი. დედა, არ ინერვიულო, ერთი კი ვისწავლე: ცუდად თუ გახდები, ბევრი ფული უნდა გქონდეს, სხვა შემთხვევაში ცუდად ყოფნის უფლება არ გაქვს საქართველოში. ხოდა, კიდევ, აღარასდროს გავეკარები არც ერთ გაყინულ საჭმელს, მაგრამ, ისიც ვერ გავიგე, პელმენმა მომწამლა, არაყანმა თუ ლუდმა; ალბათ, სამივემ ერთად – ნატურალური პროდუქტი ხომ საქართველოში არ იყიდება! ჯერჯერობით ეს არის სულ, დედა. მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტოზი ვონგი**


HAIRLINE
INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE
ვარსკვლავები თმას
ჰეარლაინში ინერგავენ
230 00 30
თის. ქავთარაძის 16
www.hairline.ge


საკონდიტრო კალათა წარმოადგენს გამზადებულ კვების
პროდუქტს, აქვს უნივერსალური გემო და მაღალი
ხარისხი.
24 საათის განმავლობაში.
შენახვის ვადა – 3 თვე.
– 0,27 ლარი;
– 0,22 ლარი;
– 0,27 ლარი;
– 0,27 ლარი;
– 0,29 ლარი;
– 0,29 ლარი;
– 0,25 ლარი;
– 0,22 ლარი.
საკონდიტრო კალათის
შეძენის მსურველებს
შეგიძლიათ,
დაგვიკავშირდეთ:
790-18-18-18; 555 55-65-04.



ვინ გაუკეთა გიორგი ლორიას გრანდიოზული სიურპრიზი და როდის აიცილა მან თავიდან ყველაზე დიდი ნერვიულობა
გვ. 79
გვ. 18
რა სურვილებს უსრულებდა ბადრი პატარკაციშვილი ლიზა მაღრაძეს და საიდან გამოიქცა ის
სად აპირებს გიჟური სურვილების განხორციელებას გვანცა ჯაფარიძე და რა იმედგაცრუებები ჰქონდა მას ცხოვრებაში
გვ. 78
როგორ მოხვდა ლევან ქორქოლიანი „ბიზისის“ „ნიუს-რუმში“ და რა მოხდა მის ცხოვრებაში აბსოლუტურად სპონტანურად
გვ. 77
ISSN 1987-569X
9 771987 569002
საქართველო ბეჭედია ბა
ჩასმული ბადახში
®
www.tbiliselebi.ge
ყოველკვირეული ჟურნალი • გამოდის ორშაბათობით • №17
22 – 28 აპრილი • ფასი 1,50